ვახტანგ ბახტაძე

ილიას მართალი სიტყვა ქართულ სიტყვიერებაში

ილია ჭავჭავაძე ქართული ჟურნალისტიკის, პუბლიცისტიკის, მწერლობის ეროვნული დანიშნულების შესახებ

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი - 2016

რედაქტორი
როსტომ ჩხეიძე

მხატვარი
ნუგზარ მგალობლიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
დავით ჭედია

© ვახტანგ ბახტაძე, 2016
© გამომცემლობა „მერიდიანი"

ISBN 978-9941-25-082-8

მოკრძალებით ვუძღვნი
საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის
თავკაცებს – **ზვიად გამსახურდიას** და **მერაბ კოსტავას**



„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედმა
და დაე, გვძრახონ, თუ მის ძებნით დავლიოთ დღენი

ილია ჭავჭავაძე

შინაარსი

როსტომ ჩხეიძე – რედაქტორისაგან
მართალი სიტყვა ილიას მართალ სიტყვაზე 7
თემურ ქორიძე – ერთი ხმა გალილეისა
(ორიოდე სიტყვა ვახტანგ ბახტაძის წიგნზე
„ილიას მართალი სიტყვა ქართულ სიტყვიერებაში“) 9
წინათქმის მაგიერ 10
ილია ჭავჭავაძის „სამი ღვთაებრივი საუნჯე“..... 13
ილიას მართალი სიტყვა ქართულ სიტყვიერებაში
(ილია ჭავჭავაძე ქართული ჟურნალისტიკის,
პუბლიცისტიკის, მწერლობის ეროვნული
დანიშნულების შესახებ)..... 28
ილია და საერთო ნიადაგის თეორია..... 24
ილია და სალიტერატურო ენის საკითხები
(ახალი სალიტერატურო ქართული მე-19 საუკუნეში 32
გრ. ორბელიანი თაობათა პოლემიკაში..... 38
აკაკი და სამწერლობო ენა 46
იაკობ გოგებაშვილი – დედა ენა, ეროვნების
მთავარი ბურჯი 52
ილია და საგრამატიკო პოლემიკა..... 55
„რა ენა წახდეს“ (ილია და ქართული მართლმეტყველება)..... 57
ქართული სიტყვის მეცნიერული ტერმინშემოქმედების
სადღეისო პრობლემატიკა..... 65
ილიას როლი საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში 74
ილია ჭავჭავაძე პრესისა და ჟურნალისტიკის
ურთიერთმიმართების შესახებ 78
მე-19 საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის
კულტურულ-სალიტერატურო სივრცე 85
მე-19 საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის
უმნიშვნელოვანესი ასპექტები
ილიას სალიტერატურო ჟურნალი „საქართველოს მოამბე“
(1863), ილიას ქართული საპოლიტიკო და სალიტერატურო
გაზეთი „ივერია“ (1877-1906) და მასთან (ილიასთან)
შემდგომში პოლიტიკურად სამკვდრო-სასიცოცხლოდ
დაპირისპირებული სალიტერატურო და საზოგადოებრივი

გაზეთი „კვალი“ (1893-1904) 92
ილიასეული სალიტერატურო ჟურნალი
„საქართველოს მოამბე“ (1863) 94
ქართული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
ილია ჭავჭავაძის „ივერია“ (1877-1906) 109
სალიტერატურო და საზოგადოებრივი გაზეთი
„კვალი“ (1893-1904) 139
წინამურთან გავარდნილი მარქსისტ (ბოლშევიკთა
და სოციალ-დემოკრატთა) შეთქმულთა ტყვია 158
საართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინება 165
„ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში
ჰნიშნავდა ქართველობას“ (დოკუმენტი
კალისტრატე ცინცაძის არქივიდან) 167
საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის
(მცირე შენიშვნა) *1944წ. მაისის 25 175
ბოლოთქმის მაგიერ 180
გამოყენებული ლიტერატურა 187

დანართი (შედგენილია ვახტანგ ბახტაძის მიერ):

ქართველი ხალხის – ქართული ენის, სალიტერატურო
ენის, დამწერლობის სათავეების კულტურულ-
ისტორიული მნიშვნელობა.
1. ქართველი ხალხის საერთო ეროვნული ენა
(კულტურულ- ისტორიული მნიშვნელობა – ადგილი
მსოფლიო ენათა სისტემაში) 189
2. ქართული სალიტერატურო ენის განვითარების
სხვადასხვა საფეხური 193
3. „ისწაოს წიგნი და ენა“ (სალიტერატურო ენა და
ძველი ქართული მწერლობის დასაბამი) 199
პირველი, მეორე და მესამე თავებში გამოყენებული
ლიტერატურა 211

რედაქტორისაგან

მართალი სიტყვა ილიას მართალ სიტყვაზე

ჯერ ისედაც ხშირად უნდა ვიხსენებდეთ ილია ჭავჭავაძეს.

ჯერ ისედაც წამდაუწუმ უნდა ვიხედებოდეთ მის ნაწერებში.

ჯერ ისედაც ყოველმხრივ უნდა ვითვალისწინებდეთ მის შეგონებებს.

ეს ხომ მარტოდენ გარდასული ჟამის უტყუარი ისტორიულ-დოკუმენტური სურათის აღსადგენად არ გვესაჭიროება, არამედ ჩვენი დღევანდელობისა და კიდევ უფრო მეტად – მომავლისათვის.

მაინც როგორი უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფოს მოდელი?

ილია ჭავჭავაძეს მკაფიოდაც აქვს გამოკვეთილი და ნიუანსობრივადაც განსჯილ-გააზრებული.

ეგაა, ბევრწილად მრუდდება და ყალბდება მისი ნააზრევი, გაპრიმიტიულებას ვინღა ჩივის, სულაც მიკერძოებულად და გაუკუღმართებულად განიმარტება მისი შეხედულებანი თუ შეგონებანი.

ამიტომაც განსაკუთრებით აუცილებელია ილია ჭავჭავაძეზე მსჯელობა იმ კუთხით, სინამდვილეში როგორც გახლდათ ის ყოველივე, სინამდვილეში რასაც წერდა, სინამდვილეში რასაც ამკვიდრებდა, სინამდვილეში საითაც მოგვიწოდებდა...

ასეთ ვითარებაში სულმოუთქმელად დავეძებთ ისეთ ესეებს, სამეცნიერო ნარკვევებსა თუ მონოგრაფიებს, რომელშიც ილიას სახება სწორედ ისეთნაირად გამოშუქდება, შეუბღალავად რომ ითქმის, და კიდევ ერთხელ შეგვაგულიანებს ამ უღრმეს და უსაზღვრო სამყაროში ტრიალისათვის, ილიას სახელით რომ აღბეჭდილა და კიდევ არაერთ საიდუმლოს ინახავს, რომელთა მიკვლევაც და მართებული ახსნაც ჩვენი ვალია.

საბედნიეროდ, არც ასეთ წიგნებს მოვისაკლისებთ – ილიას სახელისა და ღვაწლის შესაფერისს.

ვახტანგ ბახტაძის, გამოცდილი ჟურნალისტისა და ლიტერატორის, მონოგრაფიული ნაშრომიც „ილიას მართალი სიტყვა ქართულ სიტყვიერებაში“ ამგვარ წიგნებს შორის უნდა ვიგულისხ-

მოთ, სამეცნიერო მონაპოვარზე დაყრდნობით სარწმუნოდა და მიუკერძოებლად რომ წარმოაჩენს ილიას ღვაწლის ამა თუ იმ მხარეს და, იმავდროულად, წარმოსახავს ზოგად ფონსაც იმჟამინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო რეალობისა, რათა უფრო ხელშესახებად გამოიკვეთოს ილიას პიროვნების მონუმენტურობა და სიმაღლე, მისი სიტყვის ძალა და მადლი, მისი აზროვნების უკიდეგანობა და ის აქტუალობა, სუნთქვასავით რომ გვესაჭიროება ჩვენი ცხოვრების ცოტა არ იყოს ქაოტურ მდინარებაში.

ვახტანგ ბახტაძის არაერთ სასიკეთო საქმეს შორის მაინც გამორჩეულია ის წარმატებული იდეა – მის მიერ შედგენილი და რედაქტირებული წიგნი ზვიად გამსახურდიასი „საქართველოს სულიერი მისია“, რომელიც წარმოდგებოდა უშუალო მემკვიდრედ ილიას ნააზრევისა, ოღონდ ავტორს ასე ცალკე შესაძლოა არც ეზრუნა იმ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი წიგნის გამოსაცემად, გარდა მეცნიერული და ზოგადკულტურული დანიშნულებისა, მძაფრ პოლიტიკურ პამფლეტადაც რომ მოგვევლინებოდა.

ვახტანგ ბახტაძის ეს წიგნიც, გარდა საგანმანათლებლო დანიშნულებისა, პოლიტიკური პამფლეტის იერსაც იძენს.

... ჯერ ისედაც ხშირად უნდა ვახსენებდეთ ილია ჭავჭავაძეს.

ვიხედებოდეთ მის ნაწერებში.

ვითვალისწინებდეთ მის შეგონებებს.

და მითუმეტეს – როდესაც ყალბისმქნელებიც ასე უღმერთოდ შესევიან.

და ასეთ დროს რარიგ გვიხარებს გულს ყოველი სანდო წიგნის გამოჩენა, გზამკვლევად რომ გამოადგება მკითხველს, განსაკუთრებით კი ახალ თაობებს.

და აჰა ესეც – მართალი კაცის მართალი სიტყვა ილიას მართალ სიტყვაზე ქართულ სიტყვიერებაში.

როსტომ ჩხეიძე

ერთი ხმა გალილეისა

(ორიოდე სიტყვა ვახტანგ ბახტაძის წიგნზე „ილიას მართალი სიტყვა ქართულ სიტყვიერებაში“)

სიტყვიერება ფართო მნიშვნელობის ცნებაა. ის თანაბრად მოიცავს როგორც ვერბალურ, ისე გრაფიკულ შრეებს და საა-ზროვნო სისტემებს. სიტყვიერების სამყარო უსაზღვროდ ვრ-ცელი და დინამიურია. იგი მუდმივ განახლებას და ფერიცვალე-ბას განიცდის. არსებობს „ენა ენაში“, ყოველდღიური, მსუბუქი „არგო“ და ძნელი, მაგრამ გონებისათვის ერთობ ხელმისაწვდომი აბსტრაქციები. ლექსი კი, როგორც პოლ ვალერი იტყოდა, ისე განსხვავდება ჩვეულებრივი მეტყველებისგან, როგორც ცეკვა – სიარულისგან. ეს მოხდენილი შედარება ფრიად მრავლისმთქმე-ლია. მასში სიტყვიერების მთელი მაგიაა გაცხადებული.

ეს წიგნი ქართული სიტყვიერების, ენის და საერთოდ, ჩვე-ნი ეროვნულ-კულტურული ცნობიერების ღრმა პატივისცემით არის გამსჭვალული. ამიტომ ბუნებრივია, რომ კონცეპტუალურ სიბრტყეზე ცენტრალური ადგილი ილია ჭავჭავაძის პიროვნებას და მის შეხედულებათა სისტემას უკავია. „საცა ლიტერატურული სჯაა და ბაასი, იქ ხმა უნდა აიწონოს და არა დაითვალოს“, – ეს მკაცრი ინტელექტუალური იერარქიის მოთხოვნაა. მთელი თა-ვისი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში, ილია, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ასეთი უკულმართი „ეგალიტარიზმის“ წინააღ-მდეგ იბრძოდა. როგორც მოაზროვნეს და ჭეშმარიტ კულტურ-ტრეგერს, მას ჭირის დღესავით ეჯავრებოდა გაუნათლებელი და უვიცი ფსევდოების თავხედური აბობოქრება. ილიას პუბლიცის-ტური წიაღსვლები, ცეცხლოვანი პოლემიკა და გონებამახვილური დაკვირვებანი, არსებითად, განსაზღვრავს წინამდებარე ნაშრომის ხასიათსა და სულისკვეთებას.

ვახტანგ ბახტაძის, როგორც ავტორის, უდავო ღირსებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ საკმაოდ ვრცელი მასალის სისტემ-ატიზაციის პარალელურად, მან ერთხელ კიდევ ჩაგვახედა ჩვენი სულიერ-ინტელექტუალური ცხოვრების სიღრმეში და თვალსაჩ-ინოდ წარმოგვიდგინა მისი შუქ-ჩრდილები. ის კვალდაკვალ მი-ჰყვება ათასობით მცირემცოდნეთა პირისპირ შემართული ილიას აჩრდილს და ურყევად სჯერა, რომ ამ ათასების ხმას უთუოდ გადაწონის „ერთი ხმა გალლილეისა“.

თემურ ქორიძე

წინათქმის მაგიერ

მწერლობა, ჟურნალისტიკა, პუბლიცისტიკა – აი, ის სამი სფერო, რომელიც ალბათ ყველაზე მძლავრად მოქმედებს ყოველი ერის საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, რაც განმსაზღვრელია ერის და სახელმწიფოს წინსვლისა თუ უკუსვლისა, განვითარებისა თუ განუვითარებლობისა.

ილია ჭავჭავაძემ უდიდესი ღვაწლი გასწია, რათა ეს სფეროები ჯანსაღი, სწორი მიმართულებით განვითარებულიყო და, ამდენად, ქართველი ერისა და ქვეყნის წინსვლა-განვითარებაში გადამწყვეტ ფაქტორებად ქცეულიყვნენ.

რუსეთის იმპერიის კოლონიურ უღელქვეშ საქართველო ამ თვალსაზრისით უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, განსაკუთრებით კომუნისტურ ეპოქაში. როდესაც ცრუ პროპაგანდას ემსახურებოდა ტოტალიტარული საბჭოთა იმპერიის იდეოლოგიური მანქანა, როდესაც უწინარესად მართალი სიტყვა იდევნებოდა (განსაკუთრებით ეროვნულ პრობლემატიკაში), მსოფლიოში თუ ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციები ყალბდებოდა და არასწორად, ტენდენციურად შეუქდებოდა. ამდენად, მოაზროვნე ადამიანებისათვის ეს ვითარება განსაკუთრებით მძიმედ ასატანი იყო.

ილიას და ქართველი ხალხის ოცნება სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე მცირე ხნით აღსრულდა. სამწუხაროდ, 1921 წლის 25 თებერვლის შემდგომ ,,წითელმა ურჩხულმა" კარგა ხნით, საქართველო კვლავ იმპერიის წიაღში დააბრუნა.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი, ქართველი ერის ნება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით, 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებით განხორციელდა.

ჩვენს ქვეყანაში შემდგომ განვითარებულმა პოლიტიკურად უმწვავესმა და დრამატულმა პროცესებმა, 1991-92 წლების დეკემბერ-იანვარის, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ხელისუფლების სამხედრო სახელმწიფო გადატრიალების გზით დამხობამ (უცხო ქვეყნების გეოპოლიტიკური მიზნებით, სამხ-

ედრო ინტერვენციული მანქანის ელემენტებით), კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ახლადშემდგარი ქართული სახელმწიფოს თავისუფლების, დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის ყოფნა-არყოფნა (ყოფილი მეტროპოლიის გავლენის აღდგენის პერსპექტივით).

მიუხედავად ყოველივე ზემოქმულისა, 1991 წლის მარტისა და აპრილის ისტორიული და ფუნდამენტური მნიშვნელობის აქტებმა მყარი სამართლებრივი საფუძველი ჩაუყარეს საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც დღესაც წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მტკიცე იურიდიულ არგუმენტს და ერთადერთ გარანტს. ამიერიდან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი ნება თავისუფლებასა, დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტზე ხელშეუხებელია საქართველოში საერთო-სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმი) გამართვის გარეშე. ამ გარემოებამ სამართლებრივად დაადგინა სახელმწიფოში ეროვნული ხელისუფლების ჭეშმარიტი ლეგიტიმაციის სტანდარტი დღესაც და მომავალშიც.

ეროვნული ხელისუფლების და მისი ,,ურჩი" რესპუბლიკის ლიდერის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას იმპერიული ცენტრისადმი (კრემლი) წარმოებულმა შეუპოვარმა და თანმიმდევრულმა პოლიტიკამ, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, თავისუფლების და სუვერენიტეტის მეტად რთული და ხანგრძლივი პროცესი საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებში მოაქცია და იმედია, შეუქცევადი გახადა.

ივერთა ქვეყანამ, ქართველმა ერმა, მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, უდიდეს ქარტეხილებს გაუძლო და შავბნელი ძალების ბარბაროსულ ქმედებათა მიუხედავად, შეინარჩუნა თაობებში განფენილი დაუოკებელი სწრაფვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის.

ქართველთა ახალ თაობებს, სანუკვარი იდეალებისათვის ბრძოლაში მუდამჟამ სანთელივით გაუნათებს აწ უკვე, წმიდა ილია მართლის მიერ თქმული სიტყვები: ,,მამული და ეროვნება, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორც-ათვისებული უძლეველი ხმალია და შეულეწელი ფარი ღვთის წინაშე".

აღსანიშნავია, ქართველი კაცისათვის სამშობლოს აღქმა არა მხოლოდ ეთნიკური კუთვნილების მხრივ, არამედ მთლიანობაში – თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით, გეორგიანული

მისიის (ცხადია, იგი შორსაა რასიული ბიოლოგიური სეგრეგაციული თეორიისაგან, რომელიც ქართული კულტურისათვის ესოდენ უცხოა) საკაცობრიო ცივილიზაციაში შეტანილი წვლილის გააზრების მიხედვით განისაზღვრება.

ილია ჭავჭავაძის ფასდაუდებელი ღვაწლი ჩვენი ეროვნული საუნჯის, ქართული სიტყვიერების წინაშე, ზემოხსენებული სამი სფეროს ილიასეული თვალთახედვის ანალიზი, თავისი აქტუალური პრობლემატიკით, ვფიქრობთ, უშუალოდ ეხმიანება ჩვენს ქანცგაწყვეტილ დღევანდელობასაც.



ილია ჭავჭავაძის „სამი ღვთაებრივი საუნჯე"

...ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული.
(„აჩრდილი")

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა, ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება".

ეს სიტყვები 1868 წელს წარმოთქვა სრულიად ახალგაზრდა ილიამ თავის პირველ კრიტიკულ სტატიაში („ორიოდე სიტყვა..."), იგი ერთგვარ საპროგრამო სიტყვებად არის მიჩნეული. თუმცა იმხანად ტექსტში მას ამგვარი პრეტენზია არ ჰქონია, ის მაშინ უფრო გულისტკივილის ამოძახილი იყო.

სხვათა შორის, თითქმის ანალოგიურ სამ საუნჯეზეა ლაპარაკი ქართლ-კახეთის სამეფოს, იმერეთის სამეფოსა და სამთავროებს (ოდიშის, გურიის) შორის 1790 წელს დადებულ ტრაქტატში: „ვინათგან ყოველთავე ივერიელთა მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთმორწმუნეობა, არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხებლობითიც სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა..." (პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა).

აქ ვხედავთ, რომ ტრაქტატის ავტორებს ასევე სამი რამ მიუჩნევიათ იდენტობა-ვინაობის საფუძველად: სარწმუნოება, ენა, სისხლით ნათესაობა. რაც შეეხება „მამულს", როცა თითოეულ სამეფოსა და სამთავროს თავ-თავისი მამული ჰქონდა, ეს ცნება-სიტყვა ტრაქტატის ტექსტში ვერ მოხვდა. რომ მოხვედრილიყო, ანუ ერთიანი მამული არსებულიყო, ტრაქტატიც არ დაიწერებოდა. აქ აპელირება სისხლის ნათესაობაზე დამყარებულ სიყვარულზეა.

მე-19 საუკუნის სამოციან წლებში ილია წერდა: „მრავალი წელიწადია, რაც ჩვენი საზოგადოების ერთი ცოცხალი აზრი, ერთი ფხიზელი გრძნობა არ ჩავარდნია გულში. ასეთნაირად დავნამცეცდით, რომ დიდი სიტყვა „მამულიც" დავანამცეცეთ. მამული ერთობ ჩვენ სამშობლო ქვეყანას კი არ ნიშნავდა, არამედ თვითოეულს სოფლის საკუთრებას. არ იქნება ხუთი წელიწადი, რაც მაგ საოცარმა საყვარელმა სიტყვამ, რომლის ხსენებაზედაც სხვა ბედნიერ ქვეყნებში უღონოსაც გული მიეცემა ხოლმე და

მტლად დაედება საყვარელს მამულს, არ იქნება ხუთი წელიწადი, რაც მაგ სასწაულმოქმედმა სიტყვამ დაკარგული მნიშვნელობა ჩვენში ისევ დაიბრუნა. ღმერთმა უშველოს „ცისკარს“, ეგ მისი მეოხეობა არის!“ (1862 წ.), თუმცა ამ სიტყვის აღორძინებას, მისი „გულთმიმზიდველი“ და „დიდებული“ მნიშვნელობით არსებობა „ცისკრის“ გამოჩენამდეც ფაქტია.

ძნელია ახლა იმის მიკვლევა, თუ ვინ ახსენა პირველად ეს სიტყვა ესოდენ ამაღლებული მნიშვნელობით. რომელი იყო ის პირველი ტექსტი, რომელიც „გამოაბრწყინა“ იგი თავისი ჩვეულებრივი, ყოფითი სფეროდან და საუკუნოვანი არსებობა შესძინა. ვინ იყო ის ავტორი? უთუოდ პოეტი, თუ, უბრალოდ, გულანთებული მამულისშვილი, ქართული ეროვნული რომანტიზმის უჩინარი წინამორბედი? ყოველ შემთხვევაში, ეს ცნება უკვე არსებობს ილიას დაბადებამდე და, თუ ილია სამოციან წლებს მიაწერს მის „გამობრწყინებას“, იგი ამ სიტყვას სულიერ დაბადებას უნდა გულისხმობდეს. მეტიც: თავის ყოფილ იდეურ მოწინააღმდეგეს, მამების ბანაკის წარმომადგენელს, გრიგოლ ორბელიანს მამულის ამ საზრისისთვის „სამოციანელთა“ მხარის დამჭერად და ერთგვარად, მათ ნინაშე დავალებულადაც კი თვლის: მან „თავისი ძლიერი მხარი მისცა ახალს მიმართულებასა და მამულის სიყვარულს ღრმა კვალი დაამჩნევინა ჩვენს გულში, სიყვარულმა მამულისამ, სამშობლოს მიწისამ, აღფრთოვანებულმა სამოციან წლებში, სულით და გულით მიიზიდა პოეზია გრ. ორბელიანისა...“ როცა ეს სიტყვები იწერებოდა (1892 წ.), პოემა „სადღეგრძელოს“ ავტორი ცოცხალი აღარ იყო.

ილია, ცხადია, კარგად იცნობდა გრ. ორბელიანის და ნიკოლოზ ბარათაშვილის მამულისთვის ანთებულ ლექსებს, მაგრამ მაინც მამულის იდეის აღორძინებას სამოციან წლებს მიაწერს. როგორც ჩანს, ილიას სურს დაინახოს თვისობრივი, სიღრმისეული განსხვავება თავის მამულსა და მამების მამულს შორის.

ამ სამების – „მამული, ენა, სარწმუნოება“ – დეკლარაციიდან ოცდაათი წლის შემდეგ (1892 წ.) რომელიც პირობით სათაურად მოცემული აქვს „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, თუმცა მისი თემა სცილდება ლიტერატურის სფეროს, ილია წერს: „სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულთ-მიმზიდველი და დიდებულ

მნიშვნელობითა. ვისაც-კი რაიმე ნიშან-წყალი ჰქონდა ღმრთის მიერ მინიჭებულ მადლისა და კალამი ხელთ ეპყრა, თითქმის ყველანი იმ გზას დაადგნენ, რომ ქართველს გულში ჩაუსახონ მამული, რომელიც ჟამთა ვითარებამ უძრავი ქონების სახელამდეღა დააქვეითა და დაამდაბლა. აგრე გაუპატიურებულმა სიტყვამ სამოციან წლების მოღვაწეთა მეოხებით და ღვაწლით კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ, და თავისი სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სივრცეს ჩვენი ცხოვრებისას".

აღსანიშნავია, რომ გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" არის ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი: „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების".

ამ ფაქტს იმთავითვე მიექცა ყურადღება. კორნელი კეკელიძე წერს: „ცხოვრებაში წარმოდგენილი ის მომენტი პოლიტიკური ყოფისა, როდესაც საქართველოში იდეა ეროვნული მთლიანობისა გაღვივებულია და შედგომიან კიდევაც საქართველოს გაერთიანებისათვის ზრუნვასა და საქმეს, რომელიც დაწყებულია ტაო-კლარჯეთიდან აქაური მამფალებისა და კურაპალატების თაოსნობით, საქართველოში უკვე ფეხი მოუდგამს კულტურულ-ეროვნული ერთობის იდეას, უმთავრესად ეროვნული ეკლესიის ნიაღში, რაც შემდგომ სიტყვებშია გამოხატული", და აქ მოყვანილია ზემოწარმოთქმული ციტატა (კ. კეკელიძე, ტ. 1, 1980, გვ. 153). სავსებით მართებულია მკვლევარი, როცა აქცენტს ეროვნული მთლიანობის იდეაზე აკეთებს.

გიორგი მერჩულეს თხზულების ამ ადგილს საგანგებო ყურადღებას მიაქცევს პავლე ინგოროყვა და ვრცლად მსჯელობს მასზე. მოვიყვანთ ამ მსჯელობას: „მერჩულის თხზულებაში, რომელიც დაწერილია ეპოქაში, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ დანაწილებული სამეფო სამთავროებად, წარმოდგენილია ფორმულა საქართველოს კულტურული მთლიანობისა, და ეს არა მარტო საეკლესიო ერთობის საფუძველზე, არამედ ენის ერთობის საფუძველზე, ვინაიდან ამ დროს ქართული ენა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე – საერთო ენა, მწერლობისა, ეკლესიისა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგისა" (პ. ინგოროყვა, ტ. 11, 2012, გვ. 222).

და ეს გახლავთ ფორმულა საქართველოს მთლიანობისა. შემ-

დგომ მსჯელობაში პავლე ინგოროყვამ დაშალა სამ მონაკვეთად და თითოეული მონაკვეთის საკვანძო სიტყვები ხაზგასმით წარმოადგინა: „ხოლო ამ ფორმულით გიორგი მერჩულე სახელწოდებას „ქართლი“ სულ სხვა შინაარსსა და სულ სხვა მნიშვნელობას ანიჭებს. გიორგი მერჩულე აქ გვეუბნება, რომ ქართლი ეს არის არა მარტო ეთნოგრაფიული ქართლ-იბერია, არამედ „ფრიადი ქვეყანა“ (დიდი ქვეყანა), მთელი საქართველო, სადაც კი ქართული ენაა მიღებული, სადაც კი ქართულითა ენითა „ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“ (გვ. 123).

პავლე ინგოროყვა ამ კლასიკურ ფორმულაში სამ მომენტზე ამახვილებს ყურადღებას -

1. ქართლი (ანუ საქართველო) ანუ მამული;
2. ქართული ენა;
3. სარწმუნოება (ჟამი შეიწირვის და ლოცვაი აღესრულების).

როცა ასე დანაწევრდა „საქართველოს მთლიანობის კლასიკური ფორმულა“, არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ილია ჭავჭავაძის „სამი ღვთაებრივი საუნჯე“: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება; თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?“ (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი 10 ტომად, ტ. 111, 1958).

პავლე ინგოროყვასეული დაყოფა და აქცენტები ზუსტია; აშკარა ანალოგია გიორგი მერჩულისეულ ფორმულასთან ილიასეულ ფორმულისა – ილია ჭავჭავაძემ ეს მოგვიანებით, 1861 წელს დაბეჭდა. ქართველი კაცის ტრადიციული შეხედულება, დამოკიდებულება ჩვენი ეროვნული მეობისადმი: ვინ ვართ ჩვენ და რა ქმნის ჩვენს ეროვნებას, ჩვენს ქართველობას. როგორც იაკობ გოგებაშვილი ამბობს, რა უდგას ბურჯად ჩვენს ქართველობას.

გიორგი მერჩულემ ეს ტრადიციული ქართული გააზრება ფორმულის სახით ამგვარად ჩამოაყალიბა: „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“.

ილია ჭავჭავაძემ ამ კლასიკურ ფორმულას ასეთი სახე მისცა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამაპაპათაგან – მამული, ენა და სარწმუნოება“.

არსებობს იაკობ გოგებაშვილისეული ვერსიაც ამ ფორმულისა: „საძირკველს ეროვნულის ძალისას შეადგენს სამშობლო, ჰამული... მეორე ბურჯი ერის აღორძინებისათვის გახლავთ სამშობლო ენა... მესამე ბურჯი ერის წარმატებისა გახლავთ სკოლა... მეოთხე ბურჯი ერის წარმატებისა არის ეკლესია..." (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი 10 ტომად, ტ. 111, 1954, გვ. 245-249).

საქართველოს მთლიანობის ფორმულის თავისი ვარიანტი შემოგვთავაზა აკაკი წერეთელმაც: „ჩვენ ჩვენი წინაპრების ანდერძის გამტეხი არა ვართ: გვწამს მისი ანდერძი და დღესაც მოველით იმას, რასაც ისინი თხოულობდნენ: ენას, რჯულს და ეროვნულ საქმის მოწყობას" (ა. წერეთელი, თხზულებანი 15 ტომად, ტ. მე-14, 1961, 397).

პავლე ინგოროყვას დამსახურება ის არის, რომ მან საუკუნეების განმავლობაში შემუშავებულ, ჩამოყალიბებულ აზრს „ეროვნული მთლიანობის კლასიკური ფორმულა" უწოდა.

დასკვნა:

მაშ ასე: არსებობს ეროვნული მთლიანობის ტრადიციული ქართული გაგება, კლასიკური ფორმულა, რომელიც სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა სახით ჩამოაყალიბეს კლასიკოსებმა: გიორგი მერჩულემ, ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა.[1]



1 გ. გოგოლაშვილი, ორი თარიღი: პიროვნებისაც და წიგნისაც, პავლე ინგოროყვასა და მისი პირველი წიგნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, „ჩვენი მწერლობა, თბ., 2015.

ილიას მართალი სიტყვა ქართულ სიტყვიერებაში

(ილია ჭავჭავაძე ქართული ჟურნალისტიკის, პუბლიცისტიკის, მწერლობის ეროვნული დანიშნულების შესახებ)

როცა საზოგადო მნიშვნელობის აზრი ამოქმედებს სიტყვას,
მაშინ თვითონ თქმა საგნად გადაიქცევა ხოლმე.
ილია

„მამული, ენა, სარწმუნოება“ – დიდმა ილიამ სწორედ ამ წმინდა სამების, ამ ძვირფასი საუნჯის მოვლა-პატრონობა დაგვავალა შთამომავლობას, ანდერძად გადმოგვცა, რომ გავფრთხილებოდით მათ სიწმინდეს, დაგვეცვა იგი ხელყოფისაგან.

მართლაც, ვერც ჩვენი ისტორიის ქარტეხილები და ვერც ავბედითი დროება ვერ მოერია ენას, მამულს, სარწმუნოებას; გადავარჩინეთ, შევინარჩუნეთ, დავიცავით, და ასე თავანკარად გადავცემთ მომავალ თაობებს, როგორც მამულის უძლეველობისა და უკვდავების სიმბოლოს.

ენა ბურჯი, სული და გული, მთავარი ნიშანი და მასულდგმულებელია ერისა. ერი ენით ცოცხლობს. წაართვით ერს ენა, დაუხშეთ სული და ის ერობას დაკარგავს, ამოხდება სული. ქართული ენა ქართველი ერის ბურჯს უვლიდა, ეალერსებოდა, უფრთხილდებოდა მას, ნიავსაც არ აკარებდა დედა ენას. ილიას ქართული ჩვენი მშობლიური ენის ზეიმია, დიდი შემოქმედის სიბრძნე განსხეულებული საკუთარ მხატვრულ ენაში, ამ უტყუარი საშუალებით გზას იკაფავს თანამედროვეთა გულებისაკენ.

ილიას ქართული არის ჩვენი დედა-ენა ერთად აღებული, ქართველობის ეროვნული სიამაყე და ბედნიერების წყარო, რუსთველმა ტკბილქართული რომ უწოდა. მის მაჯისცემას წარმართავს „სიტყვა, გარეგანი სამოსელი აზრისა“. მთელი თავისი სიკეთით, როგორც თავად სულმნათი ილია ბრძანებს, „სადაც აზრი არ არი, იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია; მერე მე არსად არ გამიგონია, რომ უაზრო ენა იყოს სადმე, აზრი და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას“.

ილია ჭავჭავაძე ჩვენს საუნჯეს, ქართულ სიტყვიერებას, ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით აფასებდა, ხოლო მისი

აზრით, „ერის ვინაობის პირველი ნიშანი ენაა“. ამიტომ ამბობდა ჯერ კიდევ სრულიად ჭაბუკი ილია უკომპრომისოდ: „სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებასა. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა. მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. მწერლობაა ის დიდი წიაღი, „რომელიც ზრდის და ინახავს ენასა.“ ილია ჭავჭავაძემ ქართული სიტყვიერების უმთავრეს ამოცანად აქცია დღენიადაგ ზრუნვა ენაზე. ილიას გადაუდებელ საჭიროებად მიაჩნდა ბიბლიისა და ქართველ მწერალთა ენის შესწავლა: „რომ არ გვყვანდნენ რუსთაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, დავით გურამიშვილი... კიდევ ჰო, რომ გვყვანან, რატომ არ ვსწავლობთ იმათ მშვენიერ ლექსებში მშვენიერ ენას?“

ილიასეული შეუპოვრობითა და დიდი ენერგიით იშვიათად თუ გამოუხატავს ვინმეს ჩვენს მწერლობაში ზრუნვა ქართული სალიტერატურო ენის გამშვენიერებისა და ამაღლებისათვის, იშვიათად თუ მიუღწევია ვინმეს სიტყვის გრძნობის ასეთი გაფაქიზებისათვის.

ილია ჭავჭავაძეს ეროვნული თვითშემეცნება კონცენტრირებულია სიტყვებში: „...ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული“ („აჩრდილი“), რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ამქვეყნიური (მიწიერი) ცხოვრების უზენაესი ინტერესი და მიზანი („ამქვეყნიური ღმერთი“) არის მამული და ეს არის არა ადამიანის არჩევანი, არამედ განგების („ცის“) ნება. შესაბამისად, როდესაც ადამიანი ემსახურება მამულს, ის იმავდროულად განგების ნებასაც ასრულებს. ილიასეული გააზრებით, „სოფელი“ (ქვეყანა) ბოროტებისა და ამაოების სამყოფელი კი არ არის, არამედ მიზნებისა და ღირებულებების ხორცშესასხმელი სივრცეა. და ეს, თვით განგების მიერ ადამიანისათვის გაჩენილი ღვთაებრივი წესია.

სრულებით არ არის შემთხვევითი ის გარემოება, რომ ქართული სასულიერო წრეების ისტორიულ დამსახურებაზე მსჯელობისას ილია საგანგებოდ აღნიშნავს მის (ქართული სამღვდელოების) მამულიშვილურ ღვაწლს: „მამული და ეროვნება მოაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული – მამულსა და ეროვნებას, და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაიმძღვარა წინ, ათას ხუთასი წელიწადი ასწია ჩვენი სამღვდელოება და დააყენა ის მაღალ ხარისხზედ, სადაც ყოველი ბიჯი ღვაწლია და სამსახ-

ური ქვეყნის წინაშე". ილია ჭავჭავაძე ქართველთა სამღვდელოების ისტორიულ და განმსაზღვრელ მნიშვნელობის დამსახურებად მიიჩნევს „ღვაწლსა და სამსახურს ქვეყნის წინაშე... ეროვნების რჯულამდე გაპატიოსნებისა და სარწმუნოებამდე ამაღლების" („ქართველი ერი და ღვაწლი წმინდა ნინოსი"). სხვა წერილში კი იგი აღნიშნავს: „საქართველოს ეკლესია ყოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა" („დავით აღმაშენებელი").

ილიას ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობის აუცილებელ პირობად მიზნის სიცხადე და მომავლის შინაგანი რწმენა მიაჩნდა. მშფოთვარე მწერალი „აიყოლია სიყრმიდანვე ქართვლის ბედმა" და მისი უკეთესი მერმისის გზების ძიებაში „დალია დღენი".

პასუხისმგებლობა ერის წინაშე, მოქალაქეობრივი ვალის გრძნობა განაგებს პოეტის ყველა სტრიქონს, მის ყოველ ნამოქმედარს:

დაე, თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინც ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი...

ყოველი ერის ლიტერატურა მისი ხასიათის, სულის, მსოფლგანცდის და მარადიული ფასეულობების გამომხატველია. ყველაზე ღრმად და ნათლად საკუთარი ლიტერატურის წყალობით შეიცნობს ერი საკუთარ თავს, შეიგრძნობს თავის ინდივიდუალობას და ვინაობას, იმას, როგორია სინამდვილეში, როგორი შეუძლია იყოს და ვალდებულია იყოს. ეროვნული ლიტერატურა ერის თვითშემეცნების შეუცვლელი საფუძველია.

ჭეშმარიტი თვითშემეცნების გარეშე კი ერი ვერ შეძლებს თავისი თავის სრულყოფას. ამიტომ ლიტერატურა თვალს არ არიდებს ერის ნაკლოვან თვისებებსაც და ეს ამ ერის კულტურის, გონებრივი და სულიერი სიმწიფის მაჩვენებელია. ზუსტად ასევეა თვითკრიტიკულობა პიროვნების სულიერი სიმშვიდის და სილრმის ნიშანი.

როგორც ილია ამბობს:

ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართვლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!"
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს,
ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია!
(„ჩემო კალამო")

საქართველოს სულიერი, კულტურული აღორძინება ილია ჭავჭავაძისთვის ჩვენი ეროვნული მსოფლხედვის აღორძინების განმტკიცებასაც ნიშნავდა. ეს მსოფლხედვა კი ყველაზე ღრმად და სრულად „ვეფხისტყაოსანშია" გამომჟღავნებული. რუსთველისათვის ამქვეყნიური სამყაროს მშვენიერება, ადამიანური სიყვარულის დიდი და ამამაღლებელი ძალა მიწიერი სინამდვილის და ადამიანის ღვთაებრივი ღირსების ნიშანია.

პუბლიცისტიკა ლიტერატურის და ჟურნალისტიკის მომიჯნავე შემაერთებელი სფეროა. იგი საზოგადოებასთან (პუბლიკასთან) პირდაპირი, გულახდილი საუბარია აქტუალური და მწვავე სოციალური, პოლიტიკური, ზნეობრივი და სხვაგვარი პრობლემების შესახებ. მისი მიზანი საზოგადოებრივ აზრზე და განწყობაზე უშუალო ზეგავლენის მოხდენაა. პუბლიცისტიკა ყოველთვის გულისხმობს, მარტივად რომ ვთქვათ, რაღაცის წინააღმდეგ და რაღაცის დასამკვიდრებლად ბრძოლას, რაღაცის მართლმხილებას და რაღაცისკენ მოწოდებას.

ჟურნალისტიკის უპირველესი მიზანი სიმართლის თქმაა, რათა ხალხს ჰქონდეს სრული ინფორმაცია, რომელიც მათ თავისუფლებისათვის და დამოუკიდებლობისათვის სჭირდება. ეს საპატიო მისია რომ შეასრულოს, ჟურნალისტიკა თვითონ უნდა იყოს ჭეშმარიტად თავისუფალი და დამოუკიდებელი. თავისუფალ და დამოუკიდებელ პრესაში ვგულისხმობთ პრესას, რომელიც არ ექვემდებარება სახელისუფლებო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტროლს, ან გაზეთების, ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემების გამოშვებისა და გავრცელებისათვის საჭირო მასალების მომწოდებლებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გავლენას.

მე-19 საუკუნეში ჰენრი ბოკლი (1821-1862) თავის წიგნში „ინგლისის ცივილიზაციის ისტორია" წერდა:

„დიდებულმა საჯარო პრესამ ყველა სხვა მიზეზზე მეტად

ჩაუნერგა ხალხს საკუთარი ძალების რწმენა და, ამრიგად, წარმოუდგენელი ძალით შეუწყო ხელი ინგლისის ცივილიზაციის წარმატებას... ვიდრე იგი შეუზღუდავია და ვიდრე ერი ყოველგვარი შიშის გარეშ იყენებს მას, იგი მუდამჟამ შეძლებს, დაიცვას თავი ხელისუფალთა თვითნებობისაგან, რომელიც ყველაზე თავისუფალ სახელმწიფოსაც კი ახასიათებს."

კვლავ ილიას დავუბრუნდეთ.

ილია ჭავჭავაძის გააზრებით, არავითარი ფასი არა აქვს ისეთ მწერლობას, რომელიც ადამიანის გულს ვერ შეძრავს, ეროვნულ თუ საზოგადოებრივ ტკივილს ვერ გაგრძნობინებს, რომელშიც ძნელად იქნება გასარჩევი ეროვნული თავისთავადობა და თავისებურება მწერლისა. ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი შემოქმედების ძირითადი თემების შერჩევა-განხილვისას თავიდან ბოლომდე საზოგადოებრივია. მწერალმა ის უნდა აიღოს თავისი ნაწარმოების საგნად, რაც საზოგადოებრივად მნიშვნელოვანია. მწერალი იმის მიხედვით უნდა შეფასდეს, თუ რა მოვლენანი გაუხდია მას თავისი მწერლობის საგნად. მან „საყოველთაო სალხინებელი და სანაღვლებელი" უნდა გამოხატოს. ამ აზრითაც ილია ჭავჭავაძისათვის პიროვნულისა და საზოგადოებრივის სრულ დამთხვევასთან გვაქვს საქმე. მის შემოქმედებაში სრულად არის განხორციელებული პიროვნულ ინტერესთან საერთო, საზოგადო ინტერესების სამსხვერპლოზე მიტანა, ისე, რომ მსხვერპლი არ განიცდება, როგორც მსხვერპლი. ილია ჭავჭავაძე, როგორც მოღვაწე და მწერალი, იცავს იმგვარ პრინციპს, რომლის დროსაც მწერლის ძალა „თავისი ხალხის ძალაა", მისი წყენა „თავისი ხალხის წყენა" და პირუკუ „თავისი ხალხის წყენა მისი საკუთარი წყენა".

ხელოვნება ერის ცხოვრების სამსახურში უნდა იდგეს, ჭეშმარიტი ხელოვანი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ერის და საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლაში... რომელიც გულისხმობს, რომ ხელოვნების უმთავრესი ამოცანაა არა თვალის არიდება საზოგადოებრივ ნაკლზე, არამედ დაუფარავი მხილება და გამოაშკარავება ნაკლოვანებებისა, რამდენადაც ერის გაჯანსაღების, წინსვლის პირობა არის ცოდნა ნაკლისა და სიმრუდისა, რათა მოიძებნოს წამალი მის გამოსასწორებლად. „მაშ როგორ გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება. ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთნაი-

რად ასწეროს და დაგვანახოს. აბა ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულის მოღვაწე და არა ის, ვინც მეტისმეტად დამჟავებული სიყვარულის გამო, ანგელოზივით ასახელებს საქართველოს, ბოროტების ღვიარება ნახევარი გასწორებაა". ბევრი წყენა დახვდება ხელოვანს მხილების ამ გზაზე, ცილისწამებისა და „ღვარძლის ისრები", -„ჩემზედ ამბობენ: ის სიავეს ქართვლისას ამბობს, ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია! ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს, – ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია!" მაგრამ იგი არ უნდა შეუშინდეს დაბრკოლებებს, არ უნდა ათხოვოს ყური „ბრიყვთა" ხმებს. „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში? რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ."

მტერი ხმამაღლა თოფით აღარ მოდის, ცოდნითა და ფულით მოდისო, – გვაფრთხილებდა დიდი ილია. ცხოვრებას თუ ერთი წუთით თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსაო.

ილია ამბობდა, „ჩვენს აზრთა სვლას, ჩვენს ზრუნვას,ჩვენს ზრუნვას და ფიქრს, მთელის ბუნებითად რთულის ცხოვრების ფართო მოედნიდამ მცირე მცირე კუნჭულშიღა ჰქონდა დათმობილი ჟამთა ვითარებისაგან. მარტო ამ კუნჭულშიღა გახდა შესაძლებელი ჩვენი ცხოვრებისათვის მოღვაწე კაცს თავი ეჩინა. იგი იყო მწერლობა, რომელიც ზრდის და ინახავს ენას, და რომელმაც ხელახლა ხმა ამოიღო ამ საუკუნის 30-იან წლებში... ჩვენმა აზრთა სვლამ, მიმართულებამ აქ შეაფარა თავი."

ყოველივე ამის გამო ქართული ლიტერატურა გახდა ჩვენში ასპარეზი ჩვენი თავისთავადობის, წმინდა ეროვნული ტკივილების გამოხატვისა.



ილია და საერთო ნიადაგის თეორია

ყველაფრის სიკვდილი შეიძლება,
აზრისა კი თავის დღეში არა...
ილია

(სალიტერატურო ჟურნალი „საქართველოს მოამბე", №1, 1863)

ილია ჭავჭავაძის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული არ მხოლოდ მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის, პუბლიცისტიკის, ჟურნალისტიკის, საერთოდ ქართული სიტყვიერების და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიასთან, არამედ საზოგადოდ ქართველი კაცის ყოფა-ცხოვრების ყოველ წვრილმანთანაც კი. არ ყოფილა ჩვენი ცხოვრების არცერთი მხარე, არცერთი მოვლენა, რომ მასში ილია ჭავჭავაძეს მონაწილეობა არ მიეღო და თავისი დინჯი, დამაჯერებელი და მოფიქრებული სიტყვა არ ეთქვა.

ილიასეული გააზრებით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის უტყუარ გარკვევას, თუ ვისი და რისი მემკვიდრენი ვართ, ყურად ვიღოთ საქართველოს „თანამდევი სულის" შეგონება.

„შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის გაწევა." ამასთან, ილიასთვის აქაც, ისე როგორც ყველგან სხვაგან, არსებითი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ცნობიერების, ჩვენი ეროვნული ცხოვრების არა გარეგნულ ატრიბუტებს, არამედ სიღრმისეულ სულიერ ფესვებს.. სწორედ ჩვენი სამშობლოს ისტორიული განვითარების ამ შორეულ საწყისებში უნდა ვეძიოთ მომავალი საქართველოს „ბალავრის ქვა"...

უნდა მოიძებნოს ძველსა და ახალ ისტორიას შორის დამაკავშირებელი „ჩვენეული" – ქართული გზა.

ერის წარსულის, აწმყოსა და მომავლის გამთლიანების ძიება გახლავთ უმთავრესი საფიქრალი ჩვენი ერის ღირსეული მამულიშვილებისა... უარი უნდა ვთქვათ „ისტორიის დავიწყებაზე", ამით სულმნათი ილიას გზის სულიერი მემკვიდრეობის ოდენ ბზარგაუტეხლობას დავადასტურებთ...

ილია ამბობს მარადუხუნებელ სიტყვებს: „ჩვენ არაერთხელ

გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავის წარსულისა, თავის ყოვლის ცხოვრებისა, დავიწყება ისტორიისა, თავის წარსულისა და ყოვლის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნიდან, მომასწავებელი ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედის. წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ერთი მეორის გარეშე წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია"

ვფიქრობ, აქ კომენტარი ზედმეტია.

ამასვე მისტიროდა იგი თავის პირუთვნელად გამოთქმულ ლექსში „ბედნიერი ერი". ილიასეულად რომ ვთქვათ, რამ გახადა „ქართველთა წეს-წყობა და ქართველთა სახელი" მაშინაც და დღესაც ასე შემარცხვენელი და ლაფში სათრევი?

ამის უპირველესი მიზეზი ეროვნული ცხოვრების წესის და რიგის მოშლა, ერისა და ქვეყნის არაბუნებრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარებაა. განვითარების „ძნელბედობის" თითქმის 800 წლის მანძილზე, ქართული სახელმწიფოებრიობის, მთელ ჩვენ არაბუნებრივ განვითარებას არ შეიძლება უკვალოდ ჩაევლოს, თაობიდან-თაობამდე ხომ ან სხვანი გვმართავდნენ, ან სხვათა კარნახით ვიმართებოდით და, ასე განსაჯეთ, იგი დღესაც უცვლელი დარჩა.

ამ გზით შეძენილმა შემგუებლობა-მორჩილებამ და სხვისმა ხელისშემყურეობა-უიმედოობამ ლამის ეროვნული ფსიქოლოგია, ეროვნული ცნობიერების, კერძოდ კი, პოლიტიკური აზროვნების თავისთავადობა-თვითმყოფადობა, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, მისი თავდაცვის დამოუკიდებელი იდეოლოგიური საწყისები და ფუნქციები დააბლაგვა. შედეგად, მთელი ჩვენი ეროვნული განვითარება შეჩერდა, სხვის დანამატად გადაიქცა და დაჩიავდა-დაპატარავდა.

იმისათვის, რომ თავი დავაღწიოთ ამ ვითარებას, ქართველი თავის თავს, ხოლო მისი ქვეყანა განვითარების ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს, თავის ილიასეულ საერთო ნიადაგის თეორიას უნდა დაუბრუნდეს. (ამ თეორიას სხვადასხვა ვარიაციით იზიარებდნენ: არჩილ ჯორჯაძე, ნიკო ნიკოლაძე, ვარლამ ჩერქეზიშ-

ვილი, მიხაკო წერეთელი).[2] ამ თეორიის სახელმძღვანელო იდეები მან ჯერ კიდევ „საქართველოს მოამბეში“ დაამუშავა, შემდგომ კი „ივერიის“ სარედაქციო წერილების სერიაში – „ცხოვრება და კანონი“. მის თავისებურ მხატვრულ გადმოცემას წარმოადგენს „ოთარაანთ ქვრივი“, სადაც გიორგი – საქართველოს „ცრემლიანი ცოდნით“ ცდილობს თვალი აუხილოს „კლასობრივი ბრძოლის“ დემაგოგიით გზააბნეულ ხალხს და ამით ქვეყნის სასარგებლოდ გადაწყვიტოს „ქართველთა ერთსულოვნებისა და ერთხორცობის“ ჩვენი ისტორიის „წყევლა-კრულვიანი საკითხავი...“

ცხადია, ილია, თავის მხრივ, ცარიელ ნიადაგზე არ მოსულა, იგი ქართული აზრის და ქართული საქმის ახლო და შორეულ მემკვიდრეობას ეყრდნობოდა, უწინარეს ყოვლისა კი, ქართულ ცხოვრებას და „ქართლის ცხოვრებას“.

„ღმერთმა გვიხსნას იმ სულელური თამამობისაგან, რომელიც ფიქრობს, გადაასხვაფეროს ცხოვრება თავისებურად. ჩვენ ისე არ გავბრიყვდებით, რომ ჩვენს საკუთარ წესზედ მოვინდომოთ ცხოვრების გატარება. თვითონ ცხოვრება ალმოშობავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა, – მხოლოდ ამ კანონს გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა...“

ქართული ცხოვრების „კანონის“ გაგების, საქვეყნოდ გამოფენის და გზის გახსნის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთისაგან გამოვარჩიოთ, რა არის ჩვენთვის საჩინო და რა არის ფუჭი... „საქართველოს ახლად შენებისათვის“ „ქართლის ცხოვრების“ აზრობრივად ეს საოცრად ტევადი ფორმულირება – „საქართველოს ახლად შენება“, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ამ ჩვენი უპირველესი ეროვნული წიგნისა და საგანძურის დიდ სოციოლოგიურ ღირებულებებს. ბევრი ერი როდი დაიკვეხნის მსგავსი სიმდიდრითა და მით უფრო დასანანია, რომ მას ჩვენთან სათანადო დაფასება და მიზნობრივი გამოყენება არა აქვს. მისი ზოგადსოციოლოგიური კვლევა-ძიება

---

2 პაატა ჩხეიძე და როსტომ ჩხეიძე თავიანთ ნაშრომში წერენ: „მიხაკო წერეთელი არჩილ ჯორჯაძესავით მკვეთრად არასდეს, არცერთი წუთით განაპირებია საკუთარ სამშობლოს, ასე რომ, მასავით შორი გზიდან არ დაბრუნებია თავის ეროვნულ ფესვებს, თუმც მაინც დასჭირდა შინაგან წინააღმდეგობათა გადალახვა, ვიდრე ეროვნული მსოფლხედვის ფასს ჯეროვნად შეიცნობდა და ერის რაობის გააზრებაში, ეროვნული ადათ-წესების დაცვაში, ილია ჭავჭავაძის სულიერი მემკვიდრე ალმოჩნდებოდა“ (პაატა ჩხეიძე, როსტომ ჩხეიძე, კრებ. „კონსერვატიზმის ისტორია, პიტერ ვიერეკის თარგზე“, თბ., 2011).

ჩვენი ყურადღების მიღმა არ უნდა რჩებოდეს.

ილიას სიდიადე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი არასოდეს აყენებდა საკითხს ასე რადიკალურად და ფუნდამენტური სწორხაზოვნებით. ამიტომ ის (ღრმა თვალსაზრისით) არც ფედერალისტი იყო, არც უნიტარისტი, არც რესპუბლიკელი და არც შუბლმაგარი „მონარქისტი". უფრო მეტიც, მას არცერთი პარტიისაკენ არ მიუწევდა გული. იგი, უპირველეს ყოვლისა, არაჩვეულებრივი პრაგმატისტი პოლიტიკური მოაზროვნეა, რომლისთვისაც ჭეშმარიტია მხოლოდ ის, რაც სასარგებლოა მისი ქვეყნისათვის, რაც აგრერიგად საჭიროა ქართველთა „წესწყობილების" სახელმწიფოებრივი აღდგენისათვის.

ილიასთვის სახელმწიფოებრივი წყობის იდეალია ის, რომელიც შეძლებს საერთო ნიადაგის თეორიის მთავარი იდეის – „ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენებას". მან იცის, რომ „განყოფაშია მუდამ ჩამალული საქართველოს დამხობის თესლი" და ამიტომ მხოლოდ ის პოლიტიკური პრინციპებია მისაღები მისთვის, რომლებიც „განყოფის თესლს" მოსპობენ და „ერთობის ფესვთ" წყალს აპკურებენ. ჩვენი ისტორიის „ოქროვან ხანას" თუ გავხედავთ, როცა ჯერ კიდევ „ქართველთა სახელი და ქართველთა ნესთ-წყობაი წარხდენილი" კი არა, მისაბაძი და სამაგალითო იყო არა მარტო ჩვენთვის, ამ ერთობას და საერთო ნიადაგზე დგომას დავითის „ძალისხმევისა" და თამარის „სათნოების ხაზის" გამთლიანება-გათანამედროვეობა უნდა დაედოს საფუძვლად.

ილიასთვის საერთო ნიადაგზე დგომა სიღრმისეულია, იგი ეროვნული ცხოვრების ყველა სფეროს უნდა მოიცავდეს – ერთ დროს ჩვენს მარჩენალს და დღეს გაუკაცრიებულ მთას, არანაკლებ გაუბედურებულ ბარს, თავის მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილ ერის მწარმოებელ და ინტელექტუალურ ძალებს, ძველი და ახალი „ძნელბედობით" ორ ყოფილ იმპერიას შორის ბედის ირონიით ორ თანაბარ ნაწილად გახლეჩილ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს... გადავიკითხოთ კიდევ ერთხელ მისი „ოსმალოს საქართველო", ანდა, აჭარაში გამძვინვარებული შიმშილის დროს, მისი თანადგომითა და ძმური სიყვარულით აღსავსე წერილები და სტატიები, ამ ორად გახლეჩილი ერის სულიერი და ეთნო-კულტურული გამთლიანებით გულანთებული როგორ გვიკიჟინებდა:

„ეხლა გამოჩნდება, შენ მარტო დღევანდელს დღეზედ ხარ მიბმული, თუ ხვალისთვისაც სწუხარ და ჰფიქრობ...“

ილიას ეკონომიკურ იდეალს თავისუფალ შრომაზე დაფუძნებულ „ნამგლისა და გუთნის საქართველო“ შეადგენს. მისთვის ქართული სოფელი და ქართველი გლეხობა – „ჩვენი ეროვნული იმედების სული და გული“, იყო ის საწყისი და „ბალავრის ქვა“, რომელზედაც უნდა აშენდეს ეროვნული ეკონომიკა.

ილია ყველგან ცდილობდა გაეტარებინა ის აზრი, რომ გამოკვეთილი ქართული ინდივიდუალიზმი ვერასოდეს ვერ იგუებს ინდუსტრიულ გიგანტომანიაობას და ეკონომიკის ცენტრალიზებულ მართვას. ქვეყნის ცალკეული შემადგენელი მხარეების მართლაც რომ უნიკალური მრავალფეროვნება, – ოდითგანვე ეს ჩვენი ეროვნული სიმდიდრე და პოტენცია... მხოლოდ ამ გზით შეუძლიათ მწარმოებელ და ინტელექტუალურ ძალებს, უზრუნველყონ ქვეყნის სტაბილური საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარებაც და ქართველთა „წარხდენილი წეს-წყობაის“ აღდგენაც. ამ ძველ „გეორგიანულ გზას თავისი დიდი სოციალური დატვირთვაც აქვს: ამ გზით შეგვიძლია ჩვენი ბედკრული ისტორიით „ჩატეხილი ხიდების“ გამთლიანებაც... ჩვენ „დროთა შესაფერი ციხე-სიმაგრე“ უნდა ავაგოთ.[3]

---

3 პაატა და როსტომ ჩხეიძეები იმავე წიგნში საერთო ნიადაგის თეორიის ალუსრულებლობის შესახებ წერენ და კითხვას სვამენ: რამ გაწირა მარცხისათვის საერთო ნიადაგის თეორია? „ერთი მხრივ, თუ განსაზღვრა ქართველ სოციალ-დემოკრატთა გავლენა და პოპულარობა საქართველოში და გზა გაუკაფა მათ ერთპიროვნული ხელისუფლებისაკენ დამოუკიდებლობა მოპოვებულ ქვეყანაში, მეორე მხრივ მანვე დასცა მათი მფლობელობა და ემიგრანტთა მთავრობად აქცია.

ჯერჯერობით კი ამ გავლენამ გაწირა მარცხისათვის საერთო ნიადაგის თეორია, რომელიც არჩილ ჯორჯაძეს კვლავაც საღ და სამართლიან შეხედულებად ეგულებოდა, მაგრამ სინამდვილესაც თვალს უსწორებდა: – უნდა ვაღიაროთ დღეს ჩემი ამგვარი მოწოდება სრულიად და საესებით იყო დამაჯერებელი იმ ხანებში. გარემოებას რომ ვაკვირდები, სხვანაირად არ შეიძლება რომ მომხდარიყო.

მარცხის მიზეზად კი ასახელებდა პოლიტიკურ ჯგუფთა ფიზიონომიის ბუნდოვანებასა და აგრეთვე იმას, რომ მათი პოლიტიკური სიმწიფე არ განვითარებულიყო იმდენად, პოლიტიკურ-ეროვნული ხასიათის განსაცდელის წინაშე საერთო მოქმედების პრინციპი მათთვის აუცილებლობად მიეჩნიათ. ამიტომ სწამდა, რომ პოლიტიკურ პარტიათა საერთო შეგნების ამაღლება და კონსტიტუციური მმართველობის დამყარება ხელახლა წამოჭრიდა საერთო მოქმედების ნიადაგის საჭიროებას, რომელსაც დროის შესაფერისად ახალი შინაარსი ექნებოდა, მაგრამ

არჩილ ჯორჯაძე, საქართველოს სახელმწიფო მოწყობის შესახებ ფიქრისას სხვადასხვა მოდელებს, რომელიც არსებობდა ძველ საქართველოში, დღენიადაგ ეძიებდა... თუ ილია დაბეჯითებით არ აცხადებდა პარლამენტური მოწყობის შემოღების აუცილებლობას, ამას იგი განიხილავდა წმინდა ტაქტიკური მოსაზრებებით, რათა სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე ამ იდეას მწვავე და ზედმეტი კამათი არ გამოეწვია პოლიტიკურ ჯგუფებსა და დასებს შორის და ზედმეტი სირთულეები არ შექმნილიყო ნაადრევად. წიგნის ქვეთავში და სქოლიოში მოყვანილი ნაშრომის ავტორები ილიას შემდეგ არჩილ ჯორჯაძის მიერ წარმოდგენილ საერთო ნიადაგის თეორიის საბოლოო კონცეპტუალურ ხედვას ასე აყალიბებენ: „მისი (ილია – ვ. ბ.) პუბლიცისტიკაც თვალნათლივ მოწმობს, რომ სახელმწიფოებრივ იდეალს სწორედ მონარქიულ წყობილებაში ხედავდა. ცხადია, ახალი ჟამის შესაფერისად, ეს წყობილება პარლამენტური იქნებოდა და არა აბსოლუტური...

თავდაპირველად არჩილ ჯორჯაძე გამოარჩევდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სამ ისეთ სფეროს, სადაც საქვეყნო მისწრაფებით განმსჭვალულ დასებს არ უნდა გაძნელებოდა ერთ ნიადაგზე დგომა:

ქართული ენის დაცვა,

ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა,

ქართული მეურნეობის, მიწა-წყლის ქართველთა ხელში შერჩენა.

შემდგომ ორ მუხლსაც დაუმატებდა და მისი ეროვნული კონცეფციის ერთიანი ქარგაც შემოიხაზებოდა.

ინტელიგენციის სახალხო მოღვაწეობა,

ქალაქის თვითმმართველობებში ქართველების ჩარევის აუცილებლობა.

ყველა ეს მუხლი და მთლიანი კონცეფცია სავსებით გასააზრებელი უნდა ყოფილიყო ილია ჭავჭავაძისათვის, როგორც მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მრწამსის უშუალო გაგრძელება, მაგრამ არჩილ ჯორჯაძის თავდაპირველმა ლიბერალობამ (სოციალისტობამ) ისე აუყარა გული ილიას ამ პიროვნებაზე, რომ

პრინციპი კლავაც ის დარჩებოდა, რაც არჩილ ჯორჯაძეს საკუთარი ტვიფარით აღებეჭდა“.

იმისი მსოფლმხედველობის სრულმა შემობრუნებამაც (ყალბად გაგებული კოსმოპოლიტიზმიდან ნაციონალიზმისაკენ) ვეღარ შეუცვალა ის პირველი შთაბეჭდილება და – მიუხედავად საერთო მოქმედების ნიადაგზე დგომისა – არასოდეს მომხდარა მათი პიროვნული დაახლოება.

თუ ვინმემ ახსნა თავის დროზე ილია ჭავჭავაძის გამორჩეული ღვაწლი კონსერვატიული აზროვნების დამტკიცება-განმტკიცებაში, მათ შორის არჩილ ჯორჯაძემაც, ხელშესახებად რომ გამოკვეთა ილიას პუბლიცისტური მოღვაწეობის ზოგადი გეზიც და მნიშვნელოვანი დანაშრევებიც...“[4]

ქართველი მეცნიერები პაატა ჩხეიძე და როსტომ ჩხეიძე თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქის შესაბამისად, საერთო ნიადაგის თეორიის საკითხის შესახებ (დღევანდელი პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით), მეტად საინტერესოდ ეროვნული და საკაცობრიო მსოფლმხედველობრივი ორიენტირების საფუძველზე ასკვნიან:

„დასავლურ ფილოსოფიასა და პოლიტიკურ აზროვნებაში საერთო სიკეთის თეორიას დღეისათვის პროგრესისტები და სოციალისტები მისდევენ.

ილიას დროს საერთო სიკეთის თეორია ამ სახელით არ უნდა გვხვდებოდეს, მაგრამ ეს თეორია იმ ეპოქაში მარქსიზმისა და სოციალიზმის სახით და მისი ყველაზე რადიკალური გამოვლინებით – წავართმევთ და დაგირიგებთ – იყო წარმოდგენილი.

ამ იდეოლოგიის წინააღმდეგ აღძრული რეაქცია გახლდათ ილიას მიერ სათავედადებული და არჩილ ჯორჯაძის მიერ საბოლოოდ ჩამოყალიბებული საერთო ნიადაგის თეორია.

მე-20 საუკუნის მიწურულს შვედური წარმოშობის ამერიკელი მოაზროვნე კლაუს გ. რინი – „საერთო ადამიანური ნიადაგი, უნივერსალურობა და კონკრეტულობა მულტიკულტურულ მსოფლიო ომში“ – დამოუკიდებლად აფუძნებს საერთო ნიადაგის ილიასეული თეორიის ანალოგიურ მოძღვრებას.

---

4 ერთგან არჩილ ჯორჯაძის მოღვაწეობის შეფასებისას ავტორები სწერენ: „არჩილ ჯორჯაძის მიერ საერთო მოქმედებისაკენ მოწოდებამ მწვავე, შეურიგებელი დაპირისპირება გამოიწვია სოციალ-დემოკრატიული პარტიის მხრივ, რადგანაც მარქსისტული აზროვნებისათვის სრულიად მიუღებელი იყო წოდებრივი მორიგებაც, ეროვნული სულისკვეთებაც და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვაც.“

21-ე საუკუნის უდიდეს საფრთხეებს შორისაა კონფლიქტი ერებსა და კულტურებს შორის. წიგნში კლაუს გ. რინი იკვლევს ამ პრობლემას და წარმოადგენს თეორიას ამ პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტისა... რინი ამტკიცებს, რომ პრობლემა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ამ თეორიების ადეპტებს წარმოუდგენიათ. იგი მიიჩნევს, რომ პიროვნებისა და ერის მშვიდობიანი თანაარსებობა და ურთიერთერთგულება ზნეობრივ და კულტურულ წანამძღვრებზეა დამოკიდებული. პლატონის ფილოსოფიური ტრადიციის თანახმად, ჭეშმარიტი ერთობა ისტორიული მრავალფეროვნების გზით უნივერსალურ კულტურასთან მისვლის პირობა კულტურულ განსხვავებულობათა შორის მშვიდობის ჩამოგდებაა.

სრულიად განსხვავებულია დასავლური ფილოსოფიური ტრადიცია, რომელიც საერთოდ უარყოფს უნივერსალობას. დღეისათვის ეს წარმოდგენილია პოსტმოდერნული მულტიკულტურიზმით. ეს თეორია უპასუხოდ ტოვებს კითხვას, თუ როგორ უნდა მოგვარდეს კონფლიქტი განსხვავებულ ჯგუფებს შორის".

ბოლოს ილიასეული განწყობილებით დავასრულებთ: ზემოთქმულს თუ დავამატებთ ჩვენი სამშობლოს ეს „ფარ-ხმალი", ეს „ციხე-სიმაგრე", ღვაწლი მამულისათვის, სამართალია, რომელთა „ახსნასა" და ცხოვრებაში დამკვიდრებას მოუღლელად ჩაგვჩიჩინებს მათზე შემომწყრალ ქართველებს...

ჩვენი ღირსეული მამულიშვილების მიერ წარმოდგენილი, ქართული სახელმწიფოებრიობისათვის ესოდენ უცილობელი საერთო ნიადაგის თეორიის დამკვიდრებისა ,,ყველა ძალთა ერთ კვალში ჩაყენების" და ილიასეული მამულის აღორძინების „მზიანი დილის აღმოხდენის" სხივოსანი იმედით ვცოცხლობთ მარად...



ილია და სალიტერატურო ენის საკითხები

(ახალი სალიტერატურო ქართული მე-19 საუკუნეში)

მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან აქტუალური გახდა სალიტერატურო ენის საკითხებზე მსჯელობა. აშკარა იყო, რომ „სამნაირად წერის" თეორიამ თავისი დრო მოჭამა და ენის განვითარების დაბრკოლებად იქცა. თვით ძველი თაობის მწერლებმა, რომლებიც აღზრდილნი იყვნენ ანტონ კათალიკოსის გრამატიკული სკოლის ტრადიციებზე, იგრძნეს ერთიანი სალიტერატურო ქართულის საჭიროება. სამი სტილის თეორიას პრაქტიკულად უკვე აღარ მისდევდნენ, მაგრამ არ არსებობდა ერთი აზრი იმაზე, თუ როგორ უნდა ყოფილიყო ეს ერთიანი სამწერლობო ენა.

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო იყო მწერალთა ძველი თაობის წარმომადგენლების პლატონ იოსელიანისა და ალექსანდრე ორბელიანის კამათი ენის საკითხებზე.

პლატონ იოსელიანმა გიორგი ერისთავის „გაყრას" მიუძღვნა წერილი, რომელშიც მოიწონა ამ კომედიის ენა ცოცხალ მეტყველებასთან სიახლოვის გამო. გიორგი ერისთავმა „დაბადა ენა ქართული ახლისა გვარისა მწერლობისათვისო", – აღნიშნავდა იგი და სხვა მწერლებსაც მოუწოდებდა მიებაძათ გ. ერისთავისთვის (თუმცა თვითონ საკმაოდ არქაულად წერდა)

ალ. ორბელიანიც მხარს უჭერდა ერთი სტილის დამკვიდრებას ენაში. იგი ჟურნალ „ცისკრის" დიდი მოამაგე იყო და შიშობდა, „ჭრელი წერის" გამო „ცისკარს მკითხველები არ შემოცლოდა. ალ. ორბელიანი აღიარებდა სამი სტილის არსებობის ფაქტს, მაგრამ მოითხოვდა დარბაისლური (საშუალი) ქართულის დამკვიდრებას მწერლების ენად.

სალიტერატურო ენის საკითხებს შეეხო ჟურნალ „ცისკარში" ლავრენტი არდაზიანიც. ქართული პროზის ჩამორჩენის მიზეზად იგი სწორედ ერთიანი სალიტერატურო ენის არარსებობას მიიჩნევდა და საერო ენის (საერთო – სახალხო მეტყველების) დაკანონებას მოითხოვდა, „გამშვენიერებული პროზა შესაძლებელია მხოლოდ საერო ენაზეო".

მე-19 საუკუნეში გამომავალმა ჟურნალმა „ცისკარმაც" მხარი აუბა ამ პროგრესულ ტენდენციას და 1860 წელს სარედაქციო

წერილში პრინციპულად დასვა საკითხი მწერლობის ენის გახალხურების შესახებ.

სალიტერატურო ენის საკითხებმა მთავარი ადგილი დაიჭირა მე-19 საუკუნის 60-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული ახალგაზრდების, თერგდალეულების, ნააზრევში. განუზომლად დიდია ამ მხრივ ილია ჭავჭავაძის დამსახურება. მან სწორედ გაიაზრა ენის განვითარების პერსპექტივა, დაასაბუთა სალიტერატურო ენის ხლხურ მეტყველებასთან სიახლოვის აუცილებლობა და მეცნიერულად გადაჭრა ახალი ქართული ენის მნიშვნელოვანი პრობლემები. ილიამ დიდი წვლილი შეიტანა ქართული ლექსიკის გამდიდრების საქმეში. „...არ გვეგულება მეორე ქართველი მწერალი, რომელიც ამ მხრივ მას მხარს უსწორებდეს.“ (ზ. ჭუმბურიძე). ილიამ ბრძოლა ახალი სალიტერატურო ქართულისთვის ჯერ კიდევ სიჭაბუკეში, 24 წლისამ, დაიწყო.

1861 წლის აპრილში „ცისკარში“, რომელიც იმ დროს საქართველოში ერთადერთი ქართული ლიტერატურული ჟურნალი იყო, დაიბეჭდა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტის ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილი „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“. როგორც სათაურიდან ჩანს, წერილი კონკრეტულ მიზანს ისახავდა – რუსი მწერლის ნაწარმოების ქართული თარგმანის ავკარგის ჩვენებას, მაგრამ ავტორი არ შემოფარგლულა ამ ვიწრო ამოცანით, იგი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების, მწერლობის არსისა და დანიშნულების, რეალისტური ხელოვნების უმნიშვნელოვანეს საკითხებს შეეხო და პრინციპულად დაუპირისპირდა კონსერვატიულად მოაზროვნეებს.

ილია ჭავჭავაძის სტატიას სალიტერატურო ენის პრობლემისადმი მისი უკომპრომისო დამოკიდებულებაც განაპირობებდა.

ილია კიცხავდა მთარგმნელს მშობლიური ენის დამახინჯებისათვის, მისდამი უპატივცემულობისათვის. „გვიკვირს, კაცმა როგორ უნდა გამოიმეტოს თავისის დედ-მამის ენა ისე, როგორც თავად ერისთავს გამოუმეტნია! ამისთანა წერილში არამც თუ იყოს ენის სიყვარული, არამედ ენის სრული უპატიობაა და სიძულვილი. რომ არ გვყვანდნენ რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, კიდევ ჰო, რომ

გვყვანან, რატომ არა ვსწავლობთ იმათ მშვენიერს ლექსებში მშვენიერს ენას?"

ილია ჭავჭავაძე ამ სტატიაში აღნიშნავდა, რომ, რადგან ენა თითოეული ქართველის სახალხო საკუთრებაა (მისი კანონმდებელი ხალხია), მწერლობის ენა ახლოს უნდა იყოს ხალხის ენასთან, უნდა საზრდოობდეს ცოცხალი მეტყველებით. იგი უნდა ასახავდეს ხალხის ენაში მომხდარ ცვლილებებს და ხელოვნურად შექმნილი ნორმებით არ უნდა ისპობდეს განვითარების პერსპექტივას. ილიამ ამავე წერილში მართლწერის გამარტივებაც მოითხოვა და უარი თქვა იმ ასოების გამოყენებაზე, რომელთაც ქართულ მეტყველებაში ბგერა უკვე აღარ შესაბამებოდა და რომლებიც მაღალი და და საშუალო სტილის აუცილებელი ატრიბუტი იყო. ეს, ფაქტობრივად, იყო მნიშვნელოვანი რეფორმის დასაწყისი ქართულ ორთოგრაფიაში. „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ იმათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პაუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისი რა ვიცით და ჩვენ – კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს". – წერდა ილია ჭავჭავაძე.

ილია გრძნობდა, რომ მისი ნააზრევიდან კრიტიკის მიუჩვეველი საზოგადოებისათვის ბევრი რამ მტკივნეული და მიუღებელი იქნებოდა, მაგრამ წყენას არ ერიდებოდა და თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის დასაწყისშივე სახელმძღვანელოდ ჰქონდა პრინციპი: „მოყვარეს პირში უძრახე"; ამიტომ წერდა: „ჩვენ ყველანი ქართული ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. მაშ, როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება?"

ასეთივე სიმწვავით გამოირჩეოდა ილიას სტატია „პასუხი", რომელიც კვლავ „ცისკარში"დაიბეჭდა ბარბარე ჯორჯაძის, გიორგი ბარათაშვილისა და „შეშლილის" მთარგმნელ რევაზ ერისთავის საპასუხოდ.

„ცისკრის" ირგვლივ შემოკრებილი კონსერვატორული საზოგადოება წონასწორობიდან გამოიყვანა ილიას სტატიის შემტევმა, უკომპრომისო ტონმა. უფრო ადრე მათივე წარმომად-

გენლების მიერ ჟურნალის ფურცლებზე გამოთქმულ დეკლარაციულ განცხადებებზე მწერლობის ენის ცოცხალ მეტყველებასთან დაახლოების შესახებ მათ უარყოფითი რეაქცია არ ჰქონიათ, ახალა კი მტკიცედ გაილაშქრეს ენაში ცვლილებების წინააღმდეგ. მათ ილიას წერილში დასმულ პრობლემურ საკითხებს თავი აარიდეს და მთელი ყურადღება ორთოგრაფიაზე გადაიტანეს. ისინი აღაშფოთა ქართული ანბანიდან 7 ასოს განდევნამ, მკრეხელობად მიიჩნიეს ილიას მოწოდება მწერლობის ენის გახალხურების შესახებ. ილიას ოპონენტებს ყური მოსჭრა უბრალო, მთი აზრით, „შეუფერებელი სიტყვების" ხმარებამ სტატიაში და მწერალს ენის დამახინჯებაშიც დასდეს ბრალი.

გიორგი ბარათოვი წერდა: „...ზოგნი პოულობენ უფ. ჭავჭავაძის კრიტიკაში ნამდვილს ქართულს ენას და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ უგუანი სიტყვა აზრს ძალას არ უკარგავსო. ამის დასარღვევათ ვიტყვ, რომ ვის ეამება ჭკვიან კაცთან ლაპარაკი, თუ მას ამოზრდის ნივრისა და არყის სუნი" (ჟ. „ცისკარი", 1861, №5). გიორგი ბარათოვი ხალხის ენას (დაბალ სტილს) ბაზრის ენას ეძახდა და ირონიულად შენიშნავდა, ილია ჭავჭავაძე და მისი გუნდი ბაზარში, ნახშირის მოედანზე, კრეფს „ნამდვილს ქართულს სიტყვებსაო".

ასეთივე აზრისა იყო ილია ჭავჭავაძის მეორე ოპონენტი ბარბარე ჯორჯაძე. იგი თავგამოდებით იცავდა ანტონ პირველის მიერ დაკანონებულ რიტორიკულ ნორმებს, მწიგნობრულ ქართულს და ენის წახდენად მიიჩნევდა „საღმრთო წიგნების" ენისაგან განსხვავებულად წერას. იგი პირდაპირ აცხადებდა, რომ ენაში წესები ძველთაგანვე დადგენილია და მათში ცვლილებების შეტანა საჭირო არ არისო. მასაც თავხედობად მიაჩნდა „უშუერი, მორყვნილი და ბიჭ-ბუჭების" სიტყვების გამოყენება ილიას მიერ. „მე მრცხუენიან ამ საძაგელის ლექსების (სიტყვების) განმეორებაო". ასევე მიუღებელი იყო მწერალი ქალისათვის საერთაშორისო ხმარებაში დამკვიდრებული სიტყვების (ესთეტიკური, სენტიმენტალური, დრამატიზმი და სხვ.) გამოყენება ილიას მიერ.

ბარბარე ჯორჯაძეს, ისე როგორც ილიას სხვა მოწინააღმდეგეებს, არ ესმოდათ არსი მოთხოვნისა – მწერლობის ენა ხალხის მეტყველებას დაუახლოვდეს! მათი გაგებით, ეს „ბაზრის", „ბიჭ-ბუჭების", გლეხკაცის უბრალო ენისა და სალიტერატურო ენის

იდენტურობის აღიარებას ნიშნავდა. რეალურად კი ი. ჭავჭავაძემ და საერთოდ სამოციანელებმა „ერის უდიდესი ნაწილის ცოცხალი მეტყველება გამოაცხადეს ერთიანი სალიტერატურო ენის საფუძვლად, მის მასაზრდოებელ ნიადაგად“ (ჯ. ჭუმბურიძე). სხვაგვარად თერგდალეულებს ენის წინსვლა და განვითარება შეუძლებლად ეჩვენებოდათ. „მართალია, ხალხის მეტყველებაში ბევრი რამაა ისეთი, რაც სალიტერატურო ენისათვის ზედმეტია, ანდა უცხო, მაგრამ წიგნის მეტყველება ცოცხალ ხალხურ ენას ემყარება. სხვა საყრდენი მას არა აქვს, თუ უნდა ცოცხალი ენა იყოს. ასე უნდა გავიგოთ ილია ჭავჭავაძის დებულება: „ხალხია ენის კანონის დამდები“ (არნ. ჩიქობავა).

ბარბარე ჯორჯაძის საპასუხოდ ილია ჭავჭავაძე წერდა: „ენის კანონს თვითვე ენა აძლევს და არა რაიმე თეორეტიკა... შესუბუქება და გაადვილება მართლწერისა და ანბანისა განა ცოტა საქმეა?“.

ილია პატივისცემით მოიხსენებდა ანტონ I-ს თავისი დროის საქართველოს განათლებაში გაწეული ღვაწლისათვის, მაგრამ მიუღებლად მიიჩნევდა სალიტერატურო ენის დაყოფას და მოითხოვდა სასაუბრო ენის შესატყვისი ახალი სამწერლობო ენის დაკანონებას. ორთოგრაფიული რეფორმაც, რომელიც ილიამ წამოიწყო, ამ მიზანს ემსახურებოდა. ილიას მაგალითად რუსული ენა მოჰყავდა, რომელშიც თვალნათლივ გამოიკვეთა მართლწერის გამარტივების ტენდენცია.

„კაცის ენა კერძო პირსავით იზრდება და ვითარდება; ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცნი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე; ხშირად იქნება რომ კანონები, ერთს დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე; ამიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველს კაცსა“, – აღნიშნავდა ი. ჭავჭავაძე.

მას აუცილებლად მიაჩნდა ენის სიწმინდის დაცვა, იგი კიცხავდა რევაზ ერისთავს თარგმანში ფრაზის არაქართული კონსტრუქციების გამო, ბრძოლას უცხადებდა რუსიციზმებს მწერლობაში, ხოლო საერთაშორისო ხმარებაში მიღებულ სიტყვებს ენის ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთ წყაროდ მიიჩნევდა.

ილია ჭავჭავაძის სტატიების მკაცრ, პოლემიკურ ტონს გამოკვეთილი მიზანდასახულობა ჰქონდა. ილია ამას არც მა-

ლავდა: „მეც იმიტომ ესე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედავად ბღაჯნის, აღარა ბღაჯნოს; რადგანაც იგინი თავისი ბღაჯნითა ამდაბლებენ ჩვენს ენას".

ილიას ამ პირველ კრიტიკულ სტატიებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მათში გამოიკვეთა ის ძირითადი პრინციპები, რასაც მისდევდა ილია შემდეგში, მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე. ეს იყო ქართული ორთოგრფიის გამარტივება, მაქსიმალური შემცირება სხვაობისა წიგნისა და ზეპირ მეტყველებას (წერასა და გამოთქმას) შორის, მწერლობის ენის დაახლოება ხალხის ენასთან, მისი გამდიდრება საერთაშორისო ხმარებაში მიღებული სიტყვებით და ა.შ.

ილიას დიდი ნიჭი და ლინგვისტური უნარი პრაქტიკული გრამატიკული საკითხების დასმასა და გადაწყვეტაშიც გამოვლინდა. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ სიტყვაწარმოებაში, ახალ ცნებათა შესატყვისი ტერმინების შემუშავებაში. ილია იყო ინიციატორი და აქტიური მონაწილე ტერმინოლოგიური კომისიების მუშაობისა, იგი ეძებდა და პოულობდა საჭირო სიტყვებს, აძლევდა მათ ახალ მნიშვნელობას, ქმნიდა ტერმინებს.

ილია ჭავჭავაძემ სალიტერატურო ენაში გზა გაუკაფა ხალხში გაგონილ მრავალ სიტყვას, მოქნილი გახადა წინადადების სინტაქსური წყობა, გაამარტივა ორთოგრფია, გამოიყენა ხალხური იდიომები, ანდაზები, სასაუბრო მეტყველებაში დამკვიდრებული სტილისტური ხერხები. ამით ილიამ, შეიძლება ითქვას, თვისობრივი ცვლილებანი მოახდინა სალიტერატურო ენაში და ხალხის სასაუბრო მეტყველებას დაუახლოვა იგი (ზ. ჭუმბურიძე).

იონა მეუნარგიამ ილიას „ენის კანონმდებელი დიდი მამულიშვილი" უწოდა, აკაკი შანიძე კი შენიშნავდა: „ილიას რომ მოენდომებინა, უთუოდ კარგ გრამატიკასაც დაგვიწერდაო".

„არსებითი ნიშანი ეროვნების, მისი გული და სული ენაა", – წერდა ილია, ამიტომ გამუდმებით ზრუნავდა მასზე. თანამედროვეები იგონებენ, როგორ ათენებდა ღამეებს „ივერიის" რედაქტორი, რომ ყოველი სტატია წმინდა ქართულით ყოფილიყო დაწერილი. ამ მუშაობაში მათ გაკვირვებას იწვევდა „ის საოცარი ცოდნა ქართული ენისა, რომელსაც ილია გამოაჩენდა ხოლმე" (იაკობ მანსვეტაშვილი).

გრიგოლ ორბელიანი თაობათა პოლემიკაში

ენის საკითხები ერთ-ერთი მთავარი საგანი იყო ილია ჭავჭავაძესა და გრიგოლ ორბელიანს შორის გამართული პოლემიკისა თაობათა ბრძოლის მეორე ეტაპზე.

გრიგოლ ორბელიანს „მამათა“ და „შვილთა“ პაექრობაში, რომელიც ილია ჭავჭავაძის „ორიოდე სიტყვას“ მოჰყვა, მონაწილეობა არ მიუღია. ილიამ თავის კრიტიკულ წერილებში გრ. ორბელიანი რამდენჯერმე მოიხსენია, როგორც მშვენიერი ენით დაწერილი მშვენიერი ლექსების ავტორი.

და მაინც, მე-19 საუკუნის 70-იან წლებში გრიგოლ ორბელიანი მთავარი ფიგურა იყო კონსერვატიულ-ლიბერალური ბანაკისა. იგი დაუპირისპირდა გარდაქმნის წყურვილით ანთებულ ახალგაზრდობას, კერძოდ, მის თავკაცს ილია ჭავჭავაძეს. როდესაც ე.წ. „მამებმა“ საქართველოში ჩამოსულ იმპერატორს ალექსანდრე II-ს უნივერსიტეტის ნაცვლად კადეტთა კორპუსის გახსნა სთხოვეს, აღშფოთებულმა ილიამ ხელნაწერის სახით გაავრცელა თავისი ეპიგრამები: „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“. მათში დაუნდობლად იყვნენ გაკიცხული ამ დიდი ეროვნული საქმის მოღალატეები: რევაზ ანდრონიკაშვილი, გიორგი და ივანე მუხრანბატონები, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ჯორჯაძე, იასე ჭავჭავაძე, ლევან მელიქიშვილი და სხვ.

ილიამ ლმობიერი ეპიგრამები უძღვნა მხოლოდ დიმიტრი ყიფიანსა და გრიგოლ ორბელიანს. გრ. ორბელიანზე ილია წერდა:

„მოხუცია იგი ჯმუხი,
პირად ბადრი, ტანდაბალი,
საქმით წმინდა, გულმხურვალე,
სიტყვატკბილი, ჭკვამაღალი.
ძველთაგანა ეგღა დარჩა
გრძნობით სავსე, გონიერი,
მაგრამ გაუბედავია,
თუმცა უყვარს თვისი ერი.
ის ძველის და ახლის შუა
შემაერთავი ხიდია,

მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა
ზოგჯერ ფეხებზედ ჰკიდია.“

გრ. ორბელიანი აღაშფოთა ამ ეპიგრამებმა, დაარღვია დუმილი და თავისი „გამოცანების პასუხით“ (რომელსაც ნაბეჭდ ვარიანტში „პასუხი შვილთა“ ეწოდა) მკაცრად გააკრიტიკა კადნიერი ახალგაზრდობა და მათი მეთაური ილია ჭავჭავაძე.

ახალი თაობის წარმომადგენლებს გრიგოლმა „კოლო – ბუზები“, „კატის კნუტები“, „გზადაკარგულები“, „ცრუპოეტები“ უწოდა; არც პიროვნულ შეურაცხმყოფელ ეპითეტებს მოერიდა: „აკაკიებს-ბაკაკიებს“, „რიონელებს“, „გოგიტელებს“, „ბურთივით მრგვალ ლიბერალს“ და სხვებს მან ერთ-ერთ უმძიმეს ბრალდებად ენის წახდენა წაუყენა, ქართული ენის „დაპრანჭვის“ მაგალითად კი გაზეთი „დროება“ მიუთითა სქოლიოში.

„აღჩნდნენ მწერლები,
ჟურნალისტები,
ვაი საბრალოს... ვაი ჩვენს ენას!..
მათ უსწავლელთა,
ცრუ რუსთაველთა,
სრულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი,
ენა მაღალი,
მის ძალი, მადლი,
უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში!..“ –

წერდა გრ. ორბელიანი და შემდეგ აფორიზმად ქცეულ ჭეშმარიტებას ქადაგებდა:

„ერის ცხოვრება,
მისი დიდება,
მის ისტორია დაცულ არს ენით;
რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს...
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!..“

გრიგოლ ორბელიანის „პასუხი შვილთა“ მწარე ამონაკვესით

მთავრდებოდა:

„ჰე, სასურველო
გმირთა მამულო,
ნუთუ შენ მართლად ესრედ დამცირდი,
რომ შენსა ბედსა,
შენსა იმედსა,
დაეხელმწიფნენ ცრუ პოეტები?
ცრუ ლიბერალნი,
პატრიოტები,
მესხი, მეველე, მელიქ აღები".

რასაკვირველია, გრ. ორბელიანის ასეთი შეხედულება ახალგაზრდებზე ახალი ჩამოყალიბებული არ იყო. ჩანს, მწერალმა მე-19 საუკუნის 60-იან წლებში რაღაც მოსაზრებით პოლემიკაში ჩარევას დუმილი ამჯობინა, 70-იან წლებში კი გზა გაუხსნა გულში დაგროვილ წყენას, ახალგაზრდების თამამი კილოთი გამოწვეულ აღშფოთებას, აღარ დაერიდა „ახლების" მიმართ ქედმაღლობის გამოვლენას და თავისი შეხედულება გულახდილად გამოხატა.

მკაცრი და დაუნდობელი იყო „პასუხის პასუხი". ახალი თაობის წინამძღოლმა თანამიმდევრულად უარყო გრ. ორბელიანის ყველა ბრალდება, კონკრეტულად – ენის წახდენაც:

„მტერობა ენის
არს მტრობა ქვეყნის" -
მაგ აზრისა ვართ თანახმა ჩვენა,
მაგრამა გმობა,
ენისა მტრობა
ბრალად ვის დავდვათ, ჩვენა თუ თქვენა?
ეხლა რომ ბღავით,
თქვენ არ იყავით
ენის პატრონი ჩვენზედ უწინა?!
ჩვენ ძუძუს ვწოვდით,
როცა თქვენ ჰგმობდით
ენას და ხალხსაც გარეთ თუ შინა.
ის არ ხართ თქვენა,
რომ ღვიძლი ენა

ბრძანებით დაჰსთმეთ აღმოსაკვეთად?!
შიშით არც კარში
და აღარც სახლში
მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენად."

ილიამ ძველი თაობის სამარცხვინო ეპიზოდად მიიჩნია გ. მუხრანსკის რეაქციული ბროშურა, რომელშიც ავტორი წინასწარმეტყველებდა პატარა ერების დიდი ერებში გათქვეფას და მათი ენის მოსპობას იმ მოტივით, რომ მცირე ერებს ისტორიის სარბიელზე მისია არ გააჩნიათ. გარკვეული მისიით იბადებიან მხოლოდ დიდი ერები, რომელთაც დიდი საქმეების კეთებაც ხელეწიფებათ. სწორედ გ. მუხრანბატონს გულისხმობდა ილია ამ სიტყვებში: „პირველ თქვენგანმა, იმა ბედშავმა, მას მკვდრის სუდარა გადააფარა," ე.ი. ქართული ენის მოსპობა იწინასწარმეტყველაო.

ილია ჭავჭავაძეს, როგორც ჭეშმარიტად დიდ ადამიანს, მართებული კრიტიკა არ აშინებდა, შენიშვნებს არ გაურბოდა, თუ სამართლიანი იყო. ასე მოიქცა იგი თაობათა ბრძოლის პირველ ეტაპზე, როდესაც ოპონენტებმა მის ლექსებში უხერხული გამოთქმებისა და უხეირო რითმების ძებნა დაიწყეს.

ახლაც „პასუხი შვილთაში" პოეტი წერდა:

„გვიან თუ მალე,
დღესა თუ ხვალე,
რაც ენას ვცოდეთ, ის გასწორდება,
მაგრამ კი თქვენი
მრუდე საქმენი
ისევე ისე მრუდედ დარჩება."

გრიგოლისა და ილიას პოლემიკით თაობათა ბრძოლის მეორე ეტაპი დაიწყო. მასში ჩაებნენ ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, პ. უმიკაშვილი, გ. წერეთელი. ისინი ილია ჭავჭავაძის პოზიციაზე იდგნენ და ზურგს უმაგრებდნენ მას.

ენის სიწმინდის საკითხს ეხებოდა გრ. ორბელიანის ლექსი „დროების ათი წლის იუბილე", რომელშიც ძველი თაობის იდეური მეთაური წუხილს გამოთქვამდა „ცისკრის" დახურვის გამო, უპ-

ირისპირებდა მას „დროებას“ და წუხდა, რომ ამ გაზეთმა წაახდინა, ნაბილწა ქართული ენა, ზურგი აქცია „ღრამატიკას და ლოღიკას“:

„ათი წელი,
ასი წელი
რას არგებს,
უნიჭობა
თუ თან ჰყვება
მწერალსა?...
ნეტა მესხის
რათ არ ესმის
ყველრება,
რომ მან ენა
წაგვიხდინა,
ნაბილწა?“.

გრ. რობელიანის პოზიცია ენის საკითხებში კარგად ჩანს მის კრიტიკულ წერილში „მგზავრობა სვანეთისაკენ გ.წ.“, რომელიც გიორგი წერეთლის „მგზავრის წერილების, ანუ კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკას“ განხილვას წარმოადგენს. ამ სტატიაში გრ. ორბელიანი იცავს ძველ გრამატიკულ ნორმებს და სამეტყველო სტილს. ახალ თაობასაც იმას უკიჟინებს, რომ „ჩვენი დავრდომილი ენის აღდგენის“ გულმხურვალე სურვილის მიუხედავად მათი ნაწერები სავსეა შეცდომებით, რადგან ისინი ვერც თეორიულად და ვერც პრაქტიკულად ვერ ფლობენ ენას, რომელზედაც წერენ, არ იცნობენ საღმრთო წერილს, რომელიც ულევი საუნჯეა ჩვენი ენისაო.

გრიგოლ ორბელიანი კადნიერებად მიიჩნევდა ენაში დამკვიდრებული წესებისა და კანონების შეცვლას: ვინ მოგვცა ენის უცოდინართ ამის უფლებაო. ქართული ენის დიდად მცოდნე ანტონ კათალიკოსმა მას არათუ დააკლო რამე, არამედ მოუმატაო. გრიგოლი იცავდა და იყენებდა იმ ასოებს, რომელთა ხმარებაზე ი. ჭავჭავაძემ უარი თქვა.

განსაკუთრებით საყურადღებოა გრ. ორბელიანის პოზიცია მწერლობის ენის შესახებ: „ხშირად ამბობენ აწინდელნი მწერ-

ალნი: „ხალხის ენაზედ ვჰსწეროთო“. მაშ, რა ენაზე უნდა დაჰსწერონ? მაგრამ ეს კი უნდა ახსოვდესთ, რომ ხალხის ენა არის მხოლოდ მასალა შეუმუშავებელი; ვიდრე დახელოვნებული მწერალი მასალასა მას არ გადაარჩევს, კარგსა უვარგისისაგან არა გაჰსწმენდს, არ გაამშუენიერებს და დიდებულებითა არ აღიყუანს სალიტერატურო სამფლობელოში“. გამშვენიერებული ენა მწერალმა მოსახმარებლად იმავე ხალხს უნდა დაუბრუნოს, რომელიც ამ ენის პატრონიაო. მწერლის შრომას გრ. ორბელიანი არქიტექტორის საქმიანობას ადარებდა: არქიტექტორი თავისი ხელოვნებით თუ არ შეეწია შენობას, ტალახი ტალახად დარჩებაო. მწერლობაშიც ასეაო, – დასძენდა იგი. „შეისწავლეთ არა ბაზრის არეული ენა, არამედ მდიდარი, მშვენიერებით სავსე ქართული ენა, რომელსზედაც ლაპარაკობს, რომელსზედაც დაჰმღერის ქართველი კაცი!“ – მოუწოდებდა ახალ მწერლებს გრ. ორბელიანი.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველი თაობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა, მათ შორის გრ. ორბელიანმაც, ხალხის სასაუბრო ენა ბაზრის ენად მონათლა. გრ. ორბელიანი ამ ტერმინში უფრო ქალაქურ ჟარგონს გულისხმობდა. საქართველოს დედაქალაქში მე-19 საუკუნეში მომრავლდა სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობა, რამაც თბილისურ მეტყველებას განსაკუთრებული ელფერი მისცა. მას ახასიათებდა ქართულში არეული აღმოსავლური ლექსიკა, ფრაზეოლოგია, სინტაქსური კონსტრუქციები. სწორედ ეს უნდა იყოს ის „ბაზრის არეული ენა“, რომელზედაც მიუთითებდა გრ. ორბელიანი, და არა ბუნებრივი ქართული, რომელზედაც ლაპარაკობდა ხალხი.

მიუხედავად კამათის დროს ენის საკითხებში გამოვლენილი კონსერვატიზმისა, გრ. ორბელიანი არ ცდებოდა, როცა მწერლისაგან ენის „გამშვენიერებას“, დახვეწას მოითხოვდა, რადგან სამწერლობო ენის დაახლოება ცოცხალ მეტყველებასთან არ ნიშნავს მათ იდენტურობას. ეს პროცესი „გარკვეულ შეზღუდვას უნდა ექვემდებარებოდეს, რადგან უამისოდ ენას სრული გაუბრალოების, გაპრიმიტიულების საშიშროება ელის“ (ბ. ჯორბენაძე). გრ. ორბელიანს დასაშვებად მიაჩნდა მოძველებულ, ხმარებიდან გამოსულ სიტყვებზე უარის თქმა, მაგრამ ერთხელ შემუშავებულ ენობრივ ნორმებში ცვლილების შეტანას მიუღებლად მიაჩნდა.

ასეთი იყო ძველი თაობის მეთაურის პოზიცია ენის საკითხებში. თეორიულად იგი მწიგნობრული ქართულის დამცველი იყო, უარს ამბობდა ენაში ცვლილების შეტანაზე, ორთოგრაფიის გამარტივებაზე, მაგრამ საჯაროდ ასე მკაცრი დამცველი ძველი თაობის პოზიციისა, ორთოდოქსულად ვერ მისდევდა თავისივე ნათქვამს ვერც მხატვრულ შემოქმედებაში, ვერც მიმოწერაში.

გრ. ორბელიანის ნაწარმოებების ენა ახალი ქართულია, იგი არაა დამძიმებული არქაული გამოთქმებით. პირიქით, მწერალი კიცხავდა მათ, ვინც მწერლობის ენას სახარების „მკვდარი სიტყვებით" გადატვირთავდა. ეს კარგად ჩანს გრ. ორბელიანის ერთი წერილიდან, რომელშიც იგი უსაყვედურებდა სარდიონ ალექსი-მესხიშვილს იმ მკვდარი სიტყვების გამოყენების გამო, „რომელნიცა ჰსცხოვრობენ დაბადებაში და ძველს წიგნებში და ახლა აღარ ჰხმარობს ხალხი"...


მშობლიური ენა მუდამ იყო გრ. ორბელიანის საზრუნავი და ფიქრის საგანი. მისი აზრით, „...ვისაც არ უყვარს თავისი სამშობლო ენა, მას, უეჭველია არ უყვარს თავისი მშობელნიცა, თავისი ნინაპარნიცა, თავისი მამულიცა! ენა არის შემნახველი მამა-პაპის ყოფაცხოვრებისა, მათის სარწმუნოებისა, ჩვეულებისა, ესე იგი თვით ისტორია!" გრიგოლი შეუწყნარებელი იყო მათ მიმართ, ვინც, ილიას თქმისა არ იყოს, „ბღაჯნიდა". ენის სიწმინდეზე თვალყურის დევნება პოეტის ყოველდღიური საქმიანობაც ყოფილა: ფერადი ფანქრით აღჭურვილი კითხულობდა „დროებას" და გაზეთს ასეთი შენიშვნებით აჭრელებდა: „ეს რა ქართულია?", „თუ ეს ქართულია, მე არა მცოდნია რა" და ა. შ.

გრ. ორბელიანმა დაიცვა ქართული ენა, როდესაც, სინოდის გადაწყვეტილებით, მას სასულიერო სემინარიაში საფრთხე დაემუქრა. ქართული ლოცვის აკრძალვა ქართველთა ეკლესიაში სისულელეზე უარესიაო, – უთქვამს მას. მისმა ჩარევამ ამ საქმეში მთავარმართებელი აიძულა, სინოდის ბრძანება შეეჩერებინა: ქართული ენისათვის სემინარიაში ხელი არ უხლიათ.

დიდმა ილიამ თავის ყველაზე მკაცრ ოპონენტს სწორედ მშობლიური ენის სიყვარული, მასზე ზრუნვა დაუფასა და მისი ღვაწლი ასე შეაფასა: „...იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა, იგი იყო მეუფე ჩვენის სიტყვიერების ძალღონისა და სიმდიდრისა. იგი იყო მწერალი და მთქმელი, მაღალი ნიჭით

ცხებული, იგი იყო მოძღვარი ჩვენი და ჩვენ – სასოებით მისი მსმენელნი...“

ე.წ. „მამათა“ და „შვილთა“ პაექრობაში სიმართლე ახალი თაობის მხარეს იყო. ეს „ბრძოლაც ახალი სალიტერატურო ენის საბოლოო და საყოველთაო დამკვიდრებისათვის, მისი კანონიზაციისათვის ბრძოლა იყო, თორემ მე-19 საუკუნის I ნახევრის ქართული მწერლობისათვის უცხო არ იყო ხალხური („სოფლური“) ენით წერა. დანიელ ჭონქაძის, ლავრენტი არდაზიანის შემოქმედება ამის ნათელი დადასტურებაა.



აკაკი და სამწერლობო ენა

დიდი ქართველი მწერლის აკაკი წერეთლის დამოკიდებულებაც ენის პრობლემისადმი თაობათა ბრძოლის დაწყებამდე გამოიკვეთა.

აკაკის პირველი ლექსები (ისევე, როგორც ილიასი) ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა. ისინი საზოგადოებამ მაშინვე აიტაცა, სასიმღეროდ აქცია; ძველმა თაობის წარმომადგენლებმა კი აკაკის ენა დაუწუნეს. ანჩისხატის დეკანოზი ეფრემი ურჩევდა თურმე ჭაბუკ პოეტს: „მდაბიო ენით ნუ სწერ! დარბაისლური ენა ეჭირვება და შენ-კი რაღაც სოფლურ ენითა სწერო“. ამასვე სთხოვდნენ სხვებიც, აკაკის კი მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ეწერა „სახალხო ენით და არა დარბაისლურად“.

ახალი თაობა კი სწორედ აკაკის ენის სისადავემ და ხალხურობამ მოხიბლა. ნიკო ნიკოლაძე ასე გადმოგვცემს მისი ლექსების მოსმენით გადმოცემულ პირველ შთაბეჭდილებას: „ამ ლექსების ენა განირჩეოდა წმინდა ხალხური კილოს მანამდე გამოუცდელი სიმშვენიერით და სიმსუბუქით, იმ კილოსი, რომელიც სრულიად თავისუფალი იყო მწიგნობრული ხელოვნებისა და განსაზღვრულობისაგან.“

აკაკი ილის ჭავჭავაძის კრიტიკული სტატიით გაჩაღებული პოლემიკაში ჩაება. მისი პუბლიცისტური წერილები, ლექსები, ეპიგრამები და პამფლეტები ახალი თაობის შეხედულებას გამოხატავდა. მისი ენობრივი პოზიცია ისეთივე იყო, როგორც ილიასი. თაობათა ბრძოლის გამოძახილია აკაკის „ახირებული ფურცელი“, „ხარაბუზა ღენერალს“, „ახმედ-ფაშა კახაბერი“, „ძველი და ახალი წელი“, „პატრიოტის აღსარება“, „ენების გასამართლება“ და სხვ.

„ენების გასამართლებაში“ ძველი მწიგნობრული ქართულისადმი დამოკიდებულება აკაკიმ ასე გამოხატა: „...რაღასათვის ან ვიღასათვის არის საჭირო ის ენა, რომელსაც ვერც ბერი გაიგებს და ვერც ერი?!“ – ამას მოსდევს ლოგიკური განჩინება: „რადგან ეგ მშვენიერი ენა სააქაოს აღარავის ეყურება, ცოდვა არის, რომ ტყვილად გაფუჭდეს და ამისათვის უმჯობესია საიქიოს გაიგზავნოს!...“

აკაკიც, ილიას მსგავსად, ძველ თაობას უსაყვედურებდა იმის გამო, რომ მათი მოღვაწეობის დროს „ლიტერატურის აჩრდილ-

იც არ იყო და ენაც გაუკეთესებისა და განვითარების ნაცვლად თითქოს სრულად გაირყვნა და წახდა"; წუხდა, რომ ქართველი „ვაჟბატონებისა და ქალბატონების" მეტყველებაში მომრავლებული რუსიციზმები მწერლობის ენაშიც გადადიოდა.

აკაკი წერეთელი იმაშიც „მამებს" ადანაშაულებდა, ახალი თაობა „სამშობლო ენის ზედმიწევნით ცოდნით" თავს რომ ვერ იწონებდა. ძველმა თაობამ არ შეასრულა „საღმრთო ვალი" და არ იზრუნა, რომ შვილები მშობლიურ ენას აკვნიდანვე სრულყოფილად დაუფლებოდნენო. ამიტომ, აკაკის თქმით, ახალგაზრდები „სრულწლოვანებაში უნდა შესდგომოდნენ იმ ენის შესწავლას, რომელიც ყველაფერზე უწინ უნდა სცოდნოდათ. მაგრამ ისინი, რასაკვირველია, არ გამოუდგნენ იმ ძველი ქართული ენის შესწავლას, რომელიც აღარ არის ეხლა ხმარებაში. იმით ის ცოცხალი ენა შეითვისეს, იმ ენაზე დაიწყეს წერა და ბაასი, რომელსაც ეხლა ხმარობს ჩვენი ხალხი..." იგი მწერალს „მთელი ხალხის მოძღვარს" უწოდებდა, ხალხს კი თავისი მოძღვრის ნათქვამის გაგება უნდა შესძლებოდა. ამიტომ, ბუნებრივი იყო, მწერლობა ხალხის ცოცხალ მეტყველებას უნდა დაჰყრდნობოდა.

აკაკიმ სწორედ განჭვრიტა ენის განვითარების მაგისტრალური ხაზი, მისი პერსპექტივა. მწერლის მხატვრული ნაწარმოებების, პუბლიცისტური წერილების, პირადი ბარათების ენა აბსოლუტურად თავისუფალია არქაული მწიგნობრული ფორმებისაგან; ეს არის ხალხის ენა, დახვეწილი და გამშვენიერებული უნიჭიერესი შემოქმედის მიერ. ის გენიალური უბრალოება, სიმსუბუქე და სისადავე, რაც აკაკის პოეზიასა და პროზას ახასიათებს, იმითაც არის გაპირობებული, რომ მწერალი ხალხური ენით წერდა. „იგი არა მარტო თეორიულად იღებდა ხალხურ ენას, არამედ პრაქტიკულად ყველაზე მარჯვედ იყენებდა" (ვ.თოფურია).

აკაკი მკაცრი დამცველი იყო ენის სიწმინდისა. თვით უახლოეს ადამიანსაც არ აპატიებდა ენობრივი ნორმების დარღვევას და საჯაროდ მიუთითებდა. იგი აქტიური მონაწილე იყო ენის ნორმალიზაციის საკითხებზე გამართული პაექრობისა 1886-94 წლებში. ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა აკაკის წერილები ტერმინოლოგიის საკითხებზე, ეტიმოლოგიური ძიებები, დიალექტური ფორმების გრამატიკული ანალიზის ცდები და სხვ. ცხარე კამათი ჰქონდა მას პრესაში ცნობილ საზოგადო მოღ-

ვაწეებთან, მწერლებთან. აკაკი ყოველთვის არ იყო მართალი, ცდებოდა, მაგრამ ძირითადად მისი მოსაზრებები საინტერესო და ანგარიშგასაწევია.

აკაკი ილაშქრებდა ბარბარიზმებისა და დიალექტიზმების მოჭარბების წინააღმდეგ მწერლობაში. ამავე დროს ენის გამდიდრების წყაროდ მიიჩნევდა დიალექტურ ლექსიკას, მაგრამ, მაგრამ ზომიერებისაკენ მოუწოდებდა ყველას.

აკაკი ერთიანი სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის იღწვოდა და ვერ ეგუებოდა რომელიმე დიალექტის უპირატესობას მწერლობის ენაში. მისი აზრით, ქართული ენის გამდიდრებაში ყველა კუთხეს თავისი წვლილი უნდა შეეტანა. თავად მწერალი ზედმეტად უხვადაც იყენებდა მორფოლოგიური და ლექსიკური ხასიათის იმერიზმებს თავის შემოქმედებაში. ა. წერეთლის თქმით, „ენა გრძნობა-გონების ხიდია და სიტყვიერება მისივე უტყუარი სარკე". ენა არის ერის სულის გამოხატულება, ამიტომ „გინდა შეისწავლო ისტორიულად რომელიმე ხალხი? გამოიკვლიე და გაარკვიე მისი ენა."

აკაკი დაჰფოფინებდა მშობლიურ ენას, მარგალიტებივით კრებდა ქართულ სიტყვებს, აკვირდებოდა, სწავლობდა და ქართველი ხალხის სულის შეცნობას ლამობდა. „...ბევრი მიფიქრია ჩვენს ქართულს ენაზე, დავკვირვებივარ, ხან ავფრთოვანებულვარ, ხან დავნაღვლიანებულვარ, უძილობით ხომ ღამეები გამიტეხია და ზოგი რამ მაინც ვერ წარმომიდგენია ნათლად", – წერდა იგი და მსჯელობდა სიტყვა „უცხოსა" და „საუცხოოს" შესახებ, უკვირდა, რატომ უწოდებდა ქართველი მეტად კარგს „უცხოს" და „საუცხოოს", რად იყო თავის თავზე გულგატეხილი და უცხოებზე უკეთესი აზრისა.

აკაკი წერდა: „ენა, როგორც ნაგრძნობ-ნაფიქრალის გამომხატველი იარაღი, ადამიანის განვითარებას თან მიჰყვება, ამიტომაც თანდათან ივსება და მდიდრდება", ენის გამდიდრებაში კი განსაკუთრებულ როლს მწერალს აკისრებდა. „ქართველი მწერალი წერის დროს ჩემიან-შენიანობით კი არ უნდა სარგებლობდეს. უნდა ყოველი კუთხე ჰქონდეს მოვლილი, შესწავლილი და გამოკვლეულიო." მწერალმა უნდა „ყური დაუგდოს ყოველი მხარის საუბარს, დაუკვირდეს, ამოჰკრიბოს ის ქართული სიტყვების მარგალიტები, რომელიც დღეს აქა-იქ გაბნეულები არიანო". აკა-

კის აზრით, მხოლოდ ასე შეიძლება ხალხის ენის დაუფლება და საერთო სალიტერატურო ქართულის დამკვიდრება.

აკაკი წერეთელი მწერლისაგან მშობლიური ენის სრულყოფილ ცოდნას მოითხოვდა. დაუნდობელი იყო „მჯღაბნელების" მიმართ. „ეთქმის მწერალი მისთანა თავხედსა და გამბედავ მჯღაბნელს, რომელმაც არც ენა იცის, არც მართლწერა, არც განვითარებულია და არც თავის ქვეყანასა და ხალხს იცნობს? რასაკვირველია, არა!" – წერდა იგი.

აკაკი ურჩევდა მწერლებს, ეკითხათ ძველი წიგნები, შეესწავლთ ხალხური მეტყველება და დაუფლებოდნენ ქართული ენის გრამატიკულ კანონებს. იმათ გასაგონად, ვინც ქართულის სიღარიბეს უჩიოდა, აკაკი წერდა: „როცა უცხო ენებიდან რასმე ვთარგმნით და სიტყვებს ვეღარ ვპოულობთ, ჩვენ ყოველთვის მითი ვმართლულობთ თავს, რომ ქართული ენა ღარიბიაო და იმას კი არ ვფიქრობთ, რომ ჩვენ თვითონ ვართ ცოდნით ღარიბი!".

აკაკის პოზიციის გაგება არ გაჭირდება, თუ გავიხსენებთ მისი ლექსის ერთგვარ წინაისტორიას. მე-19 საუკუნის ბოლოს, ამ ლექსის დაწერამდე კარგა ხნით ადრე, აკაკის არაერთხელ აღუნიშნავს ძმები რაზიკაშვილების, განსაკუთრებით ვაჟას გამორჩეული ნიჭიერება: „ისინი საქართველოს ბუნებასთან, როგორც მთიელები, თანაშენაზარდნი არიან;" „... უხვად არიან მადლით მომადლებული;" „... ვაჟა-ფშაველას პოემა „გოგოთური და აფშინა" ერთი უკეთესთაგანია ჩვენს მწერლობაში;" „წვრილმანი ლექსები, როგორც საკუთრად ვაჟასი, ისე მისი ძმების ბაჩანასი და თედოსი, საზოგადოთ სამარგალიტო შაირები არიან! პროზა ხომ კიდევ უკეთესია" და სხვ.

მაგრამ აკაკის კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ეროვნული ენის უპირველესი დამამკვიდრებელი და გამავრცელებელი არის მხატვრული ლიტერატურა. ყველაზე მეტად მწერალს მოეთხოვება ენის სიწმინდეზე ზრუნვა. ამ პრინციპიდან გამოდიოდა აკაკი, როდესაც ვაჟას ფშაურ დიალექტში გავრცელებული ზოგიერთი ფორმის ხშირი გამოყენების გამო უსაყვედურებდა: „საწყენი ის არის, რომ განგებ ამახინჯებენ თვითვე მათ ნაწერებს ქართულის გადაჯორჯვ-გადმოჯორჯვით... ვინ არ იცის, რომ ქართული ენის სიმდიდრეს უმეტესად შეადგენენ ზმნები, მათი უღვლილება და მიმოხვრა!... ვინც ზმნებს ჯეროვნად ვერ ხმარობს, ის უეჭვე-

ლად უმეცარია! და ზმნებს, საზოგადოდ, რაზიკაშვილებიც ვერა, ანუ უფრო მართალი იქნება ვთქვათ, განზრახ არა ხმარობენ სისწორით, ამახინჯებენ და ეს უკუღმართობა სიტყვიერების გარეგანი სხივცისკროვნება ჰგონიათ!" აკაკის მაგალითად მოჰყავდა ზმნები: იღუპვის, ჩაუხოცავის, გაურეკავის, ავხედნებ, შეიბრალოდეთ, მიიბაროდეთ, შეინახოდეთ და ა. შ.

როგორც ვხედავთ, აკაკი სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული გრამატიკული წესების დარღვევის გამო უსაყვედურებდა ვაჟას. აკაკიმდე სხვებსაც გამოუთქვამთ ეს საყვედური. მაგ., პარმენ მირიანაშვილი თავის წერილში „საერთო ენა და სათემო კილო" ვაჟას ენის „გახორკლიანებაში" სდებდა ბრალს და წერდა: „დღეს ჩვენ მწერლობაში რამდენიც მწერალია, იმდენი ენაა, ესე იგი, რა თემისაც არიან, იმ თემის ენით სწერენ და ზოგიერთი ხომ თავის სოფლის ენასაც ხმარობს. ამგვარად, ენა მეტად აჭრელდა და ქიზიყურის პროზისა და ფშაურის პოეზიის მოვლინებამ ხომ მთლად არია ენის ტაძარი..."

ვაჟას ენა არც სილოვან ხუნდაძეს მოსწონდა. ამ მოსაზრებათა გამოძახილია აკაკის ლექსი „ვაჟა-ფშაველას". აკაკიმ „მარგალიტების მთესველი" უწოდა ვაჟას და მისი პოეზიით აღფრთოვანებაც არ დაუმალავს. თავისი პოეტური ფრაზით („ენას გიწუნებ ფშაველო...") აკაკი ვაჟას ნაწერების ენას, როგორც მხატვრული ფორმის ძირითად კომპონენტს, კი არ იწუნებდა (მაშინ, ბუნებრივია, ვაჟა მარგალიტების მთესველი ვერ იქნებოდა), არამედ უკიჟინებდა დიალექტიზმების ჭარბი გამოყენების გამო: „... ის, რაც დედა ენის წინააღმდეგ სხვადასხვა მხარეებში, პროვინციებში გადაუმახინჯებიათ და გაუფუჭებიათ, ხელწამოსაკიდები კი არა, პირიქით, გასადევნიაო..."

ვაჟამ აკაკის ლექსით უპასუხა. ადრე კი, 1888 წელს, პარმენ მირიანაშვილის შენიშვნის საპასუხოდ თავისი პოზიცია ასე გამოხატა: „...ეხლანდელი ლიტერატურული ენა ახალია და სიახლის გამო ბევრს ფორმებს, ბევრს სიტყვებს მოკლებული არის. ყველა ეს ფორმები და სიტყვები ხალხშია დამარხული. ხალხი, ერი დედაა ენისა, იგი ჰბადებს და ზრდის ენას, როგორც დედა შვილს. ყოველი ეტნოგრაფი და საერო მწერალი მოვალეა ყველა საყურადღებო ხალხური სიტყვა ან ფორმა გააცნოს ლიტერატურულს ენას, თუ იგი სიტყვა და ფორმა შეეფერება ენის ხასიათს,

იმის ბუნებას. თუ ენა იშვილებს იმ ფორმას, იმ სიტყვას, ხომ კარგი, თუ არა-და არც არაფერი ამით წახდება...“ ე.ი. ვაჟა ყოველი ახალი სიტყვის ბედს დროის გამოცდას ანდობდა: თუ ენა მიიღებს კუთხურ სიტყვას, ხომ კარგი, თუ არადა არც არაფერი დაშავდებაო. მართლაც, ვაჟას ლექსიკიდან ბევრი რამ დამკვიდრდა სალიტერატურო ქართულში, თუმცა აკაკის შენიშვნა საერთო ენის პოზიციიდან სამართლიანი იყო.

„ზემო ნათქვამიდან ჩანს აკაკის დიდი დიაპაზონი ქართული ენის შესწავლის საქმეში, მისი ალღო და დაკვირვების საოცარი უნარი ენობრივ თავისებურებათა გამოვლინებაში, ჩინებული მიხვედრა ენის განვითარების ტენდენციისა. ამითაც აიხსნება მისი ეგოდენ დიდი როლი და მნიშვნელობა ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებაში“ (ვ. თოფურია).

იაკობ გოგებაშვილი – დედა ენა, ეროვნების მთავარი ბურჯი

ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრებაში განუზომლად დიდია იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი. იგი იყო ჭეშმარიტი დამცველი რუსეთის პოლიტიკის წყალობით უფლებააყრილი ქართული ენისა. გოგებაშვილი ფართო ფრონტით იბრძოდა დედაენისათვის: თეორიულად ასაბუთებდა ახალ ქართულზე გადასვლის აუცილებლობას, თავგამოდებით იცავდა ენის სიწმინდეს და თავისი შემოქმედებით ხელს უწყობდა ახალ ქართულის ენობრივი ნორმების გავრცელებასა და დამკვიდრებას.

იაკობ გოგებაშვილი დედაენას ძირითად ეროვნულ ძალას, ეროვნების მთავარ ბურჯს უწოდებდა, მიუთითებდა ქართული ენის სრულყოფილებაზე, სიმდიდრესა და მრავალფეროვნებაზე; „ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალ-მხროვანი, როგორც არის ჩვენი ერის ისტორია", – წერდა ი. გოგებაშვილი თავის შესანიშნავ ნაშრომში „ბურჯი ეროვნებისა", რომელიც 1890 წ. გამოაქვეყნა, და იქვე დასძენდა: „მაგრამ ვაფასებთ ჩვენ ამ დაუფასებელს საუნჯესა? გვესმის ჩვენ მისი უმაღლესი ღირსება და მნიშვნელობა? ქართული ენა ამ ჟამად ჰგავს მშვენიერს ფოლადის სახნისსა, რომელიც უგუნურს პატრონს კუნჭულში მიუგდია, იშვიათად ხმარობს და ჟანგს აჭმევინებს. ამიტომ ობიექტურად, თავისთავად მდიდარი და განვითარებული ენა სუბიექტურად, ჩვენ პირში, არის ღატაკი და დღენაკლულს არსებას მოგაგონებთ".

სკოლებიდან და სახელმწიფო დაწესებულებებიდან განდევნილ ქართულ ენას გოგებაშვილის სახით გამოუჩნდა გულმხურვალე დამცველი, ჭირისუფალი, რომელიც ქართველობას მუდამ შეაგონებდა, რომ მშობლიური ენის უგულებელყოფა ადამიანის გადაგვარების მაუწყებელია. მისი აზრით , „დედა-ენა არის ენა სულისა და გულისა, – ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მეხსიერებისა". ყოველ ადამიანს თან დაჰყვება დედაენის ადვილად და ღრმად შესწავლის ნიჭი და სხვ., ამდენად, „ბავშვის ყოველ აზრს, წარმოდგენას, გრძნობას და სულის მოძრაობას მხოლოდ დედა-ენა ხატავს სინამდვილით და სისრულით", ამიტომ ბავშვმა

შვიდ წლამდე მშობლიურ ენაზე უნდა ისწავლოსო.

ილია ჭავჭავაძის მსგავსად, იაკობ გოგებაშვილიც კიცხავდა იმ საზოგადოებას, რომელიც დედაენაზე აზროვნებასა და ლაპარაკს თაკილობდა. მას არც ის „პატრიოტები" დარჩენია უყურადღებოდ, რომლებიც „ლიტერატურაში ცხარე-ცხარე სიტყვებს ხარჯავდნენ მამულისშვილობაზედ და საქმე იმითი გაათავეს, რომ თვითონაც უღალატეს ეროვნებას და თავიანთი სახლებიდანაც გამოაძევეს ქართული ენა".

ასეთ ვითარებაში სკოლას უდიდესი როლი ენიჭებოდა. ამიტომ მასზე ზრუნვას გოგებაშვილი ერის მომავალზე ზრუნვად აღიქვამდა და უდიდესი საქმე გააკეთა უკვდავი სახელმძღვანელოების – „დედა ენისა" და „ბუნების კარის" – შექმნით. სწორედ ამ სახელმძღვანელოებში ჩანს ქართული ენის ლექსიკური და ფრაზეოლოგიური სიმდიდრე, მრავალფეროვნება და მომხიბლაობა. ამ წიგნებით ქართველი ბავშვები ეწაფებოდნენ მშობლიურ ენას, სწავლობდნენ ჩვენი დიდი მწერლების მოთხრობებს და დაწყებითი კლასებიდანვე ბუნებრივად ეუფლებოდნენ ახალ ქართულს. მთელი სიცოცხლის მანძილზე გოგებაშვილი ენობრივად ხვეწდა და აუმჯობესებდა თავის სახელმძღვანელოებს, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობაში ნერგავდნენ ახალი ქართულის ნორმებს.

ერთიანი, საყოველთაო-სახალხო ენის დამკვიდრება-განვითარებას ხელს უწყობდა იაკობ გოგებაშვილის მშვენიერი მოთხრობებიც, მთელი მისი მხატვრული შემოქმედება, გამსჭვალული სამშობლოს, ქართველი ხალხის, დედაენის სიყვარულით.

იაკობ გოგებაშვილი ილია ჭავჭავაძის პოზიციაზე იდგა და მოითხოვდა სალიტერატურო ენის გამარტივებას, გაწმენდას არქაული ენობრივი ფორმებისგან. „საღრმთო წერილის ენაზედ მეათე საუკუნიდგან აღარა სდგას საქართველო და ახლა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს როგორ დავუბრუნდეთ. ხომ მთლად დამარხვა მოგვინდება ახლანდელის ცოცხალი ენისა ლიტერატურასა და საუბარში?" – ეკამათებოდა იაკობ გოგებაშვილი აკაკი წერეთელსა და „კვალის" თანამშრომლებს ენის ზოგიერთ პრაქტიკულ საკითხზე (აღვიარებ თუ ვაღიარებ და სხვ.).

იაკობ გოგებაშვილის მთავარი საზრუნავი მწერლობის ენა იყო, რადგან ესა თუ ის ენობრივი ფორმა სწორედ მხატვრული

ნაწარმოებების გზით ვრცელდებოდა ხალხში და დროთა განმავლობაში სალიტერატურო ენაში მკვიდრდებოდა. ამიტომ გოგებაშვილი არავის ერიდებოდა, თვით ხალხის რჩეულ, უსაყვარლეს მწერლებსაც მიუთითებდა მათ ენაში შემჩნეული უმართებულო ფორმების, დიალექტიზმების, არქაიზმების გამო. მწერლის ენაში კუთხური გამოთქმების მოძალებას იგი „პროვინციალურ სეპარატიზმს" უწოდებდა და არანაკლებ საშიშ მოვლენად მიიჩნევდა, ვიდრე „პოლიტიკურ სეპარატიზმს, რომელმაც დააქუცმაცა ჩვენი ქვეყანა". ამ პოზიციიდან ეკამათებოდა იგი აკაკი წერეთელს იმერულ დიალექტში გავრცელებული ზოგიერთი ფორმის ხმარების გამო. თავისი ავტორიტეტის წყალობით ეს მდარე, შეუსაბამო ფორმა შეიძლება აკაკიმ დაამკვიდროს ლიტერატურაში ქართული ენის საზიანოდო, წუხდა იაკობ გოგებაშვილი. ასევე საყურადღებო შენიშვნები გამოთქვა მან რ. ერისთავის, ალ. ყაზბეგის, ცახელისა და სხვათა ნაწარმოებების ენაზე.

მაშინდელ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა ი. გოგებაშვილის პოლემიკური წერილები („საგრამატიკო ბაასები", „საგრამატიკო შენიშვნები" და სხვ.), რომლებშიც ქართული ენის ქომაგი არაერთხელ შეხებია ენისა და სტილის საკითხებს.

იაკობ გოგებაშვილის ნაყოფიერი მოღვაწეობა, თავგამოდებული ბრძოლა ქართული ენის სიწმინდისათვის, დედაენის უფლებების აღდგენისათვის იმ დიდი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო, რომელიც ილიამ და აკაკიმ გააჩაღეს ახალი ქართული სალიტერატურო ენის დასამკვიდრებლად. დიდმა მამულიშვილებმა შეძლეს მოწინავე ქართველი საზოგადოების გამოფხიზლება და ჩაბმა ამ საშვილიშვილო საქმეში.

ამ პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ქართულ პრესაში 1886-94 წლებში ქართული გრამატიკის საკითხებზე გამართული პაექრობა, რომლის ინიციატორი კვლავ ილია ჭავჭავაძე იყო. მას შეუდგენია საგანგებო „უწყება". ამ დოკუმენტში ჩამოთვლილია სალიტერატურო ენის სადავო გრამატიკული საკითხები, რომელთა გადასაჭრელად ილიას მოუწვევია კომპეტენტური საზოგადოება „ივერიაში".

საბაბი ამ საგრამატიკო პოლემიკისა გამხდარა გაზ. „ივერიის" რედაქციაში უცხოეთიდან მოსული კორესპონდენცია, რომლის ავტორი ხმარობდა ფორმებს: გენიალს, სოციალს, ადმინისტრატივს იმ მოტივით, რომ ასეა ძირეულ ენაში, და მოითხოვდა, არ შეეცვალათ ისინი. ილიამ 1886 წ. 17 იანვრის „ივერიაში"თავისი აზრი გამოთქვა ამ და სხვა საკითხებზე, მაგრამ დასძინა: „ისეც არ გავკადნიერდებით, რომ ეს ჩვენი აზრი იმისთანა უცილობელ ჭეშმარიტებად ვაღიაროთ, რომლის წინააღმდეგაც არა ითქმოდეს რაო". სწორედ ამას მოჰყვა ილიას მიერ შედგენილი „უწყება", რომელშიც მითითებული იყო საპაექრო 9 საკითხი. საგანგებო კომისიის სხდომა ჩატარდა „ივერიის" რედაქციაში 1886 წლის 8 მარტს. ასე დაიწყო კამათი ენის ნორმალიზაციის საკითხებზე, რომელიც 8 წელს გაგრძელდა. დისკუსიაში მონაწილეობდნენ: ილია, აკაკი, სილოვან ხუნდაძე, იაკობ გოგებაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, პეტრე მირიანაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, პეტრე ჭარაია, გრიგოლ ვოლსკი და სხვ. სტატიები იწერებოდა „ივერიაში", „კვალში", „თეატრში". საგრამატიკო პაექრობა იყო სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისათვის პრინციპული მეცნიერული მსჯელობა, რამაც დიდი როლი ითამაშა ქართული ენის ნორმატიული ფორმების დადგენის პროცესში.

რა თქმა უნდა, ეს პროცესი შეცდომებისა და სუბიექტური ფაქტორისაგან არ იყო დაზღვეული. კრიტიკის ქარცეცხლი საყოველთაოდ აღიარებულ ავტორიტეტებსაც დაატყდათ თავს (ილიას, აკაკის). ცხადი იყო, რომ თეორიული დასაბუთება „ახლებური წერისა" უფრო იოლი იყო, ვიდრე ყოველდღიურ საქმიანობაში, მხატვრულ ნაწარმოებებში, პრესაში პრაქტიკული განხორციელება თეორიული დებულებებისა. თავი იჩინა დიალექტიზმების სი-

ჭარბემ, კალკებმა, რუსიციზმებმა, საერთაშორისო ხმარებაში მიღებული სიტყვების უმართებულო წარმოებამ... ამ გარემოებას აღნიშნავდა აკაკი წერეთელი, როცა წერდა: „მის ნაცვლად, რომ ძველი წიგნები გადაიკითხონ, ხალხის სიტყვა-პასუხს ყური დაუგდონ, ენის ხასიათს დაუკვირდნენ, მისი გრამატიკული კანონები შეისწავლონ და ისე სწერონ, ისინი თავისი გამონაგონი სიტყვებით და ფრაზებით ნავარდობენო“.

ამასვე სწუხდა პაექრობის მონაწილე ალექსანდრე ჭყონია: „ამ მწერლობამ თავისი ახლად ამორჩეული ენა ვერ შეიმუშავა, თითქმის ყოველს მწერალს ჩვენში თავისი გრამატიკა აქვსო“. ალ. ჭყონიაც კლასიკური მწერლობის რიგიანი შესწავლისკენ მოუწოდებდა ქართველ მწერლებს.

მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ახალი თაობის ენობრივი პოლიტიკა მყარ დასაყრდენს პოულობდა ქართულ სინამდვილეში... თერგდალეულებმა საგანგებო ზრუნვის საგნად აქციეს ქართული ენა, გასაგები გახადეს იგი ხალხისათვის და ყველაფერი გააკეთეს ახალი სალიტერატურო ქართული ენის დასამკვიდრებლად.

„რა ენა წახდეს“

(ილია და ქართული მართლმეტყველება)

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა სალიტერატურო ენის პრობლემატიკას. მსჯელობდა ენის ჟანრობრივ თავისებურებებზე, ეროვნულ, კუთხურ, პროფესიულ სახასიათო შესატყვისობაზე.

თუ მწერალს ენა სისხლ-ხორცში არა აქვს გამჯდარი, თუ „ნათხოვარ ენით“ წერს, თუ სიტყვებს უადგილოდ ხმარობს და სინონიმების ნიუანსებს ვერ გრძნობს, თუ „გმირებს სიტყვებს აგრეხინებს“ , ასეთი მწერალი კარგს ვერას დაწერს, რადგან ენა მწერლის ძირითადი იარაღია.

ილიას „ივერიის“ განსაკუთრებული დამსახურება ამ მხრივ ის არის, რომ მან ახალი ქართული სალიტერატურო ენა ფართოდ გაიტანა ხალხში, ხელი შეუწყო მის დამკვიდრებას საქართველოს ყველა კუთხეში და მოსახლეობის ყველა ფენაში.

დიალექტიზმების სტიქიურ შემოჭრას მიიჩნევდნენ იმჟამინდელი გაზეთების ძირითად ნაკლად, რაც ენის „გახალხურების“ პრინციპის უმართებულო გაგებიდან მომდინარეობდა. ენა თითქოს გამჩატდა, დაკარგა სიდარბაისლე, თუმცა გაზეთების დიდი ნაწილის რედაქტორები თავისი დროის კარგი მოქართულენი იყვნენ. უდაოა, რომ ეს საფრთხე ქართულ სალიტერატურო ენას თავიდან აარიდა ილია ჭავჭავაძის „ივერიამ“.

ამ გაზეთის შესახებ კი თანდათანობით უკვე შემდეგ თავებში მოგახსენებთ.

დღეს საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ამასთან, პრობლემატური საკითხი ქართული ენის სიწმინდე და მისი დაცვა. ჩვენი ენა – ქართველობის, სახელმწიფიებრიობის უმთავრესი ნიშანია, მაშინ, როცა ეროვნულობის არსებითი ნიშანი უნდა იყოს, სალიტერატურო ქართული ენა, ალბათ, ჩვენივე უდარდელობისა და დაუდევრობის გამო მახინჯდება, ნაგვიანდება, თავის გამომსახველობით ძალას კარგავს.

რატომღაც ასე დამკვიდრდა ჩვენში: ქართული ენის, მისი სიწმინდის დასაცავად, მხოლოდ ვლაპარაკობთ, რეალურად კი არაფერს ვიქმთ. თანაც ქართული ენის სიწმინდის დაცვაზე წელიწადში მხოლოდ ერთ დღეს, 14 აპრილს ვსაუბრობთ.

რადგან გული შეგვტკივა, იქნებ სიტყვით ან კალმით ვცადოთ ჩვენი ენის პრობლემის საზოგადოების წინაშე გამოხატვა. ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ ვინმეზე უკეთ ან საფუძვლიანად ვიჩემებთ ამ ფაქიზი და ამავე დროს ქართული ენის ცოდნას, როცა თვით დიდი ილიაც ბრძანებდა: „მეც ვცოდავ ქართული ენის წინაშე." უბრალოდ, იქნებ ერთ ადამიანს მაინც შეუტოკდეს ნერვი და გულთან ახლოსაც მიიტანოს ენის გასაჭირი?!

უკვე მრავალი ათეული წელია, რაც საქართველოში ენისადმი ზერელე, აგდებული დამოკიდებულება შეიმჩნევა. ეს გამოწვეულია იმით, რომ არაერთ ქართველ მოაზროვნეს თავისი მისია შეგნებული ბოლომდე არ აქვს. მწერალი უწინარესად მთელი ერისათვის წერს და უკიდურესი პასუხისმგებლობა და მოწიწება მართებს. ენა უმთავრესი ბურჯთაგანია. ენის მნიშვნელობის შესახებ იაკობ გოგებაშვილი წერს: „ვინც რომ სამშობლო ენას, ივიწყებს და არ ეძებს, ძრიელ კარგიც რომ იყოს, ნაყოფს ვერ გამოიღებს." რადგან, ენა ცოცხალი ორგანიზმია, ამიტომ მას განსაკუთრებული გაფრთხილება სჭირდება. შეიძლება ითქვას, თითქმის ყველა ტელევიზია თუ რადიო, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, დიდი მონდომებით და ნადილით ამახინჯებენ მშობლიურ ენას.

სულაც არ სჭირდება ფილოლოგია იმას, რაც ძალიან კარგად ვიცით, გვესმის და ვგრძნობთ, როგორი ქართულით ვმეტყველებთ დღეს და რომ ენა დამახინჯებისაგან აუცილებლად დასაცავი და გამოსაქომაგებელია, რადგან ენა ცალკე აბსტრაქტულ ცნებად არ მოიაზრება, ის ხომ ყველა ნორმალური სახელმწიფოს და ყოველი ჩვენთაგანის საკუთრებაა. ენა თითოეული ქართველის საკუთრებაა, ყველა ნორმალური სახელმწიფო ვალდებულია, დაგვიცვას ჩვენ და ჩვენი მშობლიური ენაც.

მდიდარი კულტურული წარსულისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის მქონე ქართული სალიტერატურო ენა შეირყვნა ბარბარიზმებით, უამრავი უცხოური, ჩვენი ენობრივი ფორმისათვის შეუფერებელი სიტყვების შემოჭრით.

ბარბარიზმი აღნიშნავს ამა თუ იმ ენაში უცხო ენიდან გაუმართლებლად, „ბარბაროსულად" შემოჭრილ სიტყვას. ბარბარიზმია ყოველი უცხო სიტყვა (და არა მხოლოდ ერთი ენის), რომლის საჭიროებაც ენაში არ არსებობს, რადგან შესაბამისი შინაარსის სიტყვა მას უკვე მოეპოვება. ასეთად ჩაითვლება, ასევე,

ისეთი სიტყვები, რომლის გამოყენებაც ჯერ სპეციალისტების მიერ არ არის სანქცირებული.

აუცილებელია იმის გააზრება, რომ ენობრივი და მეტყველების კულტურა საერთო კულტურის ნაწილია. როგორც კი პიროვნებისა და საზოგადოების მენტალური დონე ეცემა, ავტომატურად იცვლება მისი ენობრივი საზღვრებიც. ენობრივი ჩვევები ყალიბდება ფაქტობრივ წიგნიერებასთან ერთად.

ბარბარიზმების დამკვიდრებას ბევრი ფაქტორი უწყობს ხელს. უპირველესად, რბილად რომ ვთქვათ, ჩვენივე დაუდევრობა ენის მიმართ, უმთავრესი კი სახელმწიფოს შეუმდგარობის, ეროვნული ინსტიტუციების არქონის გამო. მათ (ხელისუფლების პოლიტიკურ ელიტას) გააზრებული არ აქვთ, რას ნიშნავს ეს პრობლემა და რა ზიანის მიყენება შეუძლია მას თითოეული ჩვენგანისათვის. ჩვენს საზოგადოებაში კულტურის ეს ზოგადი სფერო მეტად არასახარბიელო მდგომარეობაშია. იმას ვერ მივაღწიეთ, რომ არათუ ქუჩაში, სასაუბრო მეტყველებისას, არამედ უნივერსიტეტებისა და სკოლების პედაგოგებიც კი თავს უფლებას აძლევენ, ბარბარიზმებითა თუ სხვა დამახინჯებული ფორმების გამოყენებით ისაუბრონ. უფრო მეტიც, ეს თითქოს მანერადაც კი იქცა.

აღსანიშნავია, რომ ამ 25 წლის წინ რუსული ბარბარიზმების დამკვიდრებას არა მხოლოდ ენათმეცნიერები, საზოგადოებაც სერიოზულად აკონტროლებდა. მას მხოლოდ განათლებით დაბალი დონის წრეში თუ იყენებდნენ. ამას, ცხადია, განაპირობებდა ის, რომ ჩვენთვის რუსული იყო ერთგვარად „აგრესორის ენა“ და პოლიტიკური იდეოლოგიაც ამისკენ იყო მიმართული: არ ვიღებდით მას.

სამწუხაროდ, დღეს არსებული ბარბარიზმების ნახევარი მაინც ნაწილია იმ რუსული ბარბარიზმების, რომლებიც მაშინ არ გამოიყენებოდა. რატომ? ისევ კულტურის დაცემის გამო! ბევრი ბარბარიზმი უკვე ოფიციალური გზით შემოიჭრა ჩვენს მეტყველებაში და მას გამოვიყენებთ ისე, როგორც ჩვეულებრივს. მაგალითად, თინეიჯერი ბარბარიზმია, მას აქვს ქართული შესატყვისი – მოზარდი. ტრენერი და ტრენინგი ახლა საგანმანათლებლო სივრცეშიც კი ოფიციალურად გამოიყენება. არადა, არავის არ გადაუწყვეტია, რომ წრთვნას ტრენინგი ეწოდოს. სპორტულ ტერმინოლოგიაში რუსულის გზით შემოსული ტრენერი და ტრე-

ნიროვკა უპირობოდ იყო ჩარიცხული ბარბარიზმების რიგში. დღევანდელ საგანმანათლებლო ლექსიკონში კი იგივე სიტყვებმა ინგლისური გზით (ტრენერი და ტრენინგი) უმტკივნეულოდ დაიმკვიდრა ადგილი. დღეს ყველაზე ხშირია შემდეგი რუსული ბარბარიზმები:

პროპკა – საცობი; პროსტა – უბრალოდ; ტორმუზი – მუხრუჭი; კაროჩე – მოკლედ;

ვაფშე – საერთოდ; პაკრიშკა – საბურავი; კანატკა – საბაგირო; პოლი – იატაკი; ნაუშნიკი – ყურთსასმენი; შნუროკი – თასმა; კუხნა – სამზარეულო; რული – საჭე; შკაფი – კარადა; ტუფლი – ფეხსაცმელი, და უამრავი სხვა.

სასურველია, გვახსოვდეს: თუ ჩვენს ცნობიერებაში ჩაჯდება ბევრი უცხოური სიტყვა, რომლის ქართული შესატყვისი გვაქვს, ამით ენას გავაღარიბებთ. ეს მშობლიური ენისადმი უპატივცემულობაა; მაგრამ ეს არც ინგლისური და არც რუსული ენებისადმი სიყვარულია. სხვა ენებიდან სიტყვების ასე დაუფიქრებლად შემოტანით არც იმ ენებს ვცემთ პატივს და არც ჩვენს ენას. ყველამ უნდა გააანალიზოს ის, რომ უცხო ენებიდან არასაჭიროებისამებრ სიტყვების შემოტანით ვვნებთ ეროვნულ ენას.

„რა გითხრათ, რით გაგახაროთო" – დიდი ილიას მიერ თქმული მე-19 საუკუნეში – ისევ ისმება ეს შეკითხვა ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, რადგან პრობლემა თანამედროვეობაში ნათელი და ადვილად აღსაქმელია. ასაკის მიხედვითაც კი გამოარჩევთ სხვადასხვა „ენაზე" – ქართულად მოსაუბრე მოზარდებსა და ზრდასრულებს.

დღითიდღე იკარგება და სამწუხაროდ დავიწყებას ეძლევა უამრავი ლამაზი ქართული სიტყვა. ხანდახან ქვეცნობიერად შემოგვეღალატება ხოლმე ჭეშმარიტი ქართული ფრაზა და ამის მიზეზი ფსევდო „გაევროპელებულ" თუ „გაამერიკელებულ" ქართველთა „ევროპულ", თუ „ანგლო-საქსური" დიქციით, ინტონაციით ე.წ. მჭერმეტყველებაა. გარდა იმისა, რომ ენით ვმეტყველებთ, ენა აზროვნების საშუალებაა და, ამასთანავე, ენა ის უნიკალური ფენომენია, რომლის სიცოცხლე და სიკვდილიც ასევე ჩვენზეა დამოკიდებული.

ტელე და რადიოეთერით – მასობრივი ინფორმაციის ყველაზე მძლავრი საშუალებით – პოპულარიზაციას ვუწევთ უცხოურ,

მეტწილად, ინგლისურიდან ხელოვნურად და ძალისძალად „გადმოქაჩულ“ ტერმინებს თუ ლექსიკურ ერთულებს და ვამკვიდრებთ ყოველდღიურად, ჩვენი – ბუნებრივი ქართული სადღაც უკანა პლანზე გადაგვაქვს და გამეტებით ვკლავთ. ქართული ენის სწავლულნი წერენ, რომ ქართულ ენაში უცხო ენებიდან შემოტანილია 40 000-მდე სიტყვა.

რაც შეეხება ლექსიკას, უცხოურ სიტყვათა შემოჭრის პრობლემას, იგი გარკვეულწილად ენის ლექსიკური გამდიდრებისათვის ბუნებრივია, მაგრამ ის საჭიროებს გარკვეულ ჩარჩოს და კონტროლს. ყველა განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყანაში (ჩრდილოეთ ევროპის, სკანდინავიის ქვეყნებში, ასევე გამოვყოფდით დიდი ბრიტანეთს და აშშ-ს) ენას პატივს მიაგებენ და მას სახელმწიფო კანონმდებლობა იცავს.

დადგება დრო, მომავალში ალბათ გამოვა ასეთი სახის ლექსიკონები – თუ როგორ საუბრობდნენ და წერდნენ მე-20-21 საუკუნეების საქართველოში.

ყველა განვითარებულ ევროპულ ქვეყანაში ეროვნული სული აიძულებს ეროვნულ სახელმწიფო ინსტიტუციას, ენა დაიცვას. თვით საბჭოთა ეპოქაშიც ივანე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით ენას იცავდა გამსახკომთან დაარსებული ტერმინოლოგიათა შემმუშავებელი საბჭო, ასევე ცენტრალური საკანონმდებლო კომისია; საქართველოს სახალხო კომისარიატთან დაარსდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა კომისია 30 ცნობილი მეცნიერის შემადგენლობით.

გამოიცა ასევე საბჭოთა ეპოქაში ვ. თოფურიასა და ი. გიგინეიშვილის მიერ შედგენილი „ორთოგრაფიული ლექსიკონი“. ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაარსდა სპეციალური კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, რომელშიც მუდმივად აისახებოდა სალიტერატურო ენის სიწმინდის სფეროში წარმოებული კვლევის შედეგები. სახელმწიფო დონეზე შეიქმნა „საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა“, რომელიც ოცწლიანი მუშაობის შემდეგ გაუქმდა.

ენის დაბინძურებას უნდა ვებრძოლოთ იქ, სადაც ეს ჩვევები ყალიბდება. ესაა სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები... თუ ახალგაზრდამდე სათანადოდ მივიტანთ კლასიკოს მწერალთა ქართულს, მაშინ სწორად გამოვიმუშავებთ ენობრივ ჩვევებს. ეს თუ

არ მოხერხდა, მოზარდი აითვისებს იმას, რასაც აწვდიან.

მაგალითად, მუდმივად ტელევიზორთან მიჯაჭვულობა რყვნის ენას. ასევეა ინტერნეტიც. სოციალური ქსელი ხომ ძალიან ფართო ასპარეზია ამისთვის.

დღეს მედია, ფაქტობრივად, ელექტრონულია და ეს არის უზარმაზარი სივრცე, რომლის გაკონტროლებაც ვერ ხერხდება. სოციალური მედია ნამდვილად უწყობს ხელს სხვადასხვა ბარბარიზმისა და სიტყვის დამახინჯებული ფორმების დამკვიდრებას.

აღსანიშნავია, რომ გარკვეული ინფორმაციის მისაღებად შედის ბავშვი სოციალურ ქსელებში და იმ უზარმაზარ სივრცეში იკარგება, ხვდება გაჭუჭყიანებული ენა; მას კი არ შეუძლია ამის გასუფთავება და ეს „გაუფილტრავი ნაგავი" მის გონებაში ილექება. სწორედ სოციალური ქსელით გავრცელდა არაერთი ბარბარიზმი: დალაიქება, დაშეარება, დათაგვა, ფრენდი. არადა ყველა ამ სიტყვას აქვს შესაბამისი ქართული შესატყვისი.

ყველაზე ხშირია შემდეგი ბარბარიზმები:

დალაიქება – მოწონება; დაშეარება – გაზიარება; დათაგვა – მონიშვნა; ფრენდი – მეგობარი; დაკლიკება – დაწკაპუნება; ოკეი – კეთილი, კარგი; სეილი – ფასდაკლება; სმაილი – ღიმილი; ივენთი – საღამო; ფართი – წვეულება; კარტა – ბარათი; ლაითი – მსუბუქი, და უამრავი სხვა.

ამასობაში სერიოზული პრობლემები შეიქმნა იმ სფეროში, რომელიც დღეს ენის ეკოლოგიას, ეკოლინგვისტიკას მიეკუთვნება. ეკოლინგვისტიკა – ერთ-ერთი თანამედროვე სამეცნიერო მიმართულებაა ენათმეცნიერების სფეროში, რომელიც ჩამოყალიბდა ლინგვისტიკაში სოციალური, ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური მიმათულებების მიჯნაზე. ეკოლოგიის ცნების მამამთავრად მიიჩნევა ცნობილი ამერიკელი ლინგვისტი ეინარ ჰაუგენი, რომელიც 1970 წელს მოხსენებაში „ენის ეკოლოგია" შემოიტანა სოციოლინგვისტიკისა და ფსიქოლინგვისტიკის ურთიერთმოქმედების ასპექტი. ჰაუგენის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ენები, როგორც ცხოველები და მცენარეები, იმყოფებიან წონასწორობის მდგომარეობაში, ერთმანეთთან კონკურირებენ და თვით მათი არსებობაა დამოკიდებული ერთმანეთზე, როგორც სახელმწიფოს და სხვა სოციალურ ჯგუფებს შიგნით, ისე იმ ადამიანის შემეცნებაში, რომელიც რამდენიმე ენას ფლობს.

ნორმების დარღვევისას ენის წონასწორობა ირღვევა. ენის ეკოლოგია მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანთან და მისი თავისუფლების იდეასთან. რას ნიშნავს თავისუფლება? სოციოლოგიურ ენაზე რომ ვთქვათ, თავისუფლება არის საშუალება, აირჩიო და მოახდინო არჩევანის რეალიზაცია.

მოგვყავს ერთი საგულისხმო ამონარიდი ქართული ენის შესახებ დიდი მეცნიერის ნიკო მარის ფუნდამენტური ნაშრომიდან:

„ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას, რა გინდა რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე, რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არა თუ ქართველმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული მაღალმხატვრულად გამოსახავს ყოველ აზრს და დაუმახინჯებლად და შეურყვნელად გადმოსცემს, ისე მდიდარია ქართული ენა, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებით იგი მსოფლიო ენაა.“ ამას ბრძანებს ჩვენი ენის შესახებ, მრავალი ენის მცოდნე დიდი მეცნიერი, აკადემიკოსი ნიკო მარი და ჩვენ, ჩვენივე უსულგულობით ისე ვექცევით საკუთარ ენას, როგორც მტერი მოექცეოდა ოდენ.

ნიკო მარი ავითარებდა იმ აზრს, რომ – „დღეს იქნება თუ ხვალ, ქართული ენის შეუსწავლელად, მის გაუცნობლად, ვერცერთი საკაცობრიო სიძველეთა საკითხი ვერ გადაიჭრება.“

დასასრულ, გთავაზობთ ნაწყვეტებს, რომელიც ქართული ენის უზადოობასა და მშვენიერებას ეხება, გამოჩენილი ქართველი მწერლის ლევან გოთუას ქართველი ფართო საზოგადოებისათვის უცნობი წერილიდან.[5] „სამშობლო ჩვენი საერთო უკვდავების მუდამ მზარდი და მუდამ მეტყველი ძეგლია. ეს არც ისე რთული აზრია. ჩვენ ყველანი, მოკვდავნი, წარმავალნი ვართ, ხოლო ჩვენი წილი ნაყოფიერი შრომის და მეცადინეობის... უკვდავი ნაშთია, რაც ჩვენად რჩება და უერთდება ჩვენი სამშობლოს მომავალს...

ახალგაზრდებო, ჩვენი ერის მომავალი ამას მოითხოვს...

არის კიდევ ჩვენთვის ლამაზი მთების სიმაღლისა და მნიშვნელობის ამოცანა – ქართული ენის წმინდად და ფაქიზად დაცვა. საოცარია, რომ ამაში თითქოს არავის ეპარება ეჭვი. ყველამ კარ-

5 ლევან გოთუას ხმის ჩანაწერი პირველად მოსმენილი იქნა 2015 წელს მწერალთა სახლში, ლევან გოთუას გახსენების საღამოზე – „მიმართვა ახალგაზრდობისადმი“ („ლამაზ მთებს იქეთ“).

გად ვიცით, რომ ქართული ენა მარტო მეცნიერებათა აკადემიისა და მწერალთა კავშირის ენა როდია, არამედ ჩვენი ეროვნული და სახელმწიფო ენაა.

აბა, დაუკვირდით, რა ხშირად ირღვევა და მახინჯდება იგი. მე არა პროვინციალიზმებს ვგულისხმობ, რაც აგრეთვე, დროა სულ მოვიშოროთ, ჩვენ, უძველესი, მდიდარი, კეთილხმოვანი და მეტყველი ენა გვაქვს, ლიტერატურულად დამუშავებული და დახვეწილი, დინამიკური, შინაგანად მზარდი, და უნდა მოვუაროთ მას. წიგნებს და აზრებსა და რეკლამებზე დაწესებულებებსა და მიმოწერაში, სკოლასა და ოჯახებში არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ენის გაჟარგონება, უცხოური სიტყვებით აჭრელება, გალაზღანდარება. ქართველებისათვის სრულიად საჭოჭმანი ენის გაბილწება და გინებით ავსება, დედამიწაზე ორიათას ენაზე მეტია, ასეთი მრავალფეროვნება გასაგებია. ყოველი შემოქმედი ეთნიკური ჯგუფი გულისხმობდა და ჰქმნიდა თავის ენას. ეს იყო იმ ერის გენიალური აქტი.

კაცობრიობა მრავალმეტყველია. ქვეყნად მხოლოდ მამლები ჰყივიან ერთნაირად. ენა ხომ ამა თუ იმ ერის ამეტყველებული ადამიანობა, ისტორია და მიწა-წყალია. ჩვენ, ქართველები, ჩვენს ენას დედა-ენას ვუწოდებთ. რამდენადაც ვიცი, არცერთ სხვა ენას ასეთი თბილი, პირდაპირ საალერსო სახელი თავისთვის არ მოუპოვებია. ახლა კი, ზოგი, სხვა ენის ცოდნის გამოსაჩენად, შეუგნებლად და უმსგავსოების მიხედვით ფარცხავს ყველაფერს. მრავალი ენის ცოდნა დიდებულია. რამდენ ენას ფლობ, იმდენი ხელი გაქვს, მაგრამ მშობლიური ენა თუ არ იცი, შეიძლება ბევრი ხელი გაბია და გული კი არ გქონია. ჩვენი დედა ენის აჭრელება ყოფაში გადადის და საშიშ ხასიათს იღებს. ყველას უნდა გვახსოვდეს და განსაკუთრებით ახალგაზრდობას, მოსწავლეებს, ხვალინდელი ქართვლის პატრიოტებს, რომ არც ენაა მარტო ენა."

ჩვენ ყველამ უნდა ვიზრუნოთ ჩვენი მშობლიური ენის სიწმინდეზე, ეს ჩვენი ვალდებულებაცაა.

თითოეულმა ქართველმა უნდა დაიცვას ენის სიწმინდე; ქართველი უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას მშობლიური ენის წინაშე. ნუ დაგვავიწყდება, რომ ენა სამღვთო რამ არის და საზოგადო საკუთრებაა.

ამით ჩვენს მთავარ ეროვნულ ღირებულებას დავიცავთ.

ქართული სიტყვის მეცნიერული ტერმინშემოქმედების სადღეისო პრობლემატიკა

მეცნიერული ენა გარკვეული აზრით, კონსტრუირებული ენაა. თავდაპირველად ნებისმიერი ფილოსოფოსის მიერ შექმნილი ტერმინები, შესაძლებელია, ხელოვნურად გამოიყურებოდეს, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი ეთვისებიან ენის ქსოვილს, თუ შესაბამისი მეცნიერება განაგრძობს განვითარებას და შთამომავლობას ექნება სათანადო პირობები ამ მეცნიერების მემკვიდრეობის ასათვისებლად.

დღეს ქართული სიტყვის, ქართული ენის ბედი ეროვნულ სკოლას და უმაღლეს სასწავლებლებს, უპირველესად, ქართულ უნივერსიტეტსა და ქართულ ენათმეცნიერულ სკოლას აბარია, ბედი კი სახელმწიფოსა და მისი მესვეურების ხელშია. სწავლულთა დაკვირვებით ცნობილია, რომ სახელმწიფო პოლიტიკა და, საზოგადოდ, სახელმწიფოს მდგომარეობა აისახება ენაზე და განსაზღვრავს ამ სახელმწიფოს ენის მდგომარეობას – და პირიქით, ენის მდგომარეობა სახელმწიფოს მდგომარეობის, მისი პოლიტიკური ნების მაჩვენებელია. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ბერძნული ენა ასაზრდოებდა და დღესაც ასაზრდოებს უშუალოდ თუ შუალობითი გზით ევროპული ენების სპეციალურ ლექსიკას. ადრე მისგან იყო დავალებული არაბული ფილოსოფიური ენაც. საქართველო ერთი პირველთაგანი იყო, რომელსაც უშუალო და მჭიდრო პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული კონტაქტები ჰქონდა ისეთ მაღალგანვითარებულ კულტურულ სამყაროსთან, როგორიც იმ ეპოქაში ბიზანტია იყო. ამ ურთიერთობაზე გადიოდა ბუნებრივი გზა ქართული მეცნიერების განვითარებისა და სრულიად კანონზომიერი იყო, რომ ამ დროს ქართველი მოღვაწენი ეროვნული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების გზაზე მისაბაძ მაგალითად სწორედ საუკუნეების განმავლობაში ფილოსოფოსთა არაერთი თაობის მიერ დამუშავებულ ბერძნულ ფილოსოფიურ ენას თვლიდნენ. ამდენად, მოულოდნელი არ არის, რომ ახალ ცნებათა შესაბამისი ტერმინების საწარმოებლად ყველაზე პროდუქტიული გზა ბერძნულ ტერმინთა კალკირება იყო – გზა, რომელსაც დაადგა ლათინურენოვანი მეცნიერული სამყარო და აქედან – მთელი

თანამედროვე ევროპა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს უშუალო კავშირი ბიზანტიასთან თანდათან სუსტდება და ბოლოს, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ (1453 წ.), სრულიად წყდება და იცვლება სპარსეთ-თურქეთთან პოლიტიკურ-კულტურული კონტაქტებით და შესაბამისად – გავლენებითაც: მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, ქვეყნის დაქსაქსულობამ, სახელმწიფოებრივი მმართველობის კრიზისმა და არასტაბილურობამ თავისი მძიმე კვალი დაუტოვა ქართულ ენას, კერძოდ, მის ლექსიკურ ფონდს, რომელშიც ქართული სიტყვის ადგილი დაიჭირა სპარსულ-თურქულმა ლექსიკურმა ნასესხობებმა. ძველ ქართველ მოღვაწეთა შეგნებული და პრინციპული დამოკიდებულება – მხოლოდ ქართულ ძირებზე დაყრდნობით შეექმნათ სპეციალური ტერმინოლოგია, შეიცვალა სრული ინდიფერენტიზმით და უკონტროლობით. ამ დროიდან მოყოლებული, ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში – სამართლის ძეგლებში, სიგელ-გუჯრებში, სამკურნალო წიგნებში – დიდი მოძალებაა აღმოსავლური ენებიდან ნასესხები სპეციალური ტერმინებისა, რომელთაგან უმრავლესობა დამკვიდრებულია თანამედროვე ქართული ენის ლექსიკურ ფონდში.

მსოფლიო ისტორია გვიჩვენებს, რომ კულტურული თუ პოლიტიკური გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი ყოველ ეპოქას ახასიათებს სხვადასხვაგვარად; ჩვენს ერს მრავალგზის მოუხდა ამ პროცესების გავლა და გადალახვა: ელინიზაციის ეპოქაში, როდესაც ფარნავაზ მეფემ შემოიღო „მწიგნობრობა ქართული“ და მას შემდეგ „ქართლსა შინა არა იზრახებოდა ენა, თვინიერ ქართულისა“; არაბობისა და ბიზანტიურ ხანაში, როდესაც შეიქმნა ქართული ეროვნული თვითშეგნების ბრწყინვალე ნიმუშები, რომლებიც გვაუწყებენ, რომ ქართულ ენაზე ამეტყველდა სრულიად ახალი მსოფლმხედველობა; ქართული სახელმწიფოს ძლიერების პიკში, წმ. მეფეთა – დავით აღმაშენებლისა და თამარის ბრწყინვალე ეპოქაში, როდესაც ქართული ენა მეტოქეობდა „ელინთა ენამზეობასთან“; აღმოსავლური (თურქულ-სპარსული) გლობალიზაციის პროცესსაც როგორღაც გაუძლო და თავი დააღწია ქართულმა ენამ; სულმნათი ილია ჭავჭავაძისა და სამოციანელთა წყალობით რუსიფიკაციის ძლიერ შემოტევასაც დააღწია თავი, დაბოლოს, ათეისტური კომუნისტური გლობალ-

იზაციის ეპოქაში, სულ ორმოციოდე წლის წინ იყო 14 აპრილი – ქართული ენის გამარჯვების დღე, რომელმაც დაგვარწმუნა, რომ სამოცდაათწლიანმა მარწუხებმა ვერ შეძლეს სამიათასწლიანი ქართული ეროვნული ცნობიერების ჩახშობა.

დღეს, ამ „კომპიუტერულ ეპოქაში“, როდესაც ქართული ენის წინაშე სრულიად ახალი ურთულესი ამოცანები დადგა საინფორმაციო სივრცეში სრულფასოვანი ჩართვისა, იგი ამ ახალი, უსულგულო გლობალიზაციის ეპოქაში უძლიერეს შემოტევასაც გაუძლებს, მიიღებს თავისთვის სასარგებლოს, გამამდიდრებელს და „ჯერკუალს განაგდებს“, მაგრამ ამისთვის უნდა იზრუნოს ნორმალურმა სახელმწიფომ, მან ხელი უნდა შეუწყოს სკოლას, მეცნიერებას, მწერლობას და მთელ ერს, რომლის კონსოლიდირებულ პოზიციას, როგორც ეს სხვადასხვა ეპოქაში გადამწყვეტი როლი შეუსრულებია საქართველოს ისტორიის უმძიმეს ეტაპებზე.

ცნობილია, რომ სალიტერატურო ენა უშუალოდაა დამოკიდებული სამეცნიერო ენის განვითარებაზე. თუ სამეცნიერო წრეები ზრუნავენ ენაზე, ქმნიან ტერმინებს, რომლებიც ქართული ენის ცოცხალ ლექსიკას თუ ძველ ქართულ მწერლობაში არსებულ მასალებს ეყრდნობა, ენა სწორად ვითარდება, მრავალი ტერმინი დროთა განმავლობაში სალიტერატურო ენის ბუნებრივი ნაწილი ხდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამეცნიერო ენის განვითარება სამეცნიერო წრეების დამსახურებაა, ენის დაცემა – მეცნიერული მუშაობის შესუსტების შედეგი. ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა განსაკუთრებით შეაფერხა ქართული ტერმინოლოგიისა და, შესაბამისად, ქართული სამეცნიერო ენის განვითარება.

ქართული ტერმინთშემოქმედებას ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ ეს ისტორია სრულად ჯერჯერობით შესწავლილი არ არის. შესაძლოა, ამიტომაც სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული ტერმინთშემოქმედების სკოლების გამოყოფის საკითხი არასოდეს დასმულა. ქართულ ტერმინთშემოქმედებაში შეგვიძლია გამოვყოთ ოთხი განსხვავებული სკოლა:

1. მე-10-12 საუკუნეებისა;
2. ილია ჭავჭავაძისა და მის თანამედროვეთა;
3. ე.წ. სიტყვარისტებისა;

4. საბჭოთა პერიოდისა.

როგორი უნდა იყოს ქართული დარგობრივი ტერმინოლოგია: ქართული, ქართულიც და საერთაშორისოც, თუ საერთაშორისო – ეს არის ის უმთავრესი საკითხი, რომლის შესახებ დავა იყო და იქნება მომავალშიც. მთავარი ისაა, რომელმა რა შედეგი მოუტანა ქართულ ენას, რომელი გზა იყო გამართლებული, რომელი – გაუმართლებელი. დღეს ამ საკითხს კვლევა და გარკვეული დასკვნების გაკეთება ქართული ტერმინოლოგიის ისტორიის შესწავლით სავსებით შესაძლებელია.

საუკუნეების ქართული ტერმინთშემოქმედება ჩვენს დროისაზე წინ წასულია და სიშორის მიუხედავად, ბევრ რამეს გვასწავლის.[6] ეს პერიოდი სწორედ იმითი არის გამორჩეული, რომ მთელი ევროპული კულტურის, მეცნიერების, ტერმინოლოგიის საფუძვლად აღიარებული ბიზანტიური კულტურა ქართველმა მთარგმნელებმა ისე გადმოიღეს, ქართული ენის ბუნება არასოდეს დავიწყებიათ. სწორედ ამ დროიდან იწყება ქართული ენის საკითხების კვლევა, ქართული სამეცნიერო ენის განვითარება. ეფრემ მცირემ, არსენ იყალთოელმა, იოანე პეტრიწმა და სხვებმა მრავალი ახალი სიტყვა შემატეს ქართულს, ენობრივი საკითხებისადმი მათი მიდგომის შედეგია ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: არსი, არსებობა, ხედვა, ხედვითი, არარაობა, ძლიერება, გონი, გონიერება, განცდა, ვითარება, მეცნიერება, უმეცრება, იგივეობა და მრავალი სხვა. ამ დროს შეიქმნა ქართული ფილოსოფიური, გრამატიკული, მათემატიკური ტერმინები.

ენა, ბუნებრივია, ცოცხალი ორგანიზმია. იგი ვითარდება სხვადასხვა ეპოქასა და გარემოში. ნასესხობა ამდიდრებს თუ აღარიბებს ენას – ამ საკითხზეც დავობდნენ და დავობენ დღე-

---

6 „რვა-ცხრა საუკუნის წინ ქართული მეცნიერული ენა ასეთი ღარიბი და უშნო არ ყოფილა; იმ დროის ხელნაწერები ნათლად გვიჩვენებენ, რამდენად მდიდარი და ეხლანდელზე უფრო განვითარებული ყოფილა მაშინდელი ქართული მეცნიერული ენა და რამდენად ჩვენზე უფრო სწორედ გრძნობდნენ ჩვენი განათლებული წინაპარნი თავიანთი ხალხის მოთხოვნილებებს და სამეცნიერო ტერმინების გაეროვნების აუცილებელ საჭიროებას“ („სიტყვარი“, 1920,15). „განსაკუთრებით დაძაბულ ტერმინოლოგიურ მუშაობას აწარმოებდნენ გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე და იოანე პეტრწინი. ჩვენ მოგვეპოვება არა მარტო მათ მიერ შექმნილი ტერმინები, არამედ მათი მსჯელობაც ამა თუ იმ ტერმინის დადგენისა და ვარგისობის შესახებ. ერთი სიტყვით, ნარმოებდა ნამდვილი ტერმინოლოგიური მუშაობა“ (ბერიძე, 1952, 29)

საც მეცნიერები. ერთი რამ ცხადია: უცხო ენების გავლენის ქვეშ მყოფი ენა, თუ მას ძველი ქართველი მთარგმნელები ან ილია ჭავჭავაძის მსგავსი გულშემატკივარი არა ჰყავს, ბუნებრივი გზით ვერ განვითარდება. სწორედ ასე მოხდა მე-13 საუკუნიდან: ქართულ ენაში შემოიჭრა თურქულ-სპარსული ნასესხობები, რომლებმაც, ცხადია, ქართული ენის ძირძველი სიტყობრივი საუნჯე შეცვალა. ამას დაერთო მე-19 საუკუნე, ქართული სალიტერატურო ენისთვის უმძიმესი ხანა.

თუ რა შეუძლია ქართულ საზოგადოებას ენის გადასარჩენად, ამის შესანიშნავი მაგალითი გვაქვს, საბედნიეროდ, საქართველოს ისტორიაში. ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამედროვეებმა თითქმის თავიდან შექმნეს ქართული სალიტერატურო ენა. სკოლა, თეატრი, ბანკი თუ სხვა დაწესებულება ჩვენში, ნათარგმნი თუ ორიგინალური თხზულებები უნდა ემსახურებოდეს ქართველი ერის წინსვლასა და ეროვნული ნიშნის უფლებათა დაცვასა და წარმატებას, ე.ი. ქართული ენის მოვლასა და მზრუნველობას, ზრდასა და განვითარებას, აღორძინებასა და აყვავებას. ამას ითხოვდა ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთაგან, ასე ქმნიდა ახალ სალიტერატურო ენას. სწორედ ამ საქმის შედეგი იყო ის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ქართველებმა შეძლეს ქართული სახელმძღვანელოების გამოცემა.

მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო კამათი მეცნიერთა შორის, თუ როგორი ტერმინები უნდა დაემკვიდრებინათ ქართულში: საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობდა, რომ ტერმინების შექმნა საჭირო არ არის, არაფერია იმაში ცუდი, თუ საერთაშორისო ტერმინებს შემოვიღებთო. სატერმინოლოგიო სექციის წევრები: ვასილ კაკაბაძე, გიორგი გედევანიშვილი, რუსუდან და გიორგი ნიკოლაძეები, ირაკლი მჭედლიშვილი, ივანე ბერიძე, მიხეილ შალამბერიძე ეწინააღმდეგებოდნენ ამ აზრს და, ჩემი აზრით, შესანიშნავადაც ამტკიცებდნენ ამ თვალსაზრისს. ვფიქრობთ, საერთაშორისო სიტყვები დროთა განმავლობაში ესპერანტოს მსგავს ჟარგონს დაამსგავსებდა ან ბაბილონური ზვავის ქვეშ მოიყოლებდა ქართულს („სიტყვარი", 1920, 19-20; ქაროსანიძე, 2012, 75-82).

მათ მიზნად დაისახეს უკლებლივ ყველა სიტყვის გაქართულება და ამ გზით ახალი ქართული სამეცნიერო ენის შექმნა.

როგორც რ. ლამბაშიძე წერდა: „ეს იყო თავგანწირული შრომა, ნაკარნახევი საქმის სიყვარულითა და ერის ინტერესებით“ (ლამბაშიძე, 1981, 155). ივ. ჯავახიშვილი ხუმრობით მათ „ბანგნასვამ სიტყვარისტებს“ უწოდებდა.

ივ. ჯავახიშვილი არსებითად სხვაგვარი ტერმინოლოგიური მუშაობის მომხრე იყო. იგი წინააღმდეგი იყო ხელოვნურად შექმნილი ტერმინებისა და ქართულ წყაროებში ეძებდა ახალი ცნებების შესატყვისებს. ასეთი განსხვავებული თვალსაზრისი ჰქონდათ მე-19 საუკუნის საზოგადო მოღვაწეებსაც: რაფიელ ერისთავი, აკაკი წერეთელი და სხვები ამტკიცებდნენ: საჭიროა თავიდან შევიტყოთ, თუ რა და რა ტერმინები გვაქვს ჩვენს ქართულ ენაზე ძველ წიგნებში. ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი და სხვები ამტკიცებდნენ, თუ აგრე შევუდექით ჩვენს საქმეს, შორს წავა და სარგებლობა კი დიდი არ იქნებაო (დროება, 1882,2).

დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ „სიტყვარისტების“ დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი გაუმართლებელი არ იყო. ქართულმა ენამ ბუნებრივად შეითვისა მათ მიერ შექმნილი იმ დროისათვის ხელოვნური ტერმინები: დენი, წნეხი, წნევა, ხსნარი, მინარევი, ბრჯენი, სადენი, კუთრი, წინაღობა, ხრახნი, ნათურა, მართობი, მართი კუთხე და სხვა.

შეიძლება, მეტიც დამკვიდრებულიყო, მაგრამ ტერმინთშემოქმედების ეს გზა საბოლოოდ უარყო საბჭოთა ეპოქამ. როგორც ვუკოლ ბერიძე წერდა 1935 წლის ტექნიკური ტერმინოლოგიის შესავალში: „სატერმინოლოგიო კომიტეტს თავის მუშაობაში იმთავითვე (1926 წლიდან) სახელმძღვანელო პრინციპად ჰქონდა ეს თვალსაზრისი: ინტერნაციონალური ტერმინების თარგმნა საჭირო არაა, უცხოური ტერმინების შემოტანა უფრო ამდიდრებს ქართულ ენას, ვინემ მისი თარგმნა. ამხ. ფ. მახარაძეს არაერთხელ მიუქცევია ყურადღება, რომ არაფერს მატებს ქართულს და უარსაყოფია ისეთი ხელოვნურად შექმნილი ტერმინები, როგორებიცაა: ბანჭვინი (ბენზინი), ძალარი (სპირტი), მენაკი (გრადუსი), თანწყობა (სისტემა) და სხვა ამგვარი“ (ტექნიკური, 1935, V-V1).

სპეციალისტთა აზრით, ტერმინოლოგია ის სფეროა, რომელსაც პოლიტიზება ვერ ასცდებოდა. თითოეული ტერმინის ისტორიისა თუ, ზოგადად, ტერმინოლოგიის შესწავლისას

ამ გარემოებას ვერ უგულებელვყოფთ. ფილიპე მახარაძის ბრძანება-თვალსაზრისის მიუხედავად, ამ ეპოქაში განსხვავებულად გაგრძელდა ქართული ტერმინთშემოქმედება. როგორც კი საშუალებას ნახავდნენ, ქართულ საქმეს აკეთებდნენ დიდი ქართველი მეცნიერები, თანაც თითქოს მიგვანიშნებდნენ კიდეც ამაზე. 1952 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ვუკოლ ბერიძემ ასე შეაფასა ძველი ქართული ტერმინთშემოქმედება: „პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენი წინაპარნი – გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი – გვჯობდნენ. ისინი ცდილობდნენ მეტ-ნაკლებად მშობლიური, ქართული ტერმინები დაედგინათ“ (ბერიძე, 1952,31). ვფიქრობთ, ამ სიტყვებშიც იკვეთება მისი თვალსაზრისი ქართული ტერმინოლოგიის შესახებ. ვუკოლ ბერიძის რედაქტორობით გამოსულ ლექსიკონებში საერთაშორისო ტერმინების გვერდით ქართული შესატყვისებიც უწერია. მისი გამოკვეთილი დამოკიდებულება ქართული ტერმინოლოგიის შესახებ სხვაგანაც ჩანს: „თუ ინტერნაციონალურ ტერმინს ქართულ ხალხურ სასაუბრო ენაში გააჩნია პარალელი, ჩვენც უთუოდ უნდა შემოვიღოთ იმ ვარაუდით, რომ ახლო მომავალში უცხო ტერმინი მოიხსნება და მარტო მშობლიური დარჩება სახმარებლად“ (ბერიძე, 1952,32).

ვუკოლ ბერიძის შემდეგ ქართული ტერმინოლოგიური მუშაობა როგნედა ღამბაშიძის ხელმძღვანელობით გაგრძელდა. შესანიშნავმა მეცნიერმა ნამდვილი სამეცნიერო კვლევითი ბაზები შეუქმნა მომავლისათვის. მის მიერ დასახული სატერმინოლოგიო მუშაობის წყობა ასეთი იყო:

1. ძველი ქართული ტერმინოლოგიის შესწავლა;

2. ქართულ დიალექტებში დადასტურებული ტერმინების შეკრება;

3. მთელი რიგი ტერმინოლოგიური საკითხების საფუძვლიანი მეცნიერული კვლევა.

ენათმეცნიერთა მტკიცებით, დღევანდელ ქართულ ტერმინთშემოქმედებას ნამდვილად შეიძლება ვუწოდოთ საგანგაშო. ერთი მხრივ, თითქოს იქმნება ტერმინები, შესაძლოა, შესანიშნავიც, მაგრამ ვერ მკვიდრდება. მეორე მხრივ, ენა ივსება უცხო სიტყვებით: კოგნიტური (ხანაც კოგნიტიური), კრეატიული, კონსენსი, ნონსენსი, დისკურსი, იდენტობა, იდენტიფიცირება, ლოჯისტიკა, და სხვა ამგვარი სიტყვების მოძალება სამეცნიერო

წრეების სისუსტეზე მიგვანიშნებს. სამეცნიერო ენა უცხო სიტყვათა სიჭარბით არ ჩამოუვარდება პრესის ქართულს. ამ და კიდევ მრავალგვარ და მრავალფეროვან უცხო სიტყვას წააწყდებით ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში. უცხო სიტყვების ასეთი მოზღვავება საფრთხეს უქმნის თურქულ-სპარსულ-რუსულ ენობრივ იერიშს გადარჩენილ ძირძველ სიტყვათა მარაგს. თითქოს უწყინარი სიტყვა ინტენსიური ხმარებიდან დევნის რამდენიმე ქართულ სიტყვას: კოკისპირული, ხშირი, მრავალფეროვანი, მრავალგვარი; კოგნიტურმა -შემეცნებითი ჩაანაცვლა, კრეატიულმა – შემოქმედებითი, ნოვატორულმა – ახალი; დაფიქსირება ასევე რამდენიმე სიტყვის ნაცვლად იხმარება: დღეს ქართველი იშვიათად იტყვის „გამოვხატავ", „აღვნიშნავ", „გამოვთქვამ", „გამოვკვეთ", თითოეულის ნაცვლად გამოიყენება „ვაფიქსირებ". უკვე არსებულ (ხშირად უძველესი დროიდან დამკვიდრებულ) ტერმინებს უცხოური ენაცვლება: გაუგებარია, რა საჭიროა უკვე დიდი ხნის წინ არსებული ცნებებისათვის ასეთი ტერმინების შემოღება. ასე გაჩნდა მე-20 საუკუნის ქართულ ენათმეცნიერებაშიც კი უამრავი უცხო ტერმინი: პრევერბი, ადვერბი, კორელატი, გაბსუბსტანტივება და მრავალი სხვა. მაგალითად, წინადადება – „იგი იყენებს ბრუნვის ფორმანტებს დერივაციული აფიქსების ფუნქციით" – ისეთივე დამახინჯებაა ქართულისა, როგორიც: „ეს არის დრაივი ლაივში" ან „თქვენი პერფორმანსი რელევანტურია".

ჩვენ თვალწინ იქმნება უცხო და არაბუნებრივი, გაურკვეველი ენა, რომელსაც „საერთაშორისო ქართული" შეიძლება ვუწოდოთ. ამას ბევრი ამჩნევს, ამის შესახებ ბევრი საუბრობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა თავისებურად და მარტო ცდილობს სირთულის მოგვარებას. დღეს ყველა უნივერსიტეტში არსებობს სატერმინოლოგიო ჯგუფი, მეტიც: ყველა ბანკს თავისი ტერმინთშემოქმედ-სტილისტი ჰყავს, სახელმძღვანელოების ავტორები თავად წყვეტენ, რომელი ტერმინი შეიტანონ წიგნებში. ამ ყველაფრის შედეგი, ცხადია, ვერ იქნება ერთიანი ტერმინოლოგია, ერთი სამეცნიერო ენა.

დღევანდელობა არსებითად განსხვავდება იმ ეპოქისაგან, როცა რამდენიმე უცხო სიტყვის გამოყენების გამო მკაცრად გააკრიტიკა ბარბარე ჯორჯაძემ ილია ჭავჭავაძე. ილიას თავად ეპყრა ქართული სალიტერატურო ენის სადავეები და თითოეულ

სიტყვას, შექმნილსა თუ უცხოს, თავის ადგილს უჩენდა ენაში.

სწავლულნი ასაბუთებენ, რომ დღეს სხვა საშიშროება ემუქრება ქართულს. საქართველოს თითქმის დაცლილი სოფლები საფრთხეს უქმნის ქართული სალიტერატურო ენის უმთავრეს მასაზრდოებელ ქართულ დიალექტებს, ხალხურ მეტყველებას. გლობალურ სამყაროში სხვა ერები ცხოვრობენ, მაგრამ, ჩვენგან განსხვავებით, ბევრმა მათგანმა თანამედროვე ტექნოლოგია მშობლიურ გარემოსთან შეთავსებით მიიღო, არაქართულ ვინდოუსზე გაზრდილ ახალგაზრდებს კი ქართული ანბანის გახსენებაც უჭირთ. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, დღეს, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება ქართული სამეცნიერო ენის დახვეწა, გამართვა, განვითარება. ამისთვის კი ქართული ტერმინოლოგიური სკოლების მიერ დასახული გზებიდან გადახვევა და რაღაც ახლისა და უჩვეულოს გამოგონება, ვფიქრობთ, საჭირო არ არის. ძველ მემკვიდრეობითობაზე აგებული სიახლე – ეს არის ქართული ტერმინთშემოქმედების დღევანდელი გზაც.

როგორც ისტორიკოსი, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ჩვენ ხომ ველურები არა ვართ, რომ ყოველი საქმე მუდამ თავიდან დავიწყოთ და წინაპართა ნამუშევარს ზურგი შევაქციოთ“.

მართლაც, ძნელია არ დავეთანხმოთ ჩვენს დიდ მამულიშვილს.

ილიას როლი საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში

ქართველი ერის, ქართველი ხალხის სულიერმა მოძღვარმა ილია ჭავჭავაძემ წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი ერის კულტურის ისტორიაში. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელებულ მთელ რიგ სხვა წამოწყებათა გარდა ეს ბრძენი წინამძღვარი ქართელი ერისა იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებაირახტრე, ნიშანსვეტი მე-19 საუკუნის ქართული სალიტერატურო სიტყვიერებისა.

დიდი ილია იმ დროს მოევლინა საქართველოს, როდესაც ჩვენს ქვეყანას უაღრესად სჭირდებოდა თავგანწირული წინამძღოლი. იგი ერის წინამძღოლის ნიშან-თვისებებით აღჭურვილი პიროვნება იყო; მან ნახევარი საუკუნის მანძილზე რაინდულად ზიდა ერის თავკაცის მძიმე ტვირთი, ზიდა, ვიდრე არ დაეცა მამულის საკურთხეველზე, ვიდრე მსხვერპლად არ შეეწირა იმ იდეას, რომელსაც შეგნებულად შეალია თავისი სიცოცხლე.

ილია ჭავჭავაძე თავისი პიროვნული ცხოვრებით, თავისი დიდი საერისკაცო მოღვაწეობით გვასწავლის და გვმოძღვრავს, მოქმედების გზას გვისახავს; ილია ჭავჭავაძის ცხოვრება გაკვეთილია მომავალი თაობებისათვის.

1868 წლიდან ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ილია გადავიდა დუშეთის მაზრაში ჯერ მომრიგებელ შუამავლად, ხოლო 1868 წლიდან მომრიგებელ მოსამართლედ. ილია ჭავჭავაძემ დუშეთში კარგა ხანი დაჰყო... მოუცლელობის მიუხედავად, გაფაციცებით ადევნებდა თვალს ქვეყნის ლიტერატურულ და კულტურულ მაჯისცემას. ამ დროისათვის დაასრულა ილიამ „გლახის ნაამბობი“, აქვე გაუკეთა საბოლოო რედაქცია „მგზავრის წერილებს“... საბოლოოდ დაამუშავა დრამატული პოემა „ქართვლის დედა“, აქვე შეიქმნა „1871 წელი, 23 მაისი, პარიზის კომუნის დაცემის დღე“, შესანიშნავი „ჩემო კარგო ქვეყანავ", დიდი პიროვნული ძალით აღბეჭდილი სატირული ლექსი „რა ვაკეთოთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“, „ბედნიერი ერი“... სწორედ აქედან, დუშეთიდან, დაესხა იგი თავს თავისი „გამოცანებით“ და „კიდევ გამოცანებით“ დიდ სახელმწიფო მოხელეებს და იმ ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებს, რომელთაც, მისი აზრით, ბრალად ედებოდათ იმ ადრესის შინაარსის შეცვლა,

საქართველოში ჩამოსულ ალექსანდრე მეორეს რომ მიართვეს 1871 წელს.

ილიას ნაწარმოებები ქვეყნდებოდა გაზეთ „დროებასა“ და ჟურნალ „კრებულში“ და საზოგადოების საყოველთაო ყურადღებით სარგებლობდა.

იმჟამინდელი ქართველი ინტელიგენცია, ილიას მეგობრები კარგად გრძნობდნენ, რომ მათ სჭირდებოდათ ილია ჭავჭავაძესთან უშუალო კავშირი, მისი უშუალო ხელმძღვანელობა. ქართული ინტელიგენციის წამომადგენლები, როგორც ნიკო ნიკოლაძე გადმოგვცემს, რამდენიმეგზის ასულან დუშეთში და ილიასთვის თხოვნით მიუმართავთ, რომ თბილისში დაბრუნებულიყო. ნ. ნიკოლაძე წერს: „საზღვარგარეთიდან რომ დავბრუნდი და ქართული ჟურნალისტიკის გაცხოველება განვიზრახე (70-იანი წლები), ილია ჭავჭავაძე... დუშეთში ცხოვრობდა. ჩემი პირველი ნაბიჯი იყო, რომ ყველა მაშინდელი ახალთაობის მომხრენი შევაგროვე და დავაჯერე, დუშეთში ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევ ქართულ მწერლობას დავუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ-მეთქი. 1871-1873 წლებში ხუთჯერ მაინც ავსულვართ დუშეთის „გრივით“ ქართული მწერლობის ალორძინების მოტრფიალენი... ბევრჯერ დაგვიპატიჟნია: მოდით, მეთაურად გაგვიხდით, გვიწინამძღვრეთ, გვიმსახურეთ-მეთქი.“

ბუნებრივია, რომ ილიას ფართო შესაძლებლობებიც მას დედაქალაქისაკენ მოუწოდებდა, ისიც ფრთაშეკვეცილად გრძნობდა აქ თავს. ამ დღეებში ილია პეტრე უმიკაშვილს ატყობინებდა: „მწერ მოახერხე როგორმეო, უეჭველად ქალაქში გადმოხვიდეო, ეგ ჩემი გადმოსვლა ადვილია, თუ ვაკანსია გაიხსნება. მაგრამ ჩემს დამოკიდებულებას ეგ რას უშველის, თუ კიდევ სამსახურში ვიქნები, მე უნდა სამსახურ გარეთ ვიყო. სამსახურის დანებება ჩემთვის ამჟამად დიდი არაფერია, და თუ სამსახურიდან გამოვალ, მარტო იმისთვის, რომ ჟურნალი გამოვჰსცე, ვფიქრობ, ვფიქრობ და ეგ გამოცემა ვერ მომიხერხებია. აი, სრულიად დაბრკოლება ჩემი, რომელიც ხელსა და ფეხს მიკრავს. თუ ორიოდ და სამიოდ რიგიანს (სად არიან?) მწერალზედ იმედი მექნება, ან უკეთ, მომეცემა, მაშინვე დავკრავ ფეხს, გადავვარდები ბახტრიონს გალავანზედა“.

ერთი სიტყვით, ილია შესაფერის დროს და ვითარებას ელო-

და და მალე ეს შესაფერის დროც დადგა.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში თბილისში გადაწყდა სათავადაზნაურო ბანკის დაარსება. იდეა ამ ბანკის დაარსებისა ეკუთვნოდა დიდებულ ქართველ საზოგადო მოღვაწეს დიმიტრი ყიფიანს, სული და გული ამ საქმისა ილია ჭავჭავაძე გახდა. ილიამ შეადგინა ბანკის წესდების პროექტი, შემდეგ კი რუსეთშიც გაემგზავრა მის დასამტკიცებლად. იდეა ბანკის დაარსებისა შემდეგში მდგომარეობდა. მთავრობამ მებატონეებს გლეხთა განთავისუფლებისას მისცა დიდი ფულადი თანხა. დ. ყიფიანის იდეით, ამ ფულის ნაწილით მებატონეებს უნდა დაეარსებინათ სათავადაზნაურო ბანკი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში არა მხოლოდ სესხის სახით დახმარებას აღმოუჩენდა თავადაზნაურებს, არამედ მონაგების საფუძველზე ბევრი საზოგადოებრივი საქმეც გაკეთდებოდა.

ილია ჭავჭავაძემ ძალიან დიდი დრო და ენერგია შეალია ჯერ ბანკის დაარსების და შემდეგ მისი ხელმძღვანელობის საქმეს. ერთი შეხედვით ეს თავგამოდება დიდი მწერლისა ლიტერატურულ საქმიანობასთან სრულიად შეუთავსებელ სფეროში ზოგს გაუგებრობადაც კი მოეჩვენა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ილია ჭავჭავაძე ბანკს უყურებდა არა მარტო წმინდა საფინანსო, არამედ როგორც ეროვნულ დაწესებულებას. ილიას აზრით, ბანკის მოგების უმნიშვნელოვანესი ნაწილი უნდა მოხმარებოდა ეროვნული დაწესებულებების დაარსებას და მათ საქმიანობას. ასეთი დაწესებულებების დაარსება შემდგომში მართლაც მოხერხდა. ილიას „ივერია", ქართული თეატრი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სხვა სწორედ ბანკის დიდი შემწეობითაც სულდგმულობდნენ. ერთი სიტყვით, ილია ჭავჭავაძის და სხვა ქართველ მოღვაწეთა ბევრი ნაოცნებარი ოცნებადვე დარჩებოდა, თუ მამულიშვილურ სურვილებს და ოცნებებს სათანადო ნივთიერი შესაძლებლობებიც არ გაუმაგრებდა მხარს.

ფაქტია, რომ ილიას მწარე გამოცდილება ჰქონდა – „საქართველოს მოამბის" დახურვის ერთი მიზეზი ახალგაზრდა რედაქტორის უსახსრობაც იყო. და, აი, დიდი ხნის ნაფიქრს შესაფერისი ჟამი დაუდგა... 1877 წლისათვის ეკონომიურად მომაგრებულმა ილიამ ეროვნულ საფიქრალზე, სატკივარზე განსჯის მიზნით დააარსა „ივერია", რომელიც 1879 წლიდან ჟურნალად, ხოლო

1866 წლიდან საბოლოოდ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა. დიდი ხნის წინათ 80-90-იან წლებში „ივერია“ ერთადერთ ორგანოსაც კი წარმოადგენდა ჩვენს ქვეყანაში. მისი მნიშვნელობა განუზომელია ჩვენი სამშობლოს საზოგადოებრივი აზრისა და კულტურის ისტორიაში.



ილია ჭავჭავაძე პრესისა და ჟურნალისტიკის ურთიერთმიმართების შესახებ

ილია ჭავჭავაძემ პრესის ამოცანა ასე განსაზღვრა: „ჟურნალ-გაზეთებს ორგვარი დანიშნულება აქვს. ერთის მხრით, იგი არის შუამავალი ცხოვრებისა და მეცნიერებას შორის, გამავრცელებელი კაცობრიობის ჭკუით მოპოვებულის, გამოძიებულის და აღიარებულის სიმართლისა, ჭეშმარიტებისა; მეორეს მხრით, იგი არის სარკე საზოგადოების რთულის ცხოვრებისა, მისი გონებითის, ზნეობითის მოძრაობისა. მასში სჩანს და ისახება ყოველდღიურის აზრის მიდენ-მოდენა."

ეროვნულ პრესას, განსაკუთრებით პუბლიცისტიკას, ხალხის წინამძღოლის მისია აქვს დაკისრებული.

ილიასეული გააზრებით, პრესა უნდა იყოს სწავლისა და ცოდნის გამავრცელებელი, „...რომლის მეოხებითაც უნდა აღორძინდეს, აღიზარდოს, დაფუძნდეს და გამშვენიერდეს საზოგადოების აზრი და რწმენა, გრძნობა და გემოვნება... მან უნდა ფეხი აუდგას თვითმოქმედობის ძალსა, მან უნდა აღადგინოს გონებითი და ზნეობითი ნიჭი".

ილიას მიაჩნდა, რომ „ქართველ ხალხში საჭიროა ეროვნული გრძნობის გაღვიძება".

სწორედ ეს გახლდათ ქართული ჟურნალისტიკის ილიასეული ეროვნული თვითშემეცნების, თვითარსებობის, თვითმოქმედების, თვითმყოფობის საზრისი.

ხალხთან დაახლოების მისწრაფება ყველაფერში თვალნათლივ ჩანს: მკითხველთა წრის გაფართოება, საზოგადოების ყველა ფენაში შეღწევა წმიდათაწმიდა ვალად გაუხდია. პუბლიცისტიკის მიზანია „მკითხველი საზოგადოების და ხალხის თავისაკენ გადაყვანა", – წერდა ნ. ნიკოლაძე.

პუბლიცისტიკის მიზანდასახულობათა გაფართოებამ ბუნებრივად გამოიწვია მისი თემატური და ჟანრობრივი მრავალფეროვნება. უნდა ითქვას, რომ იგი სრულიად მოიცავდა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, სახელმწიფო წყობილებისა და ხალხის მდგომარეობის საჭირბოროტო საკითხებს, მეცნიერებისა და აღზრდის სხვადასხვა პრობლემებს.

ილია ჭავჭავაძე ტოლობის ნიშანს სვამს ჟურნალისტიკასა და პრესას შორის, რადგან მე-19 საუკუნეში ორივე ტერმინი იდენტურ ცნებებად მოიაზრებოდა. ასევე ილია ხშირად იყენებდა ტერმინ „ჟურნალ-გაზეთობას“, რაც მისთვის „პრესის“ სინონომია.

თანამედროვე პრესის განსაზღვრება წარმოსდგება შემდეგნაირად:

ტერმინი „პრესა“ (ფრანგ. presse) ნებისმიერ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც პერიოდულ გამოცემათა (ჟურნალ-გაზეთების) ერთობლიობა. მედიის შესახებ გამოცემულ ერთ ფრანგულ ნაშრომში კი (დეფლორი/დენოსი, წიგნი „მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისათვის“) ვკითხულობთ: „დღეს სიტყვა პრესა მოიცავს მთელს ბეჭდვით სიტყვას, სამაუწყებლო, საკაბელო და კომპიუტერულ მედიას, რომელიც საზოგადოებას ახალ ამბებს გადასცემს.“ ეს განმარტება საყურადღებოც არის და საკამათოც.

ლექსიკონური განმარტების თანახმად, ინფორმაცია (informatio) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს შეტყობინებას, ცნობას რაიმეს შესახებ.

ინფორმირება (informo) კი – შეტყობინების (ცნობის) მიწოდებას, გადაცემას.

ეს ორი ცნება ჟურნალისტიკის არსს გამოხატავს. შეიძლება ითქვას, რომ სადაც არ არის ინფორმაცია და ინფორმირება, იქ არ არის ჟურნალისტიკა.

თანამედროვე ამერიკელ პრესის ექსპერტთა აზრით, ჟურნალისტიკის მიზანია, ადამიანები უზრუნველყოს ინფორმაციით, რომელიც მათ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სჭირდებათ, მაგრამ ეს უაღრესად საპატიო მისია რომ შეასრულოს, ჟურნალისტიკა თვითონ უნდა იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი.

დიდ ილიას თავისი შეხედულებანი ჟურნალისტიკის შესახებ ძირითადად ორ სტატიაში აქვს ჩამოყალიბებული. 1. „საქართველოს მოამბეზედ“ და 2. „ივერიის“ წინასიტყვაობა.

ქართული ჟურნალისტიკისმცოდნეობის მამამთავრად ილია ჭავჭავაძე გვევლინება. „ილიამ ღრმად და სწორად განჭვრიტა პუბლიცისტიკის მნიშვნელობა. ამიტომ დროისა და ენერგიის უდიდესი ნაწილიც ჟურნალისტურ მოღვაწეობას შეალია. შემთხ-

ვევითი არ არის, რომ მისი უმდიდრესი ლიტერატურული მემკვიდრეობის ძირითად ნაწილს სწორედ პუბლიცისტური ნაწერები შეადგენენ.

ჟურნალისტიკის საგანია სინამდვილის ასახვა.

ილია წერს: „საქართველოს მოამბემ“ უნდა მიაგნოს ცხოვრების მაჯის ცემას“.

„ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრება, მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია.“

როგორი იყო ილია ჭავჭავაძის შეხედულებები პრესაზე, მის ფუნქციებსა და ამოცანებზე?

„თუ ხელის-მომწერი არ ეყოლება ჟურნალსა, როგორ იცოცხლებს იგი?“ ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნიჭო ავტორები, რომლებიც საზოგადოების წრეებს ეკუთვნოდნენ, ფაქტიურად განაგებდნენ ჟურნალის ბედ-იღბალს, მათზე იყო დამოკიდებული ჟურნალის ყოფნა-არყოფნის საკითხიც, და ამიტომ მისი მესვეურები, ნებსით თუ უნებლიეთ, იძულებული იყვნენ გამოექვეყნებინათ მათ მიერ შემოთავაზებული მასალები. საქმე მარტო ის როდია, რომ ასეთი ვაი-ავტორების თხზულებები უმრავლეს შემთხვევაში სუსტი იყო. საკითხი ისმის მათი სოციალური ფუნქციის შესახებაც, რადგან თუ უიდეო, არაფრისმთქმელი ნაწარმოებების დაბეჭდვით ჟურნალი სინამდვილეში, ობიექტურად ასრულებდა გარკვეულ სოციალურ დაკვეთას – მკითხველის ყურადღებას აშორებდა ამდროინდელი ცხოვრების მიერ ნამოჭრილ აქტუალურ საჭირბოროტო საკითხებს.

ილია შემდეგ უფრო აღრმავებს საკითხს: „ეგრეთ ჯოჯოხეთში არის ხოლმე ყოველი რედაქტორი, რომლის ჟურნალსაც საკუთარი კაპიტალი, ანუ თანხა არა აქვს. გინდა თუ არა, უნდა დამოკიდებული იყო იმ კაცებზედ, რომელნიც წინდაუხედავად, უთავბოლოდ, რაც მოხვდებათ და როგორც მოხვდებათ, ჰბეღავჯნიან, რადგან იმედი აქვსთ, რომ საბრალო „ცისკარი“ მათგან ფულით დავალებული, ნებით, თუ არა ნებით, აღარ მისცემს თავის ფურცლებში იმათ გამოუსადეგ სტატიასა...“ როგორც ხედავთ, ილია გვევლინება არა მარტო ქართული ლიტერატურის, არამედ ქართული პრესის რეფორმატორადაც... სოციალური ასპექტი ქართული პრესისათვის ის იყო, რომ წყდებოდა მკითხველთა აუდიტორიის საკითხი, – თუ ვინ უნდა ყოფილიყო მკითხველი,

„მაღალი შტილის“ მოტრფიალე არისტოკრატია თუ საზოგადოების სხვა ფენაც, რომელიც თავის ენაზე ლაპარაკობდა და რომლისთვისაც უცხო იყო ანტონ კათალიკოსის მერ შემუშავებული ენობრივი ნორმები, ვისზე უფრო მეტად უნდა აეღო ორიენტაცია გაზეთსა თუ ჟურნალს? („საქართველოს მოამბე“, „დროება“ და „ივერია“ (როგორც ჟურნალს, ასევე გაზეთს).

როგორც ცნობილია, ილიას სტატიამ „ორიოდე სიტყვა...“ დიდი აურზაური გამოიწვია ძველი თაობის მესვეურთა შორის, ე.წ. „მამათა ბანაკში“. ბარბარე ჯორჯაძე, გიორგი ბარათოვი, რევაზ ერისთავი გააფთრებით ეკვეთნენ ახალგაზრდა კრიტიკოსს, მაგრამ საკადრისი პასუხი მიიღეს მისგან და მალე ყოველგვარი პოლემიკის ხასიათი წაუხდათ. ილიას „პასუხის“ წერილმა უდიდესი როლი შეასრულა ქართული კრიტიკული აზრის ისტორიაში.

„ნუთუ მართლა, – წერს ილია, – რაც „ციკარში“ იწერება, საქართველოს ხალხის ფიქრია, ჭკუაა, გონებაა, ჩვეულებაა? ნუთუ მართლა „ცისკარში“ ჩვენი განვითარებაა, ჩვენი განათლების ხარისხია გამოთქმული? ნუთუ მართლა ეგრეცა რუსთაველის ხალხი, რომ ეგრე ფიქრობს, ეგრე ჰგრძნობს? მეც მაგასა ვჩივი და ვსტირი, რომ არა, ათასჯერ არა.“ ეს სიტყვები მიგვანიშნებს, რომ ილიას პრესა მიაჩნია საზოგადოებრივი ცხოვრების სარკედ, „ცისკარი“ კი თავის ამ უმაღლეს მისიას არ ასრულებს. ამით ის გვიჩვენებს იმ დისპროპორციას, რაც ჟურნალსა და ცხოვრებას შორის შეიქმნა. პირველი სხვა გზით მიდის და მეორე – სხვა გზით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ „ცისკარი“ არ გამოხატავს ქართველი ხალხის ფიქრებსა და გრძნობებს, მის მისწრაფებებსა და მოთხოვნილებებს.

ილია ჭავჭავაძე პრესის შესახებ თავის წერილებსა და გამონათქვამებში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჟურნალის საქმიანობას არ შეიძლება საფუძვლად ედოს სუბიექტური ფაქტორები; ასეთი ორგანო განწირულია დასაღუპავად.

„ჟურნალი, როგორც სხვა, ისე ჩვენიც, – ამბობს ილია, – არ არის ერთი კაცის სურვილის ნაყოფი: მოუვიდა ჟინი წერისა და გამოსცა. არა, მაგისთანა ჟურნალი თავს დიდხანს არ დაიჭერს... ყოველი საჭიროება ცხოვრებიდგან წარმოდგება. თუ ცხოვრებას არ უნდა, ვერასოდეს ვერ მიამყნობთ ისე, რომ ნამყნობმა იხეიროს და ნაყოფი მოიტანოს.“ შეუძლებელია, არ დავინახოთ,

რომ ილია სავსებით მართებული პოზიციებიდან უდგება პრესის საზოგადოებრივი ფუნქციონირების განსაზღვრის საკითხს და პრინციპულად მოითხოვს ჟურნალისა თუ გაზეთის საქმიანობის ობიექტურ ხასიათს. ილია გვეუბნება, რომ პრესის ორგანო წარმოადგენს არა გამომცემლის ან რედაქტორის ერთპიროვნულ, ინდივიდუალურ ქმნილებას, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ადამიანთა ერთობის შრომის შედეგს. იგი არა მხოლოდ ინდივიდუალური საქმეა, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანული, განუყოფელი ნაწილია.

თავი და თავი, წერს ილია, არის საზოგადოებრივი ცხოვრების მსჯელობის ფეხდაფეხ სვლა, მისი საჭიროებების განუხრელი გათვალისწინება: „მარტო ის საქმეა მკვიდრი და მტკიცე, რომლის ფესვიც შიგ ცხოვრებაშია გამოკვანძილი; უიმისოდ ვერა საქმე ვერ გასძლებს, ვერ მოიტანს ნაყოფსა, როგორც თესლი უდედამიწოდ... როცა ხალხს უნდა და ვერ მისწვდომია მეცნიერების ნაყოფსა, მაშინ ხალხის საშველად სხვათა შორის გამოვა ჟურნალები.“ აქვე არკვევს იგი ჟურნალის კრედოსაც: „რაც კი პირდაპირ მოედგმება ცხოვრების ვითარებასა, რაც კი გადმოიღება ცხოვრებისთვის – ის იქნება უფრო საჭირო ჩვენი ჟურნალისათვის.“

ილია აცხადებდა „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია.“

რა მიზნებისაკენ უნდა მიისწრაფვოდეს ჟურნალისტიკა და რა ამოცანები უნდა გადაჭრას მან ამასთან დაკავშირებით? ილია ამ კითხვებზეც იძლევა პასუხს და მიუთითებს, რომ ჟურნალი მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის მოვალეობას, თუ კარგად ჩაუკვირდება და შეისწავლის თანამედროვე ცხოვრებას; მან „ყველაფერი უნდა შენიშნოს და ყველაფერს პასუხი უნდა გასცეს, ერთი სიტყვით, უშველის ცხოვრების წინ ფეხის გადადგმასა გასამჯობინებლად, გასაკეთებლად.“ ნიშანდობლივია, რომ აქ ლაპარაკია პრესის როლზე არა მხოლოდ ცხოვრების რეალისტური ასახვისა („ყოვლისფერი შენიშნოს“) და მოვლენების ინტერპრეტაციის საქმეში („ყოვლისფერს პასუხი გასცეს“), არამედ საზოგადოებრივი განვითარების პროგრესშიც, – მან ხელი უნდა შეუწყოს ცხოვრების გარდაქმნას, მის გაუმჯობესებასა და წინსვლას. ილიას მოსწრებული გამოთქმით, პრესა წარმოადგენს

„უდიდეს სასწავლებელს“, რომლის მეშვეობითაც ხდება ერში, ასე საჭირო, ასე სანუკვარი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება.

როდესაც ილია ჭავჭავაძე ცხოვრების პრესაში ასახვის აუცილებლობაზე ლაპარაკობს, იგი მიუთითებს იმაზეც, რომ ჟურნალსა და გაზეთს უნდა გააჩნდეს გარკვეული პოზიცია, თავისი მრწამსი, რომლის მიხედვითაც უნდა გააშუქოს მოვლენები და ისე მიიტანოს მკითხველამდე: თითოეულ საგანს, ყოველ მოვლენას ცხოვრებისას, ავსა თუ კარგს, დიდს თუ მცირეს, – წერს იგი, – ჟურნალ-გაზეთობამ უნდა მიაქცოს ჯეროვანი ყურადღება და შეძლებისამებრ მისცეს სასტიკს გარჩევას, განმარტებას თავისის რწმენისა, აზრისა და ცოდნის დაკვალად. ამ შემთხვევაში მძიმე საქმეზედ ექნება ლაპარაკი, უმცირეს საგანზედ – ყოველგან და ყოველისფერში ჟურნალ-გაზეთმა უაღრესი და უპირველესი მნიშვნელობა უნდა მისცეს იმ იდეას, იმ დედა-აზრს, რომლითაც თითონ სულდგმულობს, იმ გონებითს მხედველობას, რომლითაც თვით უყურებს საგანსა.“

ილია ამბობს, რომ მკითხველის ჭეშმარიტი პატივისცემა ის არის, რომ პირში გულახდილად ადამიანმა ადამიანს მართალი სიტყვა უთხრას, არ შეურაცჰყოს მისი ადამიანობა, მისი კაცობრიული გრძნობა, ღირსება და პატივი.“

თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც ილია ჭავჭავაძე სიფრთხილეს (გაიხსენეთ შექსპირის სიტყვები: „სიფრთხილე სიკეთეა“), დიპლომატიურ მოქნილობას აიძულებდა არა სიმხდალე, არამედ უსასტიკესი ცენზურა. ერთგან იგი აღნიშნავს კიდეც: „ამ წერილს თირკმლები განგებ ამოვაცალეთ და შუა წელი გამოვსჭერით, რომ თავსა და ბოლოს მაინც ნება ჰქონოდა ქვეყანაში გამოსვლისაო“.

ილიას ნააზრევისა და პრაქტიკული მოღვაწეობის საზრისის გაგება და შეფასება დიდი ხანია გაცხოველებულ ინტერესს იწვევს (როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ საკუთრივ ქართველოლოგიაში). ასევე დიდი ხანია, რაც ამ გაგებასა და შეფასებაში ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებები არსებობს.

ილია „აჩრდილში“ წერდა:

ორი რამ იყო, რისთვისაც ძე შენი იღწვოდა, -
ბედმა უწყალომ სხვა საქმისთვის არ მოიცალა,

მამულისა და სჯულისთვის იგი იბრძოდა,
ორივ დაიცვა, მაგრა ყველა მათ ანაცვალა.

წარსულის ცოდნის საფუძველზე თვით ანმყოს გააზრება, მომავლის განჭვრეტა უფრო ღრმად და საფუძვლიანად ხდება.

დასასრულ, მოგვყავს დიდი იაკობ გოგებაშვილის, პედაგოგისა და მწერლის შესანიშნავი სიტყვები: „დიდება ილიასი მით უფრო იმატებს, რაც უფრო ზედმიწევნით გაეცნობა ქართველობა ნამდვილს ილიას, შეიგნებს იმის დიდებულს და წმინდა ქართულ ენას, მის მაღალ აზრებს, პროგრესულს იდეალებს, მის დემოკრატიულს მიმართულებას, წმინდა ეთიკას სრულის ადამიანობისას".

ქართულმა ჟურნალისტიკამ ძნელი გზა გამოიარა. აღმავლობა და წარმატება ცალკეულ გამორჩეულ პიროვნებებზე იყო დამოკიდებული. მე-19 საუკუნეში ასეთები იყვნენ განმანათლებელი და ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, გაზეთ „ტფილისის უწყებანის" რედაქტორი სოლომონ დოდაშვილი, პუბლიცისტი, მწერალი და რედაქტორ-გამომცემელი ივანე კერესელიძე, გაზეთ „დროების" რედაქტორი სერგეი მესხი და დიდი ილია.

ილია ჭავჭავაძემ მე-19 საუკუნის 90-იან წლებში სრულიად დაანება თავი საგაზეთო მოღვაწეობას. თუმცა რედაქტორი იყო, მაგრამ სარედაქციო საქმეებში არ ერეოდა და ძალიან იშვიათად სწერდა" (გ. ლასხიშვილი); ილიას ქმედითი მონაწილეობის გარეშე კი „ივერია" სრულფასოვნად ვერ ასრულებდა იმ დროს მთავარი ქართული გაზეთის დანიშნულებას.



მე-19 საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის კულტურულ-სალიტერატურო სივრცე

მე-19 საუკუნის 20-30-იანი წლების ქართულ კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ამ ხანებში საფუძველი ეყრება ქართულ პერიოდულ გამოცემებს.

მე-19 საუკუნის 20-იან წლებამდე ქართული პერიოდული გამოცემა არ არსებულა. ცნობილი მკვლევარი ზაქარია ჭიჭინაძე თავის ბროშურებში „ქართული სტამბები" და „ქართული გაზეთის ასი წლის ისტორია" (თბილისი, 1916 წ.) იძლევა ცნობას, რომ თითქოს მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში გამოდიოდა გაზეთი, რომელსაც ჯერ ერქვა „ბრძანება და უწყება", ხოლო შემდეგ „ლეპორტი". (ჩვენის მხრივ დავეთანხმებით ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნინო ვახანიას კვლევას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით („ჩვენი XIX საუკუნე", თბ.; 2012). ამ ცნობის უზუსტობა დღეს დადასტურებულია. არავითარი გაზეთი იმ დროს საქართველოში არ არსებულა. მე-19 საუკუნემდე უკეთეს შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მხოლოდ გაზეთის გამოცემის ცდა. ეს ცდა ეკუთვნის მე-18 საუკუნის მიწურულს. 1799 წელს ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ იოანე ბატონიშვილმა მამამისს – გიორგი XII-ს წარუდგინა სახელმწიფო ადმინისტრაციული მმართველობის გაუქმების პროექტი. ამ პროექტში, სხვათა შორის, დასმულია საკითხი გაზეთის გამოცემის დაწყებისა. გიორგი მეფეს ეს წინადადება მოუწონებია, მაგრამ, სამწუხაროდ, გაზეთის გამოცემის საქმე არ განხორციელებულა. ამასობაში საქართველოში მეფობა გაუქმდა. გაიარა ამის შემდეგ წლებმა და, აი, 1818 წლის მიწურულს ქართულ საზოგადოებას ოფიციალურად ეუწყა, რომ მომავალი, 1819 წლიდან ქართულ ენაზე გამოსვლას დაიწყებდა გაზეთი. და, აი, მართლაც, 1819 წლის 8 მარტს თბილისში გამოსვლას იწყებს პირველი ქართული გაზეთი სახელწოდებით „საქართველოს გაზეთი".

„საქართველოს გაზეთი" იყო პირველი პერიოდული გამოცემა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაშიც.

„საქართველოს გაზეთი" იყო ყოველკვირეული ორგანო, გამოდიოდა პარასკევობით. გაზეთს გამოსცემდა კავკასიის სამხ-

ედრო კორპუსის შტაბი (იბეჭდებოდა შტაბისავე სტამბაში), გაზეთი იყო ოთხგვერდიანი, თაბახის ზომისა.

„საქართველოს გაზეთის“ ტექსტი დგებოდა ჯერ რუსულ ენაზე, ხოლო შემდეგ ითარგმნებოდა ქართულად. გაზეთი გამოდიოდა 1821 წლის ბოლომდე. 1821 წლის მიწურულს გაზეთმა გამოაცხადა ხელის მოწერის მიღება 1822 წლიდან, მაგრამ არ გამოსულა.

„საქართველოს გაზეთი“ იყო საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის იარაღი, როგორც ასეთი, ის ვიწრო ამოცანებს ემსახურებოდა. გაზეთი არ აშუქებდა იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან ამოცანებს.

მიუხედავად ამისა, „საქართველოს გაზეთს“ ისტორიული მნიშვნელობა მაინც აქვს. როგორც პირველი გაზეთი, იგი წარმოადგენს ქართული ჟურნალისტიკის განვითარების სათავეს.

„ქართული გაზეთი“ გამოდიოდა 1821 წლის ბოლომდე. 1821 წლის მიწურულს გაზეთმა გამოაცხადა ხელის მოწერის მიღება 1822 წლისათვის, მაგრამ არ გამოსულა.

მე-19 საუკუნის ქართული გაზეთებისა და ჟურნალების დაარსების ისტორიის, ცალკეულ პერიოდულ გამოცემათა ხასიათის, მიმართულებისა თუ მიზანდასაზულობის, მათ მიერ ქართული ჟურნალისტიკის, კულტურულ-სალიტერატურო ცხოვრების, – ისტორიაში დატოვებული კვალი უდიდესი მნიშვნელობისაა. საქმე ის არის, რომ ამ პერიოდში ქართველ ხალხს არ ჰქონდა საკუთარი სახელმწიფოებრიობა და არც მისი ენა იყო სახელმწიფოებრივი, ოფიციალური ენა ქართული ადმინისტრაციულ აპარატსა და თვით სკოლებშიც აკრძალული იყო. ამიტომაც პირველი ქართული ბეჭდვითი სიტყვა მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს, მაშასადამე, იგი დიდ ყურადღებას იმსახურებს.

ყველაფერი, რაც მე-19 საუკუნის საქართველოში ხდებოდა, ხდებოდა თავისი ბუნებით და მიზანდასახულობით, ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ ზუსტი ნათქვამი რომ მოვიშველიოთ, „ორი საქართველოს“ არსებობით იყო განსაზღვრული. ამ ეპოქის საქართველოს ყოფა-ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში ჩვენ ვხედავთ ანტაგონიზმს ქართველთა ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს შორის – საქართველო, ერთი მხრივ, როგორც მრა-

ვალსაუკუნოვან ტრადიციებზე დაფუძნებული ეროვნულ-კულტურული ორგანიზმი და, მეორე მხრივ, რუსეთის ვრცელი იმპერიის ჯერ ერთ, ხოლო შემდეგ ორი გუბერნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ერთმანეთში შერწყმული რუსული სახელმწიფოებრივ-მმართველობითი პოლიტიკით და იდეოლოგიით, რომელიც თავისი ხასიათით ასიმილაციური ბუნებისა იყო... და ეს „ასიმილაციური ბუნება", იშვიათი გამონაკლისის გარდა, მეტ-ნაკლებად აგრესიული ფორმებით იყო გამოვლინებული.

ამრიგად, საქართველოში ოფიციალურ (რუსიფიკატორულ-ანტიქართულ) პოლიტიკურ-მმართველობით კურსსა და იდეოლოგიას უნდა წარმოეშვა სანინააღმდეგო (ეროვნულ-ქართული) კულტურულ-იდეოლოგიური სისტემის ჩამოყალიბებისა და პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებლობა და, საბედნიეროდ, ეს ასეც მოხდა – მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება პოლიტიკური მიზანდასახულობის დაპირისპირების ასპარეზად იყო ქცეული... ამ ორთაბრძოლაში განმსაზღვრელი როლი ქართულმა ჟურნალისტიკამ იტვირთა.

აღსანიშნავია ასევე სხვა ქართველ მამულიშვილთა მისწრაფებანი თუ მიზანდასახულობანი ბეჭდვით სიტყვასთან დაკავშირებით, როგორც ქართული საქმის მამოძრავებელი მძლავრი იარაღი.

იმჟამინდელ „ველიკოდერჟავული" ხასიათის შოვინისტურ პრესას ქართულ საზოგადოებას პატრიოტულად განწყობილი ნაწილი, რა თქმა უნდა, ეროვნული მიმართულების პატრიოტულ გამოცემათა დაარსებით უნდა დაპირისპირებოდა. ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის, პუბლიცისტის დიმიტრი ყიფიანის შეხედულებით, სწორედ „ჟურნალ-გაზეთობა" უნდა გამხდარიყო ჩვენი ისტორიული წარსულისა და ეროვნულ-კულტურულ ფასეულობათა პოპულარიზაციის, მშობლიური ენის დახვეწა-განვითარების ეროვნული კონცეფციის ჩამოყალიბებისა და გავრცელების მძლავრ საშუალებად. ეროვნულ პრესას საზოგადოება დენაციონალიზაციის მომაკვდინებელი საფრთხისაგან უნდა ეხსნა და საქართველო, ეროვნულ-ინდივიდუალური ორგანიზმი უნდა გადაერჩინა. ამასთან დაკავშირებით დიმიტრი ყიფიანი საგულისხმოდ აღნიშნავდა:

„რა არის ახლა ან ვინ არის ახლანდელს ჩვენს წყობილებაში

ჩვენი წინამორბედი, ჩვენი დამმოძღვრებელი, ჩვენი მეგობარი და ჩვენი მეინახე? ეს არის სტამბა, ეს არის ბეჭდვა. უჟურნალოთ, უგაზეთოთ რიღას მაქნისანი ვართ ახლა?"

როგორც ერთი ლიტერატურათმცოდნე წერს: იგი „არა იტყოდა „ჰოს", როცა მისი გული ამბობდა „არას".

ასე ფიქრობდა, ასე მოქმედებდა, ასეთი გახლდათ შემდგომში აწ უკვე წმინდანად შერაცხული სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ, ღირსეული ერისკაცი დიმიტრი ყიფიანი.

1905 წელს გაზეთ „ივერიაში" დაბეჭდილ წერილში „ნუთუ?" ილია ჭავჭავაძე წერდა „მოგზაურში" გამოქვეყნებული სახელის გამტეხი წერილის პასუხად: „მეც დიდი პატივისმცემელი ვარ პრესის... მაგრამ იმისთანა პატივისმცემელი კი არასდროს ვყოფილვარ და არცა ვარ, რომ წარამარად ბღავჯვნას პრესის წმინდა სახელი ვუწოდო, ან პრესის ყოველივე საქციელი ვაქო და ვადიდო ბრმად და განუსჯელად" (ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. ტ.5, გვ. 271-272).

ოთხმოცდათხუთმეტი წლის შემდეგ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცი და კულტურტრეგერი ზვიად გამსახურდია წერილში („უკვდავი პრესა", გაზ. „თავისუფალი საქართველო", 1990, ოქტომბერი, №1) თავისი ჩვეული პირდაპირობით შემდგომში იტყვის: (გთავაზობთ ნაწყვეტს) „ილიასეული „საქართველოს მოამბე" და „ივერია" მკურნალობდნენ ერის წყლულს, სამზეოზე გამოჰქონდათ ჩვენი სამშობლოს ჭირ-ვარამი. ილიას პრესამ ფეხზე დააყენა ქართული აზრი, გამოაღვიძა და დარაზმა ერი." „...გაზეთები და ჟურნალები – „საქართველო", „ისარი", „ქართული სიტყვა", „სახალხო საქმე", „ქართლოსი", „პრომეთე", „ილიონი", „საქართველოს სამრეკლო", „ბედი ქართლისა", „კავკასიონი", „ახალი კავკასიონი", „გუშაგი" და მრავალნი სხვანი – აღორძინება ქართული პრესისა, საქართველოს განთავისუფლებისა და აღორძინების გზების მაძიებელი ერის გამაერთიანებელი"... თუმც „გასაბჭოებულ" საქართველოში 1924 წლიდან 1975 წლამდე თავისუფალი პრესა არ არსებობდა და ფიზიკურად ვერც იარსებებდა დრაკონული, ტოტალიტარული, რეპრესიული რეჟიმის სისასტიკის გამო, უსასტიკესი ცენზურისა და სუკის ტერორის პირობებში. გაყიდული კომუნისტური პრესა

კი არ პასუხობდა ქართველი ერის გულისთქმას, იგი სულთა თანა იყო საფლავის „მშვიდობის მომასწავებელი“.

ჩვენს მიერ აღდგენილი „საქართველოს მოამბე“ და „ოქროს საწმისი“ (ჰელსინკის ჯგუფის ჟურნალები) იყო ყვავილი, ყინულზე აღმოცენებული, რომელიც ისევ მალე გათოშა ტოტალიტარიზმის ზამთარმა. ეს იყო სასწაული, ეული ვარსკვლავი უკუნეთ ღამეში, რომელიც შეებრძოლა ბოროტების იმპერიას... ანტიერვნულ, რუსიფიკატორულ პოლიტიკას; იგი ქომაგად დაუდგა ქართულ ენას, საქართველოს ეკლესიას, დასაღუპად განწირულ ძეგლებს, ქართულ კულტურას.

კომუნისტურმა ხელისუფლებამ უსასტიკესი ომი გამოუცხადა თავისუფალ პრესას და მის მესვეურებს... მათ ვერ გატეხეს ჩვენი ნება და თავისუფალი ქართული პრესა და თავისუფალი ქართული ნება კვლავ აღორძინდა...“ – დასძენს ზვიად გამსახურდია.

ახლა კი კვლავ ილიას ჟურნალს დავუბრუნდეთ.

ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ პირველსავე ნომერში გამოქვეყნდა მისი რედაქტორის ილია ჭავჭავაძის სარედაქციო წერილი „საქართველოს მოამბეზედ“ (ილია ჭავჭვაძე, თხზ. სრ. კრებ, ტ. 3, 1953, გვ. 450-470), რომელიც, როგორც ცნობილია, არა მარტო ამ ჟურნალის, არამედ მთელი ახალი თაობის, – „თერგდალეულების“ სამოქმედო პროგრამასაც წარმოადგენდა. მასში თანმიმდევრულად არის გადმოცემული ილია ჭავჭავაძის, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცის მსოფლმხედველობის თითქმის ყველა ასპექტი და დიდი ადგილი აქვს დათმობილი პრესის დანიშნულებისა და ფუნქციის განსაზღვრას.

ი. ჭავჭავაძისათვის მტკივნეული იყო ის, რომ მის წინააღმდეგ დაწერილი პასკვილი სწორედ „ივერიამ“ გადაბეჭდა და ამით ხელი შეუწყო საზოგადოების ფართო ფენებში მის გავრცელებას. თუმცა მას წინ კიდევ უფრო დიდი იმედგაცრუება ელოდა – საპასუხო წერილი „ნუთუ?“, რომელშიც ილიამ ქვა ქვაზე არ დატოვა „მოგზაურში“ გამოქვეყნებული ცილისმწამებლური პუბლიკაციიდან, „ივერიამ“ არ გამოაქვეყნა და რედაქციამ იგი დამატების სახით ცალკე ფურცლად ჩადო გაზეთის ნომერში, თანაც დაურთო სარედაქციო შენიშვნა: „მკითხველი, რომელიც იცნობს

ჩვენი გაზეთის მიმართულებას, თავის თავად მიხვდება და ჩვენის მხრით თქმაც ზედმეტია, რომ ზოგიერთ საზოგადო მოსაზრებაში პატივცემულ ავტორს ვერ დავეთანხმებით". მოგვიანებით ფ. გოგიჩაიშვილმა ასე გაამართლა თავისი საქციელი: „1905-1906 წლებში ილიას წინააღმდეგ დაიწყო საშინელი კამპანია. „მოგზაურში" დაიბეჭდა ილიას წინააღმდეგ წერილი. ილიამ დასწერა სა-პასუხო წერილი და გადმომცა „ივერიაში" დასაბეჭდათ. „ივერიის" თანამშრომლებმა გაიგეს, რომ მიღებულია ილიას პასუხი, რო-მელიც „ივერიაში" უნდა დაიბეჭდოს... რედაქციაში იყვნენ ბევრი თანაშრომლები, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ თუ ილიას პასუხი დაიბეჭდებოდა გაზეთში, მაშინათვე გაფიცვას მოვაწყობთო... მივმართე სხვა საშუალებას, რათა დამებეჭდა ილიას პასუხი. წერილი ავაწყე ცალკე გვერდად და დამატების სახით ჩავდევი „ივერიაში" და თანაც შენიშვნა გავუკეთე, რომ ავტორის ზოგად მოსაზრებას რედაქცია არ იზიარებს (აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამით ილია გულმოსული დარჩა). ეს შენიშვნა იმით იყო გამოწვეუ-ლი, რომ შემენელებია ყურადღება ილიას მოწინააღმდეგეებისა. ამ შენიშვნას სხვა მნიშვნელობა არ ჰქონია..."

ილია თავის ლიტერატურულ კრიტიკოსებს არასოდეს პასუხს არ აძლევდა, მაგრამ, როცა რომელიმე ჯგუფის შეხედულებები ეროვნული ინტერესებისათვის საზიანოდ მიაჩნდა, უპასუხოდ არ სტოვებდა და, ჩვეულებრივ, მწვავე ფელეტონს მიმართავდა, რათა ერთი დარტყმით ეჩვენებინა თავისი სიმართლის ძალა.

„ივერიით" ი. ჭავჭავაძე ახალ გზას დაადგა და „სხარტულა" ამჯერად ამ ეროვნული მიმართულების დასაცავად გამოიყენა.

1990-იანი წლების რუსეთის იმპერიაში შექმნილმა რევოლუ-ციურმა სიტუაციამ ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ აზროვნებაში კიდევ ერთი ტრანსფორმაცია გამოიწვია – პოლიტიკურმა ვი-თარებამ მას უკარნახა, რომ დადგა რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიის, როგორც პოლიტიკური მოთხოვნის, დაყენების დრო. ამასთანავე ილია მიიჩნევდა, რომ ეს უნდა მომხ-დარიყო კანონიერი (ლეგალური) და არა რევოლუციური გზით, ხოლო ავტონომიის ლეგალური გზით მოპოვების საშუალებას იგი 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებში ხედავდა. ამ მხრივ, საყურადღებოა ილიას სიტყვები, რომლებიც მას არ-ჩილ ჯორჯაძისთვის უთქვამს: „ახალმა თაობამ კარგად უნდა

დაიმახსოვროს ერთი რამ: ჩვენ უნდა ვიყვნეთ მომხრენი მონარქიული პრინციპისა. რუსეთის იმპერატორი ამავე დროს ქართველთა მეფეა. 1783 წლის ხელშეკრულება, რომლის ძალით საქართველო რუსეთს შეუერთდა რუსეთის მონარქთან გვაქვს დადებული, თუ გინდათ, რომ ჩვენს უფლებათ ისტორიული მნიშვნელობა არ დავკარგოთ, „ხელუხლებელი და პატივსაცემი უნდა იყოს თქვენთვის მონარქიული პრინციპი". ი.ჭავჭავაძე, „მართალია, მომხრე იყო საქართველოს ავტონომიისა, – დასძენს ა.ჯორჯაძე, – ხოლო ავტონომიის დამკვიდრებას ტახტისგან მოელოდებოდა."

უფრო ადრე კი, 1980-ინ წლებში, საქართველოში უკვე მკაფიოდ იყო გამოკვეთილი ქართველ მოღვაწეთა სამი ჯგუფის დაპირისპირება. რუსეთის კვალდაკვალ ჩვენში შემოვიდა და თანდათანობით ფეხი მოიკიდა კლასობრივი ანტაგონიზმის პრინციპზე დაფუძნებულმა მარქსიზმმა. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ბუნებრივად გაჩნდნენ პოლიტიკური პარტიები (სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტურ-ფედერალისტური, და სხვა). ილიას, რასაკვირველია, ესმოდა პოლიტიკური პარტიების მნიშვნელობა სუვერენულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, თუმცა მიიჩნევდა, რომ ისეთ მცირერიცხოვან და სახელმწიფოებრიობას მოკლებულ ქვეყანაში, როგორც საქართველო იყო, პარტიულ-იდეოლოგიური ანტაგონიზმი დაასუსტებდა რუსიფიკაციის საფრთხის ქვეშ მყოფ ეროვნულ ქსოვილს. მიუხედავად ამისა, რეალურად არსებული ვითარების გათვალისწინებისა და ძლიერი მარქსისტულ-რევოლუციური პროპაგანდის გასანეიტრალებლად 1905 წლის შემოდგომაზე ილიამ თვითონ გადაწყვიტა ეროვნული მიმართულებისა და მიზანდასახულობის მოძრაობის შექმნა. შეიმუშავა კიდევაც „ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიის" პროგრამა. მაგრამ ამ იდეის პრაქტიკული რეალიზაცია ველარ მოხერხდა.

მე-19 საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის უმნიშვნელოვანესი ასპექტები

ილიას სალიტერატურო ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ (1863), ილიას ქართული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ივერია“ (1877-1906) და მასთან (ილიასთან) შემდგომში პოლიტიკურად სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული სალიტერატურო და საზოგადოებრივი გაზეთი „კვალი“ (1893-1904)

ქართულმა ჟურნალისტიკამ ორი საუკუნის მანძილზე მეტად ძნელი გზა გამოიარა. პირდაპირ უნდა ითქვას, აღმავლობა და წარმატება ცალკეულ გამორჩეულ პიროვნებებზე იყო დამოკიდებული. მე-19 საუკუნეში ასეთები იყვნენ განმანათლებელი და ფილოსოფოსი გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ რედაქტორი სოლომონ დოდაშვილი, პუბლიცისტი, მწერალი და რედაქტორ-გამომცემელი ივანე კერესელიძე, გაზეთ „დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი და, რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძემ მე-19 საუკუნის 90-იან წლებში სრულიად დაანება თავი საგაზეთო მოღვაწეობას. თუმცა რედაქტორი იყო, მაგრამ სარედაქციო საქმეებში არ ერეოდა და ძალიან იშვიათად წერდა“ (გ. ლასხიშვილი); ილიას ქმედითი მონაწილეობის გარეშე კი „ივერია“ სრულფასოვნად ვერ ასრულებდა იმ დროს მთავარი ქართული გაზეთის დანიშნულებას.

ამ თავში განვიხილავთ საგანგებოდ შერჩეული ამ ეპოქის ქართული პერიოდული პრესის სამი ფლაგმანის (ილიას სალიტერატურო ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ (1863), ილიას ქართული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ივერია“ (1877-1906) და მასთან (ილიასთან) შემდგომში პოლიტიკურად სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული სალიტერატურო და საზოგადოებრივი გაზეთ „კვალის“ (1893-1904) ეროვნულ მიზანდასახულობას.

მე-19 საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის კვლევას დაახლოებით ერთი საუკუნის ისტორია აქვს. ამ სფეროში ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ჩვენი აღიარებული მეცნიერები ა. ჯორჯაძე, ზ. ჭიჭინაძე, ა. ღვინიაშვილი, პ. გუგუშვილი, გ. ბაქრაძე, ნ. გოცაძე, ა. აბრამიშვილი, დ. გამეზარდაშვილი, შ. რა-

ტიანი, ნ. ტატიშვილი, ს. ხუციშვილი, ალ. კალანდაძე, ნ. ტაბიძე, დ. ჩიკვილაძე, მ. წერეთელი, თ. ჯოლოგუა და სხვები. გამოქვეყნებულია არაერთი საფუძვლიანი მონოგრაფიული გამოკვლევა თუ სამეცნიერო სტატია, დაბეჭდილია წყაროები, გამოქვეყნებულია ანოტირებული და ანალიტიკური ბიბლიოგრაფიები. (ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს შესანიშნავი ბიბლიოგრაფის ქ-ნი თამარ მაჭავარიანის (1895-1979) დიდი ღვაწლი, რომელიც იყო თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში (დღევანდელი ეროვნული ბიბლიოთეკა) კავკასიოლოგიის, ამჟამად – ქართველოლოგიის განყოფილების დამაარსებელი. მან ფასდაუდებელი ამაგი დასდო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის შედგენა-გამოცემას). ასევე ავღნიშნავთ ისტორიკოს მაია მაჭავარიანის ნაშრომს „ჟურნალისტიკის ისტორია“, თბ., 2009. ჩვენს მიერ ზემოხსენებულ მეცნიერთა კვლევები, ვფიქრობთ, გამოადგებათ როგორც ქართული ჟურნალისტიკის და ასევე საზოგადოებრივი აზრის ისტორიით, ისე კულტურულ-საგანმანათლებლო და სალიტერატურო ცხოვრებით დაინტერესებულთ.



ილიასეული სალიტერატურო ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ (1863)

1861 წელს პეტერბურგიდან დაბრუნებულმა ილია ჭავჭავაძემ თანამოაზრეებისაგან ჩამოაყალიბა ლიტერატურული წრე (პეტრე ნაკაშიძე, მიხეილ და დავით ყიფიანები, დიმიტრი ყაზბეგი, ვახტანგ თულაშვილი, პეტრე უმიკაშვილი, ივანე პოლტორაცკი, ილია წინამძღვრიშვილი, მიხეილ ჩიკვაიძე და სხვ.). აქ კითხულობდნენ ახალ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, რეფერატებს, მსჯელობდნენ ქართული კულტურისა და საზოგადებრივი აზრის გარდაქმნისათვის აუცილებელ ღონისძიებებზე... ილიას პეტერბურგის ქართველ სტუდენტობასთანაც ჰქონდა მიმოწერა (გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე და სხვ.). შეიქმნა აუცილებლობა, მთელი ეს სალიტერატურო-საგანმანათლებლო მუშაობა გასცილებოდა ენთუზიასტთა ვიწრო წრეს და ფართო საზოგადოებრივი ფენებისთვისაც ყოფილიყო ხელმისაწვდომი, რაც, თავის მხრივ, პრესის გარეშე შეუძლებელი იყო. ილია, რომლის ლიტერატურული დებიუტი ივ. კერესელიძის ჟურნალში შედგა, მალევე დარწმუნდა, რომ ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით ისეთ ეკლექტიკურ გამოცემაში, როგორიც „ცისკარი“ იყო, ვერ მოხერხდებოდა პროგრესული ინტელექტუალური რესურსების კონსოლიდაცია, ახალი დროისა და მოთხოვნილებების შესაფერისი კულტურულ-იდეოლოგიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, პოპულარიზაცია და საზოგადოებრივ შემეცნებაში დამკვიდრება („მესამოციანებს ჟურნალისტიკაში საშუალო საუკუნოების სხოლასტიკა დახვდათ“ – ა. ჯორჯაძე).

საქმე ბუნებრივად მივიდა ახალი პერიოდული გამოცემის დაარსების გადაწყვეტილებამდე და 1863 წელს ილია ჭავჭავაძე აარსებს კიდევაც საკუთარ გამოცემას – ყოველთვიურ სალიტერატურო ჟურნალ „საქართველოს მოამბეს“, რომელიც „ხსნის ახალ ხანას ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში“ (პავლე. ინგოროყვა).

ჟურნალის დაარსებას, ბუნებრივია, წინ უძღოდა მოსამზადებელი პერიოდი.

1862 წლის დასაწყისში კავკასიის მეფისნაცვალი ალ. ბარიატინსკი საქართველოში არ იმყოფებოდა და მის მოვალეობას

გრიგოლ ორბელიანი ასრულებდა. ილია ჭავჭავაძემ ისარგებლა ამ გარემოებით და, საქმეს დიდი დაბრკოლებები რომ არ შეხვედროდა, სწორედ გრ. ორბელიანს წარუდგინა ჟურნალის გამოცემისა და პროგრამის დამტკიცების ოფიციალური თხოვნა. წესისამებრ, თხოვნა განიხილა კავკასიის საცენზურო კომიტეტმა – მისმა მესვეურებმა ძირითადად მოიწონეს პროგრამა, თუმცა ისიც დასძინეს, რომ ჟურნალში „არავითარი პოლიტიკური ცნობები და მსჯელობანი“ არ უნდა ყოფილიყო. იმავე წლის თებერვალში გრ. ორბელიანმა ილიას თხოვნა პეტერბურგში გაგზავნა დასამტკიცებლად, მარტში გაიცა ჟურნალის დაარსების ნებართვა, ხოლო ოქტომბერში ივანე კერესელიძის „ცისკარში“ გამოქვეყნდა განცხადება:

„მომავალ 1863 წ. იანვრის თვიდგან გამოიცემა ტფილისში ახალი ქართული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. ამ ჟურნალში მთელის წლის განმავლობაში შემოვლენ შემდგომნი ნაწილები:

1. წმინდა სალიტერატურო: ლექსები, მოთხრობები, დრამები, კომედიები, ნამდვილები (ორიგინალურნი – თ. ჯ.) და ნათარგმანები.

2. ისტორიული: საზოგადო ისტორია; განსაკუთრებითი ყურადღება მიექცევა საქართველოს და ერთობ კავკასიის ისტორიაზედ.

3. საპოლიტიკო და სოფლიური ეკონომია: აქ ვეცდებით გავაცნოთ ჩვენს საზოგადოებას ეს საგნები იმოდენად, რამოდენადაც დრო და საჭიროება მოითხოვს.

4. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია: აქ განირჩევიან უცხო ენებზედ დაწერილი თხზულებაები და ქართული წიგნები.

5. სხვა და სხვა ამბავი.

6. დამატება: ამ ნაწილში დაიბეჭდებიან ძველი ქართული თხზულებაები, ანუ გამოჩენილნი უცხო ენებიდამ თარგმნილი რომანები.[7]

ამ პროგრამმას ამ ჟამად აღარაფერს არ ვუმატებთ; რაც შეეხება ჟურნალის ხასიათსა და მიმართულებასა, იმაზედ არაფერს

---

7 ი. ჭავჭავაძის მიერ წარდგენილ და გრ. ორბელიანის ხელმონერით პეტერბურგში გაგზავნილ პროგრამაში იყო კიდევ ერთი განყოფილება – „ოუმორისტული“, მაგრამ საბოლოოდ ილიას უარი უთქვამს ჟურნალში ამ განყოფილების შეტანაზე.

ვიტყვით. ჩვენ ვარჩევთ, რომ თითონ ჟურნალმა გამოიჩინოს თავისი თავი, თითონ საქმეში გამოსთქვას თავისი ხასიათი და არჩეული გზა. ეს ემჯობინება ყოველ წინა-სიტყვაობას. ჩვენ გვსურს ვემსახუროთ საზოგადოებას, ვარგოთ და გამოვადგეთ; ამისთვის ვიკისრეთ ჟურნალის გამოცემა. სურვილი ჩვენი გულწრფელია და ჭეშმარიტი, და, თუ ღონე შეგვეწევა და ცოტათი მაინც აღვასრულეთ ჩვენი სურვილი, ამისიც კმაყოფილი ვიქნებით. ჩვენის მხრით, რასაც კი შევიძლებთ, არას დავზოგავთ; დანარჩენი თვით საზოგადოებაზე ჰკიდია.

ისტორიული ნაწილის რედაქტორობა იკისრა უფ. ნიკოლაოზ ღოღობერიძემ, სხვა და სხვა ამბავისა უფ. დავით ყიფიანმა და საპოლიტიკო და სოფლიურ ეკონომიისა უფ. ივანე სერებრიაკოვმა (ოქრომჭედლიშვილმა – ვ. ბ.)

ჟურნალი „საქართველოს მოამბე" თვე და თვე გამოვა სივრცით შვიდ თაბახიდამ ათამდე, ანუ 112 გვ 160 გვერდამდე. თუ შეგვეძლება, ამაზედ მეტიც.

ფასი მთელის წლის ნომრებისა შინ გაგზავნით ერთი თუმანი, გაუგზავნელად 9 მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, რომელიცა იმყოფება ტფილისში, გალავინის პროსპექტზედ, თ. ივანე მუხრანსკის სახლებში, №26.

ილია ჭავჭავაძე

რედაქტორი „საქართველოს მოამბისა"

ილია ჭავჭავაძის განცხადებას წინ უძღვის ივანე კერესელიძის მცირე, მაგრამ უაღრესად კეთილგანწყობილი წინათქმა:

„ვახარებთ ჩუენის „ცისკრის" მკითხველთა და ყოველს ქართველს, ვისაც კი უყვარს თავისი სამშობლო ენა, რომ მომავლის წლის იანვრიდგან გამოიცემა ტფილისში ახალი ქართული ჟურნალი „საქართველოს მოამბე". დარწმუნებული ვართ, ჩუენი „ცისკრის" მკითხველნი მიიღებენ გულმხურვალედ მონაწილეობასა ამ საზოგადოდ სასარგებლო საქმეში".

მკითხველს, ცხადია, ახსოვდა, თუ რა აჟიოტაჟი და ვნებათაღელვა გამოიწვია წინა წელს ი. ჭავჭავაძის მიერ „ცისკარში" გამოქვეყნებულმა პირველმა კრიტიკულ-ლიტერატურულმა წერილმა („ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის..."), ამ გარემოებამ საზოგადოებაში კიდევ უფრო გაამძაფრა უჩვეუ-

ლო სიახლის მოლოდინი და, თავის მხრივ, შესაძლებელი გახადა, მოგვარებულიყო მაშინდელი ქართული პრესის ყველაზე მტკივნეული პრობლემა – ხელის მომწერთა სიმცირე. სულ შეგროვდა ჟურნალის გამოწერის დაახლოებით 500 მსურველი და ამით მატერიალურ-ფინანსური პრობლემებიც მოიხსნა.[8]

მიუხედავად ი. ჭავჭავაძის ენერგიული მოქმედებებისა (საორგანიზაციო-ლიტერატურული ჯგუფის თავმოყრა და შეკავშირება, მასალის შერჩევა და სასტამბოდ მომზადება...), ცენზურის ნებართვა პირველი ნომრის დაბეჭდვის შესახებ მხოლოდ 1863 წლის 12 იანვარს გაიცა, რასაც დაემატა ენფიაჯიანცის სტამბასთან შექმნილი პრობლემები, იანვრისთვის ნავარაუდევი ნომერი ჟურნალისა თებერვალში მიეწოდა მკითხველს და ამით სათავე დაედო ახალ ეტაპს არა მარტო საკუთრივ ქართული ჟურნალისტიკის, არამედ მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის, ზოგადად ქართული კულტრის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) ისტორიაში. ჟურნალის ეს ნომერი გამოირჩევა მაღალი ლიტერატურულ-ესთეტიკური ღირსებებით, მსოფლმხედველობითი სიღრმითა და მთლიანობით, დროის მოთხოვნასთან შესაბამისობით, ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ მანკიერებათა დასაბუთებული კრიტიკული შეფასებებით; რაც მთავარია, ჟურნალის მესვეურები მხატვრული,კრიტიკულ-ლიტერატურული თუ პუბლიცისტური სიტყვით ეროვნული მიზანდასახულობის ლიბერალურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის პოპულარიზატორებად და დამამკვიდრებლებად მოევლინნენ მონარქისტულ-რეტროგრადული სულისკვეთებით გაჟღენთილ ფართო საზოგადოებრივ წრეებს. საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველმხრივი განახლების ნება და სურვილია გამოხატული ჟურნალის ეპიგრაფშიც: „ხოლო ლეღვისაგან ისწავეთ იგავი ესე: რაჟამს იგი რტონი მისნი დაჩჩვიან და და გამოვალნ ფურცელნი, უწყოდეთ, რამეთუ ახლო არს ზაფხული“ (მარკოზი, X111, 23 [28]).

ადრე (თავი – „ივანე კერესელიძის „ცისკარი“) აღნიშნული გვაქვს საგანგებო დამსახურება ნიკოლოზ ბერძნიშვილისა,

---

8 ლიტერატურის ისტორიის მკვლევართა ნაწილი თელის, რომ „საქართველოს მოამბის“ ტირაჟის ნაწილი უფასოდ ეგზავნებოდა „ზოგიერთ პირს“ და სინამდვილეში „მისი ტირაჟი 700-მდე აღწევდა“.

რომელმაც ქართველ ავტორთაგან პირველმა ჩამოაყალიბა თვალსაზრისი ჟურნალისტიკის რაობის, დანიშნულების, აგრეთვე, მისი მნიშვნელობის შესახებ საზოგადოდ და საკუთრივ ქართული საზოგადოებრივი და კულტურულ-სალიტერატურო ცხოვრების განვითარებაში, ამასთანავე, ყურადღება გაამახვილა პრესის საგანმანათლებლო-შემეცნებით და კულტურტრეგერულ მიმართულებებზე.

„საქართველოს მოამბის“ პირველივე ნომერში ილია ჭავჭავაძე აქვეყნებს საპროგრამო ხასიათის პუბლიცისტურ წერილს „საქართველოს მოამბეზედ“, რომელშიც აფართოებს და აღრმავებს ნ. ბერძნიშვილის რამდენადმე ფრაგმენტულ მსჯელობას და იძლევა არა მარტო თანადროული საზოგადოებრივი ცხოვრების ღრმა და სისტემურ ანალიზს, არამედ ეროვნულ ჟურნალისტიკას იმ ძირითად მიმართულებასაც უსახავს, რა მიმართულებითაც არსებითად წარიმართა კიდევაც ქართული პრესის მუშაობა მომდევნო ათწლეულების განმავლობაში. რაც მთავარია, ილია წერილში „საქართველოს მოამბეზედ“, მიხეილ ნანეიშვილის მიხედვით, „საზღვრავს თავის სამოღვაწეო, შესაბამისად, სააზროვნო საგნის რაობას“ – „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“.

წყურვილი განახლებისა და განახლების სასიცოცხლო აუცილებლობა იკვეთება ილიას თხზულების პირველივე წინადადებებში:

„ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველის ფერისა. წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველი ფერი იცვლება მის ძლიერი გავლენისაგან“. მომავალი ეკუთვნის იმ ხალხს, რომელიც ალღოს აუღებს ცხოვრების ახალ მოთხოვნებსა და საჭიროებებს, არ დაკარგავს იმედს და მომზადებული შეხვდება დროის ცვლილებებს: „იმედს... რომელიც განგებას მოუვლინებია კაცობრიობისათვის, რომ ზედ დაერთოს ადამიანის გაუთავებელი ნდომა უკეთესობისა – შედგება ის ძალა, ის იდუმალი ხმა, რომელიც ყოველთვის ეძახის ადამიანს: წინ წადეგ! წინ წადეგ!.. ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც არ დაუკარგავს ეგ იმედი განახლებისა და არ გაჰქრობია უკეთე-

სობის ნდომა!..“; ის ხალხი კი, რომელსაც დაქვეითებული აქვს აქტიური ცხოვრების უნარი და ნება, აგრეთვე, „გაუთავებელი ნდომა უკეთესობისა, – ავტორის შეხედულებით, – მიჩანჩალებს სამარისაკენ, ბოლოს მივა და აღიგვება, როგორც მტვერი დედამიწის ზურგიდამ“.

რა არის ის ძალა, რომლის მეშვეობითაც ინდივიდმა და საზოგადოებამ უნდა შეძლონ თვითდამკვიდრება და თვითგანახლება? – სვამს კითხვას ავტორი და იქვე პასუხობს: „მეცნიერება და ხელოვნება, რომელნიც დღემუდამ დაჰსტრიალებენ ცხოვრებასა, რომ ყოველი ცვლილება მისი ცნობიერად გადმოიღონ, რომ ყოველი ყვავილი მისი მოჰკრიფონ, შეიტყონ, რისთვის არიან იგინი და რანი არიან, – მეცნიერება და ხელოვნება სხვადასხვა გზით იკისრებენ ახალის ვითარების ახსნასა, ცნობაში მოყვანასა“.

და ვინ უნდა იტვირთოს, მეცნიერებასა და ხელოვნებას ვინ უნდა მიანიჭოს პრაქტიკული დანიშნულება? „ხალხის დაწინაურებული თავობა მაშინვე მიხვდება, რომ დრო იცვლება, ჰგრძნობს, რომ ძველი ცხოვრება აივსო, დამწიფდა, რაც დათესილი იყო, იმის ნაყოფი მოიტანა და ეხლა ამ ნაყოფიდამ უნდა გამოიკრიფოს ახალი თესლი ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად, რათა მადლობით გაისტუმროს ძველი და სიხარულით მიეგებოს და გზა გაუხსნას ახალსა“.

„მეცნიერება და ხელოვნება... ერთ და იგივეს მსახურებენ: აზრის მოძრაობას“, მაგრამ იმისთვის, რომ „ხალხის დაწინაურებული თავობისათვის“ ხელმისაწვდომმა და გასაგებმა მეცნიერებამ და ხელოვნებამ შეიძინოს საზოგადოებრივი ფუნქცია, იგი საზოგადოების ფართო ფენებისთვისაც ხელმისაწვდომი და გასაგები უნდა გახდეს პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოსაყენებლად. ეს პრობლემა კი უკავშირდება განათლების საკითხს. არსებობენ სკოლები, სხვადასხვა ტიპის სასწავლებლები, „მაგრამ იმათამდინ ისე ცოტას მიუწვდება ფეხი, რომ დანარჩენ ხალხის რიცხვთან რომ შევადაროთ ის ცოტა – წვეთი იქნება ზღვაში“. ამიტომ „საჭიროა სკოლების გარდა ისეთი ღონისძიებაც, ისეთი საშუალობაც, რომელმაც იმისთანა თვისება უნდა იქონიოს, რომ ყველგან მისწვდეს. გამოფინოს საქვეყნოდ კაცის ჭკუის ძვირფასნი მარგალიტები საყოველთაო მოსახმარებლად, რომ მრავალთათვის

მისაწვდომი გახადოს ის, რაც დასაკუთრებული აქვს ცოტასა... შეიქმნას შუამავლად მეცნიერებისა ერთი მხრით, და ხალხისა და ცხოვრებისა, მეორეს მხრით".

ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, მეცნიერებას, ხალხსა და ცხოვრებას შორის ასეთი „შუამავალი" არის ლიტერატურა. მაგრამ აქ თავს იჩენს კიდევ ერთი დაბრკოლება – თვითონ ლიტერატურაა ხალხის ფართო ფენებისათვის ძნელად გასაგები და „მოსახმარი". ამის უმთავრესი მიზეზი კი ისაა, რომ „თვით ლიტერატურის ენა დაუშორდა ხალხის ენასა, ხალხს ისე ადვილად არ შეეძლო გაგება მისი, რასაც კითხულობდა და... თუ ხალხი ვერ გაიგებს, არც ცხოვრებაში შეიტანს".

ამგვარი საგანმანათლებლო ფუნქციის შესრულებას ჟურნალისტიკა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ იგი დაფუძნებული იქნება არა „ერთი კაცის სურვილზე" („...მოუვიდა წერის ჟინი და გამოჰსცა"), არამედ ცხოვრებისეულ აუცილებლობასა და ამ ცხოვრების შემოქმედი ხალხის სურვილსა და მოთხოვნილებებზე.

„ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია... ამიტომაც ჩვენის „მოამბის" უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება თავის სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა", თუმცა თავისი ჟურნალის დანიშნულებას ილია ჭავჭავაძე მხოლოდ აწმყოთი არ შემოფარგლავს: „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა", ამბობს ერთი ფილოსოფოსი.[9] აი, აწინდელ ცხოვრებას რა მნიშვნელობა ექნება ჩვენის ჟურნალისათვის".

ილიას შეხედულებით, აწმყოს გაუმჯობესება თავისთავად ნიშნავს განუწყვეტელ ფიქრსა და მოქმედებას იმ უკეთესი მომავლისათვის, რომელსაც წარსულის მონაპოვრებზე დაფუძნებული აწმყო უნდა დაედოს საძირკვლად. დღეს კი, „თუ ჟურნალს უნდა კეთილსვინდისიანად აღასრულოს თავისი ძნელი საქმე, უნდა თვალგაფაციცებით თან გაჰყვეს აწინდელ ცხოვრებასა, რათა ყოველ აღმოშობილ ფაქტსა თვალი და გონება ადევნოს;

---

9 იგულისხმება გერმანელი ფილოსოფოსი გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი (1646-1716).ლაიბნიცის ეს სიტყვები ილიას (ავტორის მითითებითა თუ მიუთითებლად) არაერთ თხზულებაში აქვს გამოყენებული და იგივე სიტყვები მან ეპიგრაფად წაუმძღვარა ლექსს – „ქართველის დედას"

ყოველი აზრის საკეთილო მოძრაობას გზა მიჰსცეს, ყოველიფერი შენიშნოს და ყოველისფერს პასუხი გაჰსცეს, ერთის სიტყვით, უშველოს ცხოვრების წინ ფეხის გადადგმასა გასამჯობინებლად, გასაკეთებლად. ამ ძნელ საქმეში ჟურნალმა უნდა ნაიმძღვაროს წინ მეცნიერების სინათლე და ხელოვნების კალამი".

„მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა... ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვჰსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებაებით ცხოვრების ახსნა და გაგება; მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა" – წერს ილია ჭავჭავაძე და მსჯელობა გადააქვს მხატვრული შემოქმედების (კერძოდ, მხატვრული ლიტერატურის) საზოგადოებრივ დანიშნულებაზე: „ხელოვნებასაც იმას მოვჰსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ... დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი მამივიდესო; დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგმდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა, არც ერთის გამოთქმა და არც მეორისა არ უნდა აშინებდეს ჟურნალსა".

ილია ჭავჭავაძე ითვალისწინებს ცხოვრების „ლექისა და ლაფის", „ცხოვრების ჭუჭყის" გამომზეურების მიმართ მოსალოდნელ მწვავე საზოგადოებრივ რეზონანსს და მკითხველს წინასწარვე აფრთხილებს – ამას „ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამომართმევენ": „საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ ამაში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონი თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივ წყალში გადასაყარი იქნებიან. ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილობენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვასა. ეგ იმათ

მოსდით ქართველების უმეცარ სიყვარულის გამო, ის კი არ იციან, რომ დიდი ხანია არის ჩვენში გლეხური ანდაზა: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო. ისინი, უმეცარნი მოყვარენი ჩვენნი, ზედ დაასმენ ხოლმე შეჩვენების და განგდების ბეჭედსა მას, ვინც კი ველარ მოითმენს ცხოვრების საძაგელ გუბეში დგომასა, ამოჰყოფს თავს, რომ სხვას მაინც უთხრას, ამ გუბეში არ ჩაიგდო თავიო, თორემ დალპებიო მის წარმწყმენდელ ოხშივარის ზემოქმედებისგან... რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობლად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკლულევანობა ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო ჰსჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი, ცხარე წადილი გასწორებისა".

დასასრულ, ილია ჭავჭავაძე აჯამებს მსჯელობას ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი მეცნიერების, ხელოვნებისა და ჟურნალისტიკის მიმართების შესახებ და დაასკვნის: „იგინი, ჩვენის ფიქრით, არიან მხოლოდ ღონისძიებანი, რომელნიც გვიშველიან ცხოვრების სიბნელიდამ სინათლეში გამოყვანასა... იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის", ხოლო „საქართველოს მოამბემ", თავის მხრივ, უნდა მიაგნოს ცხოვრების მაჯისცემას და იგი (ცხოვრების მაჯისცემა) „განაბრწყინოს მეცნიერების შუქით და ხელოვნების წარმოდგენითა... გზა დანიშნული აქვს და არჩეული ჩვენს „მოამბესა". ვნახოთ, როგორ გაივლის!"

ჩვენ ასე ვრცლად იმიტომ შევჩერდით ილია ჭავჭავაძის ამ ერთ კონკრეტულ პუბლიცისტურ წერილზე, რომ, ჯერ ერთი, მასში მკაფიოდ ჩანს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების (და პოლიტიკური ცხოვრებისაც) მესვეურის ლიტერატურულ-ჟურნალისტური მსოფლმხედველობა და, ამასთანავე, როგორც ზემოთ ითქვა, ილიას ამ წერილში განსაზღვრულია ეროვნული ჟურნალისტიკის ის ძირითადი მიმართულება, რა მიმართულებითაც მომდევნო ათწლეულებში წარიმართა კიდევაც ქართული პრესის მუშაობა.

ილია ჭავჭავაძისათვის საერთოდ დამახასიათებელი იყო თეორიული შეხედულებებისა და შემოქმედებითი პრაქტიკის ორგანული მთლიანობა. „იგი ვერასოდეს ვერ თავსდებოდა თეორიული ინტერესების სფეროში" (გრ. კიკნაძე), მწერლობაში „მოქმედების პრინციპს" მისდევდა და შემოქმედებითი აქტის ნების-

მიერ შედეგს მისი საზოგადოებრივი ღირებულების მიხედვით აფასებდა.

თეორიული პრინციპებისა და შემოქმედებითი პრაქტიკის ზემოხსენებული მთლიანობა (მონოლითურობა) მკაფიოდ ჩანს „საქართველოს მოამბეში“ და ამ მხრივ ილიას ჟურნალს არ მოეპოვება ანალოგი წინა პერიოდის ქართულ ჟურნალისტიკაში. ეს ეხება როგორც ზოგადად „საქართველოს მოამბის“ ხასიათს, მის იდეურ მიმართულებასა და მიზანდასახულობას, ისე ჟურნალში გამოქვეყნებულ თვითონ ილიას მხატვრულ ტექსტებსაც, მაგალითად, მოთხრობას „კაცია-ადამიანი?!“, რომლის „სტრუქტურასა, შინაარსსა და შემოქმედების პროცესში სავსებით გამოისახა ჭავჭავაძის თეორია ხელოვნებისა... იგი ერთი იმგვარ თხზულებათაგანია, სადაც ეს ორი თვისება ნამდვილ ხელოვნებისა ერთის მხრივ, „ესთეტიკის და მხატვრობის კანონთა“ დაცვა და, მეორეს მხრივ, „რეალიზმის მოთხოვნილებათა“ დაკმაყოფილება – ჰარმონიულად და სინტეტიურად არის ერთმანეთში შედუღებული... ამ ხასიათის ხელოვნური ნაწარმოები დიდი ძალაა თვით საზოგადოებრივ აზრის ევოლუციისა... და მმოძრავი ძალაა საზოგადოებრივ განვითარებისა“ (ა. ჯორჯაძე).

მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ ილიამ მხატვრული ფორმებით შეასხა ხორცი თვალსაზრისს ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების შესახებ – ლიტერატურა უნდა იყოს სარკე, რომელშიც ცხოვრების ავ-კარგი მთელი თავისი სიგრძე-სიგანითა და პირუთვნელობით აისახება: „[ამ მოთხრობას, მკითხველო,] მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს, – რამოდენადაც შეძლება აქვს, – შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო. მინამ სარკეში არ ჩაიხედავ, ან სხვა არ გეტყვის, ხომ ვერ გაიგებ, რომ პირზედ ურიგობა რამ გატყვია? ეს მოთხრობა სარკე იყოს და მე, თუ გინდა, მთქმელი ვიქნები. დააკვირდი, იქნებ გენიშნოს რამე. ესეც იცოდე: მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გექცევი, – სარკე მოგიტანე“.

წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ ილია ჭავჭავაძე მსჯელობს „გენიოსის“ რაობის, მისი დანიშნულებისა და წარმომშობი პირობების შესახებ. „გენიოსს“ ილია ხმარობს „წინამძღოლის“

მნიშვნელობით და აღნიშნავს, რომ მხოლოდ მას (გენიოსს, ხალხის წინამძღოლს) შეუძლია ცხოვრების „მეტად ძლიერი" ტალღის მკერდით გაპობა და „დროებაზედ უფლობა". იგი „როგორც ბელადი, წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა", მაგრამ გენიოსი შემთხვევით კი არ მოევლინება ხალხს, არამედ იგი „ნაყოფია თავის დროებისა... მასში არის მთელი აწმყო თავის დროებისა და თესლიც მომავლისა... თუ აქამდინ არ გამოჩნდა იგი, იმიტომ, რომ იმის ძლიერის სულის შესაფერი საქმე არსად იყო; გამოჩნდა თუ არა საქმე, იმანაც გაშალა თავისი ძლიერი ფრთა და, როგორც მზე, ცხოვრების გასანათებლად, ეს გოლიათი გონიერებისა თავის ძლიერის მკლავით გადასწვდება მთელს ცხოვრების ნამუშევარსა... ყოველს ცხოვრების კითხვას მიჰსცემს შესაფერის პასუხს, ყოველს ფაქტსა – ჭეშმარიტ მნიშვნელობას, ყოველს მიმართულებას – კუთვნილს გზასა და ღონისძიებასა, ერთის სიტყვით, ახსნის, ცნობაში მოიყვანს მას, რაც ჩვენს შორისავე იყო და არ გვესმოდა".[10]

ჩვენ ადრე (თავი – „ივანე კერესელიძის „ცისკარი") შევეხეთ მეფისნაცვალ მიხ. ვორონცოვის ე. წ. „კავკასიურ პოლიტიკას", რომელიც ითვალისწინებდა, ერთი მხრივ, რუსეთის იმპერიაში საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას, ხოლო მეორე მხრივ, ქართული კულტურის აღორძინებასა და განვითარებას, ევროპეიზაციის გზით მის ტრანსფორმაციას. აღვნიშნეთ ისიც (თავი – „ქართული პრესის გამოცემის ცდები 1831-1855 წლებში"), რომ 1840-იან წლებში დიმ. ყიფიანმა ჩამოაყალიბა არსებული პოლიტიკური რეჟიმის ფარგლებშივე ეროვნული თვითარსებობისა და თვითმყოფობის გაძლიერება-განვითარებისათვის აუცილებელი, განათლებისა და კულტურის აღორძინებაზე ორიენტირებული ქმედითი პროგრამა. 1850-იანი წლების დასაწყისში მოხერხდა კიდევაც ეროვნული მნიშვნელობის კულტურულ-საგანმანათლებლო კერების დაარსება (პროფესიული ქართული თეატრი, ჟურნალი „ცისკარი", „რუსეთის საიმპერატორო გეო-

10 სერგეი მესხის, როგორც ქართული პრესის უანგარო მუშაკის, ღვაწლზე დაყრდნობით „გენიოსის" რაობაზე, ფუნქციასა და წარმომშობ გარემოებებზე ანალოგიურ თვალსაზრისს აყალიბებს მოგვიანებით (1833 წელს) პ. უმიკაშვილიც: „გენიოსობა გამომთქმელია, შემკრებია წინათ ნაშრომ-ნაღვაწევისა. მაშასადამე, ყოველი გულწრფელი და ერთგული მუშაკი ნაწილია მომავალის ბრწყინვალე გენიოსობისა... საცა არ იქნება მუშაკი, იქ არც გენიოსი დაიბადება"

გრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება", კავკასიის მუზეუმი და სხვ.) და, ამდენად, საქართველოში კულტურის აღორძინებამ, მისმა ევროპეიზაციამ შეუქცევდი სახე მიიღო.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ თითქმის ყველა ენობრივი თუ ლიტერატურული საკითხი, რომელიც ილია ჭავჭავაძემ წამოაყენა და ამა თუ იმ ფორმით დაამუშავა 1860-იან წლებში, მეტ-ნაკლები სიღრმითა და ინტენსივობით უკვე იყო დასმული ილიას წინამორბედ მოღვაწეთა მიერ: 1850-1860 წლების მიჯნაზე უკვე გააზრებულია ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის აუცილებლობის საკითხი (დიმ. ყიფიანი, ალ. ორბელიანი, ლ. არდაზიანი, დიმ. ბაქრაძე) და ეს პროცესი თანამიმდევრულად მკვიდრდება სამწერლობო-შემოქმედებით პრაქტიკაში (გ. და რაფ. ერისთავები, დიმ. ყიფიანი, ლ. არდაზიანი, გრ. რჩეულიშვილი, დ. ჭონქაძე...), მკაფიოდაა გამოთქმული თვალსაზრისი ორთოგრაფიული რეფორმის (ფუნქციადაკარგული ასოების ხმარებიდან ამოღების) საჭიროებაზე (დ. ჩუბინაშვილი),[11] წარსული გააზრებულია ხალხში ისტორიული ერთობის შეგნების ჩამოყალიბებისა და არისტოკრატულ წრეებში ფეხმოკიდებული ეროვნული ნიჰილიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ საშუალებად (დიმ. ყიფიანი, ნ. ბერძნიშვილი), მეტ-ნაკლები საფუძვლიანობით შემუშავებულია თვალსაზრისი ცხოვრების რეალისტურად ასახვისა და ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების (მიხ. თუმანიშვილი, ნ. ბერძნიშვილი), ლიტერატურაში ეროვნული თემატიკისა და პრობლემატიკის პრიორიტეტულობის, აღმოსავლური (კერძოდ, სპარსული) პოეზიის პირდაპირი და ზედაპირული გავლენის აღმოფხრისა და ქართული ლიტერატურული აზროვნების ევროპეიზაციის აუცილებლობის, სალიტერატურო კრიტიკის, მთარგმნელობითი პოლიტიკის, ჟურნალისტიკის რაობისა და ფუნქციის საკითხებზე (ნ. ბერძნიშვილი), ჩნდება და ფეხს იკიდებს პუბლიცისტური აზროვნება (ივ. კერესელიძე, მიხ. თუმანიშვილი) და სხვ.

ერთი სიტყვით, მომზადებულია ნიადაგი ახალი, დროის

---

11 პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა, დავით ჩუბინაშვილმა, ჯერ კიდევ 1855 წელს გამოქვეყნებულ თავის წიგნში „მოკლე ქართული გრამატიკა" დასვა ქართული ანბანიდან მოძველებულ ასოთა ამოღების აუცილებლობის საკითხი. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართულ ენასა და სიტყვიერებას ი.ჭავჭავაძეს სწორედ დ. ჩუბინაშვილი ასწავლიდა.

მოთხოვნათა შესაფერისი, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობრივ-ინტელექტუალურ პრინციპებზე, დაფუძნებული ეროვნული იდეოლოგიის შესაქმნელად და ცხოვრებაში დასამკვიდრებლად. დიდად საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძე, როგორც მოაზროვნე და მესვეური საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისა, სწორედ 60-იანი წლების დასაწყისში მოევლინა ქვეყანას, როცა წარსულს ბარდებოდა მ. ვორონცოვის მიერ გატარებული ლოიალური, სამოქალაქო და კულტურული ცხოვრების აღმავლობაზე ორიენტირებული პოლიტიკური კურსი და იწყებოდა ახალი ფორმებით საქართველოს რუსიფიკაციის იმპერიული პოლიტიკის განხორციელება. ასეთ პირობებში კი მეტისმეტად ძნელი იქნებოდა (თუ შეუძლებელი არა) ნოვატორული კულტურულ-იდეოლოგიური სისტემების შექმნა ვორონცოვისდროინდელი მონარქისტულ-კონსერვატიული მსოფლმხედველობით, პოლიტიკური რეჟიმისადმი გამოცხადებული უპირობო ლოიალიზმითა და არსებული კულტურულ-ინტელექტუალური რესურსებით. ამდენად, ეროვნულმა სასიცოცხლო ენერგიამ, რომელიც იმ დროისათვის, საბედნიეროდ, სიცოცხლისა და მოქმედებისუნარიანი აღმოჩნდა, ილია ჭავჭავაძე, როგორც წინამძღოლი („გენიოსი"), მაინცდამაინც მაშინ წარმოშვა, როცა ამისი სასიცოცხლო აუცილებლობა შეიქმნა და ის, რასაც ილია ზოგადად ამბობდა: გენიოსი „ნაყოფია თავის დროებისაო", თვითონ ამ სიტყვების ავტორზეც უნდა გავრცელდეს – ილია ჭავჭავაძე ნაყოფია „თავის დროებისა".

რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის, რომ „საქართველოს მოამბის" პირველი ნომერი იხსნება ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსით „შემოღამება მთაწმინდაზე".

ი. ჭავჭავაძეს განსაკუთრებული მსოფლმხედველობრივი, ლიტერატურულ-ესთეტიკური და ემოციური დამოკიდებულება ჰქონდა ნ. ბარათაშვილის შემოქმედებასთან. სტუდენტობისას, 1858 წელს, ილია სტუმრად იყო იმ დროს რუსეთში მყოფ ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანთან, რომელსაც თან ჰქონდა პოეტის მიერ მისდამი მიძღვნილი ხელნაწერი (ავტოგრაფული) კრებული. ამ კრებულის წაკითხვამ ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძეზე გამაოგნებელი შთაბეჭდილება დატოვა. ილიას სტუდენტობის მეგობარი ალექსანდრე (კოხტა) აბხაზი იგონებს: „მახსოვს, ერთხელ პავ-

ლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედით და იქ ვეწვიეთ ქალბატ. დადიანისას... ქ. დადიანისამ გამოიტანა და მოგვცა წასაკითხად ბარათაშვილის ლექსები... ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის მთელი ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით".

იმავე 1860 წელს ილიამ ნიკოლოზ ბარათაშვილის ხსოვნას მიუძღვნა ორი ლექსი ერთი და იმავე სათაურით – „თ[ავად] ნიკოლოზ ბარათაშვილზედ", რომელთაგან ერთ-ერთი („აღარა გვყევხარ!.. უღვთო იყო შენი სიკვდილი...") გამოაქვეყნა კიდევაც „საქართველოს მოამბეში".

ნ. ბარათაშვილის შემოქმედებისადმი ილიას დამოკიდებულება ორგანულადაა დაკავშირებული ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივი მემკვიდრეობითობის საკითხთან. საქმე ისაა, რომ ილია ჭავჭავაძის (ზოგადად, „თერგდალეულთა") შემოქმედებითი პრინციპები ცარიელ ნიადაგზე კი არ აღმოცენებულა, არამედ ამყარებს გენეზისურ კავშირს ქართველ რომანტიკოსთა ლიტერატურული მსოფლმხედველობის ერთ მნიშვნელოვან ასპექტთან – მხატვრული ენითა და ფორმებით პატრიოტული განცდების გამოხატვასთან. მაგრამ თუ ჩვენს რომანტიკოსებს მხოლოდ „ახასიათებთ ნაციონალური იდეების გაღვივება" (გ. ქიქოძე), ილიას მტკიცე შემოქმედებითმა ნებამ 1860-იან წლებში ლიტერატურული აზროვნება მთლიანად დაუმორჩილა „მოქალაქურ გულისტკივილსა" და „მამულის-შვილურ სიყვარულს" და ამ მოვლენას ყოვლისმომცველი ხასიათი მისცა.[12]

„საქართველოს მოამბე" წინარე ხანის ქართული პერიოდული გამოცემებისაგან არა მარტო ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივი მთლიანობითა და ლიტერატურული მასალის მაღალი მხატვრული ესთეტიკური დონით, არამედ თემატური მრავალფეროვნებითა და ინტერესთა სოლიდარობით გამოირჩევა. ჟურ-

12 ნ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავაძის მემკვიდრეობითი ურთიერთმიმართების საკითხი, როგორც ადრე ითქვა (თავი – „ივანე კერესელიძის „ციხკარი") ჯერ კიდევ 1865 წელს დასვა აკაკი წერეთელმა თავის თხზულებაში „რამდენიმე სიტყვა „ჩანგურის" შესახებ": „ბარათაშვილი და ჭავჭავაძე სწორეთ ერთს ტახტზედ სხდომის ღირსები არიან... ერთის გაუნყვეტელის ჯაჭვით გადაბმულები ერთი მეორეზედ; ერთის უმეორესოთ გაგება ძნელიაl.. ეგენი არიან მოსე და აარონი ჩვენის ლიტერატურისა... ჭავჭავაძე არის ბარათაშვილის მოკანანახე (მიმდევარი)".

ნალში იბეჭდებოდა თანამედროვე ქართველ მწერალთა და ქართული ლიტერატურის კრიტიკოსთა მხატვრული ნაწარმოებები, პოლიტიკური თხზულებები, უცხოელ ავტორთა თარგმანები, სოციალურ-ეკონომიკური და დიდაქტიკურ-მორალისტური ხასიათის თხზულებები (ძირითადად თარგმანები), საინტერესო მასალა და სხვ.

„საქართველოს მოამბის“ ენა საეტაპო მნიშვნელობის მოვლენაა არა მარტო ქართული ჟურნალისტიკისა, არამედ, ზოგადად, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში. ეს კი უპირველესად, განსაზღვრულია ილიას ფუნდამენტური შეხედულებით იმის შესახებ, რომ ენა, საზოგადოდ, და, კერძოდ, ერთიანი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება არის საერთო ეროვნული თვითცემეცნების აღდგენისა და განვითარების უმთავრესი ირაღი. ილიას შეხედულებით, არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა. ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას.

1864 წლის 22 მარტს გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა „საქართველოს მოამბის“ სარედაქციო განცხადება ჟურნალის გამოცემის შეწყვეტის შესახებ და ამით გამართლდა კიდევაც ილია ჭავჭავაძის შეხედულება „ნურავინ ნუ ფიქრობს, რომ ჟურნალი მარტო ერთი კაცის ნებით იბადება. არა, თვითონ ცხოვრება გვიჩვენებს ხოლმე იმის საჭიროებას, კაცი კი მხოლოდ მიხვდება ამ საჭიროებას და ჟურნალის გამოცემით პასუხს აძლევს“.

ქართული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი ილია ჭავჭავაძის „ივერია“ (1877-1906)

ჩვეულებრივად როცა „ივერიას“ ვახსენებთ, თვალწინ წარმოგვიდგება სულმნათი ილია, – წმინდა ილია მართალი. იმთავითვე უნდა ვთქვათ, რომ სხვადასხვა დროს არსებობდა ამავე სახელწოდების სხვა გაზეთებიც და ჟურნალიც.

„ივერია“ მე-19 საუკუნის უდიდესი ქართული პერიოდული გამოცემაა.

1876 წლის 4 მარტს, გაზეთ „დროების“ 10 წლისთავის აღნიშვნისათვის მზადების დღეებში, შეიქმნა „დროების“ ახალი სარედაქციო ჯგუფი სერგეი მესხის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძისა და აკაკი წერეთლის შემადგენლობით. ამ დროისათვის ი. ჭავჭავაძესა და ნ. ნიკოლაძეს შორის უკვე გამწვავებული იყო პოლემიკა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამის გამო ილიამ დატოვა აღნიშნული ჯგუფი, რასაც ჯგუფის დაშლა მოჰყვა. ი. ჭავჭავაძემ საკუთარი გაზეთის დაარსება გადაწყვიტა, საამისოდ დაიწყო კიდევაც საორგანიზაციო ხასიათის მუშაობა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დირექტორი ბესარიონ ღოღობერიძე. ერთ-ერთ საორგანიზაციო შეხვედრაზე ილიას უახლოეს თანამშრომლებად (არსებითად თანარედაქტორად) დასახელდნენ ახალგაზრდა, მაგრამ პერსპექტიული მოღვაწეები: ბესარიონ ჯაფარიძე და დავით ჩქოტუა.[13]

ილიას „ივერია“, რომელიც გამოდიოდა 1877 წლიდან (1877-190 წწ), პირველ ორ წელინადს იბეჭდებოდა, როგორც გაზეთი

13 უნდა ითქვას, რომ ი. ჭავჭავაძეს ჯერ კიდევ 1872 წელს ჰქონდა საკუთარი პერიოდული ორგანოს დაფუძნების სურვილი. ამის შესახებ იგი პ. უმიკაშვილს სწერდა: „სამსახურის თავის დანებება ჩემთვის ამ ჟამად დიდი არაფერია, და თუ სამსახურიდან გამოვალ, მარტო იმისათვის, რომ ჟურნალი გამოვუსცე, ვფიქრობ, ვფიქრობ და ეგ გამოცემა ვერ მომიხერხებიას... თუ ორიოდ და სამიოდ რიგიანს (სად არიან?) მწერალზედ იმედი მექნება, ან უკეთ, მომეცემა, მაშინვე დავკრავ ფეხს, გადავვარდები ბახტრიონ გალაუანზედა“. ილია მაშინ მართლაც გამოეიდა სამსახურიდან, მაგრამ სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსების საქმეში ჩაერთო, ამის გამო რუსეთში (მოსკოვი, პეტერბურგი) მოუხდა ხანგრძლივად ყოფნა, იქიდან დაბრუნებულმა კი, ჩანს, ვერც ლიტერატურული ძალების შემოკრება მოახერხა და ეს მიზანი (საკუთარი გამოცემის დაარსება) მხოლოდ 1877 წელს განახორციელა.

(ხუთშაბათობით), ხოლო 1879 წლიდან 1886 წლამდე კი – ჟურნალი, ხოლო მას შემდეგ კვლავ გაზეთი. ერთხანს სამთვიური ალმანახის, უფრო ხანგრძლივად კი ყოველდღიური გაზეთის სახით. „ივერიას“ საფუძველი ჩაუყარა ილია ჭავჭავაძემ და მთელი მეოთხედი საუკუნე უძღვებოდა მას. შემთხვევით როდი უწოდა თავის პირმშოს საქართველოს ძველი სახელი. ამით მიგვანიშნა, რომ გაზეთი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე იქნებოდა. მართლაც, რედაქციამ უპირველეს ამოცანად დაისახა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და სოციალური პრობლემატიკისათვის ბრძოლა. ილიამ შემოიკრიბა ერის მოწინავე ძალები – მისი ინტელექტუალური ელიტა.

1876 წლის 18 ივნისს ი. ჭავჭავაძემ კავკასიის საცენზურო კომიტეტს მიმართა თხოვნით, ნება დაერთოთ 1877 წლის 1 იანვრიდან გამოეცა „ქართული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ივერია“, ამასთანავე, ილიამ საცენზურო კომიტეტს წარუდგინა პროგრამა, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებული იყო ფართო პროფილის პერიოდული გამოცემის დაარსება:

„1. წინამძღოლი წერილები, რომლებშიაც გამოითქმება რედაქციის აზრი შეახებ საზოგადო ცხოვრების სხვა და სხვა გვარ საგანთა.

2. საქართველო: განხილვა ყოველის გვარის საგნისა, რაც კი შეეხება ჩვენში მთავრობითსა წარმოებასა და საზოგადოების ცხოვრებასა.

3. რუსეთი: განხილვა ყოველის გვარის შესანიშნავის საგნისა, რაც კი შეეხება რუსეთის სახელმწიფოს წარმოებას და საზოგადოების ცხოვრებასა.

4. უცხოეთი: განხილვა ყოველის გვარის სანისა, რაც კი შეეხება საზოგადო პოლიტიკას, უცხო ქვეყნების სახელმწიფო წარმოებას და საზოგადოების ცხოვრებასა.

5. კორრესპონდენციები შესახებ ჩვენის ქვეყნისა, რუსეთისა და უცხო ქვეყნებისა.

6. სამეცნიერო განყოფილება: წერილები შესახებ ყოველის გვარის მეცნიერებისა.

7. ბელლეტრისტიკა: მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა ამგვარი.

8. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

9. ფელეტონი.

10. სასამართლოს მატიანე: სასამართლოების განაჩენის ბეჭდვა და მისი განხილვა.

11. სხვა და სხვა გაზეთების ნაამბობნი.

12. კერძოთა პირთა განცხადებანი და საჭირო ცნობათა სქემა".

საცენზურო კომიტეტმა, როგორც ამას იმდროინდელი წესი მოითხოვდა, თხოვნა გაუგზავნა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს, რომელმაც სექტემბერში გასცა კიდევაც ნებართვა, თუმცა 1877 წლის 1 იანვარს გაზეთის გამოცემა ვერ მოესწრო და ყოველკვირეული „ივერიის" პირველმა ნომერმა მხოლოდ 3 მარტს იხილა დღის სინათლე.

„ივერია" ბრძოლისა და წინააღმდეგობის პირობებში დაიბადა. მისი გამოცემის იდეას (ხოლო შემდეგ – პირველივე ნომრის გამოსვლას) მძაფრი კრიტიკით შეხვდა „დროების" ჯგუფი, რომელმაც შეძლო, საზოგადოებრივი აზრი უარყოფითად განეწყო ი. ჭავჭავაძის ახალი ინიციატივის მიმართ. ჯერ კიდევ 1876 წლის ივნისში, გაზეთის გამოცემის მოსამზადებელ პერიოდში, ნ. ნიკოლაძემ „ივერიის" გამოცემის განზრახვა საბანკო საკითხებს დაუკავშირა, კერძოდ, მიიჩნია, რომ ახალი გაზეთი ბანკის მმართველობისათვის ბრძოლაში (კენჭისყრაში) საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციის მიზნით არსდებოდა და ამის გამო ნ. ნიკოლაძემ „დროების" ფურცლებზე სასტიკად გაილაშქრა „ივერიის" გამოცემის წინააღმდეგ: „მწერლობა დიდი ძალაა, მართალია, მაგრამ ის მწერალი, რომელიც თავის კალამს იმისთვის იღებს ხელშ, რომ საზოგადოებას თვალი აუხვიოს და კაი შემოსავლიანი ადგილი იშოვოს, ჩაქოლვის ღირსია... [ასეთი მწერალი] ღალატობს თავის მკითხველ საზოგადოებას და თავის თავს ჰყიდის ფულად, ჯამაგირად... საზოგადო სიკეთის მხრით მე სავნებლად ვთვლი ახალი გაზეთის დაარსებას კი არა, გ ა ზ ე თ ი ს დაარსებას კენჭის ყრის გასამრუდებლად". ს. მესხი კი მიიჩნევდა, რომ ახალი გაზეთის დაარსება თავისდათავად დიდად მნიშვნელოვანი და კეთილშობილური განზრახვა იყო, ჩვენს გაზეთს [„დროებას"] „ახალი მოძმეც" გაუჩნდებაო, მაგრამ იქვე დასძენდა – „ეჭვი ვერ მოგვიშორებია" და იქნებ ეს ახალი გაზეთი „თფილისისა და ქუთაისის საადგილ-

მამულო ბანკების გამგებელთათვის“ არსდებაო.

„ივერიის“ პირველი ნომრის გამოცემას „დროებაში“ რეცენზიით („ივერიის“ პირველი ნომერი“) გამოეხმაურა ნ. ნიკოლაძე, რომლის შეხედულებითაც, ერთი (თანაც, პირველი) ნომრის მიხედვით პერიოდული გამოცემის მიმართულებასა და ხარისხზე მსჯელობა ძნელია, თუმცა ჰ. ჰაინეს ასეთი რამ აქვს ნათქვამიო: „ვერავინ დამაჯერებს, ვითომ ლომი ჯერ თაგვად დაიბადება და ლომის ბრჭყალები და თვისება მას მერმე მიენიჭებაო“. რეცენზენტი ილიას ურჩევს, თავი დაანებოს ჟურნალისტიკას („მიატოვოს იქით მეცნიერება, ფილოსოფია, მაღალი ფრენა“) და ბელეტრისტიკას დაუბრუნდეს (სხვათა შორის, მრავლისმთქმელია ნ. ნიკოლაძის მიერ თავისი რეცენზიისათვის წამძღვარებული ეპიგრაფიც, რომელიც მას ხალხური პოეზიიდან აუღია: „მოკვდა იგი მებუკეცა, / რომელიცა ბუკსა სცემდა!“).

მიუხედავად ეჭვებისა და კრიტიკისა, ილია ჭავჭავაძემ მიზანმიმართულად გააგრძელა თავისი ჟურნალისტურ-საგამომცემლო საქმე და წლების განმავლობაში „ივერია“ ეროვნული თვითარსებობისა და თვითმოქმედების („...ეროვნული არსებობის გამამაგრებელ“ – გრ.ყიფშიძე) მძლავრ კერად აქცია.

გამოცემის სახელწოდებით დამაარსებელმა ხაზი გაუსვა, ჯერ ერთი, „წარსულისა და დღევანდელობის განუყოფლობას“ (ალ. კალანდაძე) და, ამასთანავე, წარმოაჩინა გამოცემის უმთავრესი მიზანდასახულობა – ეროვნული იდეის გარშემო ქართველი ხალხის ერთიანობა და კონსოლიდაცია. გაზეთის „სახელწოდებაში მკაფიოდ არის გამჟღავნებული რედაქციის პოლიტიკური მრწამსი, საზოგადოებრივი იდეალები“. (ნ. ტაბიძე).

„ივერია“ სხვადასხვა წლებში სხვადასხვა ფორმით გამოდიოდა:

1877-1878 წლებში იგი 16-გვერდიანი ყოველკვირეული (გამოდიოდა ხუთშაბათობით) „საპოლიტიკო და სალიტერატურიო“ გაზეთია, თუმცა ფორმატით, მოცულობითა და შინაარსობრივადაც უფრო ჟურნალს ჰგავს, ვიდრე – გაზეთს (ამასთან დაკავშირებით გიორგი თუმანიშვილი ირონიულად შენიშნავდა კიდევაც – „...ზოგჯერ ივიწყებს თავის გაზეთობას და ჩემულობს ჟურნალობასო“).

1879 წელს „ივერია“ ყოველთვიური ჟურნალია. იმ დროს

ქართულ ენაზე არც ერთი ჟურნალი არ გამოდიოდა და, უნდა ვიფიქროთ, ილიას გადაწყვეტილებაზე, – გაზეთი ჟურნალად გადაეკეთებინა, – სწორედ ამ გარემოებამ იქონია გადამწყვეტი ზეგავლენა.

1880 წელს „ივერია" სამთვიური ალმანახია.

1881-1885 წლებში „ივერია" ისევ ყოველთვიური ჟურნალია.

1885 წლის სექტემბერში „დროება" დაიხურა და ქართველი საზოგადოება გაზეთის გარეშე დარჩა. ი. ჭავჭავაძემ თავის გამოცემას სასწრაფოდ შეუცვალა ფორმა და 1886 წლის 1 იანვრიდან „ივერია" ყოველდღიური გაზეთია (გამოცემის ბოლო – 1906 – წელს „ივერია" ყოველკვირეულ გაზეთად გადაკეთდა).

დაარსებიდან 1880 წლამდე ილია ჭავჭავაძე იყო „ივერიის" ერთპიროვნული რედაქტორი. ამ წელს, როგორც ადრე ითქვა, „დროება"-„ივერიის" რედაქციები გაერთიანდა და გაერთიანებული გამოცემის რედაქტორი ილიასთან ერთად ს. მესხიც გახდა, ხოლო „1882 წლიდან ს. მესხის ადგილი დაიკავა ივანე მაჩაბელმა, რომელიც ილიასთან ერთად „ივერიას" უძღვებოდა 1883 წლის მაისამდე" (ნ. ტაბიძე).

საინტერესო ვითარება შეიქმნა 1890-იან წლებში. გიორგი ლასხიშვილის თქმით, „ილია ჭავჭავაძემ მე-90 წლებში სრულიად დაანება თავი საგაზეთო მოღვაწეობას. თუმცა რედაქტორი იყო, მაგრამ სარედაქტორო საქმეებში არ ერეოდა და ძალიან იშვიათად სწერდა... გაზეთი ჩაბარებული ჰქონდა გამგეებს და ესენი აწარმოებდნენ საქმეს. ამგვარ გამგეებად იყვნენ: ჯერ ძმები ყიფშიძენი გრიგოლი და ალექსანდრე (ფრონელი), შემდეგ დავით მიქელაძე და, ბოლოს ცოტა ხნით (გაზეთის დახურვამდე) – მე. ილია მხოლოდ გაზეთის გამომცემლობის საქმეს აწარმოებდა სამეურნეო ნაწილის გამგის დახმარებით". იმავე პერიოდში ი. ჭავჭავაძემ თანარედაქტორობა შესთავაზა ჯერ ალ. ნანეიშვილს (1895 წ. ოქტომბერში ილია სწერს ალ. ნანეიშვილს: „აი რაზედ დავდექით: თქვენ უსათუოდ მოგიწვიოთ თანა-რედაქტორად... მე და თქვენ თანასწორის უფლების რედაქტორები და გამომცემლები ვიყვნეთ"), ხოლო შემდეგ – ნოე ჟორდანიას, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.[14] რაც შეეხება გ. ლასხიშვილის მიერ ნახსენებ

14 საინტერესოა ის პირობა, რომელიც ილიას ნ. ჟორდანიასთვის შეუთავაზებია: „მე მსურს თქვენ გახდეთ „ივერიის" ხელმძღვანელი, რედაქტორი სრული

„გაზეთის დახურვას“, ეს მოხდა 1896 წელს, როდესაც ფაქტობრივი რედაქტორის (გ. ლასხიშვილის, აგრეთვე, მისი უახლოესი თანამშრომლებისა და თანამოაზრეების: კიტა აბაშიძის, ილია ნაკაშიძის, გიორგი ზდანოვიჩის...) ხელში გაზეთმა რადიკალური ხასიათი შეიძინა, ამის გამო ხელისუფლებამ „ივერია“ დახურა და ი. ჭავჭავაძის ძალისხმევით მხოლოდ რვა თვის შემდეგ (1897 წლის 1 იანვრიდან) მოხერხდა მისი აღდგენა.[15]

1900 წელს ილიას ავადმყოფობისა და შემდეგ გერმანიაში სამკურნალოდ გამგზავრების გამო „25 იანვრიდან 14 ნოემბრამდე „ივერიას“ ვ. სულხანიშვილი უძღვებოდა“ (ნ. ტაბიძე).

ასე იყო თუ ისე, ოფიციალურად 1901 წლის დეკემბრამდე „ივერიის“ რედაქტორად ი. ჭავჭავაძე ითვლებოდა, ამის მერე კი ილიამ რედაქტორობა გადასცა ალექსანდრე სარაჯიშვილს, რომელიც, თავის მხრივ, 1903 წლის ივლისიდან შეცვალა გრიგოლ ყიფშიძემ.[16] „ივერიის“ უკანასკნელი რედაქტორი იყო ფილიპე გოგიჩაიშვილი – 1905 წლის თებერვლიდან 1906 წლის აგვისტომდე, ანუ გამოცემის დახურვამდე.

„ივერიის“ გამომცემელი დაარსების დღიდან 1902 წლის ივლისამდე იყო ი. ჭავჭავაძე, 1902-1905 (თებერვლამდე) წლებში – ალექსანდრე სარაჯიშვილი. გაზეთის ბოლო გამომცემელი იყო პავლე თუმანიშვილი (1905-1906).

უფლებით, მხოლოთ როცა ჩვენ შორის იქნება აზრების დიდი განსხვავება – მე ჩემსას დავბეჭდავ, თქვენ თქვენსას“.

15 „ივერიის“ დროებით დახურვასთან დაკავშირებით გ. ლასხიშვილი წერს: „მაისის პირველი რიცხვები იყო... უკვე დაიწყო ბანკის კრებები. მე და გიორგი (ზდანოვიჩი) წავედით თეატრში „ბანკოვიადის“ სეირის საყურებლად. ავედით სცენაზე, დავიჭირეთ კორესპონდენტების ადგილები. იმავ წუთს სცენაზე გამოჩნდა ილიაც, რომელიც პირდაპირ ჩემსკენ გამოემართა: – აი თქვენმა რევოლუციონერობამ უკვე გამოიღო პირველი ნაყოფი: ეს არის ქაღალდი მომივიდა „ივერიის“ დახურვის შესახებ.ადვილად წარმოიდგენთ, როგორ თავზარს დამცემდა ეს ამბავი, როგორ უეცრად მიცრუვდებოდა ყველა იმედი გაზეთის განახლებისა, გაზეთში თანამოაზრე ხალხის შეკრებისა და ახალ მიმართულებით მუშაობისა... ამგვარად, ქართველი საზოგადოება დარჩა უგაზეთოდ. დიდის მეცადინეობით ილიამ მოახერხა გაზეთის განახლება...“

16 მიხეილ ჯავახიშვილი,, რომელიც 1900-იან წლებში აქტიურ ჟურნალისტურ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწეოდა, თავის მემუარული ხასიათის ტექსტში „ილია ჭავჭავაძე“ აღნიშნავს; „1904 წელს „ივერიის“ ფაქტიური რედაქტორი გავხდი. ოფიციალური რედაქტორი გ. ყიფშიძე ბანკში მუშაობდა და თავის გაზეთს უკვე დაბეჭდილს კითხულობდა“

ტირაჟი გამოცემისა მერყეობდა 400-600 ეგზემპლარის ფარგლებში (ამ საკითხზე მწირი ცნობები მოგვეპოვება. ასე, მაგალითად 1881 წელს „ივერიას“ ჰყავდა 437 ხელის მომწერი. გ. ლასხიშვილის მიხედვით, 1890-იან წლებში გაზეთი იბეჭდებოდა „ოთხასიდან ექვსას ეგზემპლიარამდე“). ისიც უნდა ითქვას, რომ „ივერიის“ ხელის მომწერთა რაოდენობა და ტირაჟი არ ემთხვეოდა ერთმანეთს: „ქართული გამოცემები, განსაკუთრებით ი. ჭავჭავაძის გამოცემები, ხელისმომწერთა რიცხვზე მეტი რაოდენობით იბეჭდებოდა და უფასოდ იგზავნებოდა სკოლებში, სამკითხველოებში, ახალშემოერთებულ კუთხეებში (მესხეთი, აჭარა)“ (ალ. კალანდაძე).

„ივერია“ თავიდან იბეჭდებოდა ე. ხელაძის სტამბაში, შემდეგ – ა. ენფიაჯიანცის, სტ. მელიქიშვილის, გრ. ჩარკვიანისა და სხვ. სტამბებში.

რედაქციას სხვადასხვა დროს სხვადასხვა მისამართი ჰქონდა: კომენდანტის (ამჟამად გრიბოედოვის) ქუჩის №1; კონსულის (ამჟამად პეტრე ჩაიკოვსკის) ქუჩა (ჯერ №5, შემდეგ №4); სოლოლაკში, სადოვაიას (ამჟამად ლადო ასათიანის) ქუჩის №33; გოლოვინის (ამჟამად რუსთაველის) პროსპექტი (ივ. მუხრანბატონის სახლი, 1 კლასიკური გიმნაზიის გვერდით, რუსთაველის პროსპექტისა და ლესია უკრაინკას ქუჩის გადაკვეთაზე) და სხვ.; 1893-1902 წლებში (მანამ, სანამ ილია გაზეთს ალ. სარაჯიშვილს გადასცემდა) „ივერიის“ რედაქცია მდებარეობდა იმ შენობაში, რომელშიც ი. ჭავჭავაძე ცხოვრობდა – ნიკოლოზის ქუჩის №№21-ში (ამჟამად ივანე ჯავახიშვილის ქუჩა, №7).

„ივერიის“ პირველ ნომერში ი. ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა პროგრამული ხასათის წერილი, რომელშიც მოცემულია ავტორის ფუნდამენტური შეხედულებები პრესის („ჟურნალ-გაზეთობის“ – მწიგნობრობის/ლიტერატურის „ერთგვარი ნაწილის“) ფუნქციასა და საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე. ილიას აზრით, „[ჟურნალ-გაზეთობის] ძალით თვით საზოგადოება თვისის ცხოვრების სადავეს ხელთ იპყრობს და ცხოვრების თვითრჯულს დენას საკუთარს თაოსნობას უმორჩილებს“. ხოლო იმისათვის, რომ საზოგადოებამ „ცხოვრების თვითრჯული დენა“ საკუთარ ინტერესებსა და მოთხოვნილებებს დაუმორჩილოს, პრესამ ორი უმთავრესი ფუნქცია უნდა განახორციელოს:

ა) იგი უნდა იყოს სწავლისა და ცოდნის გამავრცელებელი, სასწავლებელი, „რომლის მეოხებითაც უნდა აღორძინდეს, აღიზარდოს, დაფუძნდეს და გამშვენიერდეს საზოგადოების აზრი და რწმენა, გრძნობა და გემოვნება... მან უნდა ფეხი აუდგას თვითმოქმედობის ძალსა, მან უნდა აღადგინოს გონებითი და ზნეობითი ნიჭი“.

ბ) ჟურნალ-გაზეთობა უნდა იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების სარკე, „იმის ამომძახელი, რასაც ჩასძახებს საზოგადო აზრთა დენა, შეტაკება და ბრძოლა“. საზოგადოებრივი ცხოვრება კი, თავის მხრივ, შეიძლება იყოს „ძლიერი თუ უძლური, მაღალი თუ მდაბალი“, მაგრამ ყველა შემთხვევაში ჟურნალ-გაზეთობამ უპირველესად მხედველობაში ის უნდა იქონიოს, რომ „ადამიანები განა მარტო მაყურებელნი არიან ცხოვრებისა, არამედ მომქმედნი პირნიცა. ცხოვრება არის თითონ ამ პირთა ქმნილება, ამ პირთა ნამოქმედარი და ჭირნახული. რასაკვირველია, მოჭირნახულემ უნდა იცოდეს თვისი ნამოქმედარის ავკარგიანობა, თვისება. ამისათვის ყოველს საგანს, ყოველს მოვლენას ცხოვრებისას, ავს თუ კარგს, დიდს თუ მცირეს, ჟურნალ-გაზეთობამ უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და შეძლებისამებრ მისცეს სასტიკს გარჩევას, განმარტებას თავისის რწმენისა, აზრის და ცოდნის დაკვალად“.

„ივერია“ თემატურ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით მრავალმხრივი და მრავალფეროვანი პერიოდული გამოცემაა, თუმცა მისი უმთავრესი მიზანი და საზრუნავი მაინც არის „ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან... სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს რა ეხლანდელს საქართველოს შვილს“ (ი. ჭავჭავაძე, 1881 წლის მაისის „შინაური მიმოხილვა“).“ვინაობაში“ აქ ქართველთა ნაციონალური თვითმყოფობა იგულისხმება, ხოლო „აღდგენაში“ კი ის, რომ ნაციონალური თვითმყოფობა ქართველი ერის კულტურულ-ისტორიულ გამოცდილებასა და მონაპოვრებზე უნდა იყოს დაფუძნებული.[17] *

17 მიუხედავად იმისა, რომ „ივერიის“ პუბლიცისტებს განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ ცალკეულ პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ საკითხებზე, „დაცემულის ვინაობის აღდგენის“ საკითხში მათ შორის თანხმობა იყო. ასე, მაგალითად, თვალსაჩინო პუბლიცისტი ალ. ნანეიშვილი იმავე „ივე-

ერთ-ერთ „შინაურ მიმოხილვაში“ ი. ჭავჭავაძე ასე განსაზღვრავს თავისი გამოცემის ძირითად მიზანდასახულობას – „საქართველოს ხალხში ეროვნული გრძნობის გაღვიძება“.

„პოლიტიკური სიმბოლო ილია ჭავჭავაძისა გამოისახება ეროვნული ცხოვრების აღორძინების საჭიროებაში“ (ა. ჯორჯაძე). „ეროვნული ცხოვრების აღორძინების“ გზაზე კი, ილიას შეხედულებით, უმთავრესია ქართველთა საერთო-ეროვნული თვითშეგნების გამთლიანება და გაღრმავება, „საყოველთაო ქართველის“ დარღვეული თვითშემეცნების აღდგენა და ეროვნული იდეის სამსახურში მისი ჩაყენება; ქართველი ერის უბედურების სათავე განკერძოებულობაშია და ამას აქვს ისტორიულ საფუძველი: „ჩვენი უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ჩვენი ქვეყანა დაირღვა და განაწილდა სამ სამეფოდ და ხუთს სამთავროდ. ამ დარღვეევამ არამც თუ მარტო ერთობის კავშირი გასწყვიტა ჩვენის სამეფოისა, არამედ საზოგადოებრივიცა. თვითოეული ჩვენგანი ერთმანეთს დაგვაშორა, ერთმანეთის გულის-ტკივილისათვის გული აგვიცრუა, მოგვიკლა. მას დღეს აქეთ გაითხარა ჩვენის ბედნიერების სამარე. მას დღეს აქეთ თვითოეული დღე თითოს რასმე სიკეთეს ხელიდამ გვაცლიდა. ეს საზარო უბედურება... თანდათან უფრო და უფრო გვიჯდებოდა სულსა და ხორცში და გვხრწნიდა თავიდამ ფეხამდე“ [„ვის ნათესსა ვმკით? (მიმოხილვა 1879 წლისა)“].

„სად არის ქართველი და ქართველობა?“ – ეს არის ის „საჭირბოროტო და წყევლა-კრულვიანი საკითხავი“, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში უტრიალებდა ილია ჭავჭავაძე თავის მხატვრულ თუ პუბლიცისტურ შემოქმედებაში. ამ მხრივ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ჯერ კიდევ „ივერიის“ დაარსებამდე (1866-1876 წლებში) დაწერილი და 1876 წელს "დროებაში" გამოქვეყნებული პუბლიცისტური თხზულება „ზოგიერთი რამ“: "არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი – ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის... აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმოგდებულის ქართველის მეტმა (ე. ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენკენ

რიის“ (1881, №10) ფურცლებზე წერდა: „დღეს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ჩვენის ვინაობის დაცვას“.

მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო. ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა, და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძოობითი სახელი-ღა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის მძიმე უღელი ჭირში თუ ლხინში ერთად ძმურად უწევნია... ქართველი ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ... იმერელი – იმერელია, გურული – გურულია, მეგრელი – მეგრელია, ქართლელი – ქართლელია, და სულ ყველანი კი ქართველები არ არიან. ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში – ყველა. საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე" ხშირია, და „ჩვენ" – იშვიათი".

„განთვითოებულობამ", „ცალ-ცალკეობამ" ხალხის ზნეობრივი და გონებრივი გადაგვარება გამოიწვია, ერის თვითმოქმედების უნარი დაასუსტა, სამშობლოს განცდა დააუძლურა, „მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვი" გაწყვიტა, სიტყვა „მამულის" „ყოვლად-მპყრობელი მნიშვნელობა" საკუთარ კარმიდამოზე ზრუნვამდე დააქვეითა: „დავაქციეთ ჩვენი დიდი ერთიანი სამშობლო ოჯახი... და მის ნაშთის ნამტვრევებისაგან პატარ-პატარა ხუხულები ავაშენეთ, რომელსაც საზოგადო სახელი „მამული" დავარქვით და რომელშიაც ჩვენც დავეტივენით, და ჩვენი ამომშრალის ტვინის და გონების აზრიც დავტივეთ; დავაქციეთ მამათა ჩვენთა სამარე, შვილთა ჩვენთა აკვანი... თვითეულმან ჩვენგანმან... საზოგადო სახელი „მამული" თავის კერძო მამულს დაარქვა და თქვა: თუ მე არ ვიქნებიო, ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო. ამ სახით თვითეული ჩვენგანი თავის შემოღობილში შეიკეტა, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აიჩინა; და რომ თვითეულმან ჩვენგანმან საერთო საქმეს თვალი მოაშორა და გონება თავისი საერთო საგანზედ აღარ ავარჯიშა, ის გონებაც ისე დაუბრმავდა, რომ იგი თავის ქონების ღობის იქით ვეღარ გადაუცილებია, რომ თავის მოძმეს გაეხმაუროს მაინცა".

„ილია ჭავჭავაძისათვის ერი ცოცხალი საზოგადოებრივი პიროვნება იყო, ერთი მრთელი რამ, რომლის ნაწილთა შორის ვერავითარი განსხვავება მას ვერ შლის და არც უნდა დაშალოს იგი. დასაბამითგან დღემდე ცხოვრება ქართველი ერისაც მუდამ ცვალებადი იყო, ხოლო თვით იგი იმავე პიროვნებად დარჩა“ (მიხ. წერეთელი).[18]

ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისით, „ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთათქმა, თავისი წადილები, თავისი სულთასნრაფვა, თავისი ღირსება“ („ქვათა ღაღადი“). უფრო მეტიც, ერისთვის, – მისი პიროვნული ბუნებიდან გამომდინარე, – ბუნებრივი და ორგანულია ისეთი პიროვნულ-ადამიანური თვისებები, როგორებიცაა „დიდ-ბუნებოვანება“, ზნეობრივი „სისრულე“ და ყოფით ცხოვრებაში გამოვლენილი „მადლი“ (1895 წლის იანვრის „შინაური მიმოხილვა“).

ილიას შეხედულებით, ერის, როგორც „ცოცხალი საზოგადოებრივი პიროვნების“, სრულფასოვანი თვითარსებობა და „თვითმოქმედების ძალის“ ამოძრავება მისი თითოეული შვილის ნიჭისა და შესაძლებლობების ეროვნული იდეის გარშემო კონსოლიდაციითაა შესაძლებელი: „ყოველივე საქმე, ყოველივე საგანი... სულ ყოველისფერი ჩვენი ვინაობის საქმეს უნდა შევურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ. სკოლაა, ბანკია თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისაკენ უნდა მივიბრუნოთ თავი“ (1881 წ. მაისის „შინაური მიმოხილვა“). სწორედ ამ კონტექსტში უნდა იქნას განხილული

---

18 ალ. მანველიშვილის შეხედულებითაც, ილია ჭავჭავაძისათვის „ერი არის გარკვეული პიროვნება, ისე, როგორც ინდივიდი; დამთავრებული ბუნებრივი ქმნილება, რომლის განვითარება და ამაღლება მოითხოვს თავისუფლებას. ადამიანის არსებობის მიზანი ამ ქვეყნად არის მუდმივი წინსვლა, განვითარება, სრულყოფა მისი ნივთიერი არსებობის პირობებისა და სულიერი და ზნეობრივი გაფაქიზება, რათა ამ დაუსრულებელი ლტოლვით ღვთაებამდე ამაღლებისა, შეასრულოს თავისი ადამიანური მისია, რომელიც არის მთავარი პრინციპი მთელი სამყაროისი, განსაკუთრებით კი სიცოცხლისა და მისი უმაღლესი გამომჟღავნების – ადამიანისა. ეს ბუნებრივი სვლა ხდება ბრძოლითა და შემოქმედებით. ბრძოლა თავისუფლებისათვის – შემოქმედება თავისუფლების ნიადაგზე. ერი, როგორც ინდივიდი, შემქმნელია ყველაფრის. კულტურა იქმნება მხოლოდ ინდივიდუალურ, ეროვნულ ნიადაგზე. ხოლო რაკი შემოქმედება მხოლოდ თავისუფლების ნიადაგზეა შესაძლებელი – ერის თავისუფლების პრინციპი გამომდინარეობს მისი სოციალური ბუნებიდან: „თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი, / შენ ხარ ჩაგრულის, ნამებულის წმინდა საფარი, / შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა, / შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა“.

ილია ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ-კლასობრივ ფენათა შეთანხმების („წოდებათა შერიგების", „წოდებათა თანხმობის","სოციალური ზავის", იასონ ლორთქიფანიძის ფორმულირებით „ეროვნული ერთიანი ფრონტის") კონცეფცია – „ნაციონალური კონსოლიდაციის" კონცეფცია და რომელშიც ერთი განმსაზღვრელი იდეის გარშემო პოლიფონიურადაა შერწყმული ილიას პოლიტიკური და სოციალური იდეები და შხედულებები.

„ნაციონალური კონსოლიდაციის" კონცეფციას ი. ჭავჭავაძე აყალიბებს, როგორც ქართველი ერის თანადროული ცხოვრებისათვის საციცოცხლო მნიშვნელობის აუცილებლობას და, ამასთანავე, საქართველოში სოციალურ ურთიერთობათა ისტორულად ჩამოყალიბებული ტრადიციის აღორძინებას. წერილების სერიაში „ცხოვრება და კანონი", ილია წერს: „ჩვენს ძველს ცხოვრებაში დას-დასად დაყოფა ერობისა არ არსებობდა... წოდებათა შორის უფლების ცილება, ეკონომიურის თუ პოლიტიკურისა, ცილება – რომელიც უაღრესი მიზეზი იყო დაუძინებელის განხეთქილებისა სხვა ქვეყნებში, ჩვენში არ არსებობდა. ამიტომაც არც ზნეობით, არც აზრით, არც გრძნობით, არც მიმართულებით და არც ჩვეულებით, ჩვენი თავად-აზნაურობა არ დაჰშორებია გლეხობას, არ შეუკეტნია თავი, თავისი საკუთარი ინტერესები არ შემოუხაზავს ისე, როგორც სხვაგან".

უნდა ითქვას, რომ „ნაციონალური კონსოლიდაციის" კონცეფციას ი. ჭავჭავაძე ამკვიდრებდა არა მხოლოდ როგორც მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, არამედ როგორც სახელმწიფო მოღვაწეც. კერძოდ, 1906 წელს თავადაზნაურობის მიერ რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევასთან დაკავშირებით ილია საგანგებოდ აღნიშნავდა: „სახელმწიფო საბჭოში თუ თავად-აზნაურთა სახელით შევდივარ – ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. საერთო კითხვებსაც შევნირავ ჩემს ღონეს".

ცალ-ცალკე ყოფნა, სოციალურ-კლასობრივ ინტერესთა დაპირისპირება, „გათვითოებულობა" არის ის მთავარი საფრთხე, რომელიც ქართველი ერის თვითარსებობას ემუქრება და ამ საფრთხის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება ერთიანობაა: „ყველამ ერთად თვითეულმა ცალკე უნდა იცოდნენ, რომ

იგი განუყოფელი ნაწილია მთელის ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე. არა გონიერმა კაცმა, რა წოდებისაც გინდ იყოს, ეს არ უნდა დაივიწყოს, თუ უნდა თავისი სიკეთე მკვიდრს საფუძველზე დაამყაროს".[19]

ი. ჭავჭავაძე თვლიდა, რომ „სული და გული ჩვენის ეროვნულის იმედებისა" გლეხობაა. ილიას, რასაკვირველია, კარგად ესმოდა ზოგადად ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისა და ბურჟუაზიული ფენის ჩამოყალიბების გარდაუვალობაცა და სარგებლიანობაც, თუმცა საქართველოსთვის პრიორიტეტულად მიაჩნდა აგრარულ-ფერმერული მეურნეობის განვითარება (წერილების სერია „ცხოვრება და კანონი"), თანაც ისე, რომ მიწა ქართველ გლეხს დარჩენოდა და მასზე არ გავრცელებულიყო უცხოტომელთა საკუთრება.

ცნობილი მემუარისტისა და ი. ჭავჭავაძესთან დაახლოებული პირის, იაკობ მანსვეტაშვილის მიხედვით, ილია გლეხობას უწოდებდა „საქართველოს პირველ ქვაკუთხედს", რომელმაც „ისტორიულ ქარტეხილს, წვა-დაგვას გაუძლო და ქვეყანა გააშენა. ეს ის მაგარი, მკვიდრი მუხაა, რომელიც ქარ-ცეცხლს უძლებს და არ ეცემა. ეს არის ჩვენი გლეხობა". ილიასთან დაახლოებული მწერალი და ჟურნალისტი არტურ ლაისტი საგანგებოდ აღნიშნავ-

---

19 ქართველთა ერთიანობის სასიცოცხლო მნიშვნელობას ილია საჯარო გამოსვლებშიც აღნიშნავდა. ასე, მაგალითად, 1895 წელს თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში იგი შეეხო კუთხური განკერძოებულობის პრობლემას: „ყოველს ქართველს საქართველოს ნაწილისას, – გურული იქნება, მეგრელი, კახელი, თუ ქართლელი, – ჩვენის ერთიანის ოჯახის კარი ღია აქვს, რომ ჩვენს საერთო ჭირსა და ლხინში ძმური მონაწილეობა მიიღოს. ეს არამცთუ უფლებაა თვითეულის ჩვენგანისა, უუწმინდესი მოვალეობაა. ძმობა და ერთობა ამაშია. ეგ ძმობა და ერთობა არის იგი კლდე, რომელზედაც უნდა აშენდეს დიდი სასახლე ჩვენის ცხოვრებისა. ეს თითქმის ექვსი საუკუნეა მას აქეთ, რაც საქართველო დაირღვა, დანაწილდა. ეს ექვსი საუკუნეა მას აქეთ, რაც ჩვენი მამა-პაპანი, ჩვენნი უკეთესნი და უდიდესნი მამულისშვილნი, ჩვენი გენიოსები, ჩვენნი ვაჟკაცნი და მეომარნი, ჩვენნი მსწავლულნი და მეცნიერნი, სისხლის ღვრით იღვწოდნენ, რომ მკვდრეთით აღედგინათ ჟამთა ვითარებისაგან დარღვეული და დამხობილი ძმობა და ერთობა. ამას შესწირეს თავისი სახელოვანი სიცოცხლე, თავისის სისხლით და ღვაწლით შემოსეს და აკურთხეს. მთელმა თაობამ მეცხრამეტე საუკუნისამ ამას შეალია თავისი პატიოსანი ძალ-ღონე, თავისი სისხლი და ხორცი, თავისი ნიჭი საქმისა და მეტყველებისა..."

და: „ილია სოფელში ხედავდა ქართული ეროვნული ცხოვრების სულს“.

ბატონყმობის გაუქმება ილია ჭავჭავაძისათვის გლეხისათვის სამართლებრივი და მორალური უფლებების მინიჭებას, მისი თვითრეალიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნასა და, ამდენად, სოციალურ ურთიერთობათა ჰარმონიზაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა; ამასთანავე, „ილია არ იბრძოდა გლეხობისათვის, ვითარცა კლასისათვის, არამედ ერის იმ სასიცოცხლო ნაწილისათვის, რომლის არსებული მდგომარეობა ერს განადგურებით ემუქრებოდა“ (ალ. მანველიშვილი).[20]

ეროვნული ერთიანობის კონტექსტში მსჯელობდა ილია ჭავჭავაძე სარწმუნოებრივ საკითხებზეც: „ქრისტეს სჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნეობითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვიტკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა... ქართველი ერი ამისათვის უფრთხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც, თავის შინაგან ღირსების გარდა, დუღაბობას უწევდა ერთობასა“ („აი ისტორია“); „ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას“ („ქართველი ერი და ღვაწლი წმინდა ნინოსი“) და სხვ.

მართალია, ილია ქრისტიანულ სარწმუნოებას ეროვნულ-კულტურული ერთობისა და ეთნოფსიქოლოგიური ინდივიდუალობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად, ხოლო ეკლესიას

---

20 „ნაციონალური კონსოლიდაციის“ ილიასეულმა თვალსაზრისმა ტრანსფორმაცია განიცადა არჩილ ჯორჯაძის ნააზრევში და საბოლოოდ ჩამოყალიბდა კონცეფციად, რომელიც „საერთო მოქმედების ნიადაგის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ა. ჯორჯაძე ქართველთა ეროვნული თვითმყოფობისა და თვითარსებობის გაღრმავება-გაძლიერების აუცილებელ პირობად მიიჩნევდა სამოქმედო პროგრამას, რომელიც ხუთი კომპონენტისაგან შედგება: 1. ქართული ენის უფლებათა განუხრელი დაცვა; 2. ქართველთა მიერ ვაჭრობა-მრეწველობის სისტემური სახით ჩამოყალიბება და განვითარება; 3. მიწისა და მეურნეობის მართვის ქართველთა ხელში დარჩენა; 4. ქართველი ინტელიგენციის მიერ კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესების გაღრმავება და ამ საქმის მეურვეობა; 5. ქალაქების თვითმმართველობებში ქართველთა კონსოლიდირებული ჩარევა. „ენა და ლიტერატურა, მრეწველობა და მეურნეობა, თვითმმართველობა და სახალხო მოღვაწეობა, – აი ის ფართო ასპარეზი, რომელზედაც ყველასათვის მოიპოვება ადგილი, ვისაც კი მართლა შესტკივა გული საქართველოს წარმატებისათვის“ – ხაზგასმით აღნიშნავდა არჩილ ჯორჯაძე.

საქართველოს „პოლიტიკურ ქვითკირად" განიხილავდა, მაგრამ ამ მხრივ სპეციფიკური ვითარება შეიქმნა 1877 წელს, როდესაც რუსეთ-ოსმალეთის ომი გაჩაღდა და ამ ომში რუსეთის გამარჯვება ქმნიდა ოსმალთა მიერ მიტაცებული ჩვენი ისტორიული ტერიტორიის დაბრუნების პერსპექტივას. ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს კი დაკარგული ჰქონდათ წინაპართა რწმენა და ისლამს აღიარებდნენ. ასეთ ვითარებაში ილიამ წინა პლანზე წამოსწია ისტორიული ერთობის (საერთო ისტორიის) ფაქტორი და ის მიიჩნია ტრაგიკულ გარემოებათა გამო გათიშული ერი ერის შვილების კვლავ და საბოლოო „შეერთხორცების" საფუძვლად. 1877 წელს „ივერიაში" გამოქვეყნებულ წერილში „ოსმალოს საქართველო" ი. ჭავჭავაძე ხაზგასმით აღნიშნავს: „ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა".

ი. ჭავჭავაძე ისტორიული ექსკურსის მეშვეობით გამოჰკვეთს დედასამშობლოს მოწყვეტილი „სამცხე-კლარჯეთის" განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქართული ქრისტიანული კულტურის ჩამოყალიბებაში. ისტორიული ბედუკუღმართობის გამო „ოსმალოს ქართველნი" მოსწყდნენ ქრისტიანულ წიაღს, – ამბობს ავტორი, – თუმცა მთავარი და არსებითი საერთო ისტორია და ისტორიული ერთობის შეგნებაა და ამიტომაც დღევანდელმა სარწმუნოებრივმა განსხვავებულობამ ხელი ვერ უნდა შეუშალოს ჩვენს შეერთება-შეკავშირებას. თავისი პოზიციის გასამყარებლად ი. ჭავჭავაძე იმოწმებს ქართველთათვის ტრადიციულად დამახასიათებელ სარწმუნოებრივ შემწყნარებლობას: „ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა... სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი – აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინიდისის თავისუფლებასა"; ამიტომაცო, „არ გვაშინებს ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართვე-

ლი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინიდისს, და დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს...“

ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისით, საკუთარი ისტორიის დავიწყება ერის დეგრადაციისა და მისი სასიცოცხლო ენერგიის დაშრეტის ნიშანია. „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა, დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან – მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა. წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეორეოდ ნარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია... ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი“ („ერი და ისტორია“) და ამ თვალსაზრისს ი. ჭავჭავაძე სხვადასხვა ფორმითა თუ რაკურსით აღრმავებს არაერთ პუბლიცისტურ თხზულებაში; ამასთანავე, თანამიმდევრულად და დასაბუთებულად ებრძვის საქართველოს ისტორიის არაქართველ თუ შინაურ ფალსიფიკატორებს („აი ისტორია“, „ქვათა ღაღადი“, „გაზეთი „კავკაზი“ და ქართველი ხალხი“ და სხვ.).

ილია ჭავჭავაძეს არ გამორჩენია ქართული „სალიტერატურო ენის ყოფიერების არც ერთი არსებითი საკითხი“ (არნ. ჩიქობავა), მაგრამ მისი ყურადღება ძირითადად ფოკუსირებულია ენაზე, როგორც ეროვნული თვითმყოფობისა და ერთიანობის განმსაზღვრელ ფაქტორზე. ილიას თვალსაზრისით, „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა“ (ან: „პირველი ნიშანი ერის ვინაობისა – ენაა“).ენის რაობის და ფუნქციის განსაზღვრისას იგი იზიარებს გერმანელი ენათმეცნიერისა და ფილოსოფოსის, ვილჰელმ ჰუმბოლდტის, დებულებას – „ერის სული (გონი) არის მისი ენა... მხოლოდ ენაშია შთაბეჭდილი მთელი ეროვნული ხასიათი და, ამასთან, მასში, როგორც მოცემული ერის ურთიერთობის საშუალებაში, ქრებიან ინდივიდუალობები, რათა გამომ-

ულავნდეს საყოველთაო".

ასე რომ, ილია ჭავჭავაძე ადამიანის უზენაეს ინტერესად და ღირებულებად მიიჩნევდა სამშობლოს, აღიარებდა მამულის „ყოვლად-მპყრობელ" მნიშვნელობას, ხოლო ეროვნული თვითშემეცნების (იდენტობის) განმსაზღვრელ ფაქტორებად თვლიდა ენას, ქრისტიანულ სარწმუნოებას, ისტორიას (ისტორიულ ერთობას) და მათი ერთობლიობით განსაზღვრულ სპეციფიკურ კულტურას (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით), როგორც ერის შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის ნაყოფს.[21]

„ნაციონალური კონსოლიდაციის" კონტექსტში უნდა იქნეს განხილული საქართველოში პოლიტიკური პარტიებისადმი ილიას დამოკიდებულების საკითხიც. გიორგი ჟურულის თქმით, „ილია ჩვენში პარტიების გაჩენასაც ნაადრევად სთვლიდა, რადგან პარტიობა ქართველი ერის გათიშვას, ცალ-ცალკე ჯგუფებად დაყოფას მოასწავებდა მის თვალში".

ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური იდეალი იყო სუვერენული უფლებების მფლობელი საქართველო და ეს იდეალი მან გამოხატა კიდევაც „მგზავრის წერილების" პერსონაჟის, ლელთ ღუნიას, პირით – „ადრიდა ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს" [ამ მხრივ, საინტერესოა აგრეთვე ილიას დრამატული პოემა „ქართველის დედა (სცენა მომავალ ცხოვრებიდან)"]. მაგრამ ერთია ის, თუ რა არის პოლიტიკური იდეალი, ხოლო მეორე – რის საშუალებას იძლევა არსებული ვითარება. საქართველო იყო რუსეთის ერთიანი სახელმწიფოებრივი სხეულის ნაწილი და რადიკალური მეთოდებით ბრძოლა რუსული სახელმწიფოს წინააღმდეგ მოკლებული იყო პრაქტიკულ პერსპექტივას. ასეთ პირობებში ი. ჭავჭავაძე აყალიბებს თვალსაზრისს, რომელიც ჩამოჰგავს ჯერ კიდევ 1840-იან წლებში დიმიტრი ყიფიანის მიერ შემუშავებულ პოლიტიკურ ფორმულას – ქართველთა ეროვნული თვითარსებობისა და თვითმყოფობის გადარჩენა და გაძლიერება არსებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემის ფარგლებშივე,

---

21 ანალოგიური თვალსაზრისი აქვს ჩამოყალიბებული აკაკი წერეთელს 1885 წელს სამეგრელოს სათავადაზნაურო სკოლის შენობის კურთხევის დროს წარმოთქმულ სიტყვაში: „საქართველოს სხვა და სხვა კუთხის მცხოვრებნი ძმები ვართ, სამის ძლიერის, უხრწნელის კავშირით საუკუნოდ შეხორცებული: საერთო ისტორიით, ქრისტეს სარწმუნოებით და ერთის დედაქართული ენით" („იერია", 1885, №11).

ამ მიზნის გარშემო საზოგადოების ყველა ფენის კონსოლიდაცია და მიზნის მიღწევა მშობლიური ენის შენარჩუნების, განათლების გავრცელებისა და კულტურის აღორძინების მეშვეობით.

1899 წელს „ივერიაში გამოქვეყნებულ წერილში „ასის წლის წინათ“ ი. ჭავჭავაძე საგანგებოდ მსჯელობს იმ ვითარებაზე, რომელშიც საქართველო (კერძოდ, ქართლ-კახეთი) აღმოჩნდა მე-18 საუკუნის დასასრულს და განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ისედაც დასუსტებულ ქვეყანას „ღრმად მოხუცებული სახელოვანი“ ერეკლე 11-ის სიკვდილით „რკინის კარი შეეხსნა“. ავტორის თქმით, ერთი მხრივ, ოსმალეთისა და სპარსეთის სწრაფვა „დასავლეთის და მცირე აზიაში“ გაბატონებისაკენ და საამისოდ საქართველოს დაპყრობა-დამორჩილების აუცილებლობა, რასაც თან დაერთო „გაძლიერება რუსეთისა, რომელმაც მაშინ საქართველოს საზღვრამდე მოაღწია ჩრდილოეთის მხრით“, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დაუძლურება, აგრეთვე, ჩრდილოკავკასიელთა თარეში („ლეკიანობა“), თვით ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახში არსებული მწვავე ურთიერთდაპირისპირება და ა. შ. რეალურ საფრთხეს უქმნიდა არათუ სახელმწიფოებრივ თვითარსებობას, არამედ ქვეყნისა და „ერთი მუჭა ერის“ ფიზიკურ არსებობასაც კი. ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, კავკასიის მიმართ რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების გაძლიერებამ მტრულად განწყობილ მეზობლებთან ლავირება-ბალანსის ქართული ტრადიციული პოლიტიკა უპერსპექტივო გახადა. ამგვარ ვითარებაში „გულკეთილ, მაგრამ სუსტ“ გიორგი XII-ს ან „ოსმალეთთან უნდა დაეჭირა საქმე, ან სპარსეთთან და ან რუსეთთან, რომ გადაერჩინა საქართველო ამოდენ ერთად ზედმოსეულ უბედურებისაგან“.

„ღვთის-მოსავი და ღვთის-მოყვარე“ გიორგი XII-ის არჩევანს, თავისი სამეფოს მომავალი ერთმორწმუნე რუსეთთან დაეკავშირებინა, ილია ჭავჭავაძე მიიჩნევს გამართლებულად, რამდენადაც ამ არჩევანმა საქართველოს გადარჩენის, სულის მოთქმისა და ძალთა მოკრებისათვის აუცილებელი მშვიდობიანობა მოუპოვა: „...საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან... დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლ-

დანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მის თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწედ, უნუგეშოდ, ყველასაგან შორს, მარტოდ-მარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიდვა საზღვარი მშვიდობის-მყოფელ ცხოვრებისა".[22]

ამასთანავე, ილია ჭავჭავაძისათვის, ცხადია, აშკარა იყო ის საფრთხეც, რომელსაც გამარუსებელი პოლიტიკა უქმნიდა ქართველთა ნაციონალურ თვითარსებობას. 1881 წლის მარტის „შინაურ მიმოხილვაში", ერთი მხრივ, „ეროვნული ვინაობის შენახვისა" და, მეორე მხრივ, რუსიფიკაციის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შეუთავსებლობაზე მსჯელობისას ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს: „ერთს უდიდესს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ, და მერე – როგორ უნდა მოთავსდენ სახელმწიფოსთან... თუ რამ სამდურავი, გულის ტკენის ხმა, ჩივილი ისმოდა აწმყო მდგომარეობის შესახებ ამ ვრცელის იმპერიის სხვადასხვა ადგილებში, ამისი მიზეზი მარტო ის იყო, რომ მთელი მოედანი საზოგადოების ცხოვრებისა მარტო სახელმწიფოს ეჭირა, და ეროვნება, რომელსაც თავის განსაკუთრებულს ცხოვრებაში თავისი საკუთარი საქმე აქვს, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი, გულ-ხელდაკრეფილი იყო და ხმაამოუღებლივ სხვის მაყურებელი. რუსეთს არა ჰქონდა და არც დღეის-აქამომდე აქვს გამორკვეული და დადგენილი დედააზრი მასზედ, – თუ სად თავდება უფლება ეროვნებისა და სად იწყება სახელმწიფოსი".

ამ ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხს ილია ჭავჭავაძე 1882 წლის მარტის „შინაურ მიმოხილვაში" კიდევ ერთხელ უბრუნდება და აყალიბებს თვალსაზრისს (ავტორის თქმით –

22 სხვაგან („წერილები ქართულ ლიტერატურაზე") ილია „მოღალული" და „ქანცგაწყვეტილი" საქართველოს მიერ მშვიდობიანობის მოპოვების მნაშვნელობაზე საუბრის შემდეგ დაასკვნის: „თუ დააკვირდება კაცი იმ საშინელ გარემოებათა, რომელთაც აბეზარს მოიყვანეს ჩვენი ერი, უიმისოდაც ილაჯგაწყვეტილი შინაურ ამბოხებისაგან ცალკე, და ცალკე გარეულ მტერთა ზედმოსევისა, ხოცვისა და რბევა-აკლებისაგან, ის არა გვგონია ისე გაკადნიერდეს, რომ ამ წყურვილს დასვენებისას უკიჟინოს. ხანგრძლივ შფოთებს შემდეგ სვენება უპრიანია, როგორც ცალკე კაცისათვის, ისეც მთელი ერისათვის. ამას ბუნება ითხოვს".

„დედააზრს"), რომლის მიხედვითაც, „ეროვნების და სახელმწიფოს არსებითნი მოთხოვნილებანი უნდა ერთმანეთს შეეფარდოს და თვითოეულს მათგანს მისი საკუთარი სარბიელი შემოეხაზოს..."[23]

1890-იანი წლების ბოლოს ილიას საუბარი ჰქონია „ახალთაობის" წარმომადგენლებთან (გ. ლასხიშვილი, კ. აბაშიძე, ი. ნაკაშიძე). გ. ლასხიშვილი თავის „მემუარებში" ასე გადმოგვცემს ილიას სიტყვის შინაარსს: „სამუდამო ამ ჩვენს ცოდვილ მიწაზე არაფერი არაა... მე წინ ვიყურები უფრო ახლო და ვხედავ, რომ ის გზა, რომელზედაც ახალგაზრდობა სდგება (იგულისხმება პოლიტიკურ პროცესთა ფორსირებისა და მოთხოვნათა რადიკალიზაციის გზა) კარგს არაფერს გვიქადის. თქვენ გინდათ წოდება წოდებაზე აამხედროთ, კლასი კლასზე, ეს კი დაღუპვას უქადის ჩვენს ერს. რუსეთში რევოლუცია ჯერ კიდევ ძალიან შორს არის. ხოლო თვითმპყრობელობის დაცემა და საკონსტიტუციო რეჟიმის დამყარება სახეიროს ჩვენ, ქართველებს, არას მოგვცემს. ჩვენთვის სჯობია კანონიერ ფარგლებს შევეგუოთ და ვეცადოთ, ჩვენი ეროვნული ვინაობა შევინახოთ. ამ მიზნისათვის ბრძოლა საჭიროც არის და ამგვარ ბრძოლისათვის ჩვენ პატარა ერს ძალაც შესწევს".

1900-იანი წლების რუსეთში შექმნილმა რევოლუციურმა სიტუაციამ ილიას პოლიტიკურ აზროვნებაში კიდევ ერთი ტრანსფორმაცია გამოიწვია – ვითარებამ მას უკარნახა, რომ დადგა რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიის, როგორც პოლიტიკური მოთხოვნის, დაყენების დრო.[24] ამასთანავე, ილია

---

23 რუსულ-ქართულ ურთიერთობათა შესახებ საინტერესოა ილიას ის სიტყვებიც, რომლებითაც მან 1895 წელს თბილისში ჩამოსულ რუს პოეტს, მთარგმნელსა და ჟურნალისტს, ვასილ ველიჩკოს, მიმართა: „არც პუშკინი, არც ლერმონტოვი და არც სხვები მათი მიმყოლნი არ შეხებიან საქართველოს ერის გულს, არ ჩაუხედნიათ მისი გულის სიღრმეში, თუ რა ძვირფასი მარგალიტები ბრწყინვენ შიგ. ეს მოვალეობა წილად გხვდათ თქვენ. შეისწავლეთ ქართველი ერის ბუნება, გააცნეთ იგი თქვენს ხალხს და აი, ნამდვილი პატივისცემა, მეგობრობა და ძმობა მაშინ დაარსდება ამ ორ ერთა შორის".

24 საინტერესოა, რომ მონარქისტი დიმიტრი ყიფიანი, რომელსაც ეკუთვნის პოლიტიკური ფორმულა „განათლების გავრცელებისა და ეროვნული კულტურის აღორძინების გზით ქართველობის შენარჩუნება და გაძლიერება არსებული პოლიტიკური სისტემის ფარგლებში", თვითონაც ფარულად ოცნებობდა ავტონომიურ საქართველოზე. ბარონ ალ. ნიკოლაის მიერ 1864 წელს იმპერიის უმაღლესი ხელისუფლებისადმი გაგზავნილი კონფიდენციალური მოხსენების მიხედვით, დიმ. ყიფიანის საზოგადოებრივ და სახელისუფლებო წრეებში მიიჩ-

მიიჩნევდა, რომ ეს უნდა მომხდარიყო კანონიერი (ლეგალური) და არა რევოლუციური გზით, ხოლო ავტონომიის ლეგალური გზით მოპოვების საშუალებას იგი 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებში ხედავდა. ამ მხრივ, საყურადღებოა ილიას სიტყვები, რომლებიც მას არჩილ ჯორჯაძისათვის უთქვამს: „ახალმა თაობამ კარგად უნდა დაიმახსოვროს ერთი რამ: ჩვენ უნდა ვიყვნეთ მომხრენი მონარქიულ პრინციპისა. რუსეთის იმპერატორი ამავე დროს ქართველთა მეფეა. 1783 წლის ხელშეკრულება, რომლის ძალით საქართველო რუსეთს შეუერთდა, რუსეთის მონარქთან გვაქვს დადებული. თუ გინდათ, რომ ჩვენს უფლებათ ისტორიული მნიშვნელობა არ დაეკარგოსთ, ხელუხლებელი და პატივსაცემი უნდა იყოს თქვენთვის მონარქიული პრინციპი". ი. ჭავჭავაძე, მართალია, მომხრე იყო საქართველოს ავტონომიისა, – დასძენს ა. ჯორჯაძე, – ხოლო ამ ავტონომიის დამკვიდრებას ტახტისგან მოელოდებოდა".

უფრო ადრე კი, 1890-იან წლებში, საქართველოში უკვე მკაფიოდ იყო გამოკვეთილი ქართველ მოღვაწეთა სამი ჯგუფის დაპირისპირება (ე. წ. „სამი დასი", რომელზედაც საბარი გვექნება თავში – „გაზეთი „კვალი"). რუსეთის კვალდაკვალ ჩვენშიც შემოვიდა და თანდათანობით ფეხი მოიკიდა კლასობრივი ანტაგონიზმის პრინციპზე დაფუძნებულმა მარქსიზმმა. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ბუნებრივად გაჩნდნენ პოლიტიკური პარტიები (სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტურ-ფედერალისტური და სხვ.). ილიას, რასაკვირველია, ესმოდა პოლიტიკური პარტიების მნიშვნელობა სუვერენულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, თუმცა მიიჩნევდა, რომ ისეთ მცირერიცხოვან და სახელმწიფოებრიობას მოკლებულ ქვეყანაში, როგორიც საქართველო იყო, პარტიულ-იდეოლოგიური ანტაგონიზმი დაასუსტებდა რუსიფიკაციის საფრთხის ქვეშ მყოფ ეროვნულ სხეულს.[25] მიუხედავად ამისა, რეალურად არსებული ვითარების გათვალისწინებითა და ძლიერი მარქსისტულ-რევოლუციური პროპაგანდის გასანეიტრალებლად

ნევდნენ „ავტონომიურ საქართველოზე მეოცნებედ". დიმიტრის 1840-1850 წწ. მოღვაწეობაზე დაყრდნობით ს. კაკაბაძეც მას უწოდებს „ავტონომიის იდეის... თვალსაჩინო მოტრფიალეს".

25 სამსონ ფირცხალავას თქმით, 1900-იან წწ. „პარტიების გამწვავებულმა ურთიერთობამ თითქმის მთლად წაშალა ქართველობის სახე"

1905 წლის შემოდგომაზე ილიამ თვითონ გადაწყვიტა ეროვნული მიმართულებისა და მიზანდასახულობის პარტიის შექმნა, რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად (ივ. ზურაბიშვილი, გ. გვაზავა, ე. თაყაიშვილი და სხვ.) შეიმუშავა კიდევაც „ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის“ პროგრამა, თუმცა ამ იდეის პრაქტიკული რეალიზაცია ველარ მოხერხდა.

გაზეთი „ივერია“ და მისი პუბლიცისტები ხალხის სიდუხჭირის მთავარ მიზეზად გაუნათლებლობას მიიჩნევდნენ. წერილში „ჩვენი ხალხი და განათლება“, ილია ჭავჭავაძე წერს: „უმეცრება – აი უმთავრესი სენი, რომელც ჩვენს ძვალ-რბილში გაგვჯდომია, შეუბრალებლად ჰლრღნის სიცოცხლეს... დაუნდობლობა, შური, მტრობა, უსამართლობა, ძარცვა-გლეჯა, ჩხუბი, ცემა-ხოცვა ეკონომიურის გაუწყობლობის გამო და სხვა ბევრი ამგვარი ნაყოფი უმეცრებისა – ვრცლად არის მოფენილი ჩვენს ცხოვრებაში... უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან. განათლება, სწავლა, ცოდნა – აი ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას... ნიჭსა, გარჯას და მხნეობას ითხოვს დღეს ჩვენი ცხოვრება განათლებულის კაცისაგან და ან ვის მოსთხოვს სხვას, თუ არ განათლებულსა და მცოდნე კაცსა!..“

ი. ჭავჭავაძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სახალხო განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს და მიიჩნევდა, რომ „საერო სკოლა... ის მოედანია, საცა ერის გონებამ და გრძნობამ პირველ ფეხი უნდა აიდგას, ის გამზრდელია ერისა... საერო სკოლამ უნდა მოუმზადოს ერს გონებით და გულით გაღვიძებული კაცი იმოდენად, რომ იგი საკუთარის ჭკუით და გულით გაუჭირვებლივ გაუძღვეს იმ სულიერს და ხორციელს პატარა მოედანს, საცა ერის უმრავლესობა სულს იბრუნებს, სულითა და ხორცით იღვწის და მოქმედებს“. ილიას შეხედულებით, ამ თავის დიდ დანიშნულებას სკოლა მხოლოდ მაშინ აღასრულებს, როცა მოზარდი მშობლიურ ენაზე ეუფლება განათლებას. ი. ჭავჭავაძე პრინციპულად ეწინააღმდეგება ქართული სკოლის რუსიფიკაციას და, ეყრდნობა რა გამოჩენილი პედაგოგების (კ. უშინსკი, ა. დისტერვეგი, ი. პესტალოვი...) ნააზრევს, დაასკვნის: „ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკან-დაუხევლად ვთხოულობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, – ეგ მარტო

დედა-ენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ ედედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისაა, გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა, გათახსირებისაა..." („ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო").

„ივერიის" ლიტერატურულ-შემოქმედებითი ხასიათი და მიმართულება მთლიანად შეესაბამება ი. ჭავჭავაძის (ზოგადად, „თერგდალეულთა") ფუნდამენტურ თვალსაზრისს მწერლობის საზოგადოებრივი დანიშნულების სესახებ. ილიას შეხედულებით, „სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული" მთელის თავის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა. ვისაც-კი რაიმე ნიშან-წყალი ჰქონდა ღმრთის მიერ მინიჭებულ მადლისა და კალამი ხელთ ეპყრა, თითქმის ყველანი იმ გზას დაადგნენ, რომ ქართველს გულში ჩაუსახონ მამული, რომელიც ჟამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდელა დააქვეითა და დაამდაბლა. ეგრე გაუპატიურებულმა სიტყვამ სამოციან წლების მოღვაწეთა მეოხებით და ღვაწლით კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ, და თავისი სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სივრცეს ჩვენის ცხოვრებისას" („წერილები ქართულ ლიტერატურაზე"). ცხოვრება კი, ილიას აზრით, „ყოველთვის ორ ტოტად დადის. ერთი ტოტი მოაზრე ცხოვრებაა, მეორე – მოსაქმე, რომელნიც ისე არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, რომ ხან ერთია მეორისაგან წარმოდგენილი, ხან მეორე პირველისაგან".

მწერლობა, „ივერიის" მესვეურთა შეხედულებით, ვალდებულია, ასახოს ცხოვრება მთელი თავისი სიღრმითა და მრავალფეროვნებით, ხელი შეუწყოს საზოგადოების სწრაფვას ცხოვრების „გაუკეთესებისაკენ". ამასთანავე, ლიტერატურის დასახვამ „ერის წინამძღოლად" (ი. ჭავჭავაძე) და „გარემოების საყვირად" (ა. წერეთელი), შემოქმედებითი ინტერესებისა და ნიჭის დამორჩილებამ, – ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, – „მოქალაქური გულისტკივილისა" და „მამულის-შვილური სიყვარულისადმი" მხატვრულ აზროვნებაში მძლავრი პუბლიცისტური ნაკადის შეჭრა გამოიწვია და, ამ მხრივ, საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული გიორგი თუმანიშვილის დამოკიდებულება თანადროული ქართული ლიტერატურული პროცესებისა და განმსაზღვრელი ტენდენციისადმი:

„ჩვენს ახალ მწერლობას პუბლიცისტური ხასიათი აქვს".

„ივერიის" ფურცლებზე თავისი ნაწარმოებები (პოეზია, პროზა, დრამატურგია) გამოქვეყნებული აქვს იმ დროის თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად თვალსაჩინო მწერალს (რ. ერისთავი, ალ. ყაზბეგი, ა. ფურცელაძე, ავ. ცაგარელი, ეკ. გაბაშვილი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ლომოური, სილ. ხუნდაძე, გრ. ვოლსკი, ი. დავითაშვილი და სხვ.). „ივერიაში" სრულად გამოვლინდა ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული გენია – აქ დაიბეჭდა მისი არაერთი შედევრი, მათ შორის, პოემები: „ალუდა ქეთელაური, „სტუმარ-მასპინძელი", „ბახტრიონი", „გოგოთურ და აფშინა"... იაკობ მანსვეტაშვილი იგონებს: ვაჟას ერთ-ერთი ადრეული ნაწარმოების (პოემა „მოხუცის ნაამბობი") გაცნობის შემდეგ ილიას უთქვამს – „არა, ჩვენ, ძველებმა ახლა კალამი ძირს უნდა დავსდვათ! გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ!"

საერთოდ, ვაჟა-ფშაველას მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებდა „ივერიის" რედაქციასთან. იმავე ი. მანსვეტაშვილის მიხედვით, „ივერიაში" ვაჟა-ფშაველა თანამშრომლადაც მიუწვევიათ, მაგრამ „ვაჟამ რედაქციაში იმუშავა მხოლოდ სამი დღე. ვაძლევდით გადასაკითხად და გასასწორებლად კორესპონდენციებს, ვათარგმნინებდით პატარა წვრილ ამბებს რუსულ გაზეთებიდგან. ორ დღეს მუშაობდა, თუმცა იმის მუშაობას დიდი ხალისი არ ეტყობოდა. მოვიდა რედაქციაში მესამე დღეს. ცოტა ჩაფიქრებული იყო... გამოგვიცხადა, რომ რედაქციას თავს ანებებს: მე აქ მუშაობას ვერ შევძლებო. რედაქციას თათბირი ჰქონდა. და ასე გადავწყვიტეთ: მიგვეცა ვაჟასთვის თვეში ხუთი თუმანი, და ვაჟას, სამაგიეროდ, ევალებოდა თვეში რაიმე ნაწარმოები უსათუოდ მოეწოდებინა. ვაჟა აიბარგა და გასწია თავის ჩარგალში... სინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. დრო გამოშვებით ჩამოდიოდა ვაჟა ტფილისში, ხურჯინ-აკიდებული ცხენით. ხურჯინში ელაგა საგზალი: ხორცი, პური – ტფილისში საცხოვრებლად – და ლექსები, მოთხრობები, პოემა და კიდევ სხვა ნაწერები ფშაველების ცხოვრებიდან. დაუტოვებდა ყველა ამას რედაქციას და ისევ გაემგზავრებოდა თავის საყვარელ მთებისაკენ. და ასე და ამგვარად, მთის კაცი ვაჟა ჰკვებავდა სუსტს ქართულ მწერლობას..."

ცალკე საუბრის თემაა „ივერიასთან" აკაკი წერეთლის ურთ-

იერთობა. აკაკის არც ერთი ნაწარმოები არ გამოუქვეყნებია ილიას „საქართველოს მოამბეში“ და თავიდან იგი არც „ივერიის“ გამოცემას შეხვედრია დიდი ენთუზიაზმით – პირველ წლებში სულ ათიოდე ლექსი დაბეჭდა ი. ჭავჭავაძის ახალ გამოცემაში (ამ პერიოდში ა. წერეთელი ძირითადად „დროებაში“, აგრეთვე, გაზეთ „შრომაში“ აქვეყნებდა მხატვრულ თუ პუბლიცისტურ თხზულებებს).

მიუხედავად იმისა, რომ ილიასა და აკაკის კერძო ცხოვრებაში არ ჰქონიათ ახლო მეგობრული ურთიერთობა, მათ შესანიშნავად იცოდნენ ერთმანეთის ფასი და საგანგებო მნიშვნელობის დამსახურება ეროვნული კულტურის წინაშე. ადრე (თავი – „ივანე კერესელიძის „ცისკარი“) შევეხეთ ა. წერეთლის წერილს „რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“, რომელშიც ავტორმა ი. ჭავჭავაძე მიიჩნია „ქართველების ტანჯვისა და გოდების გამომხატველ“ მწერლად და ილიასა და ნ. ბარათაშვილს უწოდა „მოსე და აარონი ჩვენის ლიტერატურისა“. 1882 წლის 17 აგვისტოს თელავში აკაკიმ წარმოთქვა სიტყვა, სადაც საგანგებოდ აღნიშნა: „ძველადაც, საზოგადო ბრძოლის დროს, როდესაც ჩვენი წინაპრები თავისის თავ-განწირულ მამულისშვილობით ქვეყანას აკვირვებდნენ, კახელები ყოველთვის მოწინავე რაზმში ყოფილან და მომავალშიაც, იმედია, თქვენი შვილები, თავის განთქმულ წინაპრებს არ ჩამოურჩებიან. ჩვენს დროსაც მეთაური და მოწინავე იყო თქვენივე შვილი ილია ჭავჭავაძე“. აკაკიმ შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა ი. ჭავჭავაძის დაკრძალვაზე („გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწეოდით, ერთი გზით დავდიოდით. ახლა მარტოდ ჩემი დარჩენა, დაობლება საძნელოა... თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარა ნახავ!..“). ილიას მკვლელობას აკაკი უკიდურესი ტრაგიზმით აღბეჭდილი ლექსითაც („ილიას მოკვლის გამო“) გამოეხმაურა: „ნუ მინამლავთ მოხუცს გრძნობას / და ნუ ამბობთ, რაც არ მჯერა!.. / ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა / საქართველოს ბედისწერა?..“ და სხვ.

აკაკისადმი განსაკუთრებული პატივისცემა ილია ჭავჭავაძე-

საც არაერთხელ გამოუხატავს და, ამ მხრივ, აღსანიშნავია ილიას ვრცელი წერილი, რომლითაც იგი აკაკის 1886 წლის განახლებულ „ივერიასთან“ სათანამშრომლოდ იწვევდა: „ძმაო აკაკი, მე შენ ვერ გაგიკადნიერდი და ვერ მოგართვი ის დაბეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს გავუგზავნე. სხვები სხვანი არიან და შენ ერთადერთი აკაკი ხარ. ამიტომაც, გარდა ჩემის საკუთარის წადილისა, მოვალეობამ მამულიშვილობისამ მაიძულა ჩვენის ქვეყნის „რჩეულისათვის“ რჩეული, განსაკუთრებითი წერილი მომერთმია და მეთხოვნა გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის ნაშუქითა... გული მერჩის გთხოვო შემწეობა და გულის ხმად აღებული საბუთი კი მაფრთხობს: ვაი თუ ეს თხოვნა ზნეობითი ძალდატანება იყოს და იმ კაცს ჰოს თქმა გავუძნელო და არასიცა მეთქი... შემეწევი თუ არ შემეწევი, ორსავე შემთხვევაში, სხვათა შორის მეც ერთი გულწრფელი მადიდებელი და დამფასებელი შენის 25 წლის ღვაწლისა ვყოფილვარ, ვარ და ვიქნები“.

„ივერიას“ ცენზურასთან მწვავე ბრძოლაში უხდებოდა მუშაობა. ი. ვართაგავას მიხედვით, „ცენზორის კლანჭებში მომწყვდეულ „ივერიას“ და მის რედაქტორს არცთუ იშვიათად უხდებოდათ ამ ტიპის განცხადების გამოქვეყნება: „ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენში ძლიერ ძნელი მოსახერხებელია თავისუფლად ლაპარაკი ზოგიერთ საინტერესო საგანზედ“.

ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ცენზურა არა მარტო დასაბეჭდად გამზადებული ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთს წაშლას ან გადაკეთებას, არამედ მთელი ტექსტის ამოღებას მოითხოვდა. ასეთი ბედი ეწია, მაგალითად, ი. ჭავჭავაძის ლექსს „ბაზალეთის გბა“, ვაჟა-ფშაველას „ხმელ წიფელს“, ი. გოგებაშვილის წერილს „უკუღმართი ნაბიჯი“, რომელშიც ავტორი ასაბუთებდა სწავლების მშობლიურ ენაზე დაწყების აუცილებლობას და სხვ.; ზოგჯერ ცენზურა კრძალავდა რუსეთის ცენტრალურ გაზეთებში გამოქვეყნებული პუბლიკაციის გადმობეჭდვასაც კი. ასე აიკრძალა, მაგალითად, ოსი მწერლის, კოსტა ხეთაგუროვის, მიერ „სანქტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტიში“ გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილი „უწესობანი ჩრდილოეთ კავკასიაში“, რომელშიც მოთხრობილი იყო მკვიდრი მოსახლეობის მიმართ ადგილობრივი ადმინისტრაციის თვითნებობისა და ძალადობის შესახებ და სხვ.

„ივერიის“ მიმართ ცენზურის სისასტიკეს თავის მოგონებებ-

ში ი. მანსვეტაშვილი ასე აღწერს: „მაშინდელი ცენზურა... ყოველდღე მაჯლაჯუნასავით გულზე გვაწვა და სულს გვიხუთავდა. ეს იყო ჩვენი სულთამხუთავი, ჩვენი „სული ბოროტი“... გაზეთს მასალას დავუმზადებდით რედაქციაში. სტამბაში ააწყობდნენ ამ მასალას... [ამის შემდეგ] ვისხედით და ველოდით გულის ცახცახით, რა სახით დაგვიბრუნდებოდა შინ ეს წვითა და დაგვით შემზადებული გაზეთი. აგერ მოგვიტანეს გაზეთიც. დავხედავდით და გულს ელდა ეცემოდა. სულ წითელი მელნით იყო შეთუთხნული, ჯვარედინად გადახაზულ-გადმოხაზული. ეს იმას ნიშნავდა, რომ წითელი ხაზებით გადაჯვარედინებული ადგილები უნდა ამოგვეგდო და სხვა რითიმე შეგვევსო. ეს არც ისე ადვილი იყო. დავღონდებოდით, დავძმარდებოდით...“. „ივერიის“ მიმართ (ისევე, როგორც „დროების“ მიმართაც) განსაკუთრებული სიფრთხილითა და სიმკაცრით გამოირჩეოდა ცენზორი ლუკა ისარლიშვილი (ისარლოვი), რომელსაც იგივე ი. მანსვეტაშვილი უწოდებს „ქართული მწერლობის ჯალათს“ და დასძენს: „ლუკა ნამდვილი ძველი დროის პოლიციელი იყო: გულით გაქვავებული, ჭკუით გამოფიტული, ვერც შენი წრფელი სიტყვა, ვერც შენი საღი სჯა, ვერც ხვეწნა და მუდარა ვერ მიაღწევდა იმის გულსა და ტვინსა. ამას სწამდა და სჯეროდა მხოლოდ ნება და ბრძანება თავის წარმომავლენისა, დანარჩენს კი ამისთვის ბისტის ფასიც არა ჰქონდა“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1890-იან წლებში ილია ჭავჭავაძემ „ივერია“ ფაქტობრივად ახალგაზრდებს გადასცა. იგი არსებითად არც ერეოდა გაზეთის სარედაქციო პოლიტიკაში და მხოლოდ გამომცემლის ფუნქციით შემოიფარგლებოდა, 1902 წელს კი „ივერია“ ოფიციალურად გადასცა ალ. სარაჯიშვილს. ამ დროს კლასთა ბრძოლის მარქსისტული მოძღვრებით „შეიარაღებულ“ სოციალ-დემოკრატებს ილია ჭავჭავაძისა და მისი ეროვნული პროგრამის წინააღმდეგ მორალური ტერორი ჰქონდათ გაჩაღებული. ილიას ბრალს სდებდნენ დროის ახალ მოთხოვნათა ვერშეცნობაში, წარმოაჩენდნენ მას რეტროგრად, უკიდურესად ჩამორჩენილ მოაზროვნედ, უწოდებდნენ „მშრომელი ხალხის მტანჯველ“, „გულქვა და სასტიკ“ მებატონეს და ა. შ.

1900-იანი წლების დაპირისპირებას ილია ჭავჭავაძესა და ქართველ სოციალ-დემოკრატთა შორის უფრო ვრცლად მომდევნო თავში („გაზეთი „კვალი“) შევეხებით, აქ კი ყურადღებას

შევაჩერებთ ვასილ ნაცელიშვილის მიერ ჟურნალ „მოგზაურის“ 1905 წლის მარტში ილიას წინააღმდეგ გამოქვეყნებულ წერილზე – „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“, რომელშიც დახვავებულია ნაყალბევი „ფაქტები“ იმის შესახებ, თუ როგორი არაადამიანური სისასტიკით ჩაგრავს მებატონე ილია ჭავჭავაძე საგურამოს გლეხობას. „ივერიამ“ეს ტექსტი თავის ფურცლებზე გადმობეჭდა და რედაქტორმა, ფილიპე გოგიჩაიშვილმა, სარედაქციო შენიშვნაც დაურთო: ნუთუ ეს აღმაშფოთებელი ამბავი მართალია? ნუთუ „გლახის ნაამბობის“ ავტორს მართლა ასეთი დამოკიდებულება აქვს გლეხებთან? ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ და გვირჩევნია ჯერჯერობით იმედი ვიქონიოთ, რომ თვითონ თ[ავა]დი ილია ხმას ამოიღებს და კორესპონდენციის შინაარსის უსაფუძვლობას დაგვიმტკიცებს“.

ი. ჭავჭავაძისათვის მტკივნეული იყო ის, რომ მის წინააღმდეგ დაწერილი პასკვილი სწორედ „ივერიამ“ გადაბეჭდა და ამით ხელი შეუწყო საზოგადოების ფართო ფენებში მის გავრცელებას. თუმცა მას წინ კიდევ უფრო დიდი იმედგაცრუება ელოდა – საპასუხო წერილი „ნუთუ?“, რომელშიც ილიამ ქვა ქვაზე არ დატოვა „მოგზაურში“ გამოქვეყნებულ ცილისმწამებლური პუბლიკაციიდან, „ივერიამ“ არ გამოაქვეყნა და რედაქციამ იგი დამატების სახით ცალკე ფურცლად ჩადო გაზეთის ნომერში, თანაც დაურთო სარედაქციო შენიშვნა: „მკითხველი, რომელიც იცნობს ჩვენი გაზეთის მიმართულებას, თავის თავად მიხვდება და ჩვენის მხრით თქმაც ზედმეტია, რომ ზოგიერთ საზოგადო მოსაზრებაში პატივცემულ ავტორს ვერ დავეთანხმებით“. მოგვიანებით ფ. გოგიჩაიშვილმა ასე გაამართლა თავისი საქციელი: „1905-1906 წლებში ილიას წინააღმდეგ დაიწყო საშინელი კამპანია. „მოგზაურში“ დაიბეჭდა ილიას წინააღმდეგ წერილი. ილიამ დასწერა საპასუხო წერილი და გადმომცა „ივერიაში“ დასაბეჭდათ. „ივერიის“ თანამშრომლებმა გაიგეს, რომ მიღებულია ილიას პასუხი, რომელიც „ივერიაში“ უნდა დაიბეჭდოს... რედაქციაში იყვნენ ბევრი თანამშრომლები, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ თუ ილიას პასუხი დაიბეჭდებოდა გაზეთში, მაშინათვე გაფიცვას მოვაწყობთ... მივმართე სხვა საშუალებას, რათა დამებეჭდა ილიას პასუხი. წერილი ავაწყე ცალკე გვერდად და დამატების სახით ჩავდევი „ივერიაში“ და თანაც შენიშვნა გავუკეთე, რომ ავტორის ზოგად

მოსაზრებას რედაქცია არ იზიარებს (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამით ილია გულმოსული დარჩა). ეს შენიშვნა იმით იყო გამოწვეული, რომ შემენელებია ყურადღება ილიას მოწინააღმდეგეებისა. ამ შენიშვნას სხვა მნიშვნელობა არ ჰქონია...“

ასე იყო თუ ისე, თავისი ნაამაგევი „ივერიის“ ასეთი დამოკიდებულება ავადმყოფი და ხანგრძლივი მუშაობით მოღლილი ილია ჭავჭავაძისათვის არანაკლებ მძიმე და მტკივნეული იყო, ვიდრე ის აღვირახსნილი პოლიტიკური და მორალური ბაკქანალია, რომელიც მის პასუხს იმავე „მოგზაურში“ მოჰყვა (ფ. მახარაძე, ნ. ჟორდანია, ვ. ნაცვლიშვილი და სხვ.).

1905 წლის 23 ივნისს ილია ჭავჭავაძემ თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკიც დატოვა, 5 ივლისს კი შეადგინა ანდერძი, რომლის მიხედვით ილიას მიერ შეძენილი მთელი ავლადიდება უნდა გადასცემოდა ოლღა გურამიშვილს, ოლღას გარდაცვალების შემდეგ კი – ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“.

„ივერია“ უპირველესად გამოირჩეოდა თემატური მრავალფეროვნებით. არ დარჩენილა მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედის არც ერთი მტკივნეული საკითხი, რომელსაც ამ გაზეთის რედაქტორი არ გამოხმაურებოდეს.

„ივერიის“ რედაქცია განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ხელნაწერებისადმი, თავდაუზოგავად იბრძოდა, რათა გაქრობისაგან ეხსნა ისტორიის ავბედითობას გადაჩენილი ერის სულიერი საუნჯე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ილიასთან ერთად „ივერიას“ თანარედაქტორობდნენ: ს. მესხი (1881), ივ. მაჩაბელი (1882-1884). 1901 წლის დეკემბრიდან 1903 წლის ივლისამდე გაზ. „ივერიას“ გამოსცემდა ალექსანდრე სარაჯიშვილი, 1903-1905 წლებში – გრიგოლ ყიფშიძე, ხოლო 1905-1906 წლებში – ფილიპე გოგიჩაიშვილი.

მას შემდეგაც გამოდიოდა „ივერია“ (მათ შორის „ახალი ივერია“ (ქუთაისი, 1914 წ.), იარსება 4 თვე, დაიბეჭდა სულ 69 ნომერი. „ივერია“ და ასევე „ახალი ივერია“ პარიზში, ქართველი ემიგრანტებისათვის, ჟურნალის სახითაც იბეჭდებოდა „ივერია“ (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო).

ერთი პუბლიცისტის თქმისა არ იყოს, – „...ყოველმა ხალხმა წარსული დროის შრომა თუ არ იცის და ამ შრომის პატივი თუ

არა აქვს, უცხვირო, უსაფუძვლო, ქარაფშუტა რამ უნდა გამოვიდეს". მართლაც მამა-პაპათა ინტელექტუალური მიღწევების შეუცნობლად ძნელია ცხოვრების გაუმჯობესება.

„ივერიის", როგორც ერთ-ერთი უმთავრესი ეროვნული ინსტიტუტის, როლი და ავტორიტეტი მეტად დიდი იყო. ამიტომ მის ფურცლებზე გამოთქმული ქება თუ საყვედური ყოველთვის სიამაყით თუ მტკივნეულად აღიქმებოდა.

ილიამ „ივერია" უწოდა თავის გაზეთს – საქართველოს წარსული დიდების ლამაზი სიმბოლო.

გაზეთს წამძღვარებული აქვს ილიასეული წინასიტყვაობა (თუმცა ხელს არ აწერს), სადაც ვკითხულობთ: „იმ გაზეთს თუ ჟურნალს, რომელსაც აქვს თავისის ღირსების ცნობა, თავისი პატივისცემა და თავისი კეთილშობილური თავმოწონება, იგი იმავე ღირსებით, იმავე პატივისცემით უნდა მოექცეს ყოველს საზოგადოებას; ეგ პატივისცემა კერძო პირისა და საზოგადოებისა დედა-კანონად უნდა ჰქონდეს ყოველს რიგიანს და მართებულს ჟურნალს თუ გაზეთსა. ხოლო პატივისცემა იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ ადამიანი ადამიანს პირმოთნეობით ექცეოდეს. ეგ ადამიანის პატივისცემა კი არა, შეურაცხყოფა იქნება. ცუდია, თავის შემაგინებელია, ადამიანის მოღალატეა ის ექიმი, რომელიც სნეულს უებარ წამალს არ ასმევს, მარტო იმის გამო, რომ მწარეაო. არა, ჭეშმარიტი პატივისცემა ის არის, რომ პირში გულახდილი სიტყვა უთხრას, ისე უთხრას, რომ არ შეუგინოს, არ შეურაცხჰყოს მისი ადამიანობა, მისი კაცობრიული გრძნობა, ღირსება და პატივი, არ დაურღვიოს ის ძვირფასი და უკეთესი ზნეობითი კანონი, რომელიც კაცს კაცად ჰქმნის და რომლის მეოხებითაც იგი თავის თავს კაცად სცნობს და აღიარებს".

არასდროს დაურღვევია ეს პრინციპი ილიას „ივერიას" მისი რედაქტორობის 25 წლის მანძილზე.

მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე უძღოდა ილია წინ ქართველ ხალხს, როგორც მისი სულიერი მოძღვარი, განმანათლებელი, საქართველოს ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის მებაირახტრე, ჩვენი ეროვნული საუნჯის, ქართული სიტყვიერების ნიშანსვეტი.

სალიტერატურო და საზოგადოებრივი გაზეთი „კვალი“ (1893-1904)

გაზეთ „კვალის“ დაარსების იდეა 1892 წელს გაჩნდა. 1892 წლის 6 სექტემბერს ჩამოყალიბდა საინიციატივო ჯგუფი (ივ. მაჩაბელი, მიხ. მაჩაბელი, ნ. დიასამიძე და სხვა), რომელმაც გადაწყვიტა ყოველკვირეული პერიოდული გამოცემის დაარსება „კვალის“ სახელწოდებით.

თავისთავად ამგვარი ინიციატივა დროულიც იყო და ლოგიკურიც.

ამას გარდა, ქართველ მოღვაწეთა შორის გამწვავებული იყო სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკთან დაკავშირებული პოლემიკა და ილიასთან დაპირისპირებულ ბანაკს სურვილი ჰქონდა საკუთარი გამოცემის დაარსებისა. ამ მხრივ, გასაკვირი არ არის, რომ „კვალის“ ინიციატორთა შორის ვხედავთ ივ. მაჩაბელს – საბანკო საკითხებში ი. ჭავჭავაძესთან დაპირისპირებული გუნდის მეთაურს.[26]

1892 წლის დეკემბერში „ივერიაში“ გამოქვეყნდა განცხადება: „კვალი“, ნახატებიანი ახალი ჟურნალი (დამატება „ჯეჯილისა“) გამოვა 1893 წლიდან ყოველ კვირაში ერთხელ... რედაქტორ-გამომცემელი ან. თ[უმანიშვილ]-წერეთლისა“.

ის, რომ რედაქტორ-გამომცემლად ა. თუმანიშვილ-წერეთელი ითვლებოდა, საკითხის მხოლოდ ფორმალური მხარე იყო და „კვალს“ ფაქტობრივად გიორგი წერეთელი ხელმძღვანელობდა – 1897 წლამდე იგი უძღვებოდა საორგანიზაციო საკითხებს, განსაზღვრავდა გამოცემის ხასიათს, შინაარსობრივ მხარესა თუ იდეოლოგიურ მიმართულებას, ა. თუმანიშვილი კი მხოლოდ ფინანსურ საქმეებს განაგებდა. 1897 წლის ბოლოს გ. წერეთელმა გაზეთი ასპარეზზე ახალგამოსულ პოლიტიკურ ძალას – სოციალ-დემოკრატებს (კერძოდ, ნოე ჟორდანიას) – გადასცა, თუმცა „კვა-

---

26 ილია ჭყონია თავის მემუარულ თხზულებაში „ჩემი დღე და სოფელი“ („მნათობი“, 1928, 8-9) ივ. მაჩაბელს „კვალის“ დაარსების მთავარ ინიციატორად ასახელებს: „1893 წ. ივ. მაჩაბელმა ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის სახელზე გამოითხოვა ნებართვა ყოველკვირეული სალიტერატურო და საზოგადოებრივი გაზეთის „კვალის“ გამოცემისა და შეუდგა ბანკის საქმეებზე მიუდგომელ და პირამთქმელი ნერილების ნერას“.

ლის“ რედაქტორ-გამომცემლად ოფიციალურად ისევ ა. თუმანიშვილი-წერეთელი ითვლებოდა. 1903 წლის მარტიდან გაზეთის ოფიციალური რედაქტორი იყო ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილი, თუმცა გამოცემას მის დახურვამდე ფაქტობრივად ისევ სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობდნენ.

ახალი პერიოდული გამოცემის ძირითადი მიზანდასახულობა ჩამოყალიბებულია გ. წერეთლის საპროგრამო ხასიათის წერილში „ჩვენი გულის-პასუხი“, რომელშიც ავტორი მკითხველს სთავაზობს „ახალს გონებრივს საზრდოსა“ და „საზოგადოების ყურადღების ღირსი“ ფაქტებისა და პრობლემების გაცნობა-ანალიზს, საგანგებო ყურადღებას უთმობს ხალხის მატერიალურ უმწეობასა და გაუნათლებლობას და მკითხველს ჰპირდება „ამ ორგვარს სენზე... მალამოს წაცხებას“: „ჩვენ ვეცდებით ჩვენსა და ჩვენს მკითხველს შორის მგრძნობიარე სიმები გავაბათ, იმის სიხარულით გავიხაროთ, იმის მწუხარებით შევსწუხდეთ. ჩვენ ვეცდებით ყოველსავე მოვლენაზედ უტყუარი და საფუძვლიანი სიტყვა წარმოვსთქვათ, სამართლიანი აზრი დავადგინოთ. ცხოვრებას მეცნიერება გვერდში ამოვუყენოთ და მეცნიერების ყურით ვისმინოთ, მეცნიერების თვალი ვადევნოთ ქვეყნის ჩარხის წაღმა-უკუღმა ტრიალს“.

გ. წერეთლის ამ სიტყვებში მკაფიოდ ჩანს ილია ჭავჭავაძის, – ზოგადად „სამოციანელთა“, – ლიტერატურულ-ჟურნალისტური მსოფლმხედველობის ძირითადი ხასიათი და მიმართულება. „ივერია“, სხვათა შორის, კმაყოფილებით შეხვდა „კვალის“ გამოსვლას („...სასიხარულო და სასიამოვნო ამბავია, გზა დაგვილოცნია ამ ახალი მოძმისათვის. ღმერთმა დიდი დღე და ღონე მისცეს“.). მართალია, „კვალსა“ და „ივერიას“ შორის მალევე ჩამოვარდა უთანხმოება, მაგრამ ამ უთანხმოების წყარო იყო არა იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება, არამედ – სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის საკრედიტო პოლიტიკისადმი მკვეთრად განსხვავებული მიდგომები: „პირველ ხანებში... გაზეთს ჰქონდა ნაციონალ-ლიბერალური მიმართულება. სამშობლოს ინტერესების დაცვა იყო მისი უმთავრესი მიზანი და ამისათვის შეერთებული თანამშრომლობა ყველა წოდებათა და კლასთა საჭიროდ მიაჩნდა“ (დ. კარიჭაშვილი). ასე რომ, მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით უნისონში იყო „ივერიის“ ეროვნულ

პროგრამასა და ლიბერალურ-დემოკრატიულ მსოფლმხედველობასთან.

„კვალის“ კულტურულ-სალიტერატურო მიმართულებაზე საუბრისას ცალკე უნდა აღინიშნოს აკაკი წერეთლის პროგრამული ხასიათის წერილი „ცხელ-ცხელი ამბები“, რომელიც გაზეთის პირველ ნომერში გამოქვეყნდა და რომელშიც ავტორი დაბეჯითებით იმეორებს „თერგდალეულთა“ მიერ ჯერ კიდევ 1860-იან წლებში ჩამოყალიბებულ ფუნდამენტურ პრინციპს ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების შესახებ: „მწერლობა უცნაური სარკეა, სადაც ქვეყნის ძველი და ახალი ავ-კარგიანობა უმეტ-ნაკლებოდ უნდა პირდაპირ იხატებოდეს და არა კერძო საპირადოდ სანავარდო სარბიელი. მწერალი კი დიდი მოძღვარია ქვეყნისა, რომელსაც ყურს უგდებენ „აწ და მარადის“ და მიტომაც მისი მოვალეობა ღვთისა და კაცის წინაშე დიდია!.. კერძოობითი რამ საპირადო მტერ-მოყვარობა, მისიან-სხვისიანობა და სხვ. მის გულს არ უნდა ეკარებოდეს! ვინც ამას გადაუხვევს, ის არის ჭეშმარიტების გამყიდველი...“

ოფიციალურად გამოცხადებული პროფილის მიხედვით „კვალი“ სამეცნიერო-ლიტერატურულ გამოცემად იყო ჩაფიქრებული („სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი“).[27] მიუხედავად ამისა, ზოგჯერ „კვალს“ ჟურნალადაც მოიხსენიებენ და ფორმითა თუ შინაარსობრივი სტრუქტურით, ვფიქრობთ, იგი მართლაც უფრო ჟურნალია, ვიდრე გაზეთი. თავიდან მკაფიოდ გამოხატული კულტურტრეგერული ხასიათიც ჰქონდა და, ბუნებრივია, მასში უხვად იბეჭდებოდა სალიტერატურო, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ხასიათის ტექსტები. აქ თანამშრომლობდნენ იმ დროის თვალსაჩინო მწერლები და მეცნიერული ინტერესების მქონე მოღვაწეები – სისტემატურად ქვეყნდებოდა აკაკი წერეთლის ლექსები („განთიადი“, „ჭალარა“, „სულიკო“, „ნეიტრალი“ და სხვ.), მისივე პროზაული ნაწარმოებები („ჩემი თავგადასავალი“, „ბაში-აჩუკი“ და სხვ.). იბეჭდებოდა ვაჟა-ფშაველას პოეტური და პროზაული თხზულებები (ლექსები: „სიზმარი ამირანისა“, „შავი ღრუბელი“, „შემომლულუნე ჩონგურო“ და სხვ.; პოემები: „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, „სისხლის

27 თვითონ გამოცემას სინამდვილეში „გაზეთი“ აწერია და არა „ჟურნალი“ („სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი“).

ძიება"; მოთხრობები: „ერემ-სერემ-სურემიანი", „მუცელა"...). ჟურნალში ქვეყნდებოდა სხვადასხვა თაობის ქართველ მწერალთა (ბარბარე ჯორჯაძე, გიორგი წერეთელი, დუტუ მეგრელი, ბაჩანა, იროდიონ ევდოშვილი, შიო მღვიმელი, ეგნატე ნინოშვილი, შიო არაგვისპირელი, ვასილ ბარნოვი, ეკატერინე გაბაშვილი და სხვ.) ნაწარმოებები. მთარგმნელობითი ლიტერატურა წარმოდგენილია ბაირონის, გოეთეს, ჰაინეს, შელის, პუშკინის, ლერმონტოვის, სენკევიჩის, ფრანსის, პრიუდომის, ჯერომ ჯერომისა და სხვათა სახელებით.

გაზეთის მესვეურები სათანადო ყურადღებას უთმობდნენ ლიტერატურათმცოდნეობის, ლიტერატურის ისტორიისა და სალიტერატურო კრიტიკის საკითხებს – ქვეყნდებოდა აკაკი და გიორგი წერეთლების, კიტა აბაშიძის, ივანე გომართელის, ალექსანდრე ხახანაშვილის, რომანოზ ფანცხავა-ხომლელისა და სხვათა საინტერესო წერილები.

სათანადო ყურადღება ექცეოდა საქართველოს ისტორიულ წარსულს და ამ მხრივ გამოირჩევა გიორგი წერეთლის, ივანე გვარამაძის („ვინმე მესხი"), ალექსანდრე ხახანაშვილის პუბლიკაციები.

ერთი სიტყვით, არსებობის პირველ წლებში „კვალი" აგრძელებს წინამორბედი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიერ შექმნილ კულტურულ-საგანმანათლებლო და სალიტერატურო ტრადიციებს. თუმცა, ჟურნალზე სოციალ-დემოკრატების გავლენის გაძლიერების კვალდაკვალ ამგვარი ტენდენციები თანდათანობით კნინდება (ეს არ ეხება თარგმანებს – ჩვენ მიერ ჩამოთვლილ უცხოელ ავტორთა უმრავლესობა 1890-1900 წწ. მიჯნაზე ქვეყნდება). მას მერე, რაც „კვალი" მთლიანად სოციალ-დემოკრატების ხელში აღმოჩნდა და პარტიულ-იდეოლოგიური გამოცემის სახე მიიღო, მასთან მოთანამშრომლე ავტორთა უმრავლესობამ ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალ „მოამბეში" გადაინაცვლა (ცხადია, ისინი „ივერიასთანაც" თანამშრომლობდნენ). „კვალის" ახალ მესვეურთა ხელში თანდათანობით მინელდა აგრეთვე ინტერესი საქართველოს წარსულისა და ქართული კულტურის ისტორიასთან დაკავშირებული თემების მიმართ. მომრავლდა და გაბატონდა სოციალურ თემატიკაზე შექმნილი ერზაც-ლიტერატურა და სხვ.

ქართველმა მარქსისტებმა (სოციალ-დემოკრატებმა) ორგანიზაციული ხასიათის არალეგალური მუშაობა ჯერ კიდევ 1892-1893 წლებში დაიწყეს (ეგნატე ნინოშვილი, ნოე ჟორდანია, მიხა ცხაკაია, სილიბისტრო ჯიბლაძე და სხვ.), ხოლო 1894 წლის მაისში, – ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვაზე, – ისინი უკვე ჩამოყალიბებული იდეოლოგიით წარდგნენ საზოგადოების წინაშე. ქართველ მარქსისტთა ერთ-ერთი მეთაურის, სილიბისტრო ჯიბლაძის, თქმით, „ჩვენი ანინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორს ახალს, ერთი-მეორის მოწინააღმდეგე წოდებას ანუ კლასს. ერთის მხრით – ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელნი, მეორე მხრით – მუქთახორა ბურჟუა-კაპიტალისტები. პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეთა კი – დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა. აი, სად ტყდება ხიდი ჩვენში... აი, სად ირღვევა უფსკრული...“

ცნობილია, რომ ს. ჯიბლაძის მიერ ნახსენებ „ჩატეხილ ხიდზე“ ილია ჭავჭავაძეც ინტენსიურად წერდა (მხატვრული ნაწარმოებები, პუბლიცისტური ტექსტები), ოღონდ თუ ილიას მიზანი „ხიდჩატეხილობის“ აღმოფხვრა და ამ გზით სოციალურ ფენათა თანხმობისა და იდეოლოგიური კონსოლიდაციის მიღწევა იყო, ს. ჯიბლაძე (შესაბამისად – ქართველი მარქსისტები) საზოგადოებას მდიდრებად (მჩაგვრელებად) და ღარიბებად (ჩაგრულებად) ჰყოფდნენ და კატეგორიული ფორმით ამტკიცებდნენ ანტაგონიზმის გაღრმავებისა და ბრძოლის სოციალურ-ეკონომიკურ ასპარეზზე გადატანის აუცილებლობას. თავადაზნაურობა, ქართველი მარქსისტების აზრით, თვით ისტორიის მიერ იყო სასიკვდილოდ განწირული და თუ რამ საერთო შეიძლებოდა ჰქონოდათ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს, ეს იყო რესურსების გაერთიანება თავადაზნაურობის, როგორც კლასის, დასასამარებლად.

ქართველი მარქსისტების რევოლუციური ძალისხმევა რუსეთის იმპერიაში არსებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემის მოსპობაზე იყო ფოკუსირებული. მხოლოდ ამის შემდეგ მიაჩნდათ მათ შესაძლებლად (პირველ რიგში, ე.წ. „ნოე ჟორდანიას ფრთას“) ქართველი ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემების, – მათ შორის, ეროვნული საკითხის, – გადაჭრა.

ქართველ მარქსისტებს „მესამედასელებსაც“ უწოდებენ, რაც

გიორგი წერეთლის მიერ ჩამოყალიბებულ ე. წ. „დასების“ კონცეფციას ეფუძნება. გ. წერეთლის მიხედვით:

1. 1860-იანი წლების მოღვაწეები (პეტრე ნაკაშიძე, დიმიტრი ყაზბეგი, ივანე პოლტორაცკი, მიხეილ და დავით ყიფიანები, ილია წინამძღვრიშვილი, ვახტანგ თულაშვილი და სხვ.) ილია ჭავჭავაძის მეთაურობით გამოხატავდნენ ლიბერალური თავადაზნაურობის ინტერესებს (ეს იყოო „უცებ აფეთქებული და უცებვე ჩამქრალი... ლიბერალური ახალგაზრდობა“). გ. წერეთელმა თავის კონცეფციაში ადგილი ვერ მოუძებნა „ხალხოსნებს“ და ისინი რამდენადმე დამაჯერებელი არგუმენტაციის გარეშე „პირველდასელებთან“ გააერთიანა. „საქართველოს მოამბემ“, – გ. წერეთლის თქმით, – „დაჰგმო ძველი ბატონ-ყმური დამოკიდებულება, სანტიმენტალურად შეხედა მან თავის მწერლობაში გლეხის დაჩაგრულ ბედს და შემდეგ ეს გრძნობა გადაიტანა სამშობლოზეც“. „საქართველოს მოამბის“ დახურვისთანავე „პირველმა დასმა“, გ. წერეთლის შეხედულებით, არსებითად ამოწურა თავისი ფუნქცია და დაიშალა. რაც შეეხება „ივერიას“, „მას ახალი აღარა წამოუყენებია... იყო გაგრძელება „საქართველოს მოამბისა“.

2. „მეორე დასს“ გ. წერეთელი უწოდებს გაზეთ „დროებისა“ და ჟურნალ „კრებულის“ გარშემო გაერთიანებულ „ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულების პუბლიცისტ-ლიტერატორებს (ნიკო ნიკოლაძე, თვითონ გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, კირილე ლორთქიფანიძე, პეტრე უმიკაშვილი, აკაკი წერეთელი). მწერალ-პუბლიცისტთა ამ ჯგუფმა, – ავტორის აზრით, – „ახალ აზროვნების მიმართულების გარდა, თვით მწერლობის ენაც ძირიანათ შესცვალა“; კერძოდ, აქამდე არსებული „გადაპრეხილი ლიტერატურული ენა ადვილ გასაგებ მდაბიო ლიტერატურულ ენათ გადააქცია“. რაც შეეხება გ. წერეთლის მიერ ნახსენებ „ახალ აზროვნების მიმართულებას“, ავტორი ზოგადად აღნიშნავს – პირველ და მეორე დასის წარმომადგენლებს შორის მუდამ იყო დაპირისპირება პრინციპულ საკითხებშიო, თუმცა არც ამ „პრინციპულ საკითხებს“ აკონკრეტებს და არც – ამგვარი დაპირისპირების იდეურ-მსოფლმხედველობრივ საფუძვლებს.

3. „მესამე დასად“ გ. წერეთელი მიიჩნევს ახალგამოჩენილ მარქსისტებს, რომელთა წინამძღოლებადაც ასახელებს მხატვრულ ლიტერატურაში ეგნატე ნინოშვილს, ხოლო პუბლიცის-

ტიკაში – ნოე ჟორდანიას. ავტორის აზრით, „კვალის" გარშემო გაერთიანებულ მარქსისტთა ჯგუფი (სოციალ-დემოკრარები) „ნამდვილ მემკვიდრედ უნდა გახდეს მეორე დასისა".

გ. წერეთლის, – თავისთავად თვალსაჩინო მწერლის, ჟურნალისტ-პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, – მიერ ჩამოყალიბებული „დასების" თეორია ტენდენციური, ხელოვნური და სქემატურია, ამასთანავე, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები მეტისმეტად გამარტივებულადაა წარმოდგენილი: იგნორირებულია „თერგდალეულთა" წვლილი საქართველოში კონსერვატორულ-მონარქისტული მსოფლმხედველობის დაძლევასა და „ნაციონალური ლიბერალიზმის" (ა. ჯორჯაძე) შემოტანასა და დამკვიდრებაში, მათი ბრძოლა განათლების რუსიფიკაციის (ზოგადად – რუსიფიკაციია) წინააღმდეგ, ეროვნული მიზანდასახულობის ინტენსიური კულტურტრეგერული მუშაობა, დაკნინებულია ი. ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების ისტორიული მნიშვნელობის დამსახურება ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის საქმეში და სხვ.

მე-19 საუკუნის 60-80 წლების ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მართლაც ადვილადაა შესამჩნევი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პოზიციათა სწრაფი დიფერენცირება, მთელი ეს პროცესი მწვავე პოლემიკური სულისკვეთებითაცაა აღბეჭდილი, მაგრამ განსხვავებულ თვალსაზრისებს ამ პროცესში მონაწილეთა შორის არ აღუმართავს „ჩინური კედელი", როგორც ეს გ. წერეთლის კონცეფციაშია წარმოჩენილი – პოლემიკა ძირითადად მიმდინარეობდა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე, ხოლო რაც შეეხება ეროვნულ საკითხს (სხვათა შორის, კულტურულ-საგანმანათლებლო და ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივ პრინციპებსაც), აქ ე. წ. „დასებს" შორის, 1890-იან წლებმდე (სოციალ-დემოკრატების გამოჩენამდე) არსებითი ხასიათის განსხვავება არ ყოფილა.

ასე იყო თუ ისე, გ. წერეთელმა, – „კვალის" ფაქტობრივმა ხელმძღვანელმა, – ჯერ ფართოდ გაუღო კარი „მესამედასელებს" (რომლებსაც, სხვათა შორის, ი. ჭავჭავაძე „რუსული მარქსიზმის თუთიყუშებს" უწოდებდა),[28] გაიხსენეთ მისი ცხარე პოლემიკა

28 ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფ. გურამ ყორანაშვილი ასეთ აზრს ავითარებს: დოკუმენტურად ილია კარლ მარქსის მოძღვრების (პოლი-

მარქსიზმთან დაკავშირებით ნ. ჟორდანიასთან, მაგრამ მიიჩნევდა, რომ მარქსიზმი თავისი კლასობრივი წინააღმდეგობისა და რევოლუციური სულისკვეთების გამო დამღუპველი იყო მცირერიცხოვანი, – მით უმეტეს, სახელმწიფოებრიობას მოკლებული, – ერებისათვის. საკუთრივ ქართველ მარქსისტებს ილია ბრალად უყენებდა მარქსიზმის საფუძვლების ვერგაგებას, ნოე ჟორდანიაზე კი წერდა – ეგ ისეთი მარქსისტია, „რომელთანაებზე თითონ მარქსმა სთქვა: რაც გინდათ დამარქვით, ოღონდ მარქსისტობასკი ნუ დამწამებთთ".ხოლო 1897 წლის ბოლოს, როგორც ითქვა, მათ ჟურნალი მთლიანად გადასცა – 1898 წლის იანვრიდან „კვალი" უკვე სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ორგანოა და, მიუხედავად იმისა, რომ გაზეთის ოფიციალურ რედაქტორგამომცემლად ა. თუმანიშვილი-წერეთელი დარჩა, ამ დროიდან გამოცემის ფაქტობრივი ხელმძღვანელი ნოე ჟორდანიაა. ამის შესახებ ნ. ჟორდანია წერს: გ. წერეთელმა მე გადმომცა სრული რედაქტორობა, სრულიად არ ერეოდა სარედაქციო საქმეებში და თუ რამეს დასწერდა – მე გადმომცემდა გასაცნობათ და ნების

ტიკური ეკონომიისა) გაცნობა პირველად დასტურდება 1882 წლის დეკემბრის სტატიაში „შინაური მიმოხილვა, ბ-ნ მეისნერის პროექტი" იგი დაწერილია კარლ მარქსის „კაპიტალის" პირველი ტომის (რუსულად გამოქვეყნდა 1872 წელს) საკმაოდ კარგი ცოდნით. აქ გადმოცემულია ისეთი ეკონომიური კატეგორიები, როგორიცაა: საქონელი, ღირებულება, ფული, ფასი, ვაჭრობა და სხვა. ნახსენებია: „ერთი გამოჩენილი მეცნიერი". „თუმცა კარლ მარქსს, ალბათ, ცენზურული მოსაზრების გამო არ მოიხსენიებდა... შემდეგ რუსულ ენაზე დაბეჭდვის კვალდაკვალ (1885 და 1894 წლებში) ჩანს, იგი „კაპიტალის" მომდევნო ტომებსაც გაეცნო" (გ. ყორანაშვილი).

„როცა ილიასა და ნოე ჟორდანიას შორის მწვავე კონფლიქტი მწიფდებოდა, რასაც ვერ ვხედავთ 90-იანი წლების „მესამედასელებში"... „ცნობილია, რომ 1890-იან წლებში დასავლეთ ევროპისა და რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებაში დიდი კამათი იყო ატეხილი ისტორიული მატერიალიზმის თაობაზე... ილია შეეცადა ეს სოციოლოგიური თეორია არა მხოლოდ თვითონ კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის, გეორგი პლეხანოვისს, ედუარდ ბერშტაინის, ანტონიო ლაბრიოლას, კარლ კაუცკის, თომაშ მასარიკის და სხვათა მეშვეობითაც გაეგო..."

ილია ჟორდანიას შესახებ სარკასტულად დაასკვნიდა: „ჩვენი უებრო მარქსისტი"... ილია ბევრ ქართველ ესდეკზე, მათ შორის ნოე ჟორდანიაზე, უკეთ იცნობდა მარქსიზმს, სახელდობრ, „ისტორიულ მატერიალიზმს".

იგი ამ მოძღვრებას მთლიანობაში არ იზიარებდა, ეს აიხსნება არა საქართველოში კაპიტალიზმის განუვითარებლობით, არამედ ჩენი ქვეყნის დამონებულობით (ეროვნული), რაც გამორიცხავდა კლასობრივი ბრძოლის პროპაგანდაგიტაციას. (გურამ ყორანაშვილი, „ერთი სოციოლოგიური თეორიის უცნაური მეტამორფოზი", გამომც. „დიოგენე", თბ. 2012).

დასართავათ... ხშირათ მეუბნებოდა ერთ და იმავეს: ნოე, ხომ იცი, მე მარქსისტი არა ვარ, მაგრამ რაკი ვხედავ, რომ ხალხის გამოღვიძება შეიძლება ამ გზით, მეც თქვენთან ვარ... „კვალი გახდა ქართველი მარქსისტების პირველი ლეგალური ორგანო. ეს იყო იმავე დროს პირველი მაგალითი მთელ რუსეთის იმპერიაში. არსად სოციალისტებს ლეგალური ორგანო არ ჰქონდათ“.

გ. წერეთელი, – 1860-იან წლებში „თერგდალეულთა“ თვალსაჩინო წევრი, – იყო გულწრფელი პატრიოტი და სიცოცხლის ბოლომდე ეროვნული იდეალების ერთგულ მსახურად დარჩა. ასეთ ვითარებაში ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ რამ განაპირობა მისი გადაწყვეტილება, გამხდარიყო ქართველ სოციალ-დემოკრატთა თანამდგომი და „კვალიც“ მათთვის გადაეცა?

პასუხს ამ კითხვაზე ვპოულობთ ამ მოვლენების მონაწილეთა თუ თვითმხილველთა სხვადასხვა ტიპის (პუბლიცისტურ, მემუარულ, ეპისტოლურ...) ტექსტებში, რომელთაგან აქ მხოლოდ რამდენიმეს დავიმოწმებთ:

გ. წერეთელი ფიქრობდა, რომ ქართველი მარქსისტები „ჯერ ბავშვები არიან... ნელ-ნელა მორჩებიან მარქსიზმის ქავილიდან და მომართავენ ისევ ეროვნულ ჩანგს“ (ს. ქვარიანი).

გ. წერეთელი ამბობდა: „მესამე დასელები გამოსწორდებიან, პატრიოტებად გახდებიან და ძლიერ ეროვნულ მოძრაობას შექმნიანო. აკაკიც ჩაითრია გ. წერეთელმა „კვალში“ და აკაკიც ამგვარადვე ასაბუთებდა თავის პოზიციას“ (ვ. წერეთელი).

გ. წერეთელმა მითხრა: „ეხლა ისეთი დრო დადგა, რომ ძველი მიმართულება უნდა უკუვაგდოთ, იქიდან მარტო ნაციონალური თავისუფლების მისწრაფება დავიტოვოთ და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებში მარქსისა და ენგელსის მიმართულება უნდა მივიღოთ“ (ე. თაყაიშვილი) და სხვ.

საგულისხმოა ისიც, რომ გ. წერეთელმა „კვალი“ გადასცა მაინცდამაინც ნოე ჟორდანიას, რომელმაც ჯერ კიდევ 1892 წელს ჩამოყალიბებულ საკუთარ პოლიტიკურ პროგრამაში სცადა მარქსიზმისა და ეროვნულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის ჰარმონიზაცია. მისი შეხედულებით, „თუკი პიროვნება უნდა იყოს თავისუფალი, თუ მთელი საზოგადოება თავის თავს უნდა მართავდეს, რატომ ერი, როგორც დიდი ეთნიური საზოგადოება, არ უნდა მართავდეს თავის თავს, არ ჰქონდეს თავისი

სახელმწიფო".[29] მოგვიანებით კი (1925 წელს) ემიგრაციაში, საფრანგეთში მყოფმა ნ. ჟორდანიამ უკვე ასე ჩამოაყალიბა საკუთარი პოლიტიკური მსოფლმხედველობა: „სუვერენობა ერის, ბატონობა დემოკრატიის, დამკვიდრება სოციალიზმის – აი ჩვენი მიზანი, აი რისთვის ვიბრძვით ჩვენ".

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ჟორდანია თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობით თითქოსდა დიამეტრალურად განსხვავდებოდა იმ ქართველი მარქსისტებისაგან (ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, ალექსანდრე წულუკიძე და სხვ.), რომელთა პროგრამაც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე იყო დაფუძნებული და რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან განუყოფელი ერთიანობისა და განუყოფელი რუსეთის პირობებში კლასთა შორის რევოლუციური ანტაგონიზმის გაღრმავებაზე იყო ორიენტირებული. ეს იყო ქართველ სოციალ-დემოკრატთა ის ჯგუფი, რომელსაც „საქართველოს პოლიტიკური უფლებანი არ აინტერესებდა" (მიხ. წერეთელი) და 1900-იანი წლების დასაწყისში ბოლშევიკურ პარტიად ჩამოყალიბდა.[30] (სხვათა შო-

---

29 ნაციონალური საკითხის ჟორდანიასეული გააზრება (ეგულისხმობთ 1890-იანი წლების ვითარებას), თითქოსდა მისაღები აღმოჩნდა ი. ჭავჭავაძისათვის, რის გამოც ილიამ ნ. ჟორდანიას „ივერიის" რედაქტორობა შესთავაზა. მოგვიანებით ნ. ჟორდანია იხსენებს: „ერთ დღეს მოვიდა ჩემთან ალ. ყიფშიძე და გადმომცა, ილია ჭავჭავაძეს სურს თქვენი ნახვა და ხვალ დილით გელის თავის სახლშიო... მეორე დღეს წავედი. მიმიღო თავის სამუშაო კაბინეტში. გავეცანი, დაჯდომისთანავე დაიწყო: შეგანუხეთ ერთი საქმისათვის. მე მსურს თქვენ გახდეთ „ივერიის" ხელმძღვანელი, რედაქტორი სრული უფლებით, მხოლოდ როცა ჩვენს შორის იქნება აზრების დიდი განსხვავება – მე ჩემსას დავბეჭდავ, თქვენ თქვენსასაო. მე სხვები მთხოვენ გაზეთის გადაცემას, მათ არ გადავეცემ, გამოცდილებით ვიცი მათი ამბავი, თუ თქვენ აიღებთ, მზათ ვარ გადმოგცეთო" (ნ. ჟორდანია არ უთითებს თარიღს, თუმცა კონტექსტიდან ჩანს, რომ ეს შეხვედრა 1897 წელს უნდა მომხდარიყო). ნ. ჟორდანიას ამ დროს, ფაქტობრივად, უკვე ჰქონდა თავისი პერიოდული გამოცემა („კვალი") და, რაც მთავარია, იგი იყო ი. ჭავჭავაძესთან დაპირისპირებული პოლიტიკური ჯგუფის მეთაური. ამიტომაც მან ილიას თითქოსდა თავაზიანი უარი უთხრა (ეფიქრობ, ეს ცრუ ინფორმაცია თვითონ ნოე ჟორდანიას მიერ არის შეთხზული. – ვ. ბ.).

30 განხეთქილება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, რომელმაც განაპირობა კიდევაც პარტიის ბოლშევიკებად და მენშევიკებად დაშლა, ძირითადად სწორედ რევოლუციურ პროცესებში პროლეტარიატის ადგილისა და როლის საკითხს უკავშირდება. სოციალ-დემოკრატთა 1903 წლის ყრილობაზე ერთი ფრთა (მომავალში – ბოლშევიკები) კატეგორიულად მოითხოვდა პარტიის პროგრამაში შეეტანათ პუნქტი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, მეორე ფრთა (მომავალში – მენშევიკები) ასეთივე კატეგორიულობით ეწინააღმდეგებოდა პროგრამაში ამ პუნქტის შეტანას.

რის, ეროვნული საკითხისადმი ქართველ სოციალ-დემოკრატთა უმეტესობის პოზიცია ერთიანი და განუყოფელი რუსეთის შესახებ ჰქონდა მხედველობაში კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს, რომელიც 1906 წელს იმპერატორ ნიკოლოზ 11-ს სწერდა: „თავადაზნაურობა, სამღვდელოება და ინტელიგენცია საქართველოში სეპარატისტულია, ერთადერთი საიმედო ძალა, რომელსაც შეიძლება რუსის ხელისუფლება საქართველოში დაეყრდნოს, ქართველი სოციალ-დემოკრატები არიან, მართალია, საშიში რევოლუციონერები, მაგრამ სახელმწიფო ცენტრალისტები და რუსეთის მთლიანობის მომხრენი"). „ნოე ჟორდანიას მსოფლიოს-ხედვა მარქსისტული იყო... ქართული ნაციონალიზმი მაშინ (1890-1900 წლებში – ვ. ბ.) იდეურად ძლიერი იყო, მაგრამ ხალხის დარაზმვა ეროვნული თავისუფლების იდეალის განსახორციელებლად მან ვერ შეძლო. ქართულ მარქსიზმს კი რუსეთის რევოლუციურ ძალებთან ერთად მიაჩნდა შესაძლებლად თვითმპყრობელობის დამხობა, სოციალური რეფორმები მშრომელ კლასთათვის და დამყარება დემოკრატიულ თავისუფლებისა. ამ მიზანთა მიღწევის შემდეგ, მისი (ნ. ჟორდანიას) რწმენით, ერიც კვლავ მოიპოვებდა დაკარგულ უფლებებს. ნაციონალისტური ბრძოლის წარმოება უზარმაზარი იმპერიის წინააღმდეგ, თვით ამ იმპერიის რევოლუციურ ძალთა დაუხმარებლად, მას სრულიად უიმედოდ მიაჩნდა.[31] ამ ნიადაგზედ სწარმოებდა ბრძოლა სხვადასხვა მიმართულების ქართული ნაციონალიზმისა სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ჩვენში, როგორც ყველგან, ხშირად მწვავე იყო და მავნებელი მთელი ერისათვის, მაგრამ ქართველი

31 ამ საკითხზე თავის მემუარებში („ჩემი ბრძოლა") ნოე ჟორდანია წერს: „...ცვლილება უნდა მომხდარიყო საერთო ძალ-ღონით რუსეთის მასშტაბით. ჩვენი პატარა ერისთვის ეს ტაქტიკა თავისთავად საგულისხმო და მისაღები იყო, მარტო ქართველობა ხომ ვერ გაუმკლავდებოდა რუსეთის ვეშაპს. ჩვენთვის საჭირო იყო მოკავშირე ბრძოლაში, რომ იზოლაციაში არ მოვხვედრილიყავით და არ გავლესილიყავით" (სხვათა შორის, საინტერესოა მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების ნ. ჟორდანიასეული შეფასება: „ერის მეთაურებმა და წინამძღოლებმა ვერ შეძლეს თავისი ძალ-ღონით მტკიცე მართველობის დამყარება და იძულებული შეიქნენ რუსეთისთვის მიემართათ. და როცა მათ თავისი უფლება ერთმორწმუნე რუსეთს გადასცეს, ამით უარჰყვეს თავისი ბატონობა და მასთან ერთათ სამშობლოს წინანდურათ მეთაურობა. ეს, ასე ვთქვათ, თავის თავის გადაყენებაა, თავის უძლურების გამოაშკარავებაა" – ერთი საუკუნე. „კვალი", 1898, №9.

სოციალ-დემოკრატების არც კლასთა ბრძოლის ქადაგებას და არც ქართველი ხალხის მიმართვას წმინდა სოციალურ-პოლიტიკური იდეალებისაკენ ქართველი ერის მთლიანობა არ დაურღვევია. დადგა დრო და მთელმა ქართველმა ერმა, განურჩევლად პარტიათა, აჩვენა ქვეყანას, თუ რა იყო მისი ნება და სურვილი (იგულისხმება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წლის 26 მაისს)"[32]

ილიასეული მიდგომა მარქსიზმისადმი (კერძოდ, პოლიტიკური ეკონომიისა და ისტორიული მატერიალიზმისადმი) საფუძვლიანად განსხვავდება არა მხოლოდ ქართველი ესდეკი „თეორეტიკოს-იდეოლოგოსებისაგან", რომელთა „მთავარ ფალავანთან" – ნოე ჟორდანიასთან მას ძალზე ცხარე პოლემიკა ჰქონდა, არამედ მომავალი საბჭოური ეპოქის შესაბამისი სფეროების წარ-

---

32 ქართველ სოციალ-დემოკრატთა შორის იყვნენ ზოგიერთი პიროვნება, გამონაკლისი სახით, ეროვნული გრძნობების მატარებელი პატრიოტები, მაგრამ მათ პარტიაში გავლენა არ ჰქონდათ. და ამის საილუსტრაციოდ მრავალთაგან ერთ მაგალითს მოვიყვანთ. რუბენ ყიფიანი ემიგრაციაში იგონებს: „26 მაისს, ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, ელასა (სოციალ-დემოკრატი ელასა მგელაძე) მიიმალა და აღარ სჩანდა, ენახე მხოლოდ გვიან ნაშუადღევს. ჩემს შეკითხვაზე, თუ სად იყო, მიპასუხა: „მამადავითის ეკლესიაზე ზარს ვრეკავდი: ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, დიმიტრი ყიფიანს თავისუფლება მივულოცეო". „მე არ მეგულება არც ერთ უნივერსალურ ეპოსში მამულიშვილური აქტი, ეგზომ აყვანილი მითიურ სიმაღლემდე" – წერს ამ ამაღელვებელი ფაქტის შესახებ გრიგოლ რობაქიძე.

აქვე უნდა ითქვას, რომ ქართველ მარქსისტთა დიდი ნაწილი გამოირჩეოდა უკიდურესი კოსმოპოლიტიზმით და, ამ მხრივ, დამახასიათებელია მენშევიკ ირაკლი წერეთლის (სხვათა შორის, გიორგი წერეთლის შვილის) წერილი „მამულიშვილობა, ეროვნება თუ ხალხის სამსახური" („კვალი", 1903, №4, 15,20), რომელშიც ავტორი ამტკიცებდა – მამულიშვილობის დაცვა მოძველდა და ხელს უშლის საზოგადოებრივ პროგრესსო. ჩანს, ი. წერეთლის ეს წერილი ჰქონდა მხედველობაში გერონტი ქიქოძეს, რომელიც მოგვიანებით თავის „მოგონებებში" წერდა: „განსაკუთრებული პროტესტი ჩვენს (ქუთაისის რეალური სასწავლებლის მოსწავლეთა) შორის ირაკლი წერეთელმა (ყვირილელმა) გამოინვია, როდესაც მან 1903 წელს „კვალის" შინაურ მიმოხილვაში განაცხადა, ჩვენ არც გაცვეთილი პატრიოტიზმი გვაკმაყოფილებს და არც სამშობლოსა და ქართულ ენაზე ყვირილი, ჩვენი იდეალი საკაცობრიო იდეალიაო. „აწმყო გველივით გვეზიზღება, ნარსული ჭირივით გვეჯავრება, ჩვენ ბრწყინვალე მომავლისაკენ ვიცქირებითო".

უფრო შორს მიდიოდნენ მარქსისტ-ბოლშევიკები. ფ. მახარაძე, მაგალითად, ამტკიცებდა: „ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს, ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს, ხოლო რაც შეეხება ნაციონალურ ზნე-ჩვეულებებს, ისინი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია".

მომადგენლებთანაც.

რაც შეეხება თვით პოლემიკას ნოე ჟორდანიასთან, იგი გადმოცემულია ილიას ოთხ წერილში. პირველში იგი შეეცადა „შეძლებისამებრ", მარქსიზმის ცოდნის საფუძველზე, გაეკრიტიკებინა თავისი ოპონენტი. „მე – რის ღონე და შეძლებაც მქონდა, მარტო იმას მოვკიდე ხელი და მეტს აღარ შევეჭიდე" (ილია ჭავჭავაძე, „უმეცრების ფართი-ფურთი"", თსკ. ტ. 6, გვ. 258). ილია იმედს იტოვებდა, რომ „...ვინ იცის, ოდესმე გამოჩნდეს ვინმე და ბ-ნ ჟორდანიას ყველაფერი გადმოულაგოს მისდა სასახელოდ (!) და ჩვენის მწერლობის შესარცხვენად" (ილია ჭავჭავაძე, იქვე, გვ. 243. იხ. აგრეთვე, გვ. 244, 258).

საკუთრივ ნოე ჟორდანიას მარქსისტობაზე ილია აღნიშნავდა: „ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნად, აქაო და ხუთი-ექვსი ფრაზა რუსულ მარქსიზმისა უსწავლია, ისიც იმისთანა მარქსისტებისაგან, რომელთანაებზე თითონ მარქსმა სთქვა: რაც გინდათ დამარქვით, ოღონდ მარქსისტობას-კი ნუ დამწამებთო. რაც იუარა მარქსმა იმისთანა მარქსისატები, როგორიც დღეს ჩვენში ბ-ნი ნოე ჟორდანიაა და მისი წილადობილნი". „ბ-ნი ნოე ჟორდანია მარქსისტი კი არა, პამპულაა მარქსისა, ულარუნებით მორთულ კაბაში".

ნოე ჟორდანიას პოლიტიკური მსოფლმხედველობის დახასიათებისას მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ იგი თავისი სოციალისტური იდეების განხორციელებისას ევროპულ ნიადაგზე იდგა და არა – რუსულ ნიადაგზე. თუმცა რეალურად ფაქტების სინამდვილე სხვა რამეს ღაღადებდა. პრაქტიკაში იგი მთლიანად ბოლომდე ვერ წყდებოდა იმჟამინდელ რუსულ (არა მხოლოდ სოციალისტურს) პოლიტიკურ ელიტას და გარკვეულწილად მათ პოლიტიკურ საყრდენადაც წარმოიდგენდა. (მაგრამ უფრო ფართოდ ამაზე სხვა დროს).თავის მემუარებში იგი წერს (ასახულია 1890-იანი წლების ვითარება): „...დავინახე, რომ რუსული სოციალიზმი ნამდვილი უტოპიური და რეაქციონური მიმდინარეობაა და თუ ის ნამდვილი განხორციელდა სადმე, დავექანებით უკან ბარბაროსობაში... ამან სამუდამოთ მოკლა ჩემში იმდენი წლის შეთვისებული რუსული სოციალიზმი და გადამიყვანა ევროპიულ ნიადაგზე". ასე რომ, მიუხედავად ძირეული იდეოლოგიური განსხვავებულობისა,

ნ. ჟორდანიას პოლიტიკური კრედო არ დასცილებია მე-19 ს. ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ერთ-ერთ განმსაზღვრელ მიმართულებას – მემარცხენე ევროპეიზმს.

ასე იყო თუ ისე, 1898 წლის დასაწყისიდან, როგორც ითქვა, „კვალი" მთლიანად აღმოჩნდა სოციალ-დემოკრატების ხელში და მათაც პირდაპირი იერიში მიიტანეს „ივერიასა" და ზოგადად ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების ქართველ ინტელიგენციაზე: „მესამე დასი ხდება დაუძინებელ მტრად ახლანდელი ჩვენი ინტელიგენტ-მეთაურებისა და მათი მოქმედება მიაჩნიათ მავნებლად ჩვენი ქვეყნისათვის... ამ ბოლო დროს სავსებით გამომჟღავნდა „ივერიის" მთელი შინაარსი, მისი სიბეჩავე, მისი სითახსირე. მისი მიმართულება ჩვენს ლიტერატურაში უნდა აღინიშნოს სიტყვით – „რეაქცია".

ილია ჭავჭავაძისა და მისი იდეოლოგიის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი მარქსისტებისათვის ყველაზე ერთგულ და საიმედო „მოკავშირედ", სამწუხაროდ, ეპოქის სულისკვეთება იქცა. საქმე ისაა, რომ მოსახლეობის ფართო ფენებში სოციალ-დემოკრატთა ლოზუნგები სოციალური თანასწორობისა და საყოველთაო კეთილდღეობის შესახებ უაღრესად მიმზიდველი აღმოჩნდა. (სოციალიზმი ავადმყოფური სახადი სენივით მოედო როგორც ევროპას, ისე მთელ მსოფლიოს). იმ დროის ფსიქოლოგიური გარემო შესანიშნავადაა დახასიათებული ა. ჯორჯაძის მიერ: „თუ თქვენ იმდენად გულუბრყვილო ბრძანდებით, რომ „ქართველობა" არც გეთაკილებათ, არც გეზიზღებათ, იცოდეთ, შავრაზმელთა გუნდში უნდა ჩაირიცხოთ, ნაციონალისტის სამარცხვინო სახელი უნდა ატაროთ და წყდიადი და ბნელეთია მაშინ თქვენი ხვედრი და თუ გამოხვედით მოედანზე და შესძახეთ, გულში ხელის ჩარტყმით: ამხანაგებო! წარსული მძულს, აწმყო მეზიზღება-თქო, იცოდეთ, თქვენი მომავალი უზრუნველყოფილია. შარავანდედით შეიმკობა თქვენი კოსმოპოლიტური გვამი და ქუჩაზე გავლის დროს თქვენზე თითს მიათითებენ და იტყვიან: აი ჩვენი მხსნელი, აი თავისუფლების მოციქული და „შავრაზმელ ნაციონალისტთა" ამომგდებიო". საგულისხმოა აგრეთვე გერონტი ქიქოძის „მოგონებების" ის მონაკვეთიც, რომელშიც ქუთაისის რეალური სასწავლებლის მოსწავლეებისა და ბათუმელი ახალგაზრდების პოლემიკაა ასახული: „ბათუმელებმა ჩამოიტანეს თავიანთი ხელ-

ნაწერი რუსული ჟურნალი, რომელშიც ისინი თავისებურად გაგებული მარქსიზმისა და ინტერნაციონალიზმის იდეებს იცავდნენ. მე მინდოდა მათ შევდავებოდი ქართული ეროვნული კულტურის პოზიციებიდან, მაგრამ დავმარცხდი, ვინაიდან მათ ძლიერი მოკავშირე აღმოაჩნდათ, სახელდობრ – ეპოქის სული".[33]

„ივერიის", ი. ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების წინააღმდეგ ნამდვილი „კოლექტიური ლაშქრობა", ვითარცა „ეშმაკზე ნადირობა", განხორციელდა 1900 წლის იანვარში, გიორგი წერეთლის გარდაცვალებისა და დაკრძალვის დღეებში – დაკრძალვაზე სიტყვით გამომსვლელებმა (ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ვასილ კირვალიძე, ნოშრევან მერკვილაძე და სხვ.) ანათემას გადასცეს ყველა (განსაკუთრებით, „ივერია" და ილია ჭავჭავაძე), ვინც გ. წერეთლის შეხედულებებს პატივს არ სცემდა და სოციალ-დემოკრატთა იდეებს არ იზიარებდა. „მესამედასელთა" ამგვარ „ძნელად წარმოსადგენ უზნეობას, უტაქტობას და უსირცხვილობას"

---

33 1890-იანი წწ. დასასრულს „ივერიელთა" და „კვალელთა" დაპირისპირების ფონზე ჩამოყალიბდა „განცალკევებული პატარა ჯგუფი ქართველი ინტელიგენციისა, რომელიც სავსებით ვერ მიემხრობოდა ვერც პირველ და ვერც მეორე ბანაკს (გ- ლასხიშვილი). ამ ჯგუფმა ჟურნალ „მოამბეში" მოიყარა თავი და იგი „პირველს („ივერიას" – ვ. ბ.) უახლოვდებოდა ეროვნულის იდეალით, ხოლო მეორეს („კვალს" – ვ. ბ.) სოციალური მისწრაფებით" (გ. ლასხიშვილი). აქ ნახსენები ჟურნალი „მოამბე" (1894-1905; რედაქტორი ალ. ჭყონია) ეროვნული მიმართულების ლიბერალურ-დემოკრატიული გამოცემა იყო და საგანმანათლებლო-კულტურტრეგერულ საკითხებსაც საგანგებო ყურადღებას უთმობდა. თავიდან გამოცემის პუბლიცისტურ პროფილს არსებითად განსაზღვრავდა ნიკო ნიკოლაძე, რომელიც ქვეყნის ხსნას ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისა და ეროვნული ბურჟუაზიული კლასის (ნ. ნიკოლაძის თქმით, „შუათანა დასის") განვითარება-გაძლიერებაში ხედავდა. 1900 წელს „მოამბის" გამომცემელმა ჯგუფმა შეიძინა ვალერიან გუნიას მიერ 1896 წელს საინფორმაციო ხასიათის გაზეთი „ცნობის ფურცელი", რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად რედაქტორობდნენ ჯერ ალ. ჭყონია, ხოლო შემდეგ ალ. ჯაბადარი, ფაქტობრივად გ. ლასხიშვილი ხელმძღვანელობდა. გაზეთთან აქტიური თანამშრომლობა დაიწყეს ახალგაზრდა მოღვაწეებმა: არჩილ ჯორჯაძემ, კიტა აბაშიძემ, ილია აგლაძემ, სამსონ ფირცხალავამ და სხვ.; „ცნობის ფურცელი" ახალი თაობის მთავარ გამოცემად იქცა. ფაქტობრივად, ეს არის ქართველ ავტონომისტთა პერიოდული ორგანო, რომლის წიაღშიც ჩამოყალიბდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია.

ჩვენ ამ ორ გამოცემაზე („მოამბესა" და „ცნობის ფურცელზე") არ ვჩერდებით, რადგანაც მათი პოლიტიკურ-იდეოლოგიური ხასიათი და მიმართულება არსებითად 1900-იან წლებში ჩამოყალიბდა და, ამდენად, ჩვენი აზრით, ისინი მე-20 საუკუნის ქართულ პრესას მიეკუთვნებიან.

(გ. ლასხიშვილი) მძაფრად გამოეხმაურა დაპირისპირებული ბანაკი (არტემ ახნაზაროვი, გიორგი ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე...). ბრძოლამ ილიასა და მისი მსოფლმხედველობის წინააღმდეგ თავის აპოგეას მას შემდეგ მიაღწია, რაც ჟურნალ „მოგზაურს“, რომლის ოფიციალური რედაქტორი ივანე როსტომაშვილი იყო, ფაქტობრივად ფილიპე მახარაძე ჩაუდგა სათავეში.[34]

დასაწყისში („ილია ჭავჭავაძის „ივერია“) ჩვენ უკვე შევეხეთ ვ. ნაცვლიშვილის მიერ ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ „მოგზაურში“ გამოქვეყნებულ წერილს („საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“), ილიას პასუხსა („ნუთუ?“) და ამ პოლემიკასთან დაკავშირებით გაზეთ „ივერიის“ პოზიციას. იმის საილუსტრაციოდ, თუ რა უხამსი და დაუნდობელი იყო ქართველ მარქსისტთა ბრძოლა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, აქ დავიმოწმებთ ფრაგმენტს ფ. მახარაძის იმ წერილიდან, რომლითაც მან „მოგზაურში“ უპასუხა ილიას პუბლიკაციას „ნუთუ?“: „თ-დ ილია ჭავჭავაძეს ჩვენ იქამდისაც ვიცნობდით, თუ რა „კაცური კაცი“ ბრძანდებოდა ის, რას ემსახურება, რა შეადგენს მისი სულისკვეთების საგანს... იგი გველაპარაკება ჩვენ, როგორც კერძო საკუთრების იდეოლოგი, როგორც მემამულე... ამიერიდან ქართველ მკითხველს საქმე ექნება ქართველ მემამულესთან, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ იმისთვის მოუნდომებია, რომ გლეხები ეყვლიფა და ეტყავებია. ჩვენ არ გვგონია, საქართველოს მიწაზე მოიპოვებოდეს მეორე ისეთი სასტიკი მემამულე, რომელსაც ასე უღმერთოდ გაყავდეს ცხოვრებაში გლეხების გაყვლეფის სისტემა“ და ა. შ. (მოგვიანებით იგივე ფ. მახარაძე ილიას დკრძალვასთან დაკავშირებით წერდა: „ნუთუ ჩვენმა „ჭეშმარიტმა მამულიშვილებმა“ ვერ გაიგეს, რომ რევოლუციონურ აქტის მსხვერპლს გვირგვინს არ მივუტანთ საფლავზე, სამძიმარს არ გამოვუცხადებთ?“

1890-იანი წლების დასასრულიდან ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ფართო ფრონტით გაშლილ ბრძოლაში ნოე ჟორდანიაც ჩაერთო – გაზ. „კვალში“ ზედიზედ გამოაქვეყნა წერილები, რომლებშიც იგი ილიას უწოდებდა „რეაქციული მოძრაობის მეთაურს“,

34 ლეგალური ქართული გამოცემებიდან პირველად სწორედ „მოგზაურში“ გაჩნდა საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის დევიზი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, რომელიც შემდეგ საბჭოთა პრესის დევიზადაც იქცა.

„არმაზის ალაგას აღმართულ კერპს“ და ა. შ.; საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნ. ჟორდანიას ვრცელი ნაშრომი „პრესა“, რომელიც 1900 წელს გაგრძელებებით გამოქვეყნდა „კვალში“ და წარმოადგენს „ნიმუშს მიდგომილ და ცალმხრივ ლიტერატურულ ნაწარმოებისა“ [ა. ჯორჯაძე; იმავე 1900 წელს ნ. ჟორდანიამ ეს თავისი ნაშრომი წიგნადაც გამოსცა სათაურით – „ქართული პრესა (გუშინ და დღეს)“]. მკვლევარი გიორგი აბაშიძე თავის წიგნში „ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება და ღვაწლი“ (თბ., 2005) ვრცლად ეხება ამ საკითხს და აღნიშნავს:

„ნ. ჟორდანია წერდა, რომ ქართული პრესა „ერთიანად გათახსირებულია, როგორც გონებრივად, ისე ზნეობრივად; იმას აღარავითარი უმაღლესი იდეალი არ იტაცებს, არ აფრთოვანებს, და წვრილმან, უმნიშვნელო რამეებში გართული, თავდაღმართში სწრაფად ეშვება და სამარის კარს უახლოვდება“, ხოლო ქართული პრესის ეს გათახსირება ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის შედეგია, – ილია ჭავჭავაძისა, რომელიც სათავეში ჩაუდგა „კონსერვატორთა ჯგუფს“, დააარსა გაზეთი „ივერია“, დაუპირისპირდა პროგრესულ გაზეთ „დროებას“... და ქართული პრესა „განვითარების უმდაბლეს საფეხურამდი“ ჩამოაქვეითა: რეაქციონერი ილია ჭავჭავაძისა და მისი „ივერიის“ წყალობით, „ქართულმა პრესამ თავისი ხელით გაიკეთა კუბო, ჩავიდა შიგ, გულხელი დაიკრიფა და ახლა მხოლოდ წესის აგებას და დასამარებას ელის“. 1900-იანი წლების დასაწყისში ხანგრძლივი ბრძოლითა და შრომით დაღლილი, ჯანმრთელობაშერყეული ი. ჭავჭავაძე თანდათანობით ჩამოცილდა საზოგადოებრივ ასპარეზს. მან, როგორც ადრე ითქვა, „ივერია“ სხვას (ალ. სარაჯიშვილს) გადასცა და მთელი თავისი დარჩენილი ენერგია საბანკო საქმეების წარმატებისაკენ მიმართა, მაგრამ, გრ. ყიფშიძის თქმით, „დასელებმა უფრო მოუმატეს ბრძოლას და იერიში იერიშზედ მიჰქონდათ ილიაზედ და ეროვნულს მიართულებაზედ. ილია თითქმის მიყუჩდა, მიიჩრდილა, მოშორდა სამოქმედო ასპარეზს, მაგრამ დასელები მაინც არ სცხრებოდნენ, რადგან ამ მიმართულების დედა-ბოძად, რომელსაც უარჰყოფდნენ დასელები, ისევ ის ითვლებოდა. იმას ერტყა ბრწყინვალე შარავანდედი ქართველთა დიდი პატრიოტისა, ეროვნულის მგოსნისა, ქვეყნის მესვეურისა და მესაიდუმლესი. დასელების აზრით, უსათუოდ საჭირო იყო ამ კერპის დამსხვრევა, ამ ძველის

ღმერთის შემუსვრა, ილიას დამდაბლება, მის აბრუს გატეხა. მისი სრული დამარცხება იქნებოდა დამარცხება და გაცამტვერება იმ მსოფლ-მხედველობისა, რომლის ცხოველი გამომხატველი და მოციქული იყო ილია".

უნდა ითქვას, რომ „მესამედასელებმა" აღვირახსნილი, ყოვლად ულირსი პროპაგანდის მეშვეობით მიაღწიეს საზოგადოების ფართო ფენებში ილია ჭავჭავაძის სახელისა და საქმის დისკრედიტაციას (ასე, მაგალითად, 1902 წელს ნაძალადევის მუშათა სამკითხველოს გახსნისას თბილისელმა მუშებმა ილია ჭავჭავაძეს, როგორც „მუშათა მტერსა და მოღალატეს", ნამდვილი ობსტრუქცია მოუწყვეს და სხვ.).

იმჟამინდელი დასავლური „სოციალისტური სენით", „ახალი იდეებით" და ე. წ. რევოლუციური სულისკვეთებით ეგზალტირებული საზოგადოება ადვილად დაჰყვა ილიას წინააღმდეგ მიმართულ მარქსისტულ პროპაგანდასა და მორალურ ტერორს და საქმე იქამდე მივიდა, რომ, – სამსონ ფირცხალავას თქმით, – ილია ჭავჭავაძის „გამოქომაგებაც" კი „სამძიმო გახდა".

ქართველმა მარქსისტებმა (ბოლშევიკური და მენშევიკები) შექმნეს ის ფსიქოლოგიური და მორალური ატმოსფერო, ცრუ ჭორები და გამოგონილი ბოროტი ინსინუაციები, რომლებმაც შესაძლებელი გახადა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. ამის დამადასტურებელი არაერთი ფაქტოლოგიური მასალა მოიპოვება.

1900-იანი წლების დასაწყისი საქართველოში რევოლუციური მიმართულების სოციალ-დემოკრატიული პრესის აღმავლობით აღინიშნა (გაზეთები „ბრძოლა" და „პროლეტარიატის ბრძოლა", ჟურნალი „მოგზაური"...), გაჩნდა სოციალისტურ-ფედერალისტური მიმართულების პრესაც (პარიზში გამომავალი გაზეთი „საქართველო", რომელიც არალეგალურად ვრცელდებოდა საქართველოში; მწვავე პოლიტიკური შინაარსი შეიძინეს გაზეთმა „ცნობის ფურცელმა" და ჟურნალმა „მოამბემ"). ასეთ ვითარებაში „კვალმა" ვერ გაუძლო კონკურენციას და კრიზისი დაეტყო. ამას ისიც დაემატა, რომ გაზეთის ფაქტობრივი ხელმძღვანელი ნოე ჟორდანია იძულებული გახდა, პოლიტიკურ დევნას ევროპაში გაჰქცეოდა... 1903 წლის აგვისტოდან ნოემბრამდე „კვალის" გამოცემა შეწყვეტილი იყო. ძირითადი მიზეზი კრიზისისა თვითონ „კვალშივე" 1903 წლის ნოემბერში ირაკლი წერეთელმა

(„ყვირილელმა“) ასე ახსნა: „კვალი“ წინათ უკეთ აკმაყოფილებდა მაშინდელი ცხოვრების მოთხოვნილებას, ვიდრე დღევანდელი ცხოვრების მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს და ეს იმიტომ, რომ ცხოვრებამ გაუსწრო ლიტერატურას და ისეთი ჩქარი ნაბიჯით წავიდა წინ, რომ არასოდეს წინათ არ უვლია. გაუმარჯოს იმ ცხოვრებას, რომელმაც კვალს გაასწრო“.

დაუძლურებული „კვალი“ ახალ 1904 წელს თითქოს ახალი იმედებით შეხვდა, მაგრამ მხოლოდ ცოტა ხანს გაიტანა თავი და იმავე წლის თებერვალში საცენზურო წესდების დარღვევის გამო ხელისუფლებამ იგი დახურა.[35]

35 აღნიშნული თავი მომზადებულია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ თამაზ ჯოლოგუას მონოგრაფიის „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX ს)“, (გამომც „ინტელექტი“, თბილისი, 2013), მეტად მნიშვნელოვანი სამი წერილის – „სალიტ. ჟურნ. „საქართველოს მოამბე“ (1863), ილია ჭავჭავაძის გაზ. „ივერია“ (1877-1906) და გაზ. „კვალი“ (1893-1904). (თავები. 1. გვ. 204-345, 2. გვ. 348-386, 3. გვ. 387-410 – ზოგიერთი ჩემეული ცვლილებებით და დამატებებითურთ. ამ მასალის გამოყენებისათვის დიდ მადლობას ვუხდი აეტორს.

წიწამურთან გავარდნილი მარქსისტ (ბოლშევიკთა და სოციალ-დემოკრატთა) შეთქმულთა ტყვია

წიწამურში რომ მოკლეს ილია,
მაშინ ეპოქა დასრულდა დიდი.
გალაკტიონი

1907 წლის 30 აგვისტოს წიწამურში გასროლილმა ტყვიამ შეძრა მთელი საქართველო, ქართველი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, ქართული ინტელიგენცია, მუშები, გლეხები, ჟურნალ-გაზეთები სათანადოდ გამოეხმაურნენ ამ საზარელ ამბავს. არაერთი წერილი დაიბეჭდა ქართველ სოციალ-ფედერალისტთა გაზეთ „ისარში". (სარედაქციო წერილები, აკაკის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის, იროდიონ ევდოშვილის, განდეგილის, ნინო ნაკაშიძის, ილია ნაკაშიძის, სანდრო შანშიაშვილის, ი. ფანცხავას, მიხ. წერეთლის – ბატონ, ილია ზურაბაშვილის, მუშა პოეტის სანდრო ნავთლუღელის, ია ეკალაძის და სხვ.). ავტორები საშინელ გულისწყრომას გამოხატავდნენ ამ საზარელი ამბის გამო, მოითხოვდნენ მკვლელების გამომჟღავნებას და სამაგალითოდ დასჯას. გაზეთებმა „შურდულმა" და „ჩვენმა გზამ" მყისვე პოლემიკა გააჩაღეს „ისართან". გაზ. „შურდული" წერდა: „გადაათვალიერეთ „ისრის" 192-ე ნომერი, „ნიშადური" №2, წაიკითხეთ ილია ჭავჭავაძის სახსოვრად დაწერილი სტატიები და მიგვითითეთ ერთი მაინც, სადაც გრძნობიერსა და მწარე მწუხარებით აღსავსე სიტყვებში ბინძური და ტალახიანი ქარაგმები არ იყო ჩაქსოვილი! სადაც მამულიშვილის შელახულ თავმოყვარეობაზე მაღალფარდოვან ღაღადს თან არ ერთოდეს ბილწი და თავმოყვარეობის შემლახველი ყოვლად გასაკიცხი და დასაგმობი დემაგოგიური ქამანდები" („შურდული", 1907, №1).

ამ გაზეთებს შორის გამართული პოლემიკა ცალკე მოკვლევის ვრცელი და საინტერესო თემაა.

გამორჩეული ქართველი პედაგოგი, ქართული ენის გრამატიკის ავტორი, პოეტი და ლიტერატორი, პუბლიცისტი სილოვან ხუნდაძე (1860-1928) წერდა: „...საქართველოს მტერნო, შეძრწუნდით! თქვენი საზარელი მკვლელობით თვით თქვენი თავი მოკალით, თქვენი ყელი გამოილადრეთ; ამიერიდან ქართველი ერი თქვენს

საქმეებს დაგმობს, თქვენს სახელს ზიზღით მოიხსენიებს!..

ქართველო ხალხო, გონს მოდი, გამოფხიზლდი, გაარჩიე მტერი და მოყვარე! გარეშე მტრებმა ვერაოდეს ვერ შესძლეს შენი დამონება, შენი შერცხვენა, – მხოლოდ შინაური მტრები შეიქნენ შენი შემრცხვენელნი!.. ქართველებო, ნუ დაივიწყებთ დიდი შოთას სიტყვებს: „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერიაო!“ (სილოვანი, ილია ჭავჭავაძის სახსოვრათ, ქუთაისი, 1907).

სილოვან ხუნდაძე სვამს კითხვას: რატომ სდევნიდნენ ილიას? და თვითონვე პასუხობს: მას ბრალად სდებდნენ მამულიშვილობასა და სამშობლოს გონიერ სიყვარულს. შემდეგ კი აცხადებს, რომ „სამშობლოს გონიერი სიყვარული კაცობრიობის სიყვარულია, სამშობლოს გონიერი სამსახური კაცობრიობის სამსახურია! არ იციან უგუნურებმა, ვინაც მშობელ ერს ზნეობრივად ასპეტაკებს და გონებრივათ ავითარებს, ეს ხელს უწყობს კაცობრიობის გასპეტაკებას და განვითარებას, რადგან ყოველი ერი კაცობრიობის ნაწილია! არ იციან უგუნურებმა, რომ არათუ მათებრ ბრიყვ კაცუნებს, არამედ გენიოსებსაც არაფერი გაუვათ, თუ მთელ ქვეყანას მოედვნენ და მთელი ქვეყნის პატრონობა დაიჩემეს“.

ამ წერილში ავტორი მკითხველის ყურადღებას ამახვილებს იმ პირებზე, რომლებიც ილიას უკიჟინებდნენ წარსულის იდეალიზაციას, ვიწრო პატრიოტობას და ნაციონალურობას.

აღსანიშნავია, რომ სილოვან ხუნდაძის წერილებში და ლექსებში თუმცა კონკრეტული ადრესატები დასახელებულნი არ არიან, მაგრამ სოციალ-დემოკრატებმა ეს კრიტიკა თავის თავზე მიიღეს (ისევე როგორც გაზ. „ისრის“ სარედაქციო წერილები და მიხ. წერეთლის, ირობიონ ევდოშვილის, განდეგილის სტატიები).

ცნობილია, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატთა ნაწილი (ნ. ჟორდანია, ფ. მახარაძე, პ. გელეიშვილი...) უარყოფით დამოკიდებულებას იჩენდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ამ მოძრაობის თავკაცის ილია ჭავჭავაძის, საქართველოს ისტორიული წარსულის მიმართ.

გაიმართა ცხარე პოლემიკა სოციალ-ფედერალისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის. „ყარიბი“ – ცნობილი სოციალ-დემოკრატი პეტრე გელეიშვილი აქტიურად ილაშქრებს სილოვან ხუნდაძის წინააღმდეგ. უწოდებს მას პროვოკატორს, უკიჟინებს, რომ სიცოცხლეში ილიას ებრძოდა, ახლა კი ჭირისუფლობო.

1907 წლის 9 ოქტომბერს გაზეთმა „ჩვენმა გზამ“ გამოაქვეყნა ნოე ჟორდანიას წერილი „ბნელი ძალები“, სადაც გაზეთ „ისრის“ ავტორთა და სილოვან ხუნდაძის სიტყვებს მიიჩნევს ქართველი სოციალ-დემოკრატების მისამართით თქმულად. ნ. ჟორდანიას მოაქვს გაზ. „ისრის“ №192 მოწინავედან ადგილი, სადაც დაგმობილია ის მიმართულება, რომელსაც ეზიზღება და არ სწამს მთელი ჩვენი წარსული. „ისრის“ მოწინავის აზრით, ამ მიმართულების უვიცმა ადეპტებმა იმუშავეს დაუღალავად, რათა მიწასთან გაესწორებინათ ჩვენი მგოსანნი, მწერალნი და მოღვაწენი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერმა, ისევე, როგორც სოციალ-დემოკრატების ნაწილმა, ეს ბრალდება თავის თავზე მიიღო და უპასუხა „ისარს“: „როგორც ხედავთ, ეს ბრალდება ეხება ქართველ სოციალ-დემოკრატიას, ვთქვათ, ყველა ეს მართალია, ვთქვათ სოციალ-დემოკრატიის მიერ მომზადებულმა ნიადაგმა დაბადა ეს მკვლელობა, მერე ამისთვის დასაგმობია თვით ნიადაგი? ამ ნიადაგმა დაბადა ის დიდებული მოძრაობა, ის გონებრივი და პოლიტიკური გადასხვაფერება, რომელიც ქართველმა ხალხმა განიცადა და დღე მუდამ განიცდის. ამ ნიადაგზე აღმოცენდა კავკასიის რევოლუცია, მთელი ახალი ისტორია, და თქვენ გსურთ ყველა ეს უკუაგდოთ, დაგმოთ იმიტომ, რომ სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივა. დიდმა რევოლუციამ სიკვდილით დასაჯა დიდებული ქიმიკოსი ლავუაზიე, მარა ამიტომ რევოლუცია არავის დაუგმია, გარდა რეაქციონერებისა. ფედერალისტების საბუთი არის საბუთი რუსეთის შავრაზმელების“ (გაზ. „ჩვენი გზა“, №28, 1907, სამშაბათი, 9 ოქტომბერი).

სილოვან ხუნდაძე იხსენებს იმ სამარცხვინო საქციელს, რომ „ქართველმა სოციალ-დემოკრატმა სტუდენტებმა ხმამაღლა გაანაცხადეს: ილია ჭავჭავაძის ხსოვნას პატივს არა ვცემთ – ის მემამულე იყო და კარგადაც ქნეს, რომ მოკლესო!“ სილოვანმა ცოტა მოგვიანებით ლექსითაც გამოხატა თავისი გულისწყრომა – „საახალწლო მილოცვები ქართველ ს.-დ. სტუდენტებს“ (სილოვანი, თხზულებანი, ნაწილი პირველი, ლექსები, ქუთაისი, 1914).

იგი კვლავ უბრუნდება საკითხს იმის თაობაზე, რომ 7 სექტემბერს წარმოთქმულ სიტყვასა და ლექსში მას მხედველობაში არ ჰყოლია სოციალ-დემოკრატები, იგი უმისამართოდ ლანძღავდა საქართველოს მტრებს და ბრალს სდებდა მათ ამ საშინელ

დანაშაულში, მაგრამ ახლა კი უფრო კონკრეტულად ასახელებს დამნაშავეებს. იგი მიმართავს ქართველ სოციალ-დემოკრატებს: „დღეს კი, როცა ბევრი რამე გამოაშკარავდა, თამამად შემიძლია – პირდაპირ მოგმართოთ თქვენ, ბ-ნო სოციალ-დემოკრატებო, და გამოგიცხადოთ: დიახ, თქვენ, თქვენ ხართ საქართველოს მტერნი!“

იგი მკვლელობის ორგანიზატორებსა და უშუალო შემსრულებლებს კონკრეტულად ვერ ასახელებს, მხოლოდ ზოგადად აცხადებს, რომ ილიას მკვლელნი ისეთი პირების მიერ არიან ნაქეზებულნი, რომლებიც მის სიცოცხლეში უსინდისო კორესპონდენციებს ბეჭდავდნენ და მისი ღირსების შელახვისათვის იღვწოდნენ. „აი, ვინ მოამზადა საზიზღარი მკვლელობის ნიადაგი! აი, ვინ შექმნა შესაძლებლათ, უგუნური ფანატიკოსების თვალში, ილიასთანა მოღვაწეების მოკვლა!“ იგი პირდაპირ კავშირს ხედავს სოციალ-დემოკრატთა მიერ საქართველოს წარსულის უარყოფასა და ილიას მკვლელობას შორის: „ეროვნების უარყოფით თქვენ ილია ჭავჭავაძისთანა პიროვნებისადმი პატივისცემა გააქარწყლეთ. ამას მოჰყვა თქვენი „მოგზაურის“ ინსინუაციები, და ბოლოს უსინდისო მკვლელობაც...“ – დასძენს იგი.

სილოვანი ნოე ჟორდანიას და ფილიპე მახარაძეს ამხელს 1908 წლის იანვრის დამლევს დაწერილ ერთ-ერთ ლექსშიც.

აი, ეს ლექსიც:

საახალწლო მილოცვები ნ. ჟ.-ს, ფ. მ.-ს და ამხ.

ისწავლეთ – ვერ დაისწავლეთ
უბრალო ანაბანაო!
იკითხეთ – ვეღარ შეიგნეთ
თქვენ მარქსის ამოცანაო!
ცდილობთ – ძირიან დაამხოთ
სამშობლო ეს ქვეყანაო, -
დათვებსა დაალეწიოთ
ქართველი ხალხის ყანაო...
„დედამ რომ შვილი გაზარდოს,
ემაგრე თქვენისთანაო!“
(თხზულებანი, ნაწილი პირველი, ლექსები).

ილია ჭავჭავაძია მკვლელობას ეხება გრიგოლ რობაქიძე ქართული საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი წერილში „ივანე ჯავახიშვილი", რომელიც დაწერილია 1944 წელს ბერლინში. მოვიყვანთ ნაწყვეტს ამ წერილიდან:

„გადის რამდენიმე თვე, საქართველოს თავს ატყდება დიდი უბედურება. წინამურის ველი ირწყვება დიდი ქართველის, ილიას სისხლით. მკვლელი ქართველთა ნაშიერია, რაიც კიდევ უფრო ამძაფრებს ტკივილს. დიდი გლოვა და ვაება. ხოლო ბოლო საოცარი და საცნაური: ერის მიერ ღრმად განცდილ ტანჯვაში მკვლელობა თანდათან „მსხვერპლის" სახეს იღებს – მსხვერპლის, რომლის საიდუმლოება სინამდვილის გარდამქმნელი ძალაა. და აი წინამურის ველიდან ვლინდება დღითიდღე, კიდიდან კიდემდე მთელს საქართველოს არეში ეს უხილავი, ხოლო ცხადზე უცხადესი ძალა – ვლინდება უშუალო ქმედებით ეს ქვეშეცნეული ყოველ ქართველში – რომელშიც ღვივის კიდევ ოდნავ მაინც, ცეცხლი კარდჰუს თესლისა – ყოველ ქართველში იღვიძებს საქართველო – იღვიძებს არა წილობით, არამედ მთლად. იღვიძებს მთელი საქართველო, მთელი მისი ბედით. არც ერთი მექმე ქართველი არ რჩება ეხლა განზე განაპირებული. ყოველი მათგანის გზა მიდის ამიერიდან ამ მსხვერპლის ნიშნით... მთელი თავისი არსით საქართველო საუკუნოებში განფენილ წიაღშია გადასული".[36]

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა იწყება საქართველოსათვის საბედისწერო ჟამს, როცა ჩვენმა სამშობლომ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, როცა საქართველოს ეკლესიას მოჰკვეთეს თავი და დაუმორჩილეს რუსეთის ეკლესიის სინოდს, როცა ერის სული იყო ჩამკვდარი, სიწმინდე შელახული, ბეთლემი კი უკაცური.

ამ დროს ღვთის განგებით მოგვევლინა სულმნათი ილია, როგორც წინასწარმეტყველი და მქადაგებელი. როგორც „ხმა მღაღადებელი უდაბნოსა შინა", სიტყვა მართალი და ჭეშმარიტი, რითაც ბიბლიური მოსესავით აიღო მოწამეობრივი გვირგვინი

36 ვიკტორ ნოზაძე წერს: „გრ. რობაქიძის ეს წერილი ივანე ჯავახიშვილის შესახებ აწყობილი და გამზადებული მქონდა დასაბეჭდად კრებულში – „ქართველი ერი". დაბეჭდვის წინ ქალაქი ბერლინი ძლიერ დაბომბეს ამერიკელ-ინგლისელებმა და სტამბაც გაანადგურეს. დარჩა გრ. რობაქიძის წერილის ეს დედანი. ახლა ვაქვეყნებ".

ერის წინამძღვრისა. მას სწამდა, რომ საქართველოს გადარჩენა მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებას, შეულამაზებელ ქრისტიანულ მართლმხილებას შეეძლო, რომ ესწავლა ქართველ ხალხს გარჩევა კეთილისა და ბოროტისა.

იგი გულანთებული წერდა:

„სად არის იგი მღაღადებელი,
ქვეყნის ხსნისათვის, – ჭეშმარიტება?
სად არის იგი, ბიწის მდევნელი
ჯვარცმული ღმერთის მაღალი მცნება?“

დიდებულად დაიტირა ილია დიდმა აკაკიმ, როცა ამბობდა მისთვის განკუთვნილ მარად უკვდავ სიტყვებს: „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ შენც მასთან ერთად უკვდავი იქნებიო“.

დიდი ილიას ფიქრით, ქვეყნის ცხოვრებას წინ უნდა წაუძღვნენ ერის ჭეშმარიტად განათლებული კაცები, რომელთაც მეცნიერებაში სახელი მოეპოვებათ და ვისაც ზნეობრივი და გონებრივი ძალ-ღონე აქვს...

ჭეშმარიტად ეროვნული და მოქალაქეობრივი მოღვაწეობის ასპარეზი მას სამსხვერპლო ასპარეზად მიაჩნდა. ნამდვილი საზოგადოებრივი მოღვაწეობისაგან ილია გმირობასა და სიმამაცეს ითხოვდა.

მისი სიტყვით, მხოლოდ ეროვნულ ნიადაგზე ამოზრდილი მწერლობაა „საფუძვლიანი და გამძლეცო“, და ხშირად ამბობდა: „ის მწერლობა უქმია და მკვდრად შობილი, რომელსაც საძირკვლად საკუთარი ვითარების შესწავლა არ დაუდვია“.

ილიასათვის უმთავრესი იყო იმ „წმიდათაწმინდა მიზნისათვის ცხოვრება“, რომელიც ყმაწვილკაცობიდან დაწყებული მან თავისთავს დაუწესა.

მე-19 საუკუნის დამლევისა და მე-20 საუკუნის დასაწყისი წლების ქაერთული პრესის „მარქსიზმით ტვინგაწყალებულთა“ ერთი ნაწილი, როგორც დოკუმენტები ღაღადებენ, ღვარძლით სავსე წერილებით ილიას წინააღმდეგ გესლს ანთხევდა. ყოველივე ამან ილიას გარშემო შექმნა სახიფათო მდგომარეობა, მა-

გრამ როგორც ერთ ეროვნულ მოღვაწეს უთქვამს, ასეთ ბოლოს მაინც არავინ ელოდაო.

ილიას მკვლელობამ მთელი საქართველო ფეხზე დააყენა!..

უფლისაგან გამორჩეულნი არიან ის ადამიანები, რომლებმაც ერის სამსხვერპლოზე მიიტანეს საკუთარი თავი, რომელნიც შავბნელი ძალებისაგან დევნილნი და წამებულნი არიან დღესაც.

შთამბეჭდავად და სიღრმისეულად წერდა იმ სამგლოვიარო დღეებში იაკობ გოგებაშვილი: „...საუკეთესო ისტორიკოსები იმ აზრზე დგანან, რომ ქრისტიანობა პატარა ადგილობრივ სარწმუნოებად დარჩებოდა, თუ რომ იესო... ებრაელებს ჯვარზე არ ეცვათ. ამ უბედურებს ეგონათ, რაკი იესოს საზარელ სიკვდილს მივცემთ, მასაც საშინლად დავამცირებთ და მის სწავლასაც ამოვფხვრით და გავაქრობთო. ნამდვილად კი ამ საზარელმა სიკვდილმა, ამ ჯვარცმამ გააღმერთა იესო, გახადა იგი საგნად უსაზღვრო თაყვანისცემისა, უმხურვალესი სიყვარულისა, მიანიჭა იმის სწავლას უძლეველი ძალა, მოჰფინა იგი კიდით კიდე და ქრისტიანობა გადაიქცა მსოფლიო სარწმუნოებად და ჯვარცმულის ჯალათნი კი გააკრა კაცობრიობის თვალში სამარცხვინო ბოძზე უკუნითი უკუნისამდე“.

არსებითად ასევე ფიქრობდნენ ილიას მკვლელები, „ბნელეთის ნაბიჭვრები, მაგრამ თავისივე უგუნურის და წყეულის თვალებით იხილავენ სრულიად წინააღმდეგს ნაყოფს თავიანთი საზიზღარი მკვლელობისას. ამ ვერაგულის მოკვლის შემდეგ ილიას სახელი მოიცვის დიდებული მოწამის შარავანდედით, ერთი ასად იმატებს ის ღრმა პატივისცემა, ის თაყვანება, რომლითაც ყოველი ჭკუათამყოფელი ქართველი გამსჭვალული იყო მისადმი. ერთი ასად გაიზრდება ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც იმის ქმნილებებს ჰქონდა და ქართველობა ამ ქმნილებებს დაეწაფება სრულიად გაუმაძღრობით“.

წინასწარმეტყველურად ამბობდა აკაკი: „როგორც სიცოცხლე შენი, ისე სიკვდილი იქნება იმ უკვდავების მაგალითი, რასაც შენ მთელი ცხოვრება ემსახურებოდი.“

საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინება

მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ილია 11-ის თავმჯდომარეობით 1987 წლის 7 (20) ივლისს შედგა საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომა, რომელმაც ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით განიხილა მისი ღვაწლი ჩვენი ერისა და ეკლესიის წინაშე.

წმინდა სინოდმა აღნიშნა, რომ ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის მიერ დიდი ხანია მიჩნეულია წმინდანად და მეოხად ჩვენდა წინაშე ღვთისა.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმინდისათა
წმინდა სინოდმა განაჩინა:



ერისა და ეკლესიის წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისათვის ილია ჭავჭავაძე შერაცხილ იქნას წმინდანად და ეწოდოს მას ილია მართალი.

მისი ხსენების დღედ დადგინდეს 20 ივლისი (2 აგვისტო);
დაიწეროს წმინდანისათვის საჭირო ლოცვები;
შეიქმნას შარავანდედით მოსილი წმ. ილიას ხატი.

ღვაწლითა და სისხლითა შენითა უდაბნოი იგი სოფლისაი მოიმუშაკე და გონებითა ღვთივბრწყინვალითა დაცემულნი კვალად აღგვადგინენ, ჭეშმარიტებაი სთესე და გვირგვინი უკვდავებისაი მოიპოვე, სიმართლისათვის დაითმინე და ზესთასოფელი დიდებისაი დაიმკვიდრე.

ძეო ქართველთა ერისაო, ერისათვის წამებულო, წმინდაო ილია მართალო, ყოვლად დიდებულო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა ძმათა შენთათვის, შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.

* * *

ლოცვა

მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგევარ შენ-წინა;
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხ-ვჰყო მე ლოცვა წმინდა...
არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე, – არ იციან, ღმერთო, რას იქმან!"

ილია ჭავჭავაძე



„ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა... ქართველობას“

(დოკუმენტი კალისტრატე ცინცაძის არქივიდან)

საქართველოს საეკლესიო ისტორიის მკვლევართათვის კარგად არის ცნობილი, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დასაბრუნებლად ქართველმა ხალხმა დიდი ინტელექტუალური ბრძოლა გადაიტანა. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ქრისტიანობა არ იყო მხოლოდ რელიგიური აღმსარებლობის განმსაზღვრელი ფაქტორი. მართლმადიდებლურ მრწამსს ჩვენი სამშობლოს ეროვნულობის შენარჩუნების მისიაც დაეკისრა.

თავის დროზე მტრისა და მოყვარის გასაგონად დიდი ილია წერდა: „ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას“... „ქართველმა ამ რჯულს, ამ ახალ აღთქმას შეუერთა ძველისაგან ყოველივე ის, რაც კი რამ ძვირფასია ადამიანისათვის და რაც თავის დღეში არ დაძველდება, მანამ ადამიანი ადამიანობს. შეუერთა მამული და ეროვნება, ეს სამი ერთმანეთის ღირსი საგანი ისე ჩაიწნენ, ისე ჩაქსოვდნენ ერთმანეთში, რომ რჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გადაიქცა და მიწა-წყლის რჯულის დაცვად. რჯული ჩვენი მამულის, ჩვენი ეროვნების ხმლად იქცა – ზედ მოსევისათვის და ფარად ზედმოსეულთათვის“ (თხზ..8.VIII, 1928წ., გვ. 349-350). ილია ჭავჭავაძის ეროვნულ მრწამსში საქართველოს ეკლესიის როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ილიას ჩარევამ ეკლესიის ავტოკეფალიის დაბრუნებისათვის მიმდინარე პოლემიკაში. მისმა სიტყვამ გამოაღვიძა ერი და ბერი, მოყვარე და მტერი. ქვეყნად ეროვნული განწყობის და მოძრაობის ახალი შესამჩნევი ტალღა ამოძრავდა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი მწვავე პოლემიკის, ზოგ შემთხვევაში, ფიზიკური შეხლა-შემოხლის საგანი გახდა. პრობლემა, რომელიც, მართალია, XIX საუკუნის გარიჟრაჟიდან დაიწყო, განსაკუთრებით გამწვავდა XX საუკუნის დასაწყისში. მწვავე დისკუსიების სათავეში აქტიურად იდგნენ ჩვენი ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწენი: კირიონი, ლეონიდე, ამბროსი (კათალიკოსები), ანტონ გიორგაძე, დავით კაჭახიძე (ეპისკოპოსე-

ბი) , ნიკიტა თალაკვაძე (დეკანოზი) და სხვები. მათთან ერთად ამ ბრძოლის სათავეში იდგა მაშინ მოკრძალებული მღვდელი კალისტრატე ცინცაძე.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის ისტორია აქტიურად 1894 წლიდან იწყება, როდესაც დეკანოზ დავით ღამბაშიძის ჟურნალში „ПАСТЫРЬ" გამოქვეყნდა ახალგაზრდა მღვდლის კალისტრატე ცინცაძის (რომელიც მაშინ კიევის სასულიერო აკადემიის ახლად-კურსდამთავრებული გახლდათ) წერილი „Автокефалия церкви Грузинской (исторический очерк IV-XI в.в)". რომელმაც შესამჩნევი, სრულიად განსხვავებული რეაქცია გამოიწვია, ერთი მხრივ, რუს სამღვდელოთა და, მეორე მხრივ, პატრიოტ მამულიშვილთა შორის. ეგზარხოსი ვლადიმერი (ბოგოიავლენსკი, 1892-1898წ.წ.) მკაცრად (ჟურნალის დახურვით) დაემუქრა რედაქტორს და მოითხოვა: გამოკვლევა დამთავრდეს იმით, რომ საქართველოს ეკლესია არასდროს ყოფილა ავტოკეფალიურიო. და მხოლოდ პროფესორების ი. ი. მალიშევსკისა და ა. ა. ოლესნიცკის ავტორიტეტულმა რეცენზიებმა იხსნა რედაქტორიც და წერილიც.

გასახსენებელია ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ XI საუკუნეში გიორგი მთაწმინდელის დროს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე დიდი იერიში მოიტანა ანტიოქიის საპატრიარქომ და მხოლოდ გიორგი მთაწმინდელის გონიერებამ, ინტელექტმა და განსწავლულობამ იხსნა ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობა. ერთმანეთთან საუკუნეებით დაცილებული ეს ორი ფაქტი, რომელთაც საბოლოო ჯამში ერთი მიზანი ჰქონდათ, მხოლოდ იმითი განსხვავდებიან, რომ ანტიოქიის პატრიარქი და, მაშასადამე, ბერძნული სამყარო დაკმაყოფილდა გიორგი მთაწმინდელის პასუხით, ხოლო რუს შოვინისტებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ მეცნიერული არგუმენტაცია და მოღწეული დოკუმენტები არ აინტერესებდათ და ყოველგვარი საშუალებებით იერიში იერიშზე მოჰქონდათ.

ქართული საზოგადოება ეროვნული თვითმყოფადობის და ეკლესიის აღორძინების მოსურნენი აქტიურად ჩაერთნენ საქმეში და კალმით თუ სიტყვით გამოთქვამდნენ თავის დამოკიდებულებას. მთელი სიმძიმე ამ დიდი ეროვნული პრობლემის მოგვარებისა მაინც სასულიერო მოღვაწეთა გუნდმა გადაიტანა. ამ გუნდს მხ-

არში დაუდგნენ ეროვნული მოძრაობის მეთაურნი. მიმართულების მიმცემნი: დიმიტრი ყიფიანი, ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები.

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი გასცდა ცალკეულ მოღვაწეთა საქმიანობის ფარგლებს და საერთო ეროვნულ პრობლემად იქცა. სწორედ ამან გააერთიანა ერი და ბერი.

ყველასათვის ცნობილია,რომ საქართველოს ეკლესიის ისტორია ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთი ნათელი და ურთულესი მონაკვეთია. საუკუნეების მანძილზე ეკლესიისა და საერო ხელისუფლების ერთიანობამ განაპირობა მტერთან ჭიდილშიც და მშვიდობიანობის ჟამსაც ერის ერთსულოვნება. სწორედ ეკლესიის ცხოვრების თავისთავადობამ, მაღალმა ზნეობრივმა პრინციპებმა, წიგნიერებისა და ცოდნის პატივისცემამ განაპირობეს მოსახლეობაში ეკლესიისადმი მოკრძალება. ანტიოქიის პატრიარქის, მაკარის სიტყვები რომ მოვიშველიოთ: „სასულიერო პირებს ქართველები ძალიან მორიდებით ეპყრობიან. მათ ძვირს ვერაფრით ვერ ათქმევინებთ. როდესაც თავადები, დიდებულები და მათი მეუღლენი გზაზე შეეყრებიან მღვდელმთავრებს, თუ ცხენით არიან, ჩამოქვეითდებიან და შორიდანვე დაუწყებენ მუხლმოდრეკით თაყვანისცემას... ამნაირათ იქცევიან და არა მარტო უბრალო ქართველნი, არამედ მეფე-დედოფალნიც. ძალიან უყვართ ქადაგება -დარიგების მოსმენა. ვერ გაიგონებ მათ სალანძღავ სიტყვებს არც სარწმუნოებისა და არც პიროვნების წინააღმდეგ მიმართულს. ქართველები მეტად გულკეთილი, მოწყალენი და მორწმუნენი არიან, ძალიან უყვართ მიცვალებულთ მოსახსენიებლათ წირვის შეკვეთა... უანგარიშო ფული ეხარჯებათ მოწყალების დასარიგებლად, აღაპების გასამართავად“.[37]

ეკლესია მეთაურობდა და არეგულირებდა მწიგნობრობისა და სულიერი ცხოვრების ყველა ნორმას ყველა ეპოქაში და ყველა ეტაპზე. ამიტომ სავსებით მართლები არიან ის ისტორიკოსები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ქართული ცხოვრების წესის, ცნობიერების, ქართველი კაცის ხასიათის ჩამოყალიბებაში, სხვა ფაქტორებთან ერთად, განსაკუთრებით გადამწყვეტი როლი

37 ციტატა ამოღებულია კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას ნაშრომიდან – „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“.

სახარებამ შეასრულა... ალბათ, ამანაც განსაზღვრა, რომ ძველ ქართულ ხელნაწერებში ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ სახარების ნუსხებია შემორჩენილი. ამიტომაც ატყვევებდა ხოლმე მოძალადე მტერი სახარებას, როგორც ცოცხალ არსებას. მათი გამოხსნა ტყვეობიდან მამულიშვილურ საქმედ ითვლებოდა: „მეოხებითა ალავერდის წმიდისა გიორგისითა მე – ჩხეტისძემან სახლის ხუცის შვილმან ხუცმან დავიხსენ სახარება-სამოციქულო ესე ისპაანს“ (A-1482).

1811 წლის 30 ივლისს რუსეთის სინოდმა მიიღო საქართველოს ეკლესიის მართვის ახალი სისტემა, რაც პრაქტიკულად ნიშნავდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმებას. რუსეთის საეკლესიო უწყების ასეთი მოქმედების გარკვეული გამოცდილება უკვე ჰქონდა. XVII საუკუნის მიწურულს მოსკოვის საპატრიარქომ დიპლომატიური ხერხების წყალობით გააუქმა კიევის ეკლესიის დამოუკიდებლობა და დაიქვემდებარა იგი, სრულებით არ გაუწია ანგარიში ადგილობრივი მოსახლეობის აზრსა და სასულიერო უწყების კანონიკურ მოთხოვნებს.

საქართველოში დაიწყო საეკლესიო ცხოვრების განსხვავებულ პრინციპებზე გადანერგვა, ეგზარხოსების მართვის პერიოდი, რომელიც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა როგორც ქართულ საეკლესიო ელიტაში, ასევე მოსახლეობაშიც. ეგზარხოსების მართვის ისტორია, ყველა თავისი შედეგით, შესანიშნავად აღწერა კათოლიკოსმა კალისტრატე ცინცაძემ. ობიექტურობა, პრინციპულობა, მასშტაბურობა, საჭირო ლიტერატურის პირუთვნელი შეფასება ამ წიგნის ღირსებაა. ქართულ ისტორიოგრაფიაში პატრიარქის შრომა ყოველთვის იქნება სამაგალითო.

ეს დაპირისპირება გრძელდებოდა 106 წელი და მხოლოდ იმპერიის დანგრევის შემდეგ მოხდა საამართლიანობის აღდენა. 1917 წლის 12(25) მარტს სვეტიცხოვლის ტაძარში ჩატარებულმა ყრილობამ მიიღო ყველა ქართველისათვის სასურველი დადგენილება – საქართველოს ეკლესია აღდგა თავის უფლებებში: ეკლესიის მმართველობა ევალებოდა კომიტეტს, რომელშიც შედიოდნენ როგორც სასულიერო, ასევე საერო პირები: მეუფენი – ლეონიდე (კომიტეტის თავმჯდომარე), ანტონი, პიროსი, დეკანოზები – კ. კეკელიძე, ნიკიტა თალაკვაძე, მღვდლები – ძმები კარბელაშვილები, კალისტრატე ცინცაძე, ქრისტეფორე ციცქიშვილი,

გაბრიელ ყუბანეიშვილი, დიაკონი ტიმოთე ბაკურაძე, საერო პირნი – ვასილ ბარნოვი, ანტონ ნატროშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, გრიგოლ ყიფშიძე, იპოლიტე ვართაგავა, სერგი გორგაძე, პავლე ინგოროყვა, გიორგი ყაზბეგი, შიო დედაბრიშვილი, პართენ გოთუა, მიხეილ მაჩაბელი, სარგის კაკაბაძე, ზურაბ ავალიშვილი, ივანე ჯავახიშვილი.

საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ეტაპი. შედგა ეკლესიის მართვის პროექტი. არჩეულ იქნა კათოლოკოს-პატრიარქი კირიონ II, რომელსაც დამარცხებულმა კონკურენტმა დიდსულოვნად მიულოცა გამარჯვება: „მე მიორკაცდება ძალღონე, რომ მარტო არა ვარ და მეგულებით ჩვენი ეკლესიის უმაღლეს ხელმძღვანელად. ფიცს ვდებ მთელი ჩემი არსებით დაგეხმაროთ „ტვირთის ზიდვაში“.

ეკლესიის მართვის საკითხებში გაჩნდა პრობლემები, რომელთა გაშუქება-გადაწყვეტამ საეკლესიო წრეებში აზრთა სახვადასხვაობა გამოიწვია და ლოგიკურად გაიყო ერთიანი ბანაკი. ეს პროცესი რამდენიმე წელი გაგრძელდა. ამას ემატებოდა ახალ პოლიტიკურ სისტემასთან თანამშრომლობის გზების ძიებაც. წლებში გაგრძელებული ეს პროცესი სისხლხორცეულად უკავშირდება ჩვენი უკვე ავტოკეფალური, ეკლესიის ყოფას, არსებობას, განვითარებას. მრავალი მწვავე საკითხი დადგა დღის წესრიგში, როგორც ყოველდღიური ცხოვრების მოგვარებისათვის საჭირო, ასევე გარეშეც. წარსულის გავლენისაგან თავის დაღწევა, საერთაშორისო ასპარეზზე აღიარების მცდელობაა წერილში „Послание святейшего Леонида Католикоса-Патриарха всея Грузий к святейшему Тихону“.

პირველი ორი პატრიარქის ხანმოკლე მოღვაწეობამ არსებითად ვერ გადაწყვიტა ვერც ერთი მიმართულების უპირატესობა, განსვენებული პატრიარქი ლეონიდე ბრძანებდა: „საქართველოს ეკლესია ოთხივე კუთხივ შავი ღრუბლებით არის მოცული. ღვთის სახლი დღეს თითქმის ყველგან პატივ აყრილია – დარბეული, დამცირებული და ყოველგვარად შევიწროებულია. სამღვდელოება და მორწმუნენი განიცდიან დევნა-შეურაცხყოფას, ქრისტიანობა მრავალთ დაუსახავთ მოსასპობად, მოკლედ დღეს თითქმის ყველანი ამხედრებულან ჩვენი ეკლესიის წინააღმდეგ“.

ამ მძიმე პერიოდში ყოველი დაბრკოლების გადალახვა დიდი

ბრძოლით მოპოვებული ავტოკეფალიის წარმატება იყო. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ყოველი წარმატებული თუ წარუმატებელი მცდელობის (განსაკუთრებით პირველ ხანებში) წარმოჩენა დამოუკიდებელი ეკლესიის გამარჯვებაა. ამასობაში შეიცვალა ორი პატრიარქი, 1921 წლის 15 სექტემბერს გელათის საეკლესიო კრებაზე კათოლოკოს-პატრიარქად აირჩიეს უწმიდესი ამბროსი ხელაია, რომელმაც სვეტიცხოველის ამბიონიდან განაცხადა: „მორწმუნენო და მამულიშვილნო, ორივ – ეკლესიაც და სამშობლოც – ტკბილია. ორივე წმიდათა წმიდაა. შევიგნოთ ისტორიული გაკვეთილების ძალა, შევისწავლოთ ხალხის მრავალსაუკუნოებრივი ცხოვრების ნაყოფი, ხალხის ფსიქოლოგია და ის გვასწავლის და გვეტყვის, რომ საჭიროა შემოვკრბეთ ეროვნული ეკლესიის გარშემო. პოლიტიკური მდგომარეობის ცვალებადობასთან ნუ იქნება ცვალებადი ჩვენი შეხედულება სარწმუნოებაზე. ვემსახუროთ თავისუფალ, ეროვნულ ეკლესიას და ის მოგვცემს ძალას შევანახვიოთ ჩვენს ხალხს ეროვნული სახე და თავისუფლება. ეროვნული ეკლესიის თავისუფლება გულისხმობს ეროვნულ თავისუფლებასაც."

კათოლიკოსი ამბროსის გვერდით დადგნენ ადამიანები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს კათოლიკოსის რადიკალურ გადაწყვეტილებას – წერილით მიემართა საერთაშორისო სიმპოზიუმისათვის, რომელიც 1922 წელს შედგა გენუაში. ამ აქტთან დაკავშირებით მთავრობამ დააპატიმრა კათოლიკოსი ამბროსი, კალისტრატე ცინცაძე, ნიკოლოზ თავდგირიძე, იოსებ მირიანაშვილი, მარკოზ ტყემალაძე. იასონ კიკნაძე საზღვარგარეთ წავიდა, ხოლო დიმიტრი ლაზარიშვილი გაათავისუფლეს. საბრალდებო დასკვნაში ეწერა: „კათალიკოზს ამბროსის და საკათალიკოზო საბჭოს წევრს კალისტრატე ცინცაძეს ბრალად ედებათ მასში, რომ მათ 1922 წლის თებერვალში წინასწარ ურთიერთშორის შეთანხმებით შეადგინეს ზემო ხსენებული მოწოდება და გაუგზავნეს გენუის კონფერენციას"...

მინდა საზოგადოებას გავაცნო მემორანდუმთან დაკავშირებით ერთი დეტალი, რომელიც კ. კეკელიძის დღეზე უნივერსიტეტშიც ვთქვი. 1953 წლის 22 დეკემბერს ბატონმა კორნელიმ მიამბო. იგივე გაიმეორა 1954 წელს მიშა კეკელიძისა და ჩემი თანდასწრებით: „1922 წლის მემორანდუმი ჩემი დაწერილია. დავწერე კათალიკოზ ამბროსის დავალებით. ტექსტი გადავეცი

კათალიკოზს. ეს იცოდა მხოლოდ დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ. სასამართლო პროცესს მეც ვესწრებოდი, სულ ტანში მბურძგლავდა – ჩემი გვარი არ წამოსცდეს-მეთქი. არც ამბროსის და არც კალისტრატეს ერთხელაც არ ვუხსენებივარ. სხვებმა კი მემორანდუმის შედგენაში ჩემი წვლილის შესახებ არაფერი იცოდნენ.“

სასამართლო პროცესზე კ. კეკელიძემ განაცხადა: „მემორანდუმის შინაარსს ვიცნობ. ჩემის შეხედულებით საეკლესიო კანონების მიხედვით, კათალიკოზ ამბროსის ჰქონდა მისი გაგზავნის უფლება. ამის მაგალითები ბევრია საქართველოს წარსულში.კათალიკოზს ვიცნობ როგორც ჩინებულ პუბლიცისტს მიხედვით მისი წერილობითი გამოსვლებისა სინოდის წინააღმდეგ და აგრეთვე სხვა მეცნიერული ნაშრომებით. კიდევ იმასაც დავუმატებდი, რომ ის გულახდილი და პატიოსანი კაცია.“

კ.კეკელიძის ცნობა ადასტურებს იმას, რომ კათალიკოსი ამბროსის გარშემო შემოკრებილნი იყვნენ ქვეყნის ბედზე და მომავალზე მაფიქრალი ადამიანები, რომელთა ეროვნულობაში, პატიოსნებასა და პროფესიონალიზმში საქართველოს ეკლესიის მამამთავარს ეჭვი არ ეპარებოდა. ამიტომ კონკრეტულად ვინ აიღებდა კალამს და საერთო განწყობილებას გადაიტანდა ქაღალდზე, ამას პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა. მემორანდუმის ტექსტი შედგენილია 3 კაცის – კათოლიკოსი ამბროსის, მაშინ დეკანოზი კალისტრატე ცინცაძის და პროფ. კ. კეკელიძის მიერ. საბოლოო გაფორმება შეუსრულებია კ. კეკელიძეს. მემორანდუმმა და მასთან დაკავშირებულმა ისტორიამ ჩვენი საზოგადოების გამოფხიზლებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. საზოგადოება ფარულად თუ ცხადად ათეული წლების განმავლობაში ცხოვრობდა მემორანდუმის გავლენით.

განსხვავებულ პოზიციათა დამოკიდებულების და სიტუაციის შეფასების სიმწვავემ განსაკუთრებულ დაძაბულობას 1926 წლის დეკემბერში მიაღწია. 24-25 დეკემბერს ოპოზიციამ ქუთაისში მოიწვია საეკლესიო კრება, რომელიც დაუპირისპირდა კათოლიკოზს. 1927 წლის 22 მარტს გადააყენეს კათოლიკოსი და ეკლესიის ხელმძღვანელობა ხელში აიღო დროებითმა მმართველობამ. 29 მარტს კათოლიკოსი გარდაიცვალა. ეს აქციაც უკანასკნელი აკორდი იყო რუსული მმართველობის გამოძახილისა. ახალ

ცხოვრებასთან დამოკიდებულებაში პრობოლშევიკურად განწყობილ ოპოზიციას, რომელიც თავის თავს რეფორმისტს უწოდებდა, სიახლის დანერგვა არ შეეძლო. სიტუაციის სიმწვავე გაუთანაბრდა 1917წ.-1922 წ. თებერვლის სიტუაციას. ამას ხელს უწყობდა რუსეთის ეკლესიის განზე გადგომაც...

საქართველოს ეკლესიამ ამ კრიზისსაც გაუძლო.

1943 წელს რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ სცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია.

1990 წელს, უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად აქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II – ის საჭეთპყრობლობით, მსოფლიოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ცნო და აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობა, ავტოკეფალია.

მასალები იმჟამად ახალგაზრდა მღვდლის კალისტრატე ცინცაძის მოღვაწეობის შესახებ დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში კ. ცინცაძის პირად არქივში.

გთავაზობთ ერთ დოკუმენტს, რომელიც მართალია მოცულობით პატარაა, მაგრამ მაინც წარმოაჩენს გადატანილი სიმძიმეების დრამატულ სურათს.[38]

38 აღნიშნული წერილი მომზადებულია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ მიხეილ ქავთარიას წერილის „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 90 წელი" – 2007 (ზოგიერთი ცვლილებებით და დამატებებითურთ) მიხედვით.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის (მცირე შენიშვნა)[39]

საქართველოს ეკლესია დაარსდა მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში. იგი პირდაპირ დაუმორჩილეს ანტიოქიის საპატრიარქოს: ანტიოქიაში ხელდასხმიდენ მის ეპისკოპოზებად ბერძნებს. ეს გარემოება დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა როგორც საქართველოს ეკლესიისა, ისე საქართველოს სახელმწიფოსთვისაც: საპატრიარქოზე დამოკიდებული მღვდელმთავრები – ბერძნები – თავიანთ მოღვაწეობას უფარდებდნენ ბიზანტიის იმპერატორის პოლიტიკას. ამისთვის იყო, რომ ბიზანტიის მეზობლად მდებარე მცირე სახელმწიფოების მეთაურები ცდილობდნენ თავიანთ საბრძანებელში ეკლესიის სათავეში დაეყენებინათ კათოლიკოზები: ესენი, თუნდაც ბერძნები ყოფილიყვნენ, ანგარიშს უწევდნენ თავიანთ ხელმწიფეებს და საკუთარ ეკლესიის საჭიროებას.

შორსმჭვრეტელმა ვახტანგ გორგასალმა (446-499) ისარგებლა კარგი განწყობილებით ბიზანტიელებთან, – თვალსაჩინო დახმარება აღმოუჩინა სპარსელებთან ბრძოლაში, – და გამოითხოვა კათოლიკოზი და 12 ეპისკოპოზი: ეს უკვე საკმაოდ დამოუკიდებელი და ძლიერი ორგანიზაცია იყო, მიუხედავად იმისა, რომ ყველანი შთამომავლობით ბერძნები იყვნენ.

იუსტინიანე იმპერატორის დროს (527-565) ქართველებმა ამ საქმეში ერთი ნაბიჯით წაიწიეს წინ. – მიიღეს უფლება მღვდელმთავართა დადგინებისა ქართველთაგან, თუმცა ისინი ხელდასხმისათვის ანტიოქიაში უნდა წასულიყვნენ.

მეშვიდე საუკუნის დასაწყისში თვით ისტორიულმა გარემოცვამ მოუმართა ხელი ქართველებს – კიდევ წაედგათ ერთი ნაბიჯი მსოფლიო ეკლესიის ავტოკეფალობის გზაზე დაყენებისათვის: არაბები დამკვიდრდნენ მცირე აზიაში და შეკრეს გზა ანტიოქიასა და საქართველოს შორის: ქართველები ფაქტიურად დამოუკიდებელნი გახდნენ – ეპისკოპოზებს და კათალიკოზებს თვით ხელდასხმიდნენ.

როცა მერვე საუკუნის შუა წლებში შესაძლებელი გახდა კავშირგაბმულობა ანტიოქიასთან, ჩვენმა წინაპრებმა მოინ-

39 1944 წ. მაისის 25

დომეს კანონიკურად (იურიდიულად) გაეფორმებინათ თავისი დამოუკიდებლობა: გაგზავნეს ანტიოქიაში 12 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია. მათგან მხოლოდ ორმა მიაღწია ასურეთის დედაქალაქამდე, და დანარჩენები გზაში დახოცეს ყაჩაღებმა. თეოპილაქტე პატრიარქმა (744-751), მოისმინა რა ქართველების თხოვნა და ათი კაცის დახოცვის ამბავი, მოიწვია კრება, რომელმაც განაჩინა: – კათოლიკოზები და ეპისკოპოზები ხელდასხმული ყოფილიყვნენ საქართველოში იმ პირობით, რომ დამოკიდებულების ნიშნად კათოლიკოზს (მხოლოდ მას) წირვა-ლოცვის დროს მოეხსენებინა ანტიოქიის პატრიარქი.[40]

ეს უკვე უკანასკნელი ნაბიჯი იყო სრული ავტოკეფალობის მოსაპოვებლად. ეს ნაბიჯიც გადაიდგა. ბიზანტიაში გამტკიცებული იყო ასეთი თვალსაზრისი: დამოუკიდებელი მეფის გვერდით უეჭველად უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი იერარქი-პატრიარქი. როდესაც საქართველო გაერთიანდა და ბაგრატ მესამე (975-1014) გამეფდა, საქართველოში ფეხი მოიკიდა ბიზანტიურმა იდეოლოგიამ. ამის გამო, სიმონ კათალიკოზის (1002-1012) გარდაცვალების შემდეგ ბაგრატმა კათალიკოზად დასვა დიდებული გვარის შვილი, თავისი ნათესავი და მის მიერ აღზრდილი ენერგიით სავსე მელქისედეკი (1042). მან ბიზანტიური იდეალებით განმსჭვალულმა პირდაპირ გამოაცხადა თავისი თავი (რასაკვირველია, ბაგრატთან შეთანხმებით) კათოლიკოზ-პატრიარქად და არა კათოლიკოზ-არქიეპისკოპოზად. (ამ ტიტულს ატარებდნენ მისი წინა მოადგილენი), და შეწყვიტა ანტიოქიის პატრიარქის (როგორც თავისი უფროსის) მოხსენება. ამ რევოლუციურმა ნაბიჯმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ანტიოქიაში. მაგრამ გიორგი მთაწმინდელის (1066) ჩარევით საქმე კეთილად დამთავრდა: ანტიოქიის პატრიარქის პეტრე მესამის მიერ მოწვეულმა კრებამ საქართველოს ეკლესია გაანთავისუფლა ანტიოქიის საპატრიარქოს დამოკიდებულებისაგან, 1053 წელში.

სხვა პატრიარქებთან ერთად საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას ცნობდა რუსეთის ეკლესიაც და საქმეს იჭერდა მასთან, როგორც სწორუფლებიანთან: დიდი საკითხის გადაწყვეტის დროს იწვევდა მის წარმომადგენელს. მაგალითად იკონ პა-

40 კალისტრატე ცინცაძის პირადი არქივი, №98.

ტრიარქის გასამართლებისას (1666-67) მიწვეული იყო მოსკოვის კრებაზე მთავარეპისკოპოზი იოსებ სააკაძე.

საქართველოს რუსეთთან შეერთების (1801) შემდეგ თვითმპყრობელი ბიუროკრატია ვერ შეურუგდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას. გაიწვია (1811წ) რუსეთში ანტონ კათალიკოზი (მეორე) და სამუდამოდ დასტოვა იქ. საქართველოში კი გამოგზავნა უწმიდესი მმართველი სინოდის წარმომადგენელი ეგზარხოსის სახელწოდებით. ეგზარხოსობის დროს იმდენად აირია საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა, რომ მთელი საუკუნის მანძილზე არ შეწყვეტილა მათ უკუღმართობაზე მოხსენების მირთმევა, ვისდამიც ჯერ იყო. მაგრამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენი შესახებ სიტყვა არ დაძრულა, – ამ სიტყვის წარმოთქმას გაურბოდნენ ქართველებიც და რუსებიც. – თურმე საშიში იყო. დასახასიათებლად მოვიყვან შემდეგ ფაქტს: სწორედ ნახევარი საუკუნის წინ, 1894 წელში, დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ დასტამბა თავის ორკვირეულ „Пастырь“-ში ახალგაზრდული კადნიერებით გატაცებული მღვდლის კ. ცინცაძის მეცნიერულად დამუშავებული წერილი „Автокефалия церкви Грузинской“ (1905 წ. ეს წერილი გამოცემული იყო ცალ-ცალკე წიგნად): ჯერ წერილი ნახევრადაც არ იყო დაბეჭდილი, რომ ვლადიმერ ეგზარხოსმა დაიბარა მამა დავითი და დაემუქრა: თუ წერილი არ დამთავრდება იმით, რომ საქართველოს ეკლესია არასოდეს არ ყოფილა დამოუკიდებელიო ჟურნალსაც დაგიხურავ და შენც საქართველოდან გაგასახლებო. შეძრწუნებული მოხუცი მოვიდა ჩემთან და შემომჩივლა თავისი მდგომარეობა. ურჩიე დაბრუნებულიყო ექზარხოსთან და მოეხსენებია, – წერილი ნაწილია ვრცელი თხზულებისა, რომელიც კრიტიკულად განხილული აქვთ ორ დამსახურებულ პროფესორს. თვით ეგზარხოსის ყოფილ მასწავლებლებს,- ი. მალიშევსკისა და ა. ოლესნიცკის, და კიევის საულიერო აკადემიის კონფერენციის მიერ ცნობილია პოლიტიკურად არა საშიშრად. მალიშევსკისა და ოლესნიცკის სახელებმა დაამშვიდეს განრისხებული მღვდელმთავარი. გადაარჩინეს ხიფათს რედაქტორ-გამომცემელი. რისხვა კი ავტორზე იქნა გადატანილი. – რა დროს ავტოკეფალიაზე ლაპარაკიაო...

ზემო დასახელებული წერილი დაედო საფუძვლად 1905 წელში აღძრულ საკითხს, – საქართველოს ეკლესიის დამოუკიდე-

ბლობის აღდგენისათვის, მაგრამ საკითხი, როგორც (ვითომც) სეპარატიული საშიშროების შემცველი, გადაუჭრელი დარჩა. 1917წ. მარტის 12 საქართველოს სამღვდელოებისა და მორწმუნე ერის მიერ საქართველოს ეკლესია გამოცხადებულ იქნა ავტოკეფალურ უფლებებში აღდგენილად. ძმურისა და მეგობრულის კავშირის შეუწყვეტლად რუსეთის ეკლესიასთან. მმართველი სინოდი გაწყრა, უარყო კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩვენთან. დაიწყო საწინააღმდეგო ეპისტოლეების გზავნა ჩვენში და პროპაგანდა რუსების მორწმუნე საზოგადოებაში: არ მიიწვიოთ ქართველი მღვდლები არავითარი წესის შესასრულებლად, არ მიიღოთ ქართველ მღვდელმთავრებისაგან ლოცვა-კურთხევა, არ შეხვიდეთ ქართულ ეკლესიებში, თორემ უეჭველად без пересадки попадете в ад-о. ეს გარემოება მძულვარებას სთესდა (და არა სავსებით უნაყოფოს) ჩვენსა და რუსებს შორის...

ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 25 წელიწადს. 1943 წლის სექტემბრის 14, კათალიკოზ-პატრიარქმა გაუგზავნა რუსეთის ახლად არჩეულ სერგი პატრიარქს შემდეგი დეპეშა: Грузинская церковь, обьединяющая православных всех национальностей Грузии и ее автономных республик и области, любовью приветствует единоверную Русскую церьковь ее возглавлением патриархом Московским и всея Руси и избранием священного при нем Синода, и надеется, что церкви-сестры „заживут в добром согласии, духовном единении и взаимной любви, исполняя каждая свое призвание, во славу Божию„ и ко благу Великого Отечества нашего. Возглашая Вашему Святейшеству и исполла эти, остаюсь с братскою во Христе любовью. Католикос-Патриарх всея Грузии Каллистрат".

სექტემბრის 21 მოვიდა შემდეგი პასუხი: „Радуюсь, слыша голос Грузинской церкви, разделяю надежды, желания. Благодарю Ваше святейшество за поздравление Русскому епископу Антонию Ставропольскому быть у Вас, выяснить подробности. Патриарх Серги ".

1943 წლის ოქტომბრის 28 თბილისში ჩამოვიდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის სერგის წარმომადგენელი სტავროპოლის მთავარეპისკოპოზი ანტონი. კათოლიკოზ-პატრიარქთან მოლაპარაკების შემდეგ, ოქტომბრის 31 სიონის ტაძარში მოხდა ორ ეკლესიათა შერიგება. კათოლიკოზ-პატრიარქისა და

მთავარ-ეპისკოპოზის ანტონის მიერ წირვის ერთად შესრულებით, სათანადო სიტყვების წარმოთქმით და სამადლობელი პარაკლისის გადახდით.

იმავე წლის ნოემბრის 19 სერგი პატრიარქის და მისი სამღვდელო სინოდის №12 დადგენილებით, გაფორმებულია სწორუფლებიან და ერთმანეთისგან დამოუკიდებელ საქართველოს და რუსეთის ეკლესიების კანონიკური და ევქარისტული კავშირი, რაც განსაკუთრებული ეპისტოლეებით ეცნობა კათოლიკოზ-პატრიარქს, ალმოსავლეთის პატრიარქებს, ალეუტსკის მიტროპოლიტს და რუსეთის მორწმუნე ერს. ყოველივე ზემოაღნიშნული ვრცლად არის აღწერილი და მოთავსებული მიმდინარე წლის მოსკოვის საპარტიარქო ჟურნალის მესამე ნომერში.

ამგვარად, 1943 წ. ოქტომბრის 31 აქტით, საქართველოს მორწმუნე (და ვფიქრობ: არამორწმუნე) ერს და მისდამი წინად არამეგობრულად განწყობილ დიდსა და მძლავრ ორგანიზაციას შორის დამყარდა ძმური კავშირი.

კ.პ.კ. (კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე)
1944.5.15

ბოლოთქმის მაგიერ

ვაჟა-ფშაველა ერთ თავის პუბლიცისტურ წერილში ასეთ რამეს წერს:

„ქვეყნის ამბები სულისა და გულის ამბებია, მათი ღვაწლი და ამაგია...“ და ავითარებს იგი აზრს, რომ ამისათვის საჭიროა კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის დაუცხრომელი ბრძოლა!

ილიასათვის სამშობლოს სიყვარული ყოველთვის წარმოადგენდა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ქვაკუთხედს. ჯერ კიდევ ახალგაზრდა „ყვარლის მთებში“ სამშობლოს სიყვარულს ეფიცებოდა. ამ დიდმა სიყვარულმა განაპირობა პატრიოტიზმის მხურვალე გრძნობა მთელ მის პუბლიცისტურსა და მხატვრულ შემოქმედებაში. მაგრამ ეს იყო არა ბრმა სიყვარული, არამედ წარსულის დიდების ფონზე აწმყოს ფხიზელი, პირუთვნელი შეფასება. სამშობლო მამულის ნაკლთა ქრისტიანული მართლმხილება და კრიტიკა მას საფუძველს აძლევდა ეთქვა: „...კარგი გული კი მაშინვე სცნობს,– ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულიაო“.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებაირახტრე მგზნებარედ მოუწოდებდა ქართველებს, სიმართლისათვის ხმალი არ დაჩლუნგებულიყო, ადამიანის „ურგებ კვალს“ ცრემლის ღირსად არ მიიჩნევდა, რომელიც ლაიტმოტივად მიჰყვება ილიას პოეზიას, მის მთელ შემოქმედებას. ამ შემოქმედების ერთი დიდი ძარღვია მამულისათვის ზრუნვა. ამიტომაა, რომ მშვენიერ ლექსში „ნანა“ პოეტი ყრმის აკვანთან დედას ათქმევინებს: „მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია, მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაზარებია“.

მარადიულ ღირებულებებთან ზიარება დღევანდელი უსულგულო გლობალიზაციის ეპოქაში, ეროვნული ხასიათის საჩინო ნიშან-თვისებების შენახვასა და მრუდესაგან გათავისუფლებას თავისთავად რომ გულისხმობს, ეს და სხვა მშვენივრად ჩანს ილიას პუბლიცისტური წერილებიდან.

„ფალსტაფი ისეთივე შვილია კაცობრიობისა, როგორც ჰამლეტი, ოტელო, ტარიელი, ავთანდილი და სხვანი ამისთანანი. დიდის შემოქმედების ძალით შექმნილნი. რამოდენადაც მწერალის შემოქმედობის ძალი სწვდება ამ ზოგად-კაცობრიობის ტიპსა,

იმოდენად მწერალი დიდია, იმოდენად მსოფლიოა".[41]

ილიასთვის ზოგადკაცობრივია მთავარი და ეს ზოგადკაცობრივი ეროვნულს თავისთავად გულისხმობს.

ასევე შეიძლება გავიხსენოთ მისი სხვა წერილიც:

„ბუნება ადამიანისა – ქართველია თუ გარმიანელი – ავკარგიანობით არის სავსე და ქვეყანაზედ არ არის ერი, რომ მიწყურული ჰქონდეს ან მარტო კარგი, ან მარტო ავი და კარგი ყველგან არის. და ვისაც ეს ავიწყდება, ის დიდ მანძილს ვერ გაირბენს მწერლობაში" („ახალი დრამების გამო". იგივე მრავალტომეულიდან).

ილია ერთგან ამბობს:

„ნიკოლოზ ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულთათქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განძი მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოაზრედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა".[42]

ქართლის ბედი იყო ბარათაშვილის უმთავრესი საზრუნავი და სატკივარი, მაგრამ კაცობრიობის ხვედრს და მომავალსაც დასტრიალებდა მისი ამაღლებული ფიქრი, რამაც გაღარიბებული, უსახსროდ დარჩენილი ძველი არისტოკრატიის შვილი მსოფლიო მოქალაქედ აქცია.

ადრე დაბრძენებულს, თუმცა იმთავითვე გაშინაგანებული ჰქონდა ეკლესიასტეს სიბრძნე, იმედი არასოდეს გადაუწურავს: ცის გახსნასავით ნათელ სტრიქონებში მოაქცია ადამის ძეთა ერთხელ დადგენილი ცხოვრების წესი, ურყევი ზნეობრივი მრწამსი.

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან – შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა,
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს.

---

41 „აკაკი წერეთელი და ვეფხვის-ტყაოსანი", ი. ჭავჭავაძე, სრული კრებული, პ. ინგოროყვას და ალ. აბაშელის რედაქციით. მრავალტომეული, ტფილისი; 1927.

42 „წერილები ქართულ ლიტერატურაზე", ი. ჭავჭავაძე, იგივე მრავალტომეულიდან.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მოწამეობრივი ცხოვრება, და მისი დიდებული პოეტური გენია – ბრწყინვალე ლექსები ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს.

ამასთან დაკავშირებით ილიას შემოქმედებიდან ერთი უმთავრესი აზრი იკვეთება: ერი ცოცხალი ორგანიზმი უნდა იყოს; მისი მოწინავე ნაწილის შემწეობით აზროვნებითი პროცესი შეუწყვეტლობას მოითხოვს, იგი არ უნდა შესუსტდეს, საზოგადოებას რეალური შინაგანი რწმენა უნდა ასაზრდოებდეს. თუკი ერში სააზროვნო ენერგია ძლიერი იქნება, მაშინ მას გადაგვარების საფრთხე არ დაემუქრება.

ილიასთვის ცოცხალ, მართალ სიტყვას, თქმულს ხალხისათვის – გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ნამდვილი განათლება არის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე, ერის გადარჩენის წინაპირობა და არა – უსიცოცხლო ცოდნა. ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს უნდა ეზიაროს ერი, ღრმად უნდა გაითავისოს იგი და მაშინ აღუდგება მას ასერიგად საჭირო თვითმყოფადი სახე.

პავლე ინგოროყვას ბრწყინვალე ნარკვევში „ნიკოლოზ ბარათაშვილი", რომელიც წინ უძღვის ნ. ბარათაშვილის თხზულებათა სრულ კრებულებს, და რომლის საბოლოო სახე წარმოდგენილია პ. ინგოროყვას წიგნში, ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებლებად ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი არიან წოდებულნი.

ჩვენი სასიქადულო მგოსანი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი წერდა: „ისტორიული სიმართლე მალაპარაკებს და არა პატრიოტული გატაცება, რომ ჩვენ, ქართველები, ვეკუთვნით რჩეულ ხალხს და ჩვენი წარსული გასაოცარია: უძველესი დროიდან დაწყებული, მისთანა ხალხი არავინ გამოჩენილა, რომ ამ პატარა ქვეყანას არ მოზღვავებოდეს. საქართველო იდგა, როგორც სალი კლდე ზღვის პირზე, რომელსაც უზარმაზარი ტალღები ზედ ეხლებიან, მაგრამ, დაუძლურებული და ქაფათ ქცეული, უკანვე იქცევიან. უფრო უახლობლეს დროში მაჰმადიანობამ ჩაყლაპა დიდი ბიზანტია, დაიმონა სლავენიის ქვეყნები და ამ პატარა ქვეყნის კუთხეს კი ბოლო ვერ მოუღო. ჩვენმა მამა-პაპებმა გადაიწერეს პირჯვარი, შესძახეს ერთმანეთს „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვით-კირსაო" და, სარწმუნოებასთან ერთად შეხ-

ორცებული ეროვნება გაამტკიცეს!...“

კვლავ აკაკის მოვუხმოთ. სოფრომ მგალობლიშვილი იგონებს, რომ მის შეკითხვაზე – „ბატონო აკაკი, განა დაგვიდგება ხანა, ცარიზმის ბრჭყალებისაგან თავის დახსნისა?“ – აკაკის პასუხი უმალ ასეთი იყო:

„მე ღრმად მწამს, რუსთაველის სამშობლო კვლავ აღსდგება. ჩვენ საქართველოს ბევრი რამ გადაგვხდია, მაგრამ ჩვენში იმოდენა ნიჭიერებაა, ჩვენს ერში ისეთი დაფარული სულის ძალაა, რომ ჩვენი სიკვდილი შესაძლებელი არ არის... ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს, არ ეთქმის ქვეყნის შვილიო... თუმცა ჩვენ უკვე ანდერძი აგვიგო მუხრან-ბატონმა, მაგრამ სტყუის უბედური. ჩვენ სიკვდილს ვერ ვინ მოესწრება“.[43]

„საქართველოს უგვირგვინო მეფედ“ წოდებული დიდი ილია, წერდა: „რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები მოგვხვევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევინარჩუნეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლენგ თემურებმა ჩვენს საკუთარ სისხლში გვაბანავეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბასებმა ჩვენის კბილებით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით, აღამაჰმად ხანებმა პირქვე დაგვმარხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვულიტეს, და მაინც ფეხზე წამოვდექით, მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის ნავაღებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ“.

ილია ჭავჭავაძის მიერ დასახული გზა არის ქართველი ხალხის თვითმყოფადი სულიერი კულტურის, ჩვენი ეროვნული საუნჯის, ქართული სიტყვიერების, მისი ჭეშმარიტი მწერლობის,

---

43 გიორგი მუხრანელი იყო „ნამესტნიკის“ დროის შინაგან საქმეთა გამგე. მან რუსულ ენაზე დაწერა წერილი მცირე ერების ასიმილაციაზე მძლავრი ერებისაგან, რაც საქართველოსაც უწინასწარმეტყველა. თავის დროზე მუხრანსკის გამოეპასუხა გაბრიელ ეპისკოპოსი.

პუბლიცისტიკის, ჟურნალისტიკის ის უცილობელი რამ, რომლითაც ამაყობს ყოველი კულტურული ერი.ზოგადად, ეს არის ერის ხსნის გზა.

მე-19 საუკუნეში ეროვნული გრძნობების მოდუნების ჟამს დიდმა ილიამ საქვეყნოდ განაცხადა: „სად არის ქართველობა ან საქართველო?!“ და მანვე, ჩვენი ერის, და მე-19 საუკუნის უდიდესმა ქართველმა ერს ზვარაკად საკუთარი თავი შესთავაზა, როცა თქვა:

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა,
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული...“

მრავალი დიდი მამულიშვილის სახელი ამშვენებს ჩვენი სამშობლოს ისტორიას, მათ შორის, მე-19 საუკუნეში, პირველ ყოვლისა, მოჩანს მონუმენტური ფიგურა ილია ჭავჭავაძისა. ილია მოუქანცავად წვრთვნიდა ქართველი ხალხის გონებასა და ზნეობას, როგორც მისი სულიერი მოძღვარი. ილიამ მეტად რაინდულად ზიდა ერის თავკაცის მძიმე ტვირთი.ზიდა, ვიდრე არ დაეცა ერის საკურთხეველზე, ვიდრე საკუთარი სისხლით არ გაამყარა ის იდეა, რომლის განხორციელებასაც შეგნებულად შეალია მთელი სიცოცხლე და თავს არ დაიდგა „დიდი წამების მან გვირგვინი მშვენიერი“.

უმთავრესი პოლიტიკური იარაღი, ისევე როგორც დიდი ილიას ეპოქაში, დღესაც, საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, კვლავ სიცრუეა. ისევ სიყალბე! ამჯერად „ევრო-ამერიკული იმპერიალიზმი“ რომელიც (რუსულ იმპერიალიზმთან ერთად – ზვიად გამსახურდიას შეფასებით)[44] იწოდება „ახალ მსოფლიო წესრიგად“ (იგივე Real Politik-ის სახელდებით) – ეს გეოგლობალისტური, ანტიჰუმანური პოლიტიკური ნაკადის მეგაპროექტი (მეტნაკლები ინტენსივობით) რა ხანია, ხორციელდება ამ ორი წყაროდან, – ორივენი არსებითად უსახურნი არიან, უსულგულო მონსტრ-არქ-

44 საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი დევნილობაში ზვიად გამსახურდია ქ. გროზნოში პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს: „კაცობრიობის მტრები ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით“... „ერთი განსაზღვული ჯგუფი მთელი ძალით მიილტვის მსოფლიო ბატონობისაკენ. ზოგადად მე მას „ევრო-ამერიკულ იმპერიალიზმს ვუწოდებდი.“ (გაზ. „ნაროდნაია პრავდა“, სანკტ-პეტერბურგი, 1992; გადმობეჭდა გაზეთმა „აღდგომამ“, N29, 6. 12. 1992).

იტექტორთა და შემსრულებელ ტოპ-მენეჯერთა მეშვეობით!

ისინი უკვე ახალი, ულტრათანამედროვე რეალიების გათვალისწინებით – „სუპერ-ტექნოლოგიების“ გამოყენებით და პროპაგანდისტულ – „TV-ი ყუთის“ მანიპულირებით სიმართლის თქმის იმიტაციას ემსახურებიან, იმიტაციის სუბიექტად ყოფნის მსურველნი კი, ვაგლახ, რაოდენ მრავლად არიან. ამიტომაც, როგორც ერთი ფრანგი ეთნოლოგი და სოციოლოგი წერს: „დღეს ყველაფერი ისე ლპება, როგორც რომის იმპერიის დაცემის ჟამს“.

სიცრუე – სიბრძნის, გონიერების, ჭეშმარიტი მშვიდობის, რელიგიათა შორის სინარქიული წესრიგის არსებობის, რელიგიური შემწყნარებლობის და მათ შორის ურთიერთპატივისცემის, ჭეშმარიტად უსაფრთხო და მშვიდობიანი მსოფლიოს სანაცვლოდ. ვიმედოვნებთ, რომ მომავალში საქართველო გახდება ჭეშმარიტად თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ოჯახის ღირსეული წევრი, იგი თავის წვლილს შეიტანს ალტერნატიული იდეური (ეროვნული) ნაკადის – „სამართლიან და თანხმობით მოცული მსოფლიოს შექმნაში“ (ზვიად გამსახურდიას ნააზრევის მიხედვით.) ... და ოდენ მაშინ დადგება ჟამი ჭეშმარიტების ღაღადის და დიდი სახელმწიფოებრივი ცვლილებებისა.

ასზე მეტი წლის შემდეგ დეკარტისეული „ვაზროვნებ, ე. ი. ვარსებობ“, შეიცვალა ახალი ანთროპოლოგიური ტიპის ადამიანის, ანტიდეკარტისეული ფორმულის დამკვიდრების წადილით – ვცრუობ, მაშასადამე, ვარ! (მაშასადამე, ვცხოვრობ!).

ცნობილი ანდაზა გვამცნობს: „ამღვრეულ წყალში თევზს ადვილად დაიჭერო“. და თუ წყლად ჩვენი ყოფა-ცხოვრების მდინარებას წარმოვიდგენთ, შეიძლება ითქვას: ის იმდენად ამღვრეულია, რომ მის მკვიდრთ უკვე უჭირთ შეშმარიტი რეალობის დანახვა – აღქმა, წყალი ადვილად იმღვრევა მირეული ტალახითა და სიბინძურით, ჩვენი ყოფა-ცხოვრების მდინარება გატალახებული ფასოვანებითა და ეთიკური (მორალის) სიბინძურის მოძალებით.

იგი არსებითად შინაგანი სინდისის წინააღმდეგ მიმართული, პიროვნებაში სინდისის შეგრძნების თანდათანობით შესუსტებას, საბოლოო ჯამში კი მის გაქრობას ემსახურება. ეს ნიშნავს ცუდისა და კარგის, კეთილისა და ბოროტის განურჩევლობას; ასევე დამცირება-დამონების გამო სირცხვილის და პროტესტის გრძნობის, ღირსების დაკარგვას.

„სინდისისგან თავისუფალი“, გაუნათლებელი, დუხჭირი საზოგადოების მართვა კი, მოგეხსენებათ, დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.

სიყალბე თვისებაა ბოროტისა!

წმინდა წერილში, ვკითხულობთ:

„ჰე, მოვედ, უფალო იესუ!“ (გამოცხ. 22,20).

ეს მუდმივი მონატრებაა უფლისა.

ჩვენ, კავკასიური რასის, ივერთა ქვეყნის, ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანი ერის შვილებმა, კარგად უნდა ვუწყოდეთ, რომ უნდა შევძლოთ უფალთან მიახლება სახარებისეული სიმდაბლით, საკუთარი თავის რეალური აღქმით, ღმრთის დაკარგვის შიშითა და ძრწოლით, სამშობლოსათვის საჩინო თავდადებით, ილიასეული მოწამეობრივი ცხოვრების უკვდავი მაგალითით.

ესოდენ უცილობელი ზნეობრივი მაგალითები ღვთის ნებით, გადაეცემა მთელს ერს, და მერმედ მოხდება ასე ნანატრი აღორძინება მამულისა და აღდგომის ბრწყინვალე სხივებით განსხივოსნება ქართული სულისა, ქართველი კაცისა.

დაე, აღსრულდეს ჭეშმარიტი სახელმწიფოებრიობა განფენილი დროში, რასაც „ივერიის გაბრწყინებას“ უწოდებენ.

„... როგორ მოხდა, რომ ჩვენი ერი არ მოისპო, არ განქარდა და ჩვენი სახსენებელი დარჩა ქვეყანასა ზედა, როდესაც გარემოს მისსა დაეცნენ და განქარდნენ უმძლავრესნი მეფობანი და ერნი? მიზეზი ამისა არის, რომ ჩვენი ერი იყო ყოველთვის ერთგული საღმრთოისა სულისა და ღმერთიც იფარავდა მას მეოხებითა და ვედრებითა დედისა მისისათა, რომელსა წილად ერგო ივერია და ერი ივერიისა...“ (გაბრიელ ეპისკოპოსი)

ძეო ქართველთა ერისაო, ერისათვის წამებულო, წმინდაო ილია მართალო, ყოვლად დიდებულო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა ძმათა შენთათვის, შენყალებად სულთა ჩვენთათვის, მეოხ გვეყოს ჩვენ ცოდვილთა და აღგვიდგინოს შენი საოცნებო ივერია!

ბოლოთქმას ვასრულებ ძველი ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლის გიორგი მერჩულის „ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანძთელისა“-ს ბოლო აბზაცით:

„კურთხეულ იყავ უფლისა მიერ შენ და ყოველი ერი მართლმორწმუნე ოხითა წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა და წმიდისა გიორგისითა და ყოველთა წმიდათაჲთა. ამენ.“

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, თბილისი; 1989.

2. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, სრული კრებული, თბილისი; 1953.

3. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი; 1964.

4. ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, თბილისი; 1989.

5. გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი; 1959.

6. ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, თბილისი; 1959.

7. დ. გამეზარდაშვილი, ილია ჭავჭავაძე – დიდი ქართველი სამოციანელები, თბილისი; 1989.

8. დ. გამეზარდაშვილი, ქართული კრიტიკული რეალიზმი, თბილისი; 1967.

9. ვ. თოფურია, „აკაკი და ქართული სალიტერატურო ენა", ჟურნ. „ლიტერატურული ძიებანი", 11, 1944.

10. ნ. კოტინოვა, ლ. მეფარიშვილი, ი. ჭავჭავაძე და საგრამატიკო პაექრობა, თბილისი; 1967.

11. ლ. მინაშვილი, ილია ჭავჭავაძე, „ნაკადული", თბილისი, 1986.

12. ა. შანიძე, „ილია ჭავჭავაძე, როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის", ილიას სამრეკლო, ტ.1, თბილისი; 1990.

13. არნ. ჩიქობავა, „ახალი სალიტერატურო ქართული ენის წარმოქმნისათვის", ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ.1, თბილისი; 1950.

14. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი; 1984.

15. შ. ძიძიგური, „იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენა", იაკობის სამრეკლო, თბილისი; 1990.

16. ზ. ჭუმბურიძე, დედა ენა ქართული, თბილისი; 1982.

17. ზ. ჭუმბურიძე, მადლი დედა ენისა, თბილისი; 1982.

18. ჯ. ჭუმბურიძე, ქართული კრიტიკის ისტორია, თბილისი; 1966.

19. მ. ჯორბენაზე, ბალავარი მწერლობისა, თბილისი; 1987.

20. ი. ჭუმბურიძე, ჟურნალისტიკის შესწავლის საკითხები, გამომც. „უნივერსალი", თბილისი;2012.

21. ლ. კინწურაშვილი, ენა სულისა და გულისა, თბილისი; 2000.

22. ლ. ქაროსანიძე, „ქართული სიტყვის ხვალინდელი დღე", კრებული, თბილისი; 2014.

23. თ. ჯოლოგუა, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (X1X ს.), გამომც. „ინტელექტი", თბილისი; 2013.



ქართველი ხალხის – ქართული ენის, სალიტერატურო ენის, დამწერლობის სათავეების კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა

1. ქართველი ხალხის საერთო ეროვნული ენა (კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა – ადგილი მსოფლიო ენათა სისტემაში)

ერის კულტურის დონე იმითაც განისაზღვრება, თუ როგორ უვლის და აფასებს იგი თავისი ერის კულტურულ მონაპოვარს. ქართველი ხალხის ყველაზე დიდი განძი და მონაპოვარი არის მისი მშობლიური ქართული ენა, უპირველესი ნიშანი ერის ვინაობისა, მისი თვითმყოფადობისა და ერთიანობის საფუძველი.

ქართველისათვის მშობლიური ენა მეტია, ვიდრე მხოლოდ სააზროვნო და საკომუნიკაციო საშუალება; იგია ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის სარკე და მომავალი არსებობის საწინდარი, ასე ნანატრი „ყოველთა ქართველთა ერთობის“ („ქართლის ცხოვრება“).

ქართველმა ერმა საუკუნეების ქარტეხილებს გამოატარა თავისი დედა-ენა და დიდი მზრუნველობით და რუდუნებით დღემდე მოიტანა.ჩვენი დიდი მამულიშვილი იაკობ გოგებაშვილი წერდა: „დედა ენა არის ენა სულისა და გულისა, ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მეხსიერებისა“.

ქართულ ენას თავისი ისტორია აქვს, რომლითაც ქართველობას შეუძლია იამაყოს ცივილიზებული მსოფლიოს წინაშე; ჩვენი ვალია, ვიცოდეთ ეს ისტორია, ვერკვეოდეთ მშობლიური ენის, დამწერლობის, მწერლობის დასაბამისა (ძველი ქართული მწერლობის საწყისები) და განვითარების საკითხებში, ვიცნობდეთ ქართველი თუ უცხოელი მეცნიერების მოსაზრებებს მათზე.

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ჩვენ ნაკლებად ვინტერესდებით ჩვენი ერის ენის, კულტურის, ისტორიის წარსულისა და აწმყოს შესახებ, სამაგიეროდ უკეთესად ვიცით უცხო ქვეყნების შესახებ... სხვისი ენის, ისტორიის, კულტურის გაცნობა და შესწავლა

45 შედგენილია ვახტანგ ბახტაძის მიერ.

არ უნდა ნიშნავდეს საკუთარის არცოდნასა და დავიწყებას.

ჩვენმა დიდმა მამულიშვილმა განათლების მიზანი ასე განსაზღვრა:

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?“

ქართველები ერთ-ერთი უძველესი ხალხია მსოფლიოში, ასევე უძველესია ენა, რომელზედაც იგი ლაპარაკობს. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია არა მარტო ქართველთათვის, არამედ კულტურული მსოფლიოსთვისაც. ქართველ ხალხს ნათესაური ან ტერიტორიული სიახლოვე აკავშირებს სხვადასხვა ხალხთან, რომელთაც მსოფლიო ცივილიზაციას დაუდეს საფუძველი. ქართული ენის მონაცემები მეცნიერებს ეხმარება გადაშენებულ, გამქრალ ხალხთა და ენათა ისტორიის შესწავლაში. ენობრივმა და კულტურულმა კონტაქტებმა კვალი დაამჩნიეს ქართული ენის სტრუქტურასა და ლექსიკას. ქართულში შემორჩენილია მცირე აზიის ცივილიზებულ ხალხთა ენების ლექსიკური ელემენტები, მიუთითებენ ქართველური ენების „...წარმოშობით კავშირზე წინა აზიისა და შუამდინარეთის ძველი ცივილიზაციის ენებთან: ურარტულთან, ხეთურთან, შუმერულთან, ელამურთან...“ (არნოლდ ჩიქობავა); დადასტურებულია წინაბერძნულ-ქართველური ლექსიკური შეხვედრები; ჩვენს ძველისძველ წინაპრებს კავშირი ჰქონიათ სემიტურ სამყაროსთანაც, აგრეთვე სხვა განვითარებულ ხალხებთან და სახელმწიფოებთან, რასაც კვალი დაუტოვებია ქართულში. ქართულ ენას შემოუნახავს კაცობრიობისათვის არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელთა დედნებიც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგულია; ჩვენს ენაზე დაცულია ცნობები ბიზანტიელ ავტორთა და მათ უცნობ ნაწარმოებთა შესახებ, აგრეთვე სპარსული, არაბული და სირიული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი თარგმანები. ყოველივე ამის გამო უცხოელი მეცნიერებისათვის ქართული ენა საინტერესოა არა მარტო ლინგვისტური, არამედ კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისითაც.

მეორე მხრივ, ქართველთა უძველესი წარმოშობის გამო ბევრი ფაქტი ჩვენი ისტორიისა ბურუსითაა მოცული. პირველ რიგში

ეს ქართული დამწერლობის, მწერლობისა და სალიტერატურო ენის წარმოშობას ეხება. ეს სამი უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი ერის კულტურული ცხოვრებისა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

ქართული ენა ქართველი ხალხის ენაა. ცნობილია, რომ ქართველ ხალხში შორეული წარსულიდანვე იგულისხმება სამი უმთავრესი ქართველური ტომი: ქართები, მეგრელ-ჭანები (ანუ ზანები) და სვანები. ეს ტომები შორეულ წარსულში კომპაქტურად ცხოვრობდნენ და საერთო ენაზე ლაპარაკობდნენ (ამ საერთო ენას მეცნიერები ფუძეენას, პრექართველურს ანუ წინარექართველურს უწოდებენ). შემდეგ მოხდა ფუძეენის დიფერენციაცია.ვარაუდობენ, რომ დაახლოებით ძვ. წ. მე-18 საუკუნეში სვანური გამოეყო საერთო ქართველურ ფუძე-ენას, შემდეგ დაიშალა ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობა და ძვ. წ. მე-8-7 სს-ში ქართული ენა დამოუკიდებელ ენობრივ ერთეულად ჩამოყალიბდა (ქრონოლოგიასთან დაკავშირებით არსებობს სხვაგვარი მოსაზრებაც).

ამრიგად, ქართველურ ენათა ჯგუფში შედის სამი ენა: ქართული, ზანური (მეგრულ-ჭანური) და სვანური.

ა. შანიძე მეგრულ-ჭანურს კოლხურსაც უწოდებდა.

სვანური ქართული ენის უახლოესი მონათესავე ტომობრივი ენაა, რომელსაც არ გააჩნია დაწერლობა.

ზანურიც ტომობრივი უმწერლობო ენაა და მოიცავს მეგრულ და ჭანურ დიალექტებს. ჭანურს ლაზურსაც უწოდებენ. „ზანი ტომის არსებობა ფაქტია, მათი მემკვიდრეები უნდა იყვნენ ახლანდელი ლაზები და მეგრელები", – წერდა არნ. ჩიქობავა.

დასავლეთ საქართველოში დღესაც არსებობს სოფლები ზანათი, საზანო, ზანა; სვანები კი მეგრელებს ახლაც ზანებს უწოდებენ; ძველ ისტორიულ წყაროებში ჭანები (ლაზები) მოხსენიებელი არიან სანებად.

მეგრული სამეგრელოსა და აფხაზეთშია გავრცელებული, ჭანური ანუ ლაზური კი – თურქეთის ჩრდილო ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე, სადაც ქართველი ტომები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ.

ლინგვისტური თვალსაზრისით ზანური და სვანური ენებია, ოღონდაც ტომობრივი, ე. წ. „საშინაო ენები" (შ. ძიძიგუ-

რი), რომელთაც არ გააჩნიათ დამწერლობა, ქართველურ ენათა ჯგუფში ერთადერთი სამწერლობო ენა არის ქართული. იგია ეროვნული ერთიანობისა და კულტურის ენა ქართველთა სამივე შტოს წარმომადგენლებისათვის (ტერმინი „ქართველური ენები“ დაამკვიდრა ავსტრიელმა ქართველოლოგმა ჰუგო შუხარდტმა. პარალელურად ხმარობენ „იბერიულ ენებს“, ან „სამხრულ-კავკასიურ“ ენებს).

როგორც ცნობილია, ქართველურ ენათა ჯგუფს მიაკუთვნებენ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს, რომელშიც აგრეთვე შედის აფხაზურ-ადიღეური, ბაცბურ-ქისტური და დაღესტნის ენები (ა. ჩიქობავას კლასიფიკაცია). ზოგიერთი მეცნიერი უარყოფს ქართველური და კავკასიური ენების გენეზისურ კავშირს და „კავკასიურ ენებს“ ხმარობს მხოლოდ გეოგრაფიული ცნების მნიშვნელობით. ამ ოჯახში ყველაზე ძველი სამწერლობო ენა არის ქართული, სხვა კავკასიურ ენებს დამწერლობა მე-18 საუკუნემდე არ ჰქონიათ.

სამწერლობო ენა იგივე სალიტერატურო ენაა. მასზე იქმნება ყველა სახის წერილობითი პროდუქცია: მხატვრული, ისტორიული, დოკუმენტური, სამართლებრივი, მეცნიერული და ა. შ. მისი წარმოშობა და განვითარება განუყოფლად არის დაკავშირებული მწერლობის ისტორიასთან. ასევე წარმოუდგენელია მწერლობის არსებობა დამწერლობის ტრადიციის გარეშე. ამ სფეროში კი ყველაფრის დაკონკრეტება, ზუსტი თარიღების დასახელება ჭირს და ჰიპოთეზები, ვარაუდები მეტია, ვიდრე კონკრეტული დასკვნები.



2. ქართული სალიტერატურო ენის განვითარების სხვადასხვა საფეხური

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გზა თხუთმეტი საუკუნის მანძილზე სხვადასხვა ეპოქაში განვითარების სხვადასხვა საფეხურს გადიოდა.

გამოყოფენ სამ საფეხურს: ძველს (მე-5-11 სს), საშუალსა (მე-12-18 სს) და ახალს (მე-19-20 სს). უახლეს ეტაპს ქართული ენის განვითარებაში თანამედროვე ქართულსაც უწოდებენ.

სალიტერატურო ენის ისტორიის ასეთი პერიოდიზაციის მომხრენი საშუალი ქართულის ცალკე პერიოდად გამოყოფას იმ ტენდენციით ხსნიან, რაც გამოიკვეთა მე-12 საუკუნიდან – ეს იყო მწერლობის ენის ხალხის სასაუბრო ენასთან დაახლოება.

არსებობს მეორე თვალსაზრისიც, რომლის მომხრენი სალიტერატურო ენის განვითარებაში ორ პერიოდს გამოყოფენ – ძველსა (მე-5-11 სს) და ახალს (მე-12 ს-დან დღემდე). მათ საშუალი ქართული გარდამავალ საფეხურად მიაჩნიათ და არა ცალკე პერიოდად. მაგ. არნ. ჩიქობავა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიას მე-12 საუკუნიდან იწყებს და მიიჩნევს, რომ მე-18 საუკუნისათვის მისი ჩამოყალიბება დამთავრებული იყო.

როდესაც ქართული სალიტერატურო ენის პერიოდებზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ საქმე ეხება ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურს. მართალია, ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ საერთო უფრო მეტი აქვთ. ამის მიზეზი ისაა, რომ ენობრივი ცვლილებები საერთოდ ნელა ხდება, ქართული კი ამ მხრივ სხვა ენებთან შედარებით კონსერვატიულობით გამოირჩევა. ამის გამოა, რომ ქართველი განათლებული მკითხველისათვის იაკობ ხუცესის, იოვანე სანაძის, გიორგი მერჩულის, გიორგი მთაწმიდელის, რუსთაველისა და სხვათა ენა დღესაც გასაგებია, მათ ნაწარმოებებს ახალ ქართულზე თარგმნა არ სჭირდება.

ქართული ენის ამ უნიკალური თვისების გამო გამოთქმულია მოსაზრება, რომ „თხუტმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობა ერთი სალიტერატურო ენით იქმნებოდა და იქმნება დღემდე“, რომ ენისა და მწერლობის განვითარების ეტაპების აღმნიშვნელი ცნებები: „ძველი ქართული ენა“, „ძველი ქართული მწერლობა“ და ა. შ. მხოლოდ პირობითი სამუშაო ტერმინებია, რომლებიც

უადვილებენ მეცნიერებს საკვლევი მასალის დაჯგუფებას, ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმოხილვას, ხოლო მსმენელებს – ათვისებას (რ. თვარაძე).

ძველი ქართული ენა გამოირჩეოდა ლექსიკური ფონდის სიმდიდრითა და გრამატიკული ნორმების მყარი სისტემით. იგი ორიენტირებული იყო სასულიერო ჟანრის თხზულებებზე, ბიბლიის წიგნთა თარგმანზე. ამდენად, არ იყო დაზღვეული საეკლესიო ენისათვის დამახასიათებელი შტამპისა და დოგმატური სტილისაგან. რელიგიური ტერმინოლოგია ხშირად ესესხებოდა ბერძნულს.

ძველი ქართული ენის ფორმირებაში დიდი წვლილი შეიტანეს საგანმანათლებლო ცენტრებმა და ლიტერატურულმა სკოლებმა (მაგ. ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლა). ძველ ქართულ ენაზე შეიქმნა სასულიერო მწერლობის სხვადასხვა ჟანრის უშესანიშნავესი ძეგლები.

ძველი ქართული ენის ფუნქციონირების პერიოდი მუსლიმანური სახელმწიფოების, განსაკუთრებით არაბების ძალმომრეობის ეპოქა იყო (მე-8-11 სს). მიუხედავად ამისა, ქართულმა ენამ შეინარჩუნა სიწმინდე და თავი დაიცვა სპარსული და არაბული ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ელემენტების ინტენსიური სესხებისაგან. ალბათ მართალია ის მოსაზრება, რომ ერი სწორედ იმ ხალხის ენას ერიდება ინტუიციურად, ვისგანაც განიცდის ძალმომრეობას. როცა ეროვნული მეობა, ეროვნული სულისკვეთება სათანადო დონეზეა, მაშინ მტრად ნაგულვები ხალხს ენიდან სესხება მინიმუმამდეა შემცირებული (ბ. ბურჯანაძე).

ძველი ქართული სალიტერატურო ენა საზოგადოების განსწავლულ ნაწილის, კერძოდ, საეკლესიო ელიტის ენა უფრო იყო. უმდიდრესი და უმშვენიერესი სასულიერო მწერლობა სახალხო პოპულარიზაციას არც ისახავდა მიზნად. გავიხსენოთ სიტყვები სამოელ ეპისკოპოსის წერილიდან, რომლითაც მან იოვანე საბანისძეს აბო ტფილელის წამების აღწერა სთხოვა: „მნებავს, რაითა დაიწეროს სანატრელისა ამისცა მარტვილობაი... და დაიდვეს იგიცა წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შინა მოსახსენებლად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩუენსა“,; და კიდევ: „...აღწერე მარტვილობაი წმიდისა მოწამისა ჰაბოისი და აღწერილი ჩუენ მოგვიძღუანე“...

ამდენად, სასულიერო მწერლობის ნიმუშები ფართო გავრცელებისათვის არც იქმნებოდა. ამ ძეგლების გამოკვეთი-

ლი მიზანდასახულობის გამო ეკლესია განსაზღვრავდა მათი გავრცელების სფეროს, მკითხველთა თუ მსმენელთა წრეს.

საერო მწერლობის ნარმოშობამ, განსაკუთრებით კი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შექმნამ შეცვალა ვითარება. მწერლობის ენა ცოცხალ მეტყველებას დაუახლოვდა. საერო მწერლობის ნიმუშებს გავრცელების ფართო არე ჰქონდათ, ისინი საერო საზოგადოებისათვის იქმნებოდა. ამ თვალსაზრისით განუზომლად დიდი იყო „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობა. რუსთაველის პოემა ყველაზე პოპულარული ნაწარმოები იყო საქართველოში. მას ყოველი კუთხის ქართველი კითხულობდა, იწერდა, იზეპირებდა, ავრცელებდა, იმიტომ, რომ პოემის ენა მის იდეურ სამყაროსთან ერთად გასაგები იყო ხალხისათვის, ახლოს იდგა მის სულთან, მის მეტყველებასა და იდეალებთან. ფაქტობრივად, რუსთაველმა დაუდო სათავე საშუალი ქართულის მთავარ ტენდენციას – მწერლობისა და ცოცხალი მეტყველების დაახლოებას.

აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ენა ძლიერი, ერთიანი საქართველოს ენა იყო. ამ პერიოდში აღორძინებული საერო ლიტერატურა გამდიდრდა ცოცხალი მეტყველებიდან შესული ელემენტებით. საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ამის თაობაზე ა. წერეთელს: „რუსთაველს ენა კი არ შეუქმნია, იმან მხოლოდ ხალხის ენა გადმოიღო უმეტნაკლებოდ, რადგან მის დროს ენა გაწმენდილი იყო“. აკაკი სხვაგანაც აღნიშნავდა: „რუსთაველის დროს ქართული ენა გაწმენდილი, ძლიერი და გაერთიანებული იყო ისე, როგორც თვით ქართველი ერი“.

საშუალ ქართულს ახასიათებდა ძველი ქართულის ტრადიციული ელემენტებისა და ახალი ენობრივი ფორმების შერწყმა. ეს იყო „თვისობრივად ახალი ეპოქა სალიტერატურო ენის ევოლუციის გრძელ გზაზე“, რომელსაც ცოცხალ მეტყველებასთან სიახლოვის გამო ახასიათებდა ერთგვარი ლექსიკური სიჭრელე და გრამატიკულ ფორმათა მრავალგვაროვნობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდში აღმოსავლური პოეზიის გავლენით ქართულში უხვად შემოდიოდა და მკვიდრდებოდა სპარსული და თურქული ლექსიკა. ამ პროცესს, რომელიც განსაკუთრებით ინტენსიური მე-16-18 საუკუნეებში გახდა, ხელს უწყობდა ქართული სახელმწიფოებრიობის რღვევა, ქვეყნის პოლიტიკური დანაწევრება, ეროვნული შეგნების დაქვეითება, გამაჰმადიანებულ მეფეთა და დიდებულთა მიერ სპარსული ცხოვრების წე-

სის დანერგვა. ქართველ არისტოკრატიაში გაძლიერდა სპარსული ენითა და პოეზიით გატაცება. ამ სულისკვეთებას გამოხატავდა სპარსეთის სამეფო კარზე აღზრდილი თეიმურაზ პირველი, რომელიც დაუფარავად აცხადებდა: „მძიმე არს ენა ქართველთა“ და „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“.

ამ და სხვა მიზეზთა გამო საფრთხე შეექმნა ენის სიწმინდეს, კალკებმა და ბარბარიზმებმა დაანაგვიანეს ენა; საქმეს ვერ შველოდა ენის სიწმინდისათვის მებრძოლი მეფის არჩილის მოწოდება:

„ეგ ნუ გგონიათ, სხვა ენა მეც არ ვიცოდე სხვასავით,
მაგრამ ცუდია გარევა ქართულ ენაში სხვას ავით...“

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, საშუალ ქართულზე შეიქმნა უმდიდრესი ლიტერატურული პროდუქცია: მხატვრული, საისტორიო, დოკუმენტური, სამართლებრივი, სამეცნიერო, ფილოსოფიური, სამედიცინო... ინტენსიურად მიმდინარეობდა მთარგმნელობითი საქმიანობა, ითარგმნა სპარსული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები, გაჩნდა რუსული დრამატული თხზულებების, სამხედრო-ტექნიკური, საბუნისმეტყველო-მათემატიკური ლიტერატურის ქართული თარგმანები; შეიქმნა იმდროინდელი სამედიცინო აზროვნების უბრწყინვალესი ძეგლები, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ პრაქტიკული მნიშვნელობა: „უსწორო კარაბადინი“ (უსწორო ნიშნავს უბადლოს, სწორუპოვარს), „წიგნი სააქიმოი“, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი – კარაბადინი“, დავით ბატონიშვილის „იადიგარ-დაუდი“ და სხვა. მათში განხილულია თეორიული და პრაქტიკული მედიცინის არსი და საექიმო ეთიკა, ყურადღება ეთმობა ანატომიის, ფიზიოლოგიისა და ჰიგიენის პრობლემებს, დაავადებათა პროფილაქტიკასა და დიაგნოსტიკას, სამკურნალო საშუალებებს.

საშუალი ქართული არის მე-12 საუკუნის სახოტბო პოეზიის (შავთელი „აბდულმესიანი“ ჩახრუხაძის „თამარიანი“), მხატვრული პროზის („ამირან-დარეჯანიანი“, „ვისრამიანი“), აღორძინების ხანის მწერლების: თეიმურაზ 1-ის, არჩილის, თეიმურაზ 11-ის, ვახტანგ მეექვსის და სხვათა შემოქმედების ენა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის ღვაწლი ქართული სალიტერატურო

ენის განვითარებაში, მისი სიწმინდის დაცვაში. საბასა და გურამიშვილის მხატვრული შემოქმედების ენა ფაქტობრივად, ახალი ქართულია, კლასიკური ქართულისა და ხალხის მეტყველების ნაზავი, ახლობელი და გასაგები ყველა ქართველისათვის. საბამ „სიტყვის კონითაც“ უდიდესი სამსახური გაუწია მშობლიურ ენას. ლექსიკონში, რომელიც, ივ. ჯავახიშვილის თქმით, ციურ მანანად მოევლინა ჩვენს ენას, უცხო ენებიდან ქართულში დამკვიდრებული სიტყვების განმარტებისას მწერალმა საგანგებოდ მიუთითა ქართული შესატყვისები და ამით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ გაუმართლებელია სესხება, როდესაც ამის საჭიროება არ არის, როდესაც ენას ადექვატური ლექსიკური ერთეულები აქვს.

საშუალი ქართული, მიუხედავად სიძნელეებისა, სალიტერატურო ენის განვითარების მაგისტრალურ ხაზს მიჰყვებოდა, ენობრივი კრიზისი მე-18 ს-ის 60-იანი წლებიდან დაიწყო. იგი სამი სტილის თეორიის დამკვიდრებამ გამოიწვია. ეს თეორია სათავეს ანტიკურ საბერძნეთში იღებს. საქართველოში, ტრადიციულად, მისი გაბატონება კათალიკოს ანტონ 1-ის სახელს უკავშირდება.

ანტონ ბაგრატიონი მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის დიდი ქართველი მოაზროვნე, მეცნიერი, ენციკლოპედიურად განათლებული მოღვაწე იყო. ფაქტობრივად, თავისი დიდი ავტორიტეტის წყალობით, იგი წარმართავდა ეპოქის კულტურულ ცხოვრებას საქართველოში. მას მიაწერენ სამნაირად წერის (სამი სტილი) თეორიის დაკანონებას ქართველ განათლებულ საზოგადოებაში. ეს თეორია თითქმის მთელი საუკუნე ბატონობდა საქართველოში.

აღნიშნული თეორიის თანახმად, სამყაროში საგნები მნიშვნელობის მიხედვით ერთნაირი არ არის (მაღალი, საშუალი, დაბალი), ამიტომ ყველა საგანზე ერთნაირი ენით (სტილით) საუბარი არ შეიძლება. მაღალ მატერიას მაღალი სტილი შეეფერება, საშუალს – საშუალი, ყოველდღიურ ცხოვრებაში კი შეიძლება გამოვიყენოთ დაბალი სტილი – ჩვეულებრივი სასაუბრო ენა.

მაღალი და საშუალი სტილი შორს იდგა ხალხის მეტყველებისაგან და როგორც ყველაფერი ხელოვნურად შექმნილი, ძნელი გასაგები და ასათვისებელი იყო.

ამ სიძნელეს ქმნიდა შემასმენლით ღარიბ რთულ წინადადებათა სიუხვე, მიმღეობების სიმრავლე, თავისებური პუნქტუაცია, ხმარებიდან გამოსული ასოების კვლავ გამოყენება, მაღალფარდოვნება.

მაღალი სტილი საეკლესიო ენა იყო; ისტორიული თხზულებებისათვის, განათლებულ ადამიანთა მიმოწერისათვის და ა. შ. საშუალი სტილი ანუ დარბაისლური ქართული იყო განკუთვნილი; დაბალი სტილის, ე. ი. ბუნებრივი ქართული მეტყველების, სფერო, იყო საქმიანი მიმოწერა, სასამართლო, ყოფა-ცხოვრება.

სამ სტილს „მოერგო" ლიტერატურული ჟანრებიც: ტრაგედიას – მაღალი სტილი, დრამას – საშუალი, კომედიას კი – დაბალი სტილი.

სამი სტილის გამოყენებამ დაამძიმა ენა, არეულობა შეიტანა მის ფონეტიკურ სისტემაში, მართლწერაში, სიტყვათწყობაში, ლექსიკაში, პუნქტუაციაში. რაც მთავარია, დაირღვა სამწერლობო ენის ერთიანობის პრინციპი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამი სტილის თეორიასა და მის დამკვიდრებაში ანტონ ბაგრატიონის როლის შესახებ ქართულ ენათმეცნიერებაში მიღებული თვალსაზრისის სრულიად სანინააღმდეგო მოსაზრება აქვს ქართველ მეცნიერს ალექსანდრე ფოცხიშვილს. იგი საერთოდ უარყოფს სამი სტილის თეორიასთან ანტონ კათალიკოსის რაიმე კავშირს და არც სტილებად დაყოფა მიაჩნია რეალურ ფაქტად. მისი თვალსაზრისი ასეთია: „ანტონს არავითარი „სამი სტილის თეორია" არ შემოუტანია და მით უფრო არ დაუმკვიდრებია, ასეთი მტკიცებისათვის არავითარი საბუთი არა გვაქვს. არადამაჯერებელია მტკიცება იმის შესახებაც, თითქოს ამ ე. წ. თეორიამ გადაკეტა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გზა და მისი განვითარება მთელი ასი წლით შეაჩერა..."

პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საერთო მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ უკვე მე-19 საუკუნის დასაწყისიდან თავისუფლება და თვითმყოფადობადაკარგულ საქართველოს ენობრივი აგრესიაც დაემუქრა რუსეთის იმპერიის მხრიდან. ქართული ენა თანდათანობით კარგავდა პოზიციებს, უმცირდებოდა მოხმარების არე. ასეთ დროს ენობრივი გათიშულობა, სამგვარი წერა (ფაქტობრივად, სამგვარი ენა) ენას გადაგვარების საფრთხეს უქმნიდა და ნორმალური სასიცოცხლო განვითარებას კანონგარეშე აყენებდა.

3. „ისწაოს წიგნი და ენა“
(სალიტერატურო ენა და ძველი ქართული მწერლობის დასაბამი)

ქართული მწერლობის კლასიკური მემკვიდრეობის სათავეები უნდა ვეძიოთ წინაქრისტიანულ ეპოქაში და ამ მხრივ სხვადასხვა დროს არაერთმა სასიქადულო ქართველმა მეცნიერმა წარმოადგინა ამ მოსაზრების დამადასტურებელი დაკვირვებები და მტკიცებანი.

„წიგნი“ – ფართო ცნების აღმნიშვნელი ტერმინია. ამ სიტყვის ქვეშ ძველად ივარაუდებოდა წერა-კითხვა, ნაწერი, ტექსტი, წერილი, მწიგნობრობა, თხზულება და თხზულებათა კრებული. როდესაც ძველი ქართველი იტყოდა: „ისწაოს წიგნი და ენა“-ო, „წიგნის“ ცნებაში გულისხმობდა წერა-კითხვას (შდრ: წიგნიერი და უწიგნური); „წიგნი წყალობისა“ ეწოდებოდა ბეჭედდასმულ და ხელმოწერილ დოკუმენტს წყალობის შესახებ. „წიგნის მეცნიერი“ -წერა-კითხვის (ან მწიგნობრობის) მცოდნეს. „წიგნის მკითხველი“ – ვინც წიგნს კითხულობდა. „წიგნი ძველისა და ახლისა აღთქმისანი“ – ძველი და ახალი აღთქმის (ანუ ბიბლიის) შემადგენელ თხზულებებს.

„წიგნი“ მხოლოდ ინფორმაციის წყარო როდია. იგი ადამიანთა ცხოვრებაში განსაკუთრებული მოვლენაა, ადამიანის სულის ნაწილია. მისი მეშვეობით მკითხველი საკუთარ შინაგან სამყაროსთან ურთიერთობას ამყარებს. წიგნებში ასახულია არა მხოლოდ ისტორია, არამედ ადამიანთა ყოფა, კულტურა. მასში ჩანს კულტურისა და ტექნოლოგიათა ცივილიზაციის დონე, იმ ეპოქისა, რომელმაც ეს წიგნი შექმნა.

ქართული წიგნი ისევე ძველია, როგორც მწიგნობრობა. თავდაპირველად „წიგნის“ ეს მნიშვნელობანი ეხებოდა ხელნაწერებს, მაგრამ შემდეგში იგივე ცნებანი გავრცელდა ნაბეჭდ პროდუქციაზე და, ამრიგად, წიგნი შეერქვა ძირითადად სტამბურად დაბეჭდილ ფურცლებისაგან აკინძულ შეკვრას, რომელიც შინაარსობრივად შეიცავს არა მარტო ერთ რომელიმე თხზულებას, არამედ – ერთი ან რამდენიმე ავტორის თხზულებათა კრებულსაც. ამ წიგნის ცნებაში გულისხმობენ ძველ ქართულ ხელნაწერ თხზულებებსა და კრებულებს, რომელთაც წერდნენ, ადგენდნენ და ავრცელებდნენ ქართველი მწერლები უძველესი დროიდან

მე-19 საუკუნის შუა წლებამდე. ეს წიგნები გვეუბნებიან ჩვენ, თუ რანი ვიყავით ისტორიულად, სად ვცხოვრობდით, ან როგორ ვიბრძოდით, რა იდეალები გვაღელვებდა და გვამოძრავებდა ან როგორ ვზრუნავდით ჩვენი უკეთესი მომავლისათვის. ისინი გვაცნობენ აგრეთვე ზოგიერთ ჩვენამდე არმოღწეული წიგნის შინაარსსა და თავგადასავალს, გვაწვდიან უნიკალურ ცნობებს მეხუთე საუკუნემდე ქართული მწერლობისა და მწიგნობრობის არსებობაზე.

ქართული ფილოლოგიური მეცნიერების კვლევათა თანახმად, ანტიკური წარმართული მწერლობის სესახებ ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობები იმდროინდელ ლიტერატურულ ძეგლებში მოიძებნება. კერძოდ, ასეთი ძეგლია ჩვენამდე მოღწეული პირველი მხატვრულ-აგიოგრაფიული ნაწარმოები „წამება წმიდისა შუშანიკისი“. ასევე საგულისხმოა ბიზანტიურ-ქართული კულტურული ურთიერთობის საკითხები კაბადოკიური საეკლესიო მწერლებისა და მეუდაბნოების სამწერლო-სამონასტრო საქმიანობა და მათთან ერთად ქართველების თანამოღვაწეობა; ასევე ვახტანგ გორგასლის ცხოვრება და მისი მუდმივი ბრძოლა ქართლის დამოუკიდებლობისათვის და მაზდეანური სარწმუნოების წინააღმდეგ; მე-4-6 საუკუნეთა ქართლის სოციალურ-პოლიტიკური და ლიტერატურული ვითარების ფონზე განხილულია სწავლულთა მიერ ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობანი, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ძველქართული ხელნაწერი წიგნისა და მწერლობის საწყისებთან.

ღრმა ეროვნული სულისკვეთებით დაწერილი თხზულება „ცხოვრება ფარნავაზისი“ ქართული პროზის შედევრს წარმოადგენს. მასში დიდი მხატვრული ოსტატობითაა ასახული ქართული სახელმწიფოს დაარსების ისტორია. ამ მეტად მცირე, ხუთიოდე გვერდის მომცველ თხზულებაში საოცარი სისრულითაა წარმოსახული ისტორიული სინამდვილე, შინაგანი სისავსითაა გამოკვეთილი ფარნავაზის მონუმენტური სახე, რომლის რაინდული ქველობა, სახელმწიფოებრივი სიბრძნე, პოლიტიკური გამჭრიახობა, ადამიანური სითბო და უაღრესად გამახვილებული მამულიშვილური განცდები ისე მიმზიდველად და დამაჯერებლადაა წარმოჩენილი, რომ ჩვენს თვალწინ ცოცხლდება საუკუნეების სიღრმიდან ამოზიდული ერის თავკაცის დიადი სახე.

ნაწარმოები იწყება ხალხური სიტყვიერებისათვის დამახასიათებელი უშუალობით: „მას ჟამსა იყო ჭაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა რომელსა ერქუა სახელი ფარნავაზ. ესე ფარნავაზ იყო მამულად ქართლელი, ნათესავი უფლოსი, მცხეთოსის ძისა, და დედულად სპარსი ასპანელი. და იყო ძმისწული სამარისი, რომელი მოსვლასა მას ალექსანდრესსა მცხეთელ მამასახლისი ყოფილიყო."

ნაწარმოების დედაარსს წარმოადგენს ეროვნული იდეა. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პათოსითაა გამსჭვალული ყოველი პასაჟი, ყოველი დეტალი, რაც მთელი სისრულით ვლინდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლასა და სახელმწიფოებრივ-განმანათლებლურ მოღვაწეობაში. პირველი ფრაზიდან მოყოლებული მთელ თხზულებას გასდევს „ქართლის თემა".

ავტორი თავიდანვე საგანგებო აქცენტირებით გვაუწყებს, რომ ფარნავაზი იყო „მამულად ქართლელი". ეს არ არის მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის ცნობა. მასში ჩაქსოვილია გაცილებით შორს მიმავალი გააზრება, კერძოდ, ფარნავაზის ეროვნულობის აღნიშვნით ავტორი ხაზს უსვამს მის მემკვიდრეობით უფლებას, რომ მხოლოდ ისაა ქართლის გამგებელთა ერთადერთი კანონიერი შთამომავალი, და მხოლოდ მას ხელეწიფება ქვეყნის მართვა. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია და ამიტომ არაერთგზის ამახვილებს მასზე ყურადღებას ავტორი. დასავლეთ საქართველოს, ეგრისის გამგებელი ქუჯი მოკრძალებითა და აღიარებით მიმართავს ფარნავაზს: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი". ეს მიმართვა იმითაც არის საინტერესო, რომ ეგრისის მმართველი ქუჯი არა მარტო დაქვემდებარებულად გრძნობს თავს ფარნავაზის წინაშე, არამედ აქ გატარებულია მთლიანი საქართველოს იდეა: დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო ერთი მთლიანობაა და მას ერთი გამგებელი უნდა ჰყავდეს. ამ უძველესი ქართული ძეგლით თავიდანვე მკვიდრდება ჩვენში მთლიანი საქართველოს იდეა და ამიტომაცაა, რომ ფარნავაზის ინიციატივით წამოწყებული განმათავისუფლებელი ბრძოლა და საქართველოს ყველა კუთხის შემომკვიდრება საოცნებო პერსპექტივას უქმნიდა ყველა თანამემამულეს, რის გამოც პათეტიკურად შენიშნავს მწერალი: „მაშინ განიხარონ ყოველთა ქართუელთა". ფარნავაზის იშვიათი პოლიტიკური ალღო-

თი და ორგანიზატორული ნიჭით აღტაცებული თანამემამულენი იმედის თვალით შეჰყურებენ მხსნელად მოვლინებულ ეროვნულ გმირს: „ყოველნი ქართველნი განუდგეს აზონს“ და ფარნავაზისკენ ილტვიან, საოცარი ერთსულოვნება და შემჭიდროებაა, დიდი ძვრებია; დგება ნანატრი ჟამი, ძალას იკრებს ქვეყანა, რათა იხსნას თავი უცხოელი დამპყრობლებისაგან. ასეთი საყოველთაო ერთსულოვნებისა და, უპირველესად, საკუთარი გამჭრიახობის შედეგად ფარნავაზმა „მასვე წელიწადსა შინა დაიპყრა ყოველი ქართლი თვინიერ კლარჯეთისა“. ოცდაშვიდი წლის ჭაბუკმა იშვიათი პოლიტიკური ალღო, ორგანიზატორული ნიჭი, სტრატეგიული სიბრძნე და ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა, დაამარცხა და გააძევა აზონი თავის ლაშქრითურთ და გააერთიანა საქართველო: „მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თვისთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა. და განამრავლნა ყოველნი მხედარნი ქართლისანნი, განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტნი“.

მშობლიური ენის დევნით განაწამები დ შეურაცხყოფილი ქართველი ადამიანი მოესწრო იმ საოცნებო დღეს, როდესაც ფარნავაზის სიბრძნითა და ქველობით მისი ქვეყანა იმდენად გაძლიერდა, რომ ქართული ენა სახელმწიფო ენად დაკანონდა. მშობლიურმა ენამ თავისი ღირსება, პატივი, აღიარება და უფლებები მოიპოვა. ამ დიდი მოქალაქეობრივი აღიარებით აღზევებული მამულიშვილი აღტაცებითა და ბედნიერებით აღსავსე ღაღადებს: „არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“. ესაა მეტად უშუალო რეაქცია, რეაქცია იმ დიდი მამულიშვილისა, რომელიც სწორედ იმ ცხოვრებით ცხოვრობს, რომელიც მის ქვეყანაში ხდება. ეს, შეიძლება ითქვას, მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული ძვრებია, რომელთაც საძირკველი დაუდეს ერისა და ენის სიმტკიცესა და განვითარებას.

ფარნავაზის „ცხოვრების“ ლაიტმოტივია „ქართლის თემა“ და სრულიად საქართველოს იდეა. ფარნავაზმა ბრძოლითა და სიბრძნით შესძლო ცალკეული კუთხეების შემომკვიდრება და ერთიანი მთლიანი საქართველოს სახელმწიფოს შექმნა. ამ დიდი მთლიანობის ხერხემლად მან მშობლიური ენა აქცია. ფარნავაზმა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად ქართული დააკანონა. ამით საფუძველი ჩაუყარა ქართველი ტომების გაერ-

თიანებისა და შემჭიდროების საქმეს. ეს იყო მისი მთელი მოღვაწეობის ამოსავალ;ი წერტილი, მისი მეფობის მთავარი არსი.

ენის ფენომენის ასეთი სიღრმითა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით წარმოჩენა მწერლის სიბრძნისა და შორსჭვრეტის ჭეშმარიტი დადასტურებაა. ასევე მრავლისმეტყველია ამავე ძეგლით დამკვიდრებული ფაქტი, – ფარნავაზმა შექმნა მწიგნობრობა ქართული. ამ პრობლემას მრავალი მეცნიერი შეეხო (ივანე ჯავახიშვილი, პავლე ინგოროყვა, კორნელი კეკელიძე, რამაზ პატარიძე, ელენე მაჭავარიანი და სხვები). მათი პროფესიონალური დაკვირვებით ცხადი ხდება, რომ ფარნავაზის, ამ საოცრად დიდი მოღვაწის და რეფორმატორის ინტერესთა მასშტაბში სავსებით ორგანულად და ბუნებრივად თავსდება დამწერლობის ფუძემდებლის ამაღლებული მისია.

„ცხოვრება ფარნავაზისა" არის უძველესი დამოუკიდებელი ნაწარმოები, შექმნილი დაახლოებით მე-2 საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ეს თხზულება, მოცულობის სიმცირის მიუხედავა, სიღრმითა და მასშტაბურობით, ასახვის ფართო დიაპაზონით, ისტორიული ასპექტების ფართო ჭვრეტით, მოვლენათა ყოვლისმომცველობითა და ტევადობით, სახეთა სიდიადითა და წერის დახვეწილი ოსტატობით, მონუმენტური, დიდი ტილოა, რომელიც მთელი თავისი სისავსით წარმოაჩენს უძველეს და ურთულეს ეპოქას.

აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, თუ როგორ ამთავრებს ავტორი თხრობას: „მან (ფარნავაზმა – ვ. ბ.) განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა, და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული". თხრობის ასეთი დასასრული წარმოადგენს ერთგვარ შეჯამებას, კვინტესენციას ფარნავაზის საქმიანობისას, ამასთანავე, ესაა აპოთეოზი მისი ისტორიული მოღვაწეობისა.

აღსანიშნავია, რომ ეს დიდებული მოთხრობა ჩვენმა სახელოვანმა ისტორიკოსმა ლეონტი მროველმა გარკვეული რედაქციული ცვლილებებით შეიტანა თავის მატიანეში, რის შედეგადაც „ქართლის ცხოვრებამ" თითქმის სრული სახით შემოგვინახა, როგორც უძველესი ქართული ორიგინალური წარმართული ლიტერატურული ძეგლი, რომელიც, როგორც მეცნიერები ასაბუთებენ, შვიდი საკუნით უნდა უსწრებდეს „შუშანიკის წამებას".

ყოველივე ეს გვიზრდის რწმენას, რომ ქართული მწერლობის საწყისად მივიჩნიოთ არა „წამება შუშანიკისი", არამედ „ცხოვრება ფარნავაზისი".

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ მეცნიერებაში გაზიარებულია შეხედულება, რომ „წამება შუშანიკისი" არ არის საერთოდ პირველი, არამედ ის არის ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული ლიტერატურული ძეგლი. ქართულ და უცხოურ მწერლობაში დაცული ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობები უდავოდ ადასტურებენ, რომ მე-4-5 საუკუნეებში „შუშანიკის წამების" დაწერამდე არსებობდა მრავალი საისტორიო-წარმართული, მართლმადიდებელი ქრისტიანული და ზოროასტრულ-მანიქეველური შინაარსის შემცველი წერილობითი ძეგლი, რომელთაგან ზოგი ქრისტიანულ ცენზურას გაუნადგურებია (მაგ. მობიდანის წიგნები), ზოგიც „ჟამთა სიავის" გამო მოსპობილა.

პირველი ქართული ლიტერატურული ძეგლი, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო, „ჟამთა სიავესაც" გადაურჩა და ჩვენამდე მოაღწია, არის იაკობ ხუცესის მხატვრულ-აგიოგრაფიული თხზულება „წამება წმიდისა შუშანიკისი". იგი მსოფლიო აგიოგრაფიული ლიტერატურის შედევრია და ქართული მხატვრული პროზის ბრწყინვალე ძეგლი.

აღნიშნული ნაწარმოები, როგორც ცნობილია, გარკვეულ ლიტერატურულ სკოლას, აგიოგრაფიულ ჟანრს ეკუთვნის, მაგრამ თხზულების დეტალური ანალიზის საფუძველზე მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ის არ თავსდება იმ ლიტერატურულ მოდელში, რომელიც გამოიმუშავა აგიოგრაფიამ. ავტორის ნათელი, გამჭვირვალე სტილითა და თხრობის მაღალი კულტურით ნაწარმოები წარმოგვიდგება, როგორც გარდამავალი საფეხური ორი დიდი ლიტერატურული სკოლის მიჯნაზე. მასში სინთეზურადაა შერწყმული წინა პერიოდის საერო მწერლობის ტრადიციები და ახალი, ქრისტიანული მოძღვრების ლიტერატურული სტილი. პ. ინგოროყვა შენიშნავდა: „ახალმა ქართულმა მწერლობამ, რომელიც მე-4 საუკუნეში ქრისტიანობის საფუძველზე წარმოიშვა, შეითვისა ძველი წარმართული მწერლობიდან როგორც ანბანი, ისე – ჩანს – ზოგიერთი ლიტერატურული ტრადიციებიც (კერძოდ, ტრადიციები საერო მხატვრული მწერლობისა). შეითვისა ამ ახალმა ლიტერატურამ ძველი ლიტერატურიდან სავსებით

დამუშავებული, უაღრესად მდიდარი სალიტერატურო ენა". (პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, მნათობი, 1939, №1).

ქართველ მეცნიერთა მიერ მიჩნეულია, რომ აღნიშნული თხზულება მხატვრული სრულყოფილებით მწერლობის განვითარების იმდენად მაღალ საფეხურს წარმოადგენს, რომ მას ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიიჩნევენ ქართული პროზის საწყისად.

იაკობ ცურტაველის ეს შესანიშნავი თხზულება ჩვენი წინაქრისტიანული ხანის მდიდარი სამწერლობო ტრადიციის არსებობის ნათელი დადასტურებაა, რომელიც საშუალებას აძლევს ქართველ მეცნიერებს, რესტროსპექტულად განჭვრიტონ წარმართული პერიოდის ლიტერატურის არსებობა.

ქრისტიანობის წინა პერიოდის ლიტერატურის ძეგლი არ არის ჩვენამდე მოღწეული, მაგრამ, არსებული მონაცემების მიხედვით, მაინც შესაძლებელია მისი არსებობის დაშვება. რას შეიძლება დავეყრდნოთ ამ შემთხვევაში?

პირველ რიგში, მეცნიერებაში გაზიარებულია აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომ ქართული ანბანი ქრისტიანობამდე შვიდი საუკუნით ადრე უნდა შექმნლიყო (ეს მოსაზრება კიდევ უფრო განამტკიცა რ. პატარიძემ „მაცნე", 1970, №3).

ის ფაქტი, რომ ადრეული საუკუნეების ძეგლებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, ან კიდევ ვერ აღმოჩნდა, როდი ნიშნავს, რომ ის პერიოდი არ არსებობდა. მართებულად შენიშნავს აკად. გიორგი წერეთელი – „დამწერლობის ისტორიაში მრავალია შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ ენის ადრინდელი ეპოქის წერილობითი ძეგლები არაა შემონახული, თუმცა ნამდვილადაა ცნობილი, რომ ამ ენაზე მწერლობა არსებობდა".

ამიტომ მეხუთე საუკუნეზე ადრინდელი წერილობითი ძეგლების უქონლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ამ დროს ქართული დამწერლობა არ არსებობდა.

ქართველმა ისტორიკოსებმა და ლინგვისტებმა ნათელყვეს, რომ ლეონტი მროველის მიერ შემონახული ცნობები ისტორიულად დასტურდება. ასევე არაა უგულებელსაყოფი ლეონტის ცნობა, რომ ფარნავაზმა „შექმნა მწიგნობრობა ქართული", ე. ი. მესამე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ქართველი მეცნიერების კვლევების თანახმად დადგინდა,

რომ მე-5 საუკუნის შუა წლებში, სანამ „შუშანიკის წამება“ დაიწერებოდა, ქართულ ენაზე უკვე არსებობდა საქრისტიანო მოძღვრების შემსწავლელი და ღვთისმსახურებაში სახელმძღვანელო წიგნები: 1. სახარება- ოთხთავი (ხანმეტური და საბაწმიდური); 2. სამოციქულო; 3. ფსალმუნი (სრული) და 4. „წიგნნი მოწამეთანი“, აგრეთვე ყოფილან „კაცნი სჯულის მეცნიერნი“, რომელთაც საგდუხტ დედოფლისათვის უთარგმანებიათ „სახარება უფლისა“.

ჩვენი დიდი მამულიშვილი პავლე ინგოროყვა ვარაუდობს, რომ „ქართულ ენაზე ქრისტიანობის საბოლოო გაბატონებამდე უკვე არსებულა ძველი საერო მწერლობა,რომელსაც მე-5 საუკუნისათვის ღრმად ჰქონია გადგმული ფესვები ქართულ წარმართულ კულტურაში. ამ მხრივ საგულისხმოა ფოლკლორული ცნობები, რომლებიც დაცულია მითოლოგიურ გადმოცემებში. მაგ., ერთ ცნობილ ხალხურ ლექსში, რომლის სათაურია „მზე და მთვარე“.

აღსანიშნავია და საგულისხმო ერთი ისტორიული ფაქტის გახსენებაც: მე-20 საუკუნის 20-იან წლებში აკად. ივანე ჯავახიშვილმა აღმოაჩინა ძველი ქართული მწერლობისა და დამწერლობის ხუთი პალიმფსესტური ხელნაწერი, რომლებიც შეიცავენ შესაქმის, იერემიას წინასწარმეტყველების, სოლომონის იგავთა და სახარების ხანმეტურ ფრაგმენტებს. ისინი აღმომჩენმა დაათარიღა მე-6 საუკუნით: „პალეოგრაფიულისა და ენის ნიშნების ძალით, – წერს ი. ჯავახიშვილი, – უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ხუთივე პალიმფსესტი, ვითარცა ქართული მწერლობისა და დამწერლობის ძეგლები, V-VI საუკუნეებისად უნდა იყოს მიჩნეული“. ანდა: „ის გარემოება, რომ მოსეს პირველი წიგნი, იგავნი სოლომონისნი და იერემია წინასწარმეტყველი VIსაუკუნის ხელნაწერში გვხვდება, ვგონებ, უფლებას უნდა გვაძლევდეს დავასკვნათ, რომ მთელი დაბადება ამ დროს უკვე სრულად უნდა ყოფილიყო ნათარგმნი. მაშასადამე, თუ V საუკუნეში არა, VI საუკუნეში მაინც უნდა იყოს დაბადება ქართულად გადმოთარგმნილი. რასაკვირველია, მით უმეტეს, V საუკუნეში, თუ ამაზე უწინარეს არა, სახარება ქართულად ნათარგმნად უნდა ვიგულისხმოთ“.

ბიბლია (ანუ დაბადება) მსოფლიო კულტურის უძველესი, უდიდესი და უნიკალური წიგნია. იგი შეიცავს ისტორიულ და ფოლკლორულ მოთხრობებს, მეფეთა ცხოვრებებს,სამიჯნურო-

სათავგადასავლო სიუჟეტებს, დემოგრაფიულ ცნობებს, ბრძენთა შეგონებებსა და იგავებს, სასულიერო პოეტურ საგალობლებს, ლირიკულ და საბრძოლო სიმღერებს, სჯულის კანონებს, ღვთისმსახურების წესებს, წინასწარმეტყველთა და მოციქულთა რელიგიურ მოძღვრებებს, ეპისტოლეებს, ბუნების აღწერას, საღმრთო ტაძრების აღმშენებლობას, მომავლის წინასწარმეტყველებას და ა. შ.

ბიბლია კაცობრიობის ყველა მოწინავე ერს ჰქონდა და აქვს მშობლიურ ენაზე თარგმნილი და ცხადია, იგი ქართველებსაც მოეპოვებოდა მშობლიურ ენაზე მე-5-6 საუკუნეებში, როდესაც მათ დაიწყეს მხატვრულ-აგიოგრაფიული თხზულებების წერა.

დასასრულ, რეზიუმის სახით, საგულისხმოდ მიგვაჩნია, გამოვყოთ მთავარი: ქართულ კლასიკურ ფილოლოგიაში (ქართველოლოგიაში) დადგენილია, რომ, როგორც ცნობილია, ეროვნული ენა ერის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია, მისი თვითმყოფადობის უპირველესი პირობა. ქართული ენა, როგორც ქართველთა საკომუნიკაციო და სააზროვნო საშუალება, უფრო ძველია, ვიდრე სალიტერატურო ქართული, რომლის ჩასახვა მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული მწერლობის დასაბამთან.

სალიტერატურო ენა ეროვნული ენის განვითარების უმაღლესი საფეხურია. იგი აუცილებლად უნდა იყოს ერთიანი, საერთო ქართულ ენაზე მეტყველი ყველა ადამიანისათვის.

ერი, რომელსაც არ გააჩნია სალიტერატურო ენა, კულტურის დაბალ საფეხურზე დგას. „სალიტერატურო ენა ერის კულტურის ნაყოფია და იმავე დროს მისივე განვითარებისა და წინსვლის მძლავრი საშუალება“ (ვ. თოფურია); „იმ ერს, რომელიც თავის სამწერლობო ენას შესაფერისად არ განავითარებს, არც შეუძლია გონებრივი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწიოს, რადგან ამისათვის აუცილებლად საჭირო იარაღი არ აბადია...“ (ივ. ჯავახიშვილი).

აღსანიშნავია, რომ ენობრივ ერთიანობას ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხისათვის. ისტორიული ძნელბედობის ჟამს ენა იყო დაშლილ-დაქუცმაცებული ქვეყნის გაერთიანების, ეროვნული მეობის შენარჩუნების საფუძველი, ერის კონსოლიდაციის ყველაზე მძლავრი საშუალება.

როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, ქართლის სამეფოს პირველმა მეფემ და ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელმა ფარნავაზმა (ძვ. წ. 111 ს) „განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“, ხოლო მე-10 საუკუნის მწერალმა გიორგი მერჩულემ ქვეყნის ერთიანობის საფუძვლად ენა გამოაცხადა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.

ასეთ დიდ ყურადღებას აქცევდნენ ჩვენი წინაპრები ენის ფაქტორს და ოფიციალურ ენობრივ პოლიტიკას, რაც აისახა კიდევაც მხატვრულ თუ ისტორიულ თხზულებებში.

საერთოდ მიჩნეულია, რომ სალიტერატურო ენის საფუძველი ერთი რომელიმე დიალექტია, კერძოდ, ყველაზე განვითარებული კუთხისა. ჩვენი სამწერლობო ენის ფუძე-დიალექტად ქართლურს მიიჩნევენ და ლაპარაკობენ ქართების ენის საერთო-ეროვნულ ენად გადაქცევაზე. იქვე მიუთითებენ, რომ სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისთანავე მის განვითარებაში მონაწილეობდა ყველა კუთხე, ყველა დიალექტი. მაგრამ სალიტერატურო ენა არ ემთხვევა არც ფუძე-დიალექტს და არც სხვა რომელიმეს.

ქართული სალიტერატურო ენის რეალურ ისტორიას მეხუთე საუკუნიდან იწყებენ, როდესაც უკვე გვაქვს წერილობითი ძეგლები: წარწერები, ბიბლიის წიგნთა თარგმანები და ქართული მწერლობის თავფურცლად აღიარებული იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“. თუმცა არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ წერილობითი ძეგლები მეხუთე საუკუნემდეც ექნებოდათ ქართველებს.

ყოველი ქრისტიანული ერი თავის სასულიერო მწერლობას „საღმრთო წერილის“ ანუ ბიბლიის თარგმნით იწყებს. ეს საერთო კანონზომიერება ქრისტიანული ღვთისმსახურების საჭიროებით იყო გამოწვეული. ამიტომ ბიბლიის წიგნთა პირველი თარგმანები ქართულადუთუოდ ქრისტიანობის გავრცელებისთანავე შეიქმნებოდა. ზოგი მათგანი დაიკარგა, ზოგი კი მოგვიანო ხანის ხელნაწერებშია შესული. სწორედ ამას უნდა გულისხმობდეს მე-11 საუკუნის დიდი ქართველი მოღვაწე გიორგი მთაწმიდელი, როცა წერს: „ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნი არიან და კეთილად, ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა“. პირველითგან, ე. ი. ქრისტიანობის შემოღებისთანავე.

ასეთივე ბედი ხვდა წილად „წმიდა ნინოს ცხოვრებას“, რომელსაც მე-11 საუკუნის ძეგლად მიიჩნევდნენ, რადგან ამ დროის ისტორიკოსის ლეონტი მროველის მატიანეში იყო შესული; ახლა კი მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ქართველთა განმანათლებლის, მოციქულთა სწორის, წმ. ნინოს ცხოვრება აღიწერა მისივე თანამედროვის მიერ, ლეონტი მროველმა კი მე-4 საუკუნის თხზულება რედაქციული გადამუშავების შემდეგ შეიტანა თავის საისტორიო კრებულში. „წმიდა ნინოს ცხოვრების“ ერთ-ერთ უძველეს რედაქციაში მკვლევარები ადრინდელი თხზულების პლასტებზედაც მიუთითებენ.

თითქმის არავის ეეჭვება, რომ ადრინდელი ქრისტიანული ხანის თხზულებაა „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, მაღალმხატვრული პოეტური ნაწარმოები, გამსჭვალული მესიანისტური სულისკვეთებით, ქართული ენის მომავალი დიდების რწმენით. ტრადიციულად, მას მეათე საუკუნის მოღვაწეს იოანე-ზოსიმეს მიაკუთვნებდნენ, ახლა კი მეოთხე საუკუნის ქრისტიანულ თხზულებად მიიჩნევენ.

ქართველმა მეცნიერებმა გამოთქვეს სარწმუნო მოსაზრება, რაც ტექსტის ღრმა ანალიზითაც დადასტურდა: „ფარნავაზის ცხოვრება“, რომელიც ასევე ლეონტი მროველის საისტორიო კრებულშია შესული, ამ მეფის თანამედროვე პირის მიერ უნდა იყოს დაწერილი და შემდეგ გადამუშავებული სახით შეტანილი „ქართლის ცხოვრების“ იმ ნაწილში, რომელსაც ლეონტი მროველს მიაწერენ.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“, რომელსაც ტრადიცია მე-11 საუკუნის ძეგლად მიიჩნევს, მეხუთე საუკუნის თხზულებაა, შესაბამისად, ავტორიც, ისტორიკოსი ჯუანშერი, ვახტანგის თანამედროვე მოღვაწე უნდა ყოფილიყო.

ყოველივე ეს მიუთითებს ქართული მწერლობისა და, შესაბამისად, ქართული სალიტერატურო ენის არსებობაზე მეხუთე საუკუნეზე გაცილებით ადრე, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტური მასალის საფუძველზე სამწერლობო ენის ისტორიას პირობითად მეხუთე საუკუნიდან იწყებენ.

იაკობ ხუცესის „წამება შუშანიკისი“ შეიქმნა დიდ კულტურულ გარემოში. ქართულმა ქრისტიანულმა მწერლობამ მემკვიდრეო-

ბით მიიღო წინა საუკუნეებიდან კალიგრაფიულად დამუშავებული ქართული ანბანი (მრგვლოვანი, ხუცური, რომლის განვითარების შემდეგ შემუშავდა ნუსხა-ხუცური და თანამედროვე ანბანი) დახვეწილი ქართული სალიტერატურო ენა და მაღალი კულტურა.



პირველ, მეორე და მესამე თავებში გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. ბარამიძე, ქართული მწერლობის შესწავლისათვის, თბ., 1986.

2. რ. გორდეზიანი, წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1985.

3. კ. დანელია, წიგნი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხებზე, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 20.09.84.

4. რ. თვარაძე, თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა, თბ., 1985.

5. ბ. კილანავა, ქართული დამწერლობისა და მწერლობის საათავეებთან, თბ., 1990.

6. რ. პატარიძე, „ქებაი ქართულისა ენისაი", ჟურნ. „მნათობი", 1981; № 11; 1983, № 7; 1985, № 6.

7. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

8. ჟ. ფეიქრიშვილი, ქართველოლოგიის საკითხები, ქუთ., 1992.

9. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV, X, X1, 1979, 1986, 1987.

10. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.

11. არნ. ჩიქობავა, ახალი სალიტერატურო ქართული ენის წარმოქმნისათვის, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 1, თბ., 1950.

12. შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1982.

13. შ. ძიძიგური, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გზები, თბ., 1986.

14. ზ. ჭუმბურიძე, მადლი დედაენისა, თბ., 1982.

15. ზ. ჭუმბურიძე, ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1956.

16. ჯორბენაძე, ბალავარი მწერლობისა, თბ., 1956.

17. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ., 1997.

18. ლ. კინწურაშვილი, ენა სულისა და გულისა, თბ., 2000.

2016 წელს გამომცემლობა „მერიდიანი“
გამოსცემს ვახტანგ ბახტაძის წიგნს:
„დიახ, იყო წამებული ჟურნალისტი ნაზი შამანაური“.





ვახტანგ ბახტაძე – ჟურნალისტი და პუბლიცისტი (დაიბადა თბილისში 1959 წელს), განათლება – პრესის ჟურნალისტი (თსუ – ჟურნალისტიკის ფაკულტეტი). იყო სპორტული გაზ. „ლელოს" კორესპონდენტი, ჭადრაკის განყ. (1980-1988); იყო „საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის" ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის სექციის ხელმძღვანელის მოადგილე (ხელმძღ. ედიშერ გიორგაძე); ყოფილი საბჭოთა კავშირის კომუნისტურ ეპოქაში იყო დისიდენტური და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე; ყოფილი საბჭოთა კავშირის გასული საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდში კომუნისტური ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ ე. წ. „გარდაქმნასა და საჯაროობას" მოჰყვა ე. წ. „თანდათანობითი ლიბერალიზაცია": იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში „საბჭოთა საქართველოს" ისტორიაში პირველი (არაფორმალური, ოპოზიციური) საქართველოს ინფორმაციის დამოუკიდებელი სააგენტო „მაცნეს" დამაარსებელი და პოლიტიკური დირექტორი (ხელმძღვანელი), ამავე სააგენტოს ყოველკვირეული ბიულეტენ „მაცნეს ქრონიკას" (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე) მთ. რედაქტორი (1989-92); იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში იმპერიალისტური სტრუქტურების უარმყოფელი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი არაფორმალური პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა, ორგანიზაციათა და ინდივიდუალურ პირთა გაერთიანება" (შემდგომში საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო") – მისი ერთ-ერთი დამაარსებელი და ინდივიდუალური წევრი, საკოორდინაციო კოლეგიის ექსპერტთა ჯგუფის საინფ. სამს. ხელმძღვანელი (1990-91); სხვადასხვა დროს იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის ზვიად გამსახურდიას პრესსამსახურის უფროსი (1989-90); 1992-2015 წლებში სხვადასხვა დროს იყო ყოველკვირეულ გაზ. „მიმომხილველის" საინფორმაციო სამსახურის უფროსი (1993 წ.); ყოველკვირელი დამოუკიდებელი გაზ. „ფორუმის" მთ. რედაქტორი (1993-95); იყო პროფესიონალ ჟურნალისტთა საზოგადოებრივი (არაკომერციული) ორგანიზაციის „ქართველ ჟურნალისტთა საზოგადოების" (პროექტის ავტორი მარინა ვაშაყმაძე) ერთ-ერთი თანადამფუძნებელი. ჟურნალისტთა უსაფრთხოებისა და დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე (1994-2000): იყო ალმანახ „ეროვნული ღირსებისათვის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და სარედაქციო კოლეგიის წევრი; სისტემატურად იბეჭდებოდა და იბეჭდება (პუბლიცისტური წერილები, ლიტერატურული კრიტიკა) ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. აღსანიშნავია პუბლიცისტური წერილები სალიტერატურო ჩან-

ართში გაზეთისა „ჩვენი მწერლობა", ჟურნალებში „ომეგა" და „ჩვენი მწერლობა" (2003-დან დღემდე), ასევე ჟურნალ „ქართულ მწერლობაში" და სხვა; არის ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების სალიტერატურო სალონის წევრი (2005-დან დღემდე): არის (არასამენარმეო, არაკომერციული) ჟურნალისტთა ნებაყოფლობითი გაერთიანების „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის" დამფუძნებელი კრების მონაწილე, ხელმომწერი და წევრი (პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში და განხორციელდა ევროსაბჭოს მიერ), (2009-დან დღემდე).

წარმოდგენილი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში როგორც ოპოზიციონერი ჟურნალისტი საქართველოდან, ყოფილი საბჭოთა კავშირის არაფორმალური გაერთიანებების დამოუკიდებელ გამომცემელთა და ჟურნალისტთა პროფკაშირების მიერ მოწყობილ 1-11-111-1V ყრილობებზე, სხვადასხვა კონფერენციებზე, ფორუმებსა და სემინარებზე (მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი, ვილნიუსი, რიგა, ტალინი); ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში ყოფილი საბჭოთა დისიდენტების მიერ მოწყობილ თავყრილობებზე და სხვადასხვა ღონისძიებებზე; მონაწილეობდა 1990 წლის ივნისში პარიზში, საფრანგეთის „ქართული სათვისტომოს" მიერ მოწყობილ კონფერენციაზე. (1988-1990).

მონაწილეობდა ამერიკულ-ქართულ ერთობლივ პროექტში – „ქართველ ჟურნალისტთა საზოგადოების" ნაიტის ფონდის (აშშ) და ვაშინგტონის რესტორნის უცხოელ ჟურნალისტთა საერთაშორისო დახმარების ფონდის მიერ თბილისში პირველად ჩატარდა საქარველოში ამერიკული ყაიდის თავისუფალი პრესის „სემინარი ახალგაზრდა ქართველი ჟურნალისტებისათვის" (ხელმძღვანელი ცნობილი ამერიკელი პრესის გამომცემელი უილიამ დეივიდ ჯონსი (William Davis Jones, Iv.), საქართველოს მხრიდან – პროექტის ხელმძღვანელი, ორგანიზაციის თანათავმჯდომარე მარინა ვაშაყმაძე), რომლის დასრულების შემდეგ გაიცა (საქართველოში პირველად) სათანადო ხარისხის სერტიფიკატები. არსებულ პროექტში მონაწილეობდა, როგორც ქართული მხარის სამკაციანი საორგანიზაციო ჯგუფის წევრი (1996).

არის (არასამეწარმეო, არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ფონდი-საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემსწავლელი ცენტრის" თანადამფუძნებელი და თანათავმჯდომარე.

არის არაერთი წიგნის იდეის ავტორი, შემდგენელ-რედაქტორი და წინათქმის ავტორი. მათ შორის აღსანიშნავია: ზვიად გამსახურდიას ნაშრომი „საქართველოს სულიერი მისსია" (პირველი გამოცემა, გამომც. „განათლება", თბილისი, 1990), გამოიცა საქართველოს საინფორმაციო კორპორაცია „მაცნეს" ეგიდით; ასევე ინგლისურენოვანი ვერსიის იდეის და წინათქმის ავტორი წიგნისა – „Zviad Gamsakhurdia, – The Spiritual Mission of Georgia"

(გამომც. „განათლება", თბილისი, 1991). წიგნი გამოიცა საქართველოს საინფორმაციო კორპორაცია „მაცნეს" ეგიდით; ასევე არის კრებულის – „გამოთხოვება საქართველოს ეროვნულ გმირ მერაბ კოსტავასთან" იდეის, წინათქმის ავტორი და შემდგენელი (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1992); არის რედაქტორი წიგნებისა: გელა ჩორგოლაშვილის „სინანულის გადასახედი", რომლის რედაქტორი იყო მაია გოგოლაძესთან ერთად (გამომც. „წიგნის სახელოსნო", თბილისი, 2009); 2014-16 წლებში გამოცემული თარგმანები – ჩინელი ნობელიანტი მწერლის მო იენის „ღვინის ქვეყანა", ფრანგი ნობელიანტი მწერლისა და ფილოსოფოსის ანრი ბერგსონის „სიცილი", ფრანგი ნობელიანტი მწერლის კლოდ სიმონის „ფლანდრიის გზა", (გამომც. „ინტელექტი, თბილისი), გერმანელი ნობელიანტი მწერლის ჰერმან ჰესეს „წიგნების მაგია" (გამომც. „ინტელექტი", თბილისი); „რუსული კლასიკის" სერიით გამოცემული წიგნები (თარგმანები) – ლეონიდ ანდრეევის „იუდა ისკარიოტელი", ამავე ავტორის „შვიდი ჩამოხრჩობილის ამბავი", ნაკოლაი გოგოლის „პორტრეტი", ვასილ შუკშინის „სიცოცხლის წყურვილი"; ასევე ანზორ აბჟანდაძის „ვეფხისტყაოსანი შენთან ერთად" (გამომც. „წიგნის სახელოსნო" და „აზრი", თბილისი, 2011-2016); ამერიკელი მედია-ექსპერტების ჟურნალისტიკის სახელმძღვანელო „მედიამენეჯმენტი" (თარგმანი) (გამომცემლობა „აზრი", 2015). გამოსაცემად მომზადებული აქვს რამდენიმე წიგნი – მათ შორის: ნამებული ჟურნალისტის ნაზი შამანაურის და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შესახებ.

დაიბეჭდა:
გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.
☎ 239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com